


4793  
კ 21 მ.

სარგის კაკაბაძე

# ფეხილები და მასალები

# სამხრეთელოს ისტორიისათვის

წიგნი I



თბილისი

ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკ. ქ. საკ. სახ., № 5.

1914

# ს ა რ ჩ ე ვ ი

88•

მეფის იმამყულიხანის 1708 წლის ნინო-წმიდის სიგელი . . . . .	1
საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევანი (აღ. ჯამბ. ორბელიანისა) . . . . .	11
მცხოვრებთა რიცხვი საქართველოში მე-XIII საუკუნის ნახევარს . . . . .	21
მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცხოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი ჰიბრნი (აღ. ჯამბ. ორბელიანისა) . . . . .	32
ანდერძი გენათელის მეფის ძის იოსებისა, 1766 წელს დაწერილი თარეღთა გვარეულობის შესახებ . . . . .	54
გოვი ამილახვარის გაქცევა ტფილისიდან (აღ. ჯამბ. ორბელიანისა) . . . . .	66
თამარ მეფის დროინდელი ერთ მონასტრის ტიპიკონის ნაწიუვეტი . . . . .	71
ფაულენისშვილების გვარის ისტორიისათვის . . . . .	76
იმერეთის მეფის დიდ სოლომონის I-ის მატანე (ნიკ. დადიანის ძისა) . . . . .	80
სიგელი იმერთა მეფის სოლომონ II-ისა 1805 წ. ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებისადმი . . . . .	90
დადის სოლომონ I-ის გამეფების თარიღი . . . . .	95
დოკუმენტი იმერთა მეფის სოლომონ II-ის სიკვდილის შესახებ . . . . .	99
მეფე ირაკლის მეორის მეუღლე დარია ანუ დარეჯან (აღ. ჯამბ. ორბელიანისა) . . . . .	103
სვანები მე-XV საუკუნეში . . . . .	126
ერეკლე მეფის სამი წერილი თეკლა ბატონიშვილისადმი . . . . .	133
დავით, უცნობი მე-XIV საუკუნის მეფე . . . . .	137

# მეფის იმამყულიხანის 1708

## წლის ნინოწმიდის სიგელი

იმამყულიხანის 1708 წლის ნინოწმიდის სიგელი დაწერილია ხელთახურად თხელს ირანულ ქალაქზედ ზომით  $701\frac{1}{3} \times 33\frac{3}{4}$  სანტიმეტრი. არშიები დახატულია ფერადად სმარსულ უადაზედ, ხოლო სიგელის თავში მოთავსებულია სურათები ფერადად: შჰსულთან უსეინისა, ბატონიშვილის თეიმურაზისა, დავით მეფისა მეფე ერეკლესი, მეფე კასტანტინესი, თეიმურაზ I-სა, თეიმურაზის შვილის დავით ბატონიშვილისა, მეფე ალექსანდრესი, მეფე ლევანისა, დავით ბატონიშვილისა. ამ გვარად ეს სიგელი წარმოგვიდგენს მთელს კადეჯას მე-XVI-XVII და მე-XVIII საუკუნის დასაწყისის კახთ ბატონებისა. ზირველად იმამყულიხანა იმეორებს ალექსანდრე II კახთ მეფის 1597 წლის სიგელს.

ასომთავრულად: ნინოს: ენბზსა: ქრთვლთა: მტქლსა: დიდისა: ღთისა: საკთა მევეალსა: ოქროსა: მიწით: სწჯსა: სწაწილვთ: ძლვბრ: მნათობსა: ქყნისა: ჩემისა: მფე: გვედრივარ: ალექსანდრე: დამიცვე:

ქ: ეჰა: არსება: დაუსაბამო: დაუბადებელო: უკუდავო: და: გარე: შეუწერელო: უსაზღვრო: მიუწდომელო: შეუხებელო: უვნებელო: წარუმიდინარეო: უნივთოვო: მარტივო: შეუხავებელო: დამბადებელო: ყოვლისა: მპყრობელო: ყოველთა: შემცველო: სავსეო: და: ყოველთა: ზეშთა: სრულო: ძალ: განუზომელო: ღთო: მამაო: და: თანა: არსო: და: თანა: დაუსაბამოვ: დასაბამისაგან: დასაბამო: ნათლისაგან: ნათელო: წყაროვო: ცხოვრებისაგო: უკუდავებისა: მაგალითისა: სახისა: დასაბამო: შეუძრველო: ბეჭედო: უცვალელებლო: ხატო: საზღვარო: და: სიტყუაო: მამისა: ღთო: ძეო: ცხოველს: მყოფელო: სრულ: მყოფელო: ყოველთა: აღმავსებელო: და: განმგებელო: უხილაგო: უჟამოგო: დაუტევნელო: უსაზღროვო: შეუხებელო: თუით: მოძრავო: და: მარადის: მოძრავო: თუით: კელმწიფეგო: თუით: ძალო: ყოვლისა: შემძლელებლო: ცხოვრებისა: მომცემელო: თუით: ნათელო: და: ნათლისა: მომცემელო: და: ღთო: მყოფელო: სულო: ყოვლად: წმიდაგო: რომელი: იგი: ერთ: ხარ: სამგვამოვანო: რომელთა:



ეგე: არცა: ერთი: რა: გაქუს: ურთიერთარს: განყოფილება: თებსა: შინა: გუამთასა: უმიზნობისა: და: მიზნისაგანთა: უშობელ-  
 სა: ვიტყუი: შობილსა: და: გამომავალსა: ერთობასა: ბუნებ-სასა: სამობასა:  
 შინ: გუამთასა: რომელმან: სიბრძნითა: ღმრთაებისა: შენისათა:  
 და: საბამსა: დაჰბადე: კაცი: ხატად: და: მსგავსად: შენდა: და:  
 უფალჰყავ: და: ყოველი: დაუმორჩილე: და: დამკუიდრე: იგი:  
 სამოთხესა: მას: ფუფუნებისასა: ხოლო: მან: შეურაცხყო: ბრძანე-  
 ბა: ბრწყინვალისა: მეუფებისა: შენისა: და: ბირებითა: ეშმაკისათა:  
 არა: დამარხვითა: მცნებისათა: სამოთხით: ექსორია: იქმნა: და:  
 ჯკუდავისა: მის: ცხოვრებისაგან: განვარდა: და: მოკუდავი: იქმნა:  
 და: მიერთგან: დაემონა: უძღური: ესე: აგებულება: სულთა:  
 მომსველსა: ბელიერსა: და: ესრეთ: ყოველნი: მიიზიდნა: მისდამი:  
 და: მფლობელ: და: განმგებელ იქმნა: არამედ: შენ: სულგრძე-  
 ლო: და: მრავალ: მოწყალეო: და: ყოვლად: ძვირუკესნებელო:  
 არა: სათნო: იჩინე: ხატად: შენდა: შექმნულისა: ესრეთ: უშვერე-  
 ბა: და: ეშმაკისა: მიერ: მიმძღავრებულება: და: არცა: უღირს  
 იჩინე: მონათა: თანა: დამდაბლება: და: გარდამოჰყედ: მაღალი:  
 ეგე: ჩუენ: მდაბლთა: მომართ: და: ხატი: მონებისა: მიიღე: და:  
 იშვე: უსძლოსაგან: ქალწულისა: და: აღიზარდე: და: ყოველივ:  
 წესი: კაცობრივი: აღასრულე: თუინიერ: ხოლო: ცოდვისა: ჯუარ-  
 სა: ეცუა: და: მოჰკუედ: დაეფალ: და: აღსდეგ: მესამესა: დღესა:  
 და: ესოდნ: იქველის: მოქმედე: ვრდრემდის: ხრწნილება: ჩვენი:  
 უხრწნელვბად: გარდასცვალე: და: მოკუდავი: კუალად: უკუდავ:  
 მყვენ: ამალღდი: მამისა: და: თანა: აღამაღლებ: ბუნებცა: ჩვენი:  
 და: კუალად: მომავალხარ: განსჯად: ცხოველთა: და: მკუდართა:  
 შეწვევნითა: და: მეოხებითა: ყოვლად: წმიდისა: ყოვლად: ბიწ:  
 შეუხებელისა: უხრწნელისა: და: უფროსად: კურთხეულისა: მარა-  
 დის: ქალწულისა: მარიამისათა: რომლისა: მიერ: კორც: ვსნებულ:  
 იქმნა: ქრისტე: ღმერთი: ჩვენი: და: ეზიარა: კაცებასა: ჩვენსა:  
 თბითა: ამათ: აღამიანთა: მრჩობელ: ბუნებითა: და: იშვა: მისგან:  
 ღმერთი: სრული: და: კაცი: სრული: ძლიერებითა: და: თანა:  
 დგომითა: ქრისტეს: ბექთა: საშუვალისა: მორწმუნეთა: საჭურვე-  
 ლისა: მეფეთა: ღთისა: მსხურთა: ძლევით: გვირგვინოსან: მყოფე-  
 ლისა: ვითარცა: მისწერს: თავი: იგი: მოციქულთა: გალატელთა:  
 მიმართ: ვითარმედ: არარა: არს: ჩუენდა: სიქადული: გარნა: ჯვა-  
 რითა: იესოს: ქრისტესითა: ძელისა: ცხოველისა: პატიოსნისა: და:



ცხოველს: მყოფელისა: უძლეველისა: ჯუარისათა: რომელსა: ჭკად:   
 განკუართულ: იქმნა: ქრისტე: ლთი: ჩვენი: ძლევითა: შემუსრვად:   
 ბკეთა: ჯოჯოხეთისათა: და: მასზედა: დამსჭულავით: მეუფისათა:   
 მოგვეცა: იგივე: პირველი: პატივი: და: უკუდავება: ეთანა: მოქმე-   
 დება: მდგომარეობითა: წმინდათა: ურულოთა: მცველ: მართებელ-   
 თა: ცხორებისა: ჩვენისათა: და: წამისყოფითა: აღმასრულებელთა:   
 ლთისა: ბრძანებითა: დიდთა: მთავართა: ანგელოზთა: მიქაილ:   
 ძალთა: მთავარისა: და: გაბრიელ: მახარებელისათა: და: სხუათა:   
 ცხრა: არვეთა: დასთა: და: ცხრათავე: ზეცისა: ძალთათა: ოხითა:   
 და: მინდობითა: ყოველთა: დედათა: ნაშობთა: უზეშთაესისა: მუც-   
 ლითა: გამო: დედისა: თაყუანისა: მცემელისა: ქრისტეს: მეუფედ:   
 მცნობელო: მტერთა: სინანულისა: ცულითა: მაჩვენებელისა:   
 წინამორბედისა: წინასწარ: მეტყუელისა: და: ნათლისმცემელისა:   
 იოვნესითა: და: სეხნისა: მობაძავისა: და: თანა: მეტომისა: მისისა:   
 ძედ: ქუხილისა: წოდებულისა: იოვანე: ლთის: მეთქუისა: ლთი-   
 სა: ძმისა: მკერდისა: მას: სამეუფოსა: მიყრდნობილსა: და: მიერ:   
 აღმომთქმელთა: საკუირველთა: საყუარელისა: მოწაფისა: და: ქალ-   
 წულისათა: მეოხებითა: და: თანა: დგომითა: პეტრე: რიტორისა:   
 სასუფეველისა: კლიტეთა: მპყრობელისა: და: პავლე: სამცამდე: აღ-   
 წევნულისა: და: არა: თქმულთა: სიტყუათა: მსმენელისა: და: მოძ-   
 ლუარსა: წარმართთასა: და: ათ: ორთა: თავთა: მოციქულთა: და:   
 სამეოცდა: ათეულთა: ქრისტეს: მოწაფეთათა: შეწევნითა: და: ოხი-   
 თა: წმინდათა: ლთის: მხილველთა: და: შორითგანვე: ქრისტეს:   
 მოსულსა: მომასწვებელთა: წინასწარ: მეტყველთათა: რომელთა:   
 თითოეულად: ქადაგეს: და: მოსწვეს: განკორცელება: უთესლოდ:   
 სიტყუისა: ლთისა: და: შობა: ქალწულისაგან: უბიწოსა: მეოხები-   
 თა: წმინდათა: მღრდელთა: მოძლუართა: რომელთა: მართალ:   
 მადიდებლობითა: განფხურნეს: მწვალებელთა: ლუარძლოვანი: ენა-   
 ნი: და: მათწილ: დასთესნეს: თესლნი: ლთის: მსახურებისანი: და:   
 მოიმუშაკეს: არა: ერდოთანნი: არამედ: კურთხევისა: მიმნიჭებელნი:   
 თანა: წარმავალთანთა: მეოხებითა: და: შეწევნითა: წმინდათა: უძ-   
 ლეველთა: მოწამეთა: სტეფანე: გიორგი: თევდორე: დიმიტრი: და   
 ყოველთა: წმინდათა: ლთისათა: რომელთა: ურიცხუთა: ლუაწლ-   
 თა: მიერ: გვირგვინოსან: ყვნეს: თავნი: მათნი: და: ბევრეულნი:   
 ტანჯვანი: თავს ისხენეს: სიყუარულისათუის: ლთისა: და: მოც-   
 ქულებრისა: მას: ზრახუიდეს: ვიდრე: სიკუდილადმდე: ვთარმედ:



ვინ: განმაშორეს: სიყუარულსა: ქრისტესსა: ჰირმან: ანუ: იწროვ  
 ბამან: და: შემდგომი: ამისი: მეოხებითა: და: შეწვევითა: წმინდა-  
 თა: უდაბნოთა: განმანათლებელთა: მამათა: ქალწულთა: და: ყო-  
 ველთა: ღთის: სათნოთა: და: ღირსთათა: ზეცისათა: და: ქვეყანი-  
 სათა: კორციელთა: და: უკორცოთათა: ჩვენ: შენ: მიერ: მტერთა:  
 ზედა: და: წინა: აღმდგომთა: ძლიერმან: და: უძლეველმან: იესიან:  
 დავითიან: სოლომონიან: ყოვლისა: საქართველოსა: მპყრობელ:  
 მქონებელმა: შანშა: და: შარვანშ. მეფეთ: მეფეშან: პატრონმან:  
 ალექსანდრე: და: საყვარელთა: და: პირ: მშოთა: ძეთა: ჩვენთა:  
 პატრონმან: დავით: და: პატრონმან: გიორგიმ: და: პატრონმან:  
 კოსტანტინე: ეს: მტკიცე: და: უკუნისამდ: შეუცვალელებლი: წიგ-  
 ნი: და: გუჯარი: გკადრეთ: და: მოგახსენეთ: თქუენ: დედისა:  
 მღთისა: საკუთარსა: მოწაფესა: და: მეთ: ცამეტესა: მოციქულ-  
 სა: დედას: ჩვენ: ქართველთას: წმინდას: ნინოს: რომელმან: სწავ-  
 ლით: თავისითა: მიფინე: ყოველთა: ერთა: ქართველთასა: მზე: იგი:  
 სიმართლისა: და: განანათლენ: წარმართნი: კერპთ: მსახურებისა:  
 საცთურითა: და: უფროსდა: ჩრდილოეთისა: კედართა: შორის:  
 უაღმატებულესისა: კათოლიკე: ეკლესისა: დედა: ქალაქისა: რომე-  
 ლი: შენ: მიერ: უდიდებულეს: იქმნა: ადამისითგან: ვიდრე: მოაქა-  
 მომდე: ყოველთა: და: შენ: გამო: ღირს: ვიქმენით: საბლარდ-  
 ნელს: მას: მეორეთ: შობისასა: და: დასცხრა: სისხლი: იგი: ყრ-  
 მათა: ჩვილთა: სამოელის: მიერ: საყნოსელი: და: გვეუწყა: ცეცხ-  
 ლისა: მის: მღთაებისა: შემცველი: საბლარდნელი: იესოს: ძისა:  
 მღთისა: და: შენ: მიერვე: აღმართა: სვეტი: იგი: მღთივ: აღ-  
 მართებული: რომელსა: ზედა: დამკვიდრებულარს: ძველი: დღეთა:  
 ვითარცა: ოდესმე: მოციქულთა: თავისა: პეტრეს: მიერ: რომი:  
 ხოლო: აქა: შენ: მიერ: კედარნი: ჩრდილოეთისანი: ვითარცა:  
 აღმოუცნებს: სამარხო: მისი: ყოველთა: ჰირვეულთა: ლხინებას:  
 ეგრთვე: აქ: სამარხო: შენი: ნათობს: ყოველთა: დაბნელებულთა:  
 ცოდვისა: მიერ: და: კვალად: თქუენ: მამასა: მამათასა: და: მწყემ-  
 სა: ცხოვართა: მათ: პირ: მეტყველთასა: არა: სასყიდლით: დად-  
 გინებულსა: სიტყუისაებრ: სახარებისა: და: ქალაქი: მყოფელსა:  
 უდაბნოთასა: და: უწრწყულ: უაღთა: ალაგთა: ამათ: გარეშჯისა-  
 თა: რომელმან: ლოცვითა: შენითა: მოამლოვრენ: მკეცნი: იგი:  
 ველურნი: და: ლუკიანეს: მიერ: საანჯამო: ჰყავ: და: კუალად:  
 ექსორია: ჰყავ: ვეშაპი: იგი: სამკუიდრებელით: თუისით: რათა:



არა: ვთქვა: რიღობით: გმობა: პირველისა: მამისა: ვეშაპისა: მთელი  
 განიღვენა: სამოთხით: და: დააკლდა: კმასა: მას: სამეუფოსა: ხო-  
 ლო: აქა: შენ: მიერ: დევნულ: იქმნა: უწყალოდ: ვეშაპი: იგი:  
 მტერი: ნათესავისა: ჩვენისა: და: ცეცხლისა: მიერ: დასაწველ:  
 ჰყავ: იგი: ხოლო: სარკინოზსა: ვისისა: მიმართ: სახელითა: აბუბა-  
 ქარისა: რაოდენნი: სასწაულნი: აღასრულენ: სადიდებელად: ღთი-  
 სა: და: საქებელად: შენდა: თითოეულნი: ვითარ: აღვრაცხუნე:  
 ანუ: ვითარ: შეუძლო: გამოთქმად: ზი: ვარსკულავო: დაუვალის:  
 მის: მზისაო: დავით: გკადრეთ: და: მოგახსენეთ: ასრე: და: ამა:  
 პირსა: ზედა: ვითა: ჩუნთა: ცოდვათა: მიერ: და: მძღავრობითა:  
 უცხო: თესლთათა: ჩვენი: უხუცესი: და: პატრონი: ქეთევან: მოვი-  
 და: ჩვენსა: სახლშიგან: ვითარცა: უწყით: ქრისტიანეთა: ზედა:  
 მათ: ღთის: მტერთა: მიერ: ძღეულება: და: უწყალებოა: მრავა-  
 ლი: სატანჯველი: მიაპყრეს: და: თავისის: მამულისაგან: ექსორია:  
 ყვეს: ჩვენ: ვითარცა: შეჰგვანდა: კელმწიფობასა: ჩვენსა: ვიგულეთ:  
 და: შევიტკბეთ: და: იგი: ჩვენი: ვითარცა: იტყუის: წინასწარი:  
 მეტყუეთა: უმეტესი: დიდი: მოსე: ვითარმედ: თუისი: ნათესავისა:  
 შენისა: არა: უგულებელსყო: მივეცი: მონასტერი: მეტოქი: და:  
 სახიზარი: თქუენი: და: უდაბნოსა: გარეშჯისა: და: დავაყენეთ:  
 მონასტერსა: მას: შინ: აკურისასა: და: დავნებეთ: რაცა: მისი:  
 შესავალი: იყო: ამა: წესით: ვითა: სადამდის: ცოცხალიყოს: ჩვე-  
 ნი: და: პატრონი: ქეთევან: მანამდის: მას: ჰქონდეს: ასრე: რო-  
 მე: რაც: წინამძღუარსა: იქი: მდგომსა: ჰქონებოდეს: და: ექამოს:  
 ისი: ჩვენმან: დამან: იკმაროს: და: ქამოს: და: რა: სოფელმან:  
 მისი: წესი: არ: დაიშალოს: ისრევე: რარიგათაც: ამას: წინათ:  
 ყოფილიყოს: ნინო: წმიდის: სამწყსო: და: მეტოქი: იყოს: და:  
 სახიზარი: დიდის: უდაბნოსა: და: სხუა: რაცა: საუდაბნოე: პირ-  
 ველთა: მეფეთა: ალაზნი: იყუნენ: ისი: ისრევე: მოუშლელი: და:  
 შეუცვლელი: იყოს: ამს: გარეთად: სულკურთხეულისა: მეფის:  
 პატრონის: მამის: ჩვენის: ლეონისაგან: ორნი: სიგელნი: იყუნეს:  
 ერთი: მთავარას: შვილის: ზურაბასაგან: დაწერილი: და: ერთი:  
 პატატა: ბარათი: ისი: ისრე: დაგვიმტკიცებია: და: ნურა: კაცი:  
 იმას: მშლელად: და: შემცვალეზლად: ნუ: ექმნების: და: რარიგა-  
 დაც: ყოფილიყოს: ისრევე: ვინგინდავინ: თორმეტ: უდაბნოთ:  
 მაკურთხეველი: არქიმანდრიტი: იყოს: მისი: მეტოქი: და: სახიზა-  
 რი: იყოს: და: სადგომი: დიდის: უდაბნოსი: სალარო: აწე: ვინცა:



და: რამანც: ადამის: ნათესავთაგანმან: კაცმან: კელ: ყოს: ჩვენთაგან  
 დამტკიცებულისა: ამის: გუჯრისა: და: მეფისა: ლეონისა: სიგლისა:  
 არა: დამტკიცებად: ჩვენთაგან: ცოდვათა: თვის: იგი: განიკითხვის:  
 დღეს: მას: მეორეთ: მოსვლისა: მისისასა: უკეთუ: მეფემან: შესც-  
 ვალოს: მეუფეთ: მეუფეთათ: შენ: იგი: შესცვალე: მეფობისაგან:  
 უკეთუ: დედოფალმან: დედოფალო: დედოფალთათ: ქალწულ:  
 მლთის: მშობელო: შენ: იგი: შესცვალე: დედოფლობისა: მისისაგან:  
 უკეთუ: მთავარმან: მთავრობისაგან: გინთუ: დიდებულ მან: ანუთუ:  
 აზნაურმა: შემცა: სჯულისაგან: ჩვენ: ქრისტიანეთასა: შემცა: ედუ-  
 ბის: ძრწოლა: კენისა: კეთრი: გეზისა: მეხ: ტეხილობა: დიოს:  
 კორესი: შიშვეული: იუდასი: ცოცხლივ: შთანთქმა: დათან: აბირო-  
 ნისა: ნურა: რათამცა: სინანულითა: ნუ: იქმნების: ხსნა: სულისა:  
 მისისა: მაზედამცა: იქმნების: წყევა: იგი: მეასდა: რვისა: ფსლმუ-  
 ნისა: რომელსა: იტყუის: იყვნ: შვილნი: მისნი: ობოლ: და: ცო-  
 ლი მისი: ქვრივ: შერყევით: იცვალნენ: და: შემდგომი: ამისი:  
 მასამც: ესმის: კმა: იგი: მეუფისა: რისხვით: დღესა: მას: ზარის:  
 სახდელსა: წარმგზავნელისა: ცეცხლად: საუკუნოდ: ვითარმედ:  
 წარვედით: დაწყეულნო: მამისა: ჩემისა: ჩემისანო: ცეცხლსა: მას:  
 საუკუნოსა: რომელი: განმზადებულარს: ეშმაკისათვის: და: ანგელო-  
 თა: მისთთვის: მის: ზედამცა: იძვეის: შური: იგი: ჯვარის: მცემლ-  
 თა: და: ნურა: ოდესმც: მოაკლდების: სახლით: მისით: დაღადება:  
 იგი: იობისი: მომავალი: მისდა: ამინ: დაიწერა: მტკიცე: ეს: და:  
 შეუცვალელებელი: გუჯარი: ესე: დასაბამითგანთა: წელთა: შვიდი:  
 ათას: ასდა: ოთხსა: ქკსა: სპე: თვესა: აპრილსა: ოცდათსა: მზის:  
 მოქცევსა: ს: სათვალავს: მთვარისასა: კდ: ინდიკტიონს: ოცდა:  
 სამსა:

ბეჭდები წარწერთ: შეუგდ ვზი დავით, ძიარდ მიდკს დავით, ვარ  
 კემწითისა გაზდილ ბანდა ვით, იმამუელიხანს; დედოფალი ანა; მონა  
 დისა ბატონიშვილა თაიშურაზ.

ქ: ბძანებითა: და: შეწვევითა: მლთისათა: დაუმტკიცეთ:  
 შეწირულობა: და: გუჯარი: ესე: ჩვენ: მლთივ: ზეცით: აღმატე-  
 ბულმან: და: მლთივ: ზეცით: დამყარებულმან: და: მლთივ: ზე-





ცით: გვირგვინოსანმან: იესიან: დავითიან: სოლომონიან: ტოიანმან: დიდისა: და: მ'ლთისაგან: მის: მაგიერათ: ქუეყანაზედ: მოსამართლედ: დადგინებულის: ეტლისაგან: შეყუარებულისავე: სვიანობით: სახელ: განმფენილისა: მზის: შარავანდებთაებრ: სრულად: ცას: ქუეშეთ: მაშვენებელის: ერდგულთა: ზედან: წყალობა: უხვად: ნილოსის: ზღვისაებრ: დაუწყვეტელად: მიმდენარეს: ორგულთა: წამის: ყოფით: გამაოხრებელისა: ძლიერისა: და: თვით: უძლეველისა: დიდისა: ირანის: ტახტისა: და: სახემწიფოს: მპყრობელ: მქონებელისა: და: მურთუხალის: ხალიჩაზედ: მჯდომისა: ხემწიფის: ბედნიერის: (აქ ცაღიერი ადგილია დაგდებულა) შეილურად: აღზრდილმან: და: მისგანვე: გახემწიფებულმან: მეფეთ: მეფემან: და: თვით: კემწიფემან: პატრონმან: იმამ: ყულიხან: და: დედაპან: ჩვენმან: დედოფალთ: დედოფალმან: პატრონმან: ანანამ: და: დიდის: კემწიფის: გაზდილმან: სასურველმან: ძმამან: ჩვენმან: პატრონმან: მამად: ყულიმ: და: პატრონმან: თეიმურაზ: გკადრეთ: და: დაგიმტკიცეთ: ტაძარსა: უდაბნოსა: და: საფლავსა: წმინდისა: დავითისასა: ასე: რომე: როგორათაც: ძველთაგან: ჩვენთა: მამა: პაპათაგან: ბატონის: ლევანისა: და: ბატონის: ალექსანდრესაგან: შეწირული: ყოფილიყოს: სოფელი: აკურა: ძველის: გუჯრით: და: ის: ძველი: გუჯრები: თქუნმა: წინამძღვარმა: ონოფრემ: მოგვართვა: და: გაგვასინჯა: და: დიად: ძველათ: შეწირული: და: სამკვიდრო: და: სალაროდ: და: სახიზრად: ჰქონდათ: მონასტერსა: და: საფლავსა: წმინდისა: დავითისასა: და: ქვეყნის: შლილობით: და: ჟამთა: ვითარებისაგან: უბატონობაში: ოხია: ყორჩიანთ: კელი: მოეკიდათ: და: თავისთვის: დაეჭირათ: და: ბატონი: პაპა: ჩვენი: მეფე: თეიმურაზ: რომ: იმერეთს: ბძანებულიყო: იქ: მოეხსენებინა: და: ერთი: წიგნი: ყალბათ: გამოერთმევეინა: და: ერთი: ამ სოფლის: წიგნი: ჩვენც: ყალბათ: თარხნმა: გამოგვართვა: და: რიცაც: წმინდის: დავითის: წინამძღვარი: მოვიდა: ჩვენთან: და: ეს: გუჯრები: მოგვართვა: და: გავსინჯეთ: მეფის: ბატონის: ლევანისა: და: მეფის: ბატონის: ალექსანდრესი: და: მეფის: პატრონის: მამის: ჩვენის: ნაზარალიხანის: ანდერძის: წიგნიც: მოგვიტანა: და: გვაჩვენა: და: იმაშიგაც: ასრე: ეწერა: რომე: რომელიც: ჩვენი: შვილი: და: შვილიშვილი: კახეთს: ბატონათ: დაჯდეთ: წმინდას: დავითს: თავისი: სამკვდროს: მამული: აკურა: ისევ: მიეცით: და: დანებეთო: და: ჩვენგან: ბატონის: ლევანისა: და: ბატონის: ალექ-



სანდრეს: გუჯარი: და: შეწირულობა: და: ბატონის: პაპის: მეფის: თეიმურაზისა: და: მამის: ჩვენის: მეფის: ბატონის: ნახარა-  
ლიხნის: ანდერძი: არა: გატყდებოდა: და: არც: ჩვენს: რჯულში:  
ვახში: არა: გამოიწიროდა: და: ჩვენც: ისევ: მიუბოძეთ: დავანე-  
ბეთ: და: დაუმტკიცეთ: სოფელი: აკურა: თავისი: სალარო: სახი-  
ზარი: და: მამული: როგორათაც: ძველთაგან: ქონდა: თავისი:  
მთითა: და: ბართა: და: ბოლოთი: და: წყლით: და: წისქვილი-  
თა: ველითა: და: ვენახითა: თავისის: მართლის: სამართლიანის:  
სამძღვრითა: ასე: რომე: მეფის: პაპის: ჩვენის: ბატონის: ლევანი-  
სა: და: მეფის: პატრონის: ალექსანდრეს: გუჯრები: დასძველებო-  
დათ: და: ისიც: გაუახლეთ: ხელახლა: და: უბოძეთ: და: დაუმტ-  
კიცეთ: და: იმათ: წიგნებიც: ამით: გაკაცუდეთ: მტკიცე: ესე:  
არს: სხვა: რარიგადაც: ამს: წინათ: ყოფილიყოს: ნინო: წმინდის:  
საწყსო: და: მეტოქი: იყოს: და: სახიზარი: დიდის: უდბნოსი:  
და: სხვა: რაც: პირველთ: მეფეთ: აღპანი: იყვნენ: ისრევე: მოუ-  
შლელნი: და: შეუტყვალელები: იყოს: ასე: რომ: წმინდის: დავი-  
თის: საფლავის: ყმნი: ძველთაც: თარხნი: და: აზტნი: ყოფი-  
ლიყვნენ ჩვენს: მამა: პაპათაგან: საჩვენო: სათხოვრისა:  
და: გამოსაღებისაგან: და: ჩვენც: ასე: გაუთრხნეთ: და:  
უაზტეთ: როგორადაც: ძველად: თარხანი: და აზტნი: ყოფილიყვ-  
ნენ: მამულნი: და: ყმანი: წმინდის: დავითისანი: არა: საჩვენო:  
გამოსაღები: და ბეგარი: არა: საური: არა: სამოურაო: და: სამო-  
ხლეო: არა: მუშობა: და: არც: ურემი: და: არცარა: სხვა: წვრ-  
მალი: სათხოვარი: და: გამოსაღები: არც: საჩვენო: და: არც: სა-  
მოურაო: წმინდის: დავითის: ყმათ: არფერისთან: არა: ეთხოებო-  
დესრა: ერთის: ლაშქრ: ნადირობის: მეტი: ას: თარხნთ: და: თა-  
ვის: უფლა: გვიყოფებიან: თვინიერ: თავის: მონასტრის: და:  
წინამძღვრის: სამსახურის: მეტი: კელი: არავის: ქონდეს: ასრე:  
დამტკიცეთ: და: განვახლეთ: ჩვენდა: სადღეგრძელოდ: და: კეთი-  
ლად: წარსამართებელად: აწე: გიბძანებთ: კარის: ჩვენის: ვეჟილ:  
ვეზირნო: და: სხვანო: მოსაქმენო: და: მოხლენო: ვინგინდავინ:  
იყვნეთ: და: ანუ: დღეის: წალმა: იქნებოდეთ: ეს: ჩვენი: ბძანება:  
და: ნიშანი: გუჯარი: თქუენც: ასე: გაუთავეთ: და: ნუ: მოუშ-  
ლით: აწე: ვინცა: და: რამანც: აღამის: ნათესავთაგანმც: კელ:  
ყოს: ჩვენმიერ: დამტკიცებულისა: ამის: გუჯრის: მეფის: ლევანის:  
და: მეფის: ალექსანდრეს: სიგლისა: არ: დამტკიცებათ: ჩვენთამც:



I.





კოდვათათვის: იგი: განიკითხვის: დღესა: მას: მეორეთ: მოსვლისა:  
მისისასა: უკეთუ: მეფემან: შესცვალოს: მეუფეო: მეუფეთაო: შენ: იგი:  
შესცვალე: მეფობისაგან: მისისა: უკეთუ: დედოფალმან: დედოფა-  
ლო: დედოფალთაო: ქალწულო: შენ: იგი: შესცვალე: დედოფ-  
ლობისა: მისისაგან: უკეთუ: მთავარმან: მთავრობისაგან: გინთუ:  
დიდებულმან: ანუთუ: აზნაურმან: შემცა: იცვლების: რჯულისა:  
და: რიგისა: მისისაგან: შემცა: ედების ძრწოლა: კენისა:  
კეთრი: გეზისა: მეხ: დატეხილობა: დიოსკორესი: და: შიშთვილი:  
იუდასი: ცოცხლივ: შთანთქმა: და: თან და: აბირონისა: ნურა:  
რათამცა: სინანულითა: ნუ: იქმნების: კსნა: სულისა: მისისა: მაზე-  
დამც: იქმნების: წყევა: იგი: მეთადა: რვისა: ფსალმუნის: რომელ-  
სა: იტყვის: იყავნ: შვილნი: მისნი: ობოლ: და: ცოლი: მისი:  
ქვირ: შერყევით: იცვალნენ: და: შემდგომი: ამისი: მასმცა: ესმის:  
კმა: იგი: მღთისა: რისხვით: დღეს: მას: ზარ: სახდელსა: წარმგ-  
ზავნელისა: ცეცხლად: საუკუნოდ: ვითარმედ: წარვედით: დაწყეულ-  
ნო: სასჯელსა: მას: საუკუნოსა: რომელი: განმზადებულ: არს:  
ეშმაკისათვის: და: ანგელოზთა: მისთათვის: ნურაოდემცა: მოაკლ-  
დების: სახლით: მისით: ღალადება: იგი: იობისი: მამავალთა: მის-  
თა: ამინ: დაიწერა: მტკიცე: და: შეუცვალეგელი: სიგელი: ესე:  
თებერვლის: იზ: გასულოს: ქკა: ტჟვ: კელითა: კარისა: ჩვენისა:  
მდივნ: მწიგნობრის: თუმნის: შვილის: შიოშისითა: ზეუქუად: მეფეთ  
მეფე კელმწიფე იმამყულიხან ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

ბეჭდები იმამყულიხანისა (სპარსული და ქართული), დედოფლისა ანასა  
და ბატონიშვილის თამყრაზისა

სხვა ხელით: ქ: დიდისა: და: ჟეშთა: ამალღებულისა: და: მალ-  
ლთა: ხარისხსა: მზისებრ: საწუთროს: მაშვენებელისა: დიდის: ირანის:  
კელმწიფეთ: კობილის: (ადგილია დატოვებული) შვილურად:  
და: თვისად: ძმად: აღზრდილმან: დიდება: პატივ: წარმატებულმან:  
და: მათგანვე: გაკელმწიფებულმან: კახეთის: მპყრობელმან: ერევ-  
ნის: ბეგლარ: ბეგმან: და: შმშადილუს: ყაზახის: მქონებელმან:  
მეფეთ: მეფემან: და: თვით: კელმწიფემან: პატრონმან: კოსტანტი-  
ნემ: და: თანა: მემცხედრემან: ჩვენმან: დიდის: ირანის: ეთმადოვ-  
ლათის: დამან: დედოფალთ: დედოფალმან: პატრონმან: ფერჯაპან:



ბეგუმ: ესე ამიერთ: უკუნისამდე: ჟამთა: და: ხანთა: გასათავებელი: საშენობელი: და: საბოლოო: დასამტკიცებელი: წიგნი: და: გუჯარი: ესე: კელ: ახლა: კადრეთ: და: დაგვიმტკიცეთ: მონასტერსა: და: საფლავლსა: წმინდის: დავითისასა: რაგვარად: ძველიდგანაც: ჩვენის: მამა: პაპათაგან: შამოწირულობის: გუჯარი: ქონდათ: და: ან: სულკურთხეულს: მეფეს: ჩვენს: ძმას: იმამყულიხანს: დაემტკიცებინა: აგრევე: წესითა: ამით: ჩვენც: დაგვიმტკიცებია: მას: ჟამსა: ოდეს: ბძანებითა: ღთისათა: ქვეყანის: განმანათლებელმან: კელმწიფემან: დიდის: დიდებით: და: პატივ: აღმატებით: გამოგვისტუმრა: და: სიმკვიდრებელი: მოგვენიჭა: მოვბძანდით: დღესა: ჟამსა: მასშინა: წინამძღვარმა: ონოფრემ: მოგვართო: და: გაგვაშინჯვა: გუჯარი: ესე: დასამტკიცებელად: და გვეწადა: და: ვყავით: კელნი: სამტკიცებელად: გუჯარსა: ამას: და: არ: მოეშალოს: არა: ჩვენგან: და: არცა: სხვათა: შემდგომთა: მეფეთა: და: მეპატრონეთაგან: და: ანუ: უფლის: წულთაგან: ანუ: დღეს: იყვენენ: და: ანუ: დღის: წაღმართ: იქმნებოდენ: მტკიცეარს: და: არავინ: გვიკმს: მშლელად: და: ამ: დამტკიცებისა: ჩვენის: წინა: აღმზღედად: დაიწერა: კიდე: კარისა: ჩვენისა: მდივან: მწიგნობრის: კელით: გურგენისათა: დამამტკიცებელი: ამისნი: ღთნ: დამამტკიცოს: მრავალმცა: არიან: წელნი: და: ჟამნი: ცხოვრებისა: მეფის: კოსტანტინესანი: სიმრავლესა: შინა: დღეთასა: ჟამთა: უკუნითა: უკუნისამდე: ამინ: ქკსა: უია

ბეკედი შეფის კოსტანტინესი (სპარსული და ქართული) დედოფლის ფერაჯაჰანისა.

ქ: ჩვენ: კახეთის: ჯანიშინმა: ბატონიშვილმა: თეიმურაზ: რაგვართაც: ან: ძველითგან: უწინდელის: კელმწიფეთაგან: და: ან: სულკურთხეულის: ჩვენის: ძმის: მეფის: დავითისაგან: და: ან: კიდეც: კელ: ახლა: ჩვენმა: ძმამ: მეფემ: კოსტანტინემ: დამტკიცა: წესითა: ამით: ჩვენც: ასე დაგვიმტკიცებია:

ბეკედი წარწერით: თეიმურაზ



# საქართველოს მფვის ირაკლის ქე ლევან.

ალ. ჯამბ.-ორბელიანისა.

ლევან მეფის ირაკლის ქე მესამე ცოლს დედოფალ დარეჯანთან ნაყოლი დარეჯან დედოფლის შვილებში ყუტლაზე უფროსი იყო. ეს ლევან ასეთი რამ ყოფილა, თუ რომ იმისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყო, საქართველო დღეს ამაღლებული იქნებოდა ბაგრატიონების გვირგვინს ქვეშა! მეფე ირაკლიმ დიდი ანტონ ქათალიკოზი და ეს თავისი შვილი ლევან, ორნი გონიერები რუსეთში გაგზავნა, ეკატერინა კელმწიფას კარზედ, შეიტყონ და გამოიკვლიონ იქაური დაწყობილობა, როგორც ადმინისტრაცია, ისე მხედრობის რიგი რომ იქაურს კუალობაზედ საქართველოშიაც ისე დააწყონ. მართლა ისეც იყო.

როდისაც რომ საქართველოში მოვიდნენ, მაშინვე სამი ესე სახელოვანი კაცი: მეფე ირაკლი, ანტონი ქათალიკოზი და ბატონიშვილი ლევან შეუდგნენ საქართველოს დაწყობილობასა წესიერად. მოიგონეს მორიგე წესიერი ჯარი და გაამაგრეს საქართველოს საზღვრები ამით, რლისაგანაცა საქართველომ კელმეორეთ შენობა დაიწყო. მოიგონეს ჩამოსასხმელი ზარბაზნებისა \*) და სადაც კი წაიღებდენ ხოლმე, უეჭველად კიდევ იმარჯუტბდენ, რლებიცა ამისა შდგომ მეფე ირაკლი ქუტყნის გამართუას მოჰყუა, ანტონი ქათალიკოზი ეკლესიების გამშვენიერებასა და ლევან ბატონიშვილმა მტერს დაუწყო დევნა, რლიცა ყოუტლს ადგილს სწყლავდა და მარადის იმარჯუტბდა იმათზედ.

ეს სამი საკვირუტლი კაცი: მეფე ირაკლი, ანტონი ქათალიკოზი და ბატონიშვილი ლევან სამნიმ ხშირათ იყვნენ ერთად და საქართველოს საქმეს აწყობდნენ. მაგრამ ეს მეფის ირაკლის საი-

---

\*) რუსეთში კახადიდი იყო ზაატა ენდრფნიკაშვილი იმის ხელოვნებით. მაშინდელი ორი მოხუცებული კაცი იყო დარჩენილი კიდევ: ნინია მსეკქალაშვილი უოფიდიყო მაშინდელი არტუფერიის ბარბანშიკი და ივანე ბანიშვილი თოფიზი ზარბაზნის მსროფელი მეჭატიდი. ორივე ესენი მეზობლათ იდგნენ ერთი მეორესთან ახლო და ჩვენზედაც მოახლოფოთ იდგნენ, რლებთანაც ხანდისხან მივიდოდი ხოლმე. მე შუაში ჩამისომდგენ, თვთონ აქეთ იქით დამისხდებოდნენ და მაშინვე ძუტლს ამბებს მოჰყუტბოდნენ.





დუმლოს მტრებს არ იამებოდათ, რა ქნან როგორა ქნან, რომ მოშალონ იმათი თათბირობა? აი მოიგონეს: ლევან ბატონიშვილი მოწამლეს, საწამლავით საიდუმლოთ მოკლეს და ამის შდგომ ანტონ ქათალიკოზიც სამი თუ ოთხის წლისა შდგომ აღარ იყო, მგონია, ისიც საწამლავით გაათავეს\*)

ეს ლევან ყუბლას დიდი საყუარელი იყო, როგორც მთელი საქართუბლოს ხალხისა, ისე სულერთიან თავდაზნაურობისა და უკანასკნელად მთელის მეფის სახლელულობისა, ნამეტნავად ბატონიშვილს გიორგის (შდგომ მეფეს) უფრო ძალიან ჰყუარებია, ასე რომ მეტი სიყუარული აღარ იქნება, როგორც იმას უყ(ვ)არდა თავის ძმა ლევან \*\*). ამ ლევანმა ორი ათასი მეტი ამაღლა შეიკრიბა, სულერთიან თავისავით ყმაწვილკაცობა, გამოჩენილი ვაჟკაცები, სადაც ყოუბლს ომში პირუბლი მეომრები ისინი იყუნს და გამმარჯულებელიც ისინი \*\*\*).

ის ამაღლა ასე რიგათ ჰყოლია გაწყობილი თითქმის რეგულსავით, როგორც საუცხოვოს ცხენებითა, ისე იარაღებითა და სრულიად ის ამაღლა ვერცხლის ყაწიმებში პრიალებდა თურმე. მთელი საქართუბლოს ხალხი შეჰყურებდა ლევანს საქართუბლოს იმედათა და ყუბლანი ერთობითა მოელოდნენ იმისაგან ბევრსა კარგსა. კდ ვიტყვი, ნამეტნავად ბატონიშვილი გიორგი უფრო ყუბლაზედ საიმედოდ ხედავდა ლევანს და დიდი სასოებაც ჰქონდა იმაზედ დადებული.

ერთხელ ლევან ბატონიშვილის გამოგზავნილი მახარობელი მოუვიდა მეფეს ირაკლის ქ. ტფილისში ყარაიას ლეკოსმალოს დიდს ჯარზედ გავიმარჯვე, ძალიან დავაპარცხე ისინი და მეც

\*) ლევან ბატონიშვილს 1782-სა წელსა დაუმარცხდა, ესე იგი შინამ რუსეთთან შეფე ირაკლი ტრაკტატს შეჰკრავდა, წელიწად სახევრის წინათ და ანტონ ქათალიკოზისაც ტრახტატის ორისა წლისა შედგომად დაუმარცხდა. მე ესენი აქ სსოფიოში იმისთვის დაწერე, რომ ეს წელიწადები ხსოვისათვის იყოს.

\*\*) ეს ძმები შამით ერთნი იყვნენ და დედით ცალკე. უფროსი გიორგი აბაშიძის ქალთან იყო და უნგრისი ლევან--დადიანის ქალთან

\*\*) შინა ზემი დიმიტრი ანუ დემეტრე მამიჩუშის მამაც იმას ხლებია და იმისთანავე მოუკლამთ საგურამოს ომში ლეკოსმალებთან.



ეხლა ჩემის ამალით გაიხლები, ჩემო კელმწიფეო. ამაზედ ქალაქი გაეგება ლევანს და დიდის დრესასწულით შემოიყუანეს, სადაც მეფის სასახლის მოაჯირზედ ბატონიშვილი გიორგი თავის გონიერის ცოლის ქეთევანით და სულერთიან მთელი დიდკაცობა ცოლებითა იქ ელოდნენ ლევანს მეფის ირაკლითურთ და დედოფლის დარეჯანით. ამ დროს დაიძახეს: ბატონიშვილი ლევან მოვა თავის ამალითა გამარჯვებული მტერზედ აგერ მეიდანზედაო. ყველამ მოუთმენელის სიხარულით ყურება დაუწყეს მოაჯირიდან, საიდგანაც დაინახეს რომ თავის საუცხოვოს ამალის შუაში, წითელს ბედაურს ცხენზედ, წითელის ტანისამოსით, რწლსაცა აქეთიქით დიდი კაცის შვილები სულ ყმაწვილი კაცი ბედაურის ცხენებითა, წითელისა ტანისამოსებით, ვერცხლის კრიალისა ყაწიმებით თან მოსდევდნენ ლევანს გამარჯვებულები და ამაყად მოდიოდნენ ერთად შეჯგუფილი. ბატონიშვილის გიორგის გულმა ვერ გაუძლო, მაშინათვე ქვემოთ კიბეზე ჩამოვიდა და იქვე კარებიდან ორივე ხელები განუბყრო ლევანს და მალლის ხმით დაუძახა: ჩაბრუნე, ჩაბრუნე!

— ძმაო ლევან, ძმაო ლევან! მამილოცავს გამარჯვება იმ ჩუწნს უსვინილისოს მტრებზედ. შენმა ვაზდამ ჩემო სიცოცხლეო ლევან, ადრევეც ხომ ბევრჯველ მამილოცავს გამარჯვება და ეხლა უფრო კიდევ გულმხურუალებდ გილოცავ გამარჯვებას, ამიტომ რომ ეს ყუპლაზედ დიდი მტერი იყო—და თვალებიდან ცრემლები გადმოყარა.

იქიდგან ლევან ცხენიდგან გადმოიქრა, გამოექანა და ეს საყუარელი ძმები სიყუარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ. იქიდგან ხელი დაუჭირა თავის ძმას ლევანს გიორგიმ, ზევით მალლა მოაჯირზედ ამოიყუანა და სიხარულის ხმითა დაიძახა: უმბა მთავარი მიდგენ!

— ჩემო კელმწიფენო, მეფე დედოფალი! აი ჩუწნი ოჯახის ბედნიერება ეს არის ჩუწნი შეურყეველი მკიდრი საფუძუტლი ჩუწნი სახლეულობისა. ყუპლამ ერთიანათ ამის დღეგძელობისათვს ვილოცოთ ღთისადმი.

დიდი ენა მქვერიც იყო გიორგი ბატონიშვილი და ყოვლის კარგის სიტყუტბით აამსო მეფე დედოფალი.

მასუკან მეფე ირაკლიმ:

— შენმა ვაზდამ, ჩემო გიორგი, შენის გვირგვინისთვის თავს დასდებს ლევან.

მერეთ დედოფალმა დარეჯანმა:



— არამც თუ მაგის გვირგვინისთვის მხოლოდ თავი უნდა დოს, ლუკმა ლუკმათ უნდა დაიკუწოს. რაც მე ბატონიშვილს გიორგიზედ კინახული მაქვს, ის იმთენი დიდი კინახული, რლსაც არცერთს ჩემს შვილებზედ არა მაქვს, ის ჩემი კინახულის სიყუარული უნდა ლევან ჰქონდეს ყოველთვის თუალწინ და ისეთიც ერთგული იყოს ამ ჩემის სიცოცხლის გიორგისა.

ამასთან დედოფალი და ბატონიშვილი გიორგი გულმობიელად ცრემლით ერთმანეთს გადაეხვივნენ. რლიცა ამ ამბავსა ქეთევან ბატონიშვილი ბატონიშვილის გიორგის მეუღლე შორიდგან უყურებდა და მეტის სიხარულით ტიროდა ამისთანა სიყუარულისათვის მეფის სახლელულობისა მიერ. ვინც და რლმაც იმათ ამისთანა სიყუარული დაურღვია ყოვლის ეშმაკურის ცფიერობით, ღთმა იმისთანა სამართალი მისცეს იმის სახლსა.

ზევით რომ ვთქვი: ლევან ბატონიშვილი მოწამლეს მეთქი, დროა, ეხლა ის უნდა გავარკვიოთ, რომ ეს ანბავი სიბნელეში არ დარჩეს, მაგრამ ამისთანა ანბავი აქედგან რომ დავიწყოთ ყუპლას უფრო რიგზედ დავინახავთ და ავკარგობა ნათლად გამოჩნდება.

ბატონიშვილი გიორგის ცოლის ქეთევანის ნათესავი თვთ ენდრონიკანთ ქალი ელენე მშვენიერი თუალტანადი, ასე ეგონა: როგორც მე ვარ კარგი დედაკაცი, ისე ის ჩემი გუარეული და ის ჩემი ნათესავი ელენეც ისეთი კარგი დედაკაცი იქნებაო. რლმაცა ამისგამო მოინდომა, რომ თავის მაზლს ბატონიშვილს ლევანს მისცეს, რლისაცა იმის სიტყუა მეფის ირაკლის სახლისათვის ბეჭედი იყო და კიდევ მოახდინა მაშინათვე, მაგრამ შესცდა იმისთანა გონიერი დედაკაცი: თავისთანა კარგი დედაკაცი ის არ გამოვიდა, მეფის ირაკლის სახლის საკადრისი რძალი.

ბატონიშვილს ლევანს ის ძლიერ ჰყუარებია, იმ ქალს ისიც, მაგრამ ქარიანი ქალი ყოფილა და სუბუქი ჰკვისა. მეფის სასახლეში ბევრს რაღაც სულელობას თურმე წამორღმავდა, მაგრამ მაინც კიდევ დიდათ ჰყუარებია ლევანს. მეფე ირაკლი და დედოფალი დარეჯანი ისე არა სწუხდნენ იმის არეულის ხასიათისათვის, როგორც ბატონიშვილი გიორგი და ნამეტნავად უფრო კიდევ იმის ცოლი ქეთევან. თურმე ეტყოდა ბატონიშვილი გიორგი თავის ცოლსა:

— გამიგონე რა გითხრა, ქეთევან, შენ ასეთი საქმე უყავ ჩემს



ძმას ლევანს, რომ საუკუნოთ გაუბედურე იმ შენი ნათესავის შერთვთ.

— მართალს ბძანებ, მაგისტვსა ჯოჯოხეთიც ცოტარის ჩემთვის.

— ცრემლით მიუგებდა ისიც.

ესენი აი საიდგან ვიცი:

ერთხელ დედიდა ჩემი ქეთევან ბატონიშვილი \*) და დედაჩემი ამეებს ასე ლაპარაკობდნენ, სადაც მეც იქ ვიყავი იმ დროს და მერეთ ძალიან გმობა დაუწყეს ლევან ბატონიშვილის ცოლსა. მე იმათ ლაპარაკსა მხოლოდ ყურს უგდებდი: ვნახოთ, რისთვის გმობენ, ეგება მიზეზი თქუან მეთქი. მაგრამ მიზეზი არა თქუეს, რა ექნა იმას იმისთანა რომ ისე ჰგმობდნენ და ბოლო დროს ამ სიტყვთ გაჩუმდნენ: საძაგელი ისა. მე მაშინ ყმაწვილი კაცი ვიყავ და ამ გუარების ძალიან ცნობის სიყუარული მქონდა, რლმაცა გაუბედვ და ორთავ ვკითხე:

— ბატონიშვილებო, შეინჭიმე, რა უქნია იმ თქუენს რძალსა, რომ აგრე ჰგმობთ იმას?

დედიდა ქეთევან ბატონიშვილმა წარბშეკრულმა შემამხედა და ცოტაოდნის მრისხანებით მითხრა:

— როგორც გამოკითხუაში ხარ ძუძლი ამბებისა, კიდევ ისა გვკითხე, მაგას თავი დაანებე, ეგ შენი საქმე არ არის, — და მრისხანეს სახით გაჩუმდა. მასუკან დედა ჩემი მუთაქა მიართო, ახალ სადილ მირთმეულნი იყვნენ, ერთი ერთს მუთაქაზე წამოწუა, მეორე მეორეზე და მოსუწნებას მიეცნენ. მეც ავდექ და ფეხაკრეფილი დაფიქრებით მეორე ოთახში გამოველ. ეს ამბავი ჩუწნთან იყო, ჩუწნს სახლში, სადაც იმ დროს ჩუწნ სამის მეტი სხუა არავი ყოფილა იქა.

ეს კიდევ არაფერი, აი ეს უფრო გასაგონი არის, რლსაცა ვიტყვი ეხლა. ამ ლაპარაკის შდგომ ორი თუ სამი წელიწადი გამოვიდა რომ ერთს დილაზედ ჩემი ნათესავის თანის თომა ენდრონიკაშვილის კაცი მამივიდა, შემოეთვალა: ავლაბარს ამ და ამ სახლში მოდი, ბატონიძალი გადიცუალა, უნდა დავმარხოთო. მე იმ დროს ჩაცმულიც ვიყავი და ვემზადებოდი სადმე წასვლას. ეს რომ მითხრა, მაშინვე გავეშურე, რომ სახლში აღარ შევეტრიალდი და იმ ბიქსა ვკითხე გზაზედ:

\*) ივანე მუხრანბატონის მეუღლე.

— ბიკო, რლი ბატორძალი გარდაიცუალა?

— რა მოგახსენო, ასე ამბობდნენ: ბატორძალი გარდაიცვალა და ის კი აღარ ვიცი, ვინ ბატორძალია.

მივიდოდი გზაზე და გაკვირუებაში ვიყავ: ის იმისთანა რლი ბატორძალია, რომ მე იმას არ ვიცნობდი? ამ ფიქრში კიდევ მივედი, ვნახე, რომ ბევრი თავადაზნაურობა და ამქარი შეყრილიყვნენ და სამღვდელოს მოელოდნენ, იმისი მცხედარი გამოვსვენებინათ. თომა ენდრონიკაშვილი კარზე დამხვდა, ვკითხე:

— რლი ბატორძალი გარდაიცუალა, რომ მე იმას არ ვიცნობდი? ხელი დამიჭირა, ცალკე გამიყუნა და მითხრა:

— ლევან ბატოიშვილის ცოლი.

— როგორ თუ ლევან ბატოიშვილის ცოლი, რლი ლევანისა?

— მეფის ირაკლის შვილი რომ იყო, იმ კარგის ლევანის ცოლი.

რალამაც გაყინულმა ჟროანტელმა დამიარა ტანში თომას ამ სიტყუაზე და ძლივს სული მოვიბრუნე. ვკითხე:

— რას მეუბნები, თომავ, აქამდისინ ლევან ბატოიშვილის ცოლი ცოცხალი იყო, აქ ქალაქშიაც ცხოვრებდა და მე იმისი არა ვიცოდი რა?

— აი, ჩემო აღექსანდრე, ასე. არამც თუ შენ, არც ერთი თავის მული ბატოიშვილები და არც ნათესავები არას დროს არ იკითხავდნენ, არამც თუ სანახავათ მოსულიყვნენ. ერთი მე მოვიდოდი ხოლმე, ისიც ხანდისხანა, ასე ქუსუნისაგან იყო დავიწყებული.

— ერთხელ ლაპარაკში როგორ არ მითხარი მაგ ბატორძლის ამბავი?

— როგორ არ გეტყოდი, მაგრამ ლაპარაკი არ ჩამოვარდნილა იმაზედ.


მაშინ მამაგონდა ბატოიშვილი ქეთევანის სიტყუა და ვკითხე:

— რაო, რისთვის იყო ისე მოძაგებული ყულასაგან ისა?

— დრო არ არის, აგერ სამღვდელონი მოვიდნენ, უნდა ცხედარი გამოასვენონ, წავიდეთ.

ამასთანვე გაეშურა. იმის ხარჯი იყო იმ ბატორძლის დამარხუა, ახლო ნათესავი იყო იმისი.

ცხედარი რომ გამოასუნეს და ზევიდგან დავხედე, ეტყობოდა იმის გამხდარს და სანთლის ფერს სუფთას სახესა, რომ იმასაც



წილი სდებოდა მშუცნიერებაში. ერთი ფჩხილი გაყოფილ წარბები პტყელს შუბლზედ მოხროდა შვილდურადა და თხელი წმინდა ცხვირი ბალახთ ბაგებით ცოტათ გძელს პირის სახეს მეტათ აშვენებდა, რლსაცა ის თავისი მოდიდო თუალები სამუდამოდ დახუკვილი, იმის ქუსმოთ ბაიაზედ იმ თუალების შავი გძელი წამწებები ასე გაჰფენოდა გაყოფითა, რომ თვთუქულად დაითვლე-ბოდა. ის ქალი, როგორცა თქუს, მთავარანგელოზის ეკლესია-ში დაემარხათ. იმ მცხედარსა მე ყუსლას უკან მივდედი მწუხარე-ბით და ჩემს თავსა ვგმობდი: როგორ არ შვეიტყე იმისი სიცოცხ-ლე, რომ იმისგან ბევრს ძუსლს ამბებს შვეიტყობდი, ნამეტნავად თავის ქმრის ლევანის, რლიცა ისტორიისათვს გამოსადეგი იქნებო-და მეთქი? ამ ფიქრში და მწუხარებაში რომ ვიყავი, როგორღაც მოწყუსტილსავით შვეიქენ, იქვე ავღაბრის ერთს ღუქნის დაზგაზე დავჯექ, წყალი მოვატანინე, დავლი(ე) და პატარა ხანს უკან შინათ-კენ წამოველ. ეს დრო მგონია ზაფხული იყო.

შინ რომ მოველ, ბატონიშვილს დედაჩემთან უკმაყოფილოდ შვეველ და დაფიქრებული ცოტა მოშორებით დივანზე დავჯექი. დედამ მკითხა:

- ალექსანდრე, რატომ აგრე ხარ, რათა ხარ დაფიქრებული?
- შეინქიმე, იმ თქუსნი სახელოვანის ძმის ლევანის ცო-ლი გარდაიცულა, იმის გამოსასვენებლად გახლდით—მე უკმაყო-ფილოდ მოვახსენე.
- მომკვდარა? ცივათ მითხრა.
- დიახ, შეინქიმე.

ამ სიტყუაზე აღარა მითხრა რა, გაჩუმდა. მე მაინც გავბედე და მოვახსენე:

— მიკვირს, შეინქიმე, ასე მოძაგებული რათა გყუნდათ თქვე-ნი მული, იმისთანა კაცის ცოლი? დორზე იყო მიყუდებული. მე რომ ეს მოვახსენე, მაშინვე გასწორდა, სათაკილოდ ხელი გამამიშვირა, პირი იქით მიიღო და გაჯავრების გულით მიბძანა:

- კარგი, კარგი, ნულარას მეტყვი იმისას.
- დორზე მიესვენა და ჩაფიქრდა. ბოლოს თავი აიღო და მედი-ღურის სიტყვთ მითხრა:

— ალექსანდრე, ყმაწვილი კაცი ხარ, შენს ნათესავებში წადი სადმე ან არა და გაიარ გამოიარე, მინდა ვილოცო, დღეს დილით



ლოცუა ვერ შევასრულე, ეხლა მინდა შევისრულო.

ამისთანა ზდილობიანისა სიტყუბითა დამითხოვა, თორემ იმან ადრე იცოდა ლოცუა, დილაზედ რომ ადრე გაიღვიძებდა, ისევ ქვეშაგებში. მე მაშინვე ავდექ და გამოველ. ვანბობდი: ახალთა ჩემო, რა ანბავი უნდა იყოს, რა მიზეზი იმ ქალზედ, რომ ასე მოძაგებული ყოფილა არამც თუ მულებისაგან, თითქმის ყუპლასაგან? მასუკან ვთქვი: უნდა შეუდგე, ამთენი ძუპლი კაკები არიან, იმათგან შევიტყობ მეთქი. დედაჩემს ხომ ველარ გაუბედე მეკითხა და ახლა სხუბთან დავიწყე გამოკითხუა, მაგრამ ახლა უფრო ფთხილათ, კიდევ გაუფთხილებლობით ისეთივე საქმე არ მამსლოდა. გაიგონეთ.

ეს ხომ გაიგონეთ, ბატონიშვილი ლევანი როგორი გამოჩენილი ყმაწვილი კაცი იყო, მამაზედ რაღა ვილაპარაკოთ, ისევ ამ საგანზედ დავიწოთ უბნობა როგორ და ვითარ? ბატონიშვილმა ლევანმა ალაზნის პირზედ ლეკის ჯარი დაამარცხა, იქიდან გამობრუნებული მოვიდა და სოფელს ველისციხეში გადახდა, იქ კიდევ ლეკის ჯარსა მოელოდა, ალაზანში უნდა გამოსულიყვნენ და ქართუპლის სოფლებსთვის\* დაეკრათ. ამ დროს სადილზედ ლევან ბატონიშვილი მძიმეთ ავით გახდა და საღამო ჟამს კი გარდაიცუა. ყუპლას გაუკვირდათ იმისი ასე უეცრათ სიკვდილი და რასაკვირელია იმაზედ დიდი გლოვა იქნებოდა, მაგრამ ამით რისთვის შეგაწუხოთ, ისევ საქმეს მოვყუპთ.

მაშინდელმა მეფის ირაკლის ოჯახობის მტრებმა მითამ ამით ისარგებლეს, რომ იმ უსვინიდისოებმა ხმები დაყარეს: ლევან ბატონიშვილზედ მისწრობია ერთი კაცი და იმ კაცსა თავის ცოლზედ ხანჯლით გაუგმირაძსო ლევან. ეს ამბავი მაშინვე მეფეს ირაკლის მოხსენდა, რლმაცა აღარც თვთონ და აღარც სხუბი აგლოვა, უბძანა: აქ ტფილისში ჩამოიტანეთ იმისი გვამიო, რლთაცა მოასვენეს და დარჩის ეკლესიაში \*) დაასვენეს ავლაბარს. ამის მეორე დილაზედ სასულიერო წოდება, ბატონიშვილები, დიდრონი კაცები და თვთ მეფე ირაკლი ავლაბარში წასასვლელად რომ ემზადებოდნენ, იმათში ბძანა მრისხანებით მეფემ:

— თუ მართლა ჩემი შვილი ლევან ხანჯლით გაგმირულია

\*) ის დარჩის ეკლესია დარჯჯან დედოფლის აშენებულაია, ახლა ფერის-ცუალებისა არის.



დედაკაცზე ქმრისაგან, ქეშმარიტებას ვფიცავ, სახალხოთ ვათრევი-  
ნებ.

ამასთანავე გამოვიდნენ და ცხენებით გაეშურნენ ავლაბრის-  
კენ, მაგრამ დიდათ დაღონებულები. იმ ლევანის სიკვდილს ხომ  
ალარ სწუხდნენ, იმას სწუხდნენ, უთუოდ ათრევიანებს და საგანგა-  
შო შეიქნება ყოველს ქვეყანაშიო.

როდისაც მივიდნენ და ეკლესიაში შევიდნენ, უბძანა: ეგ  
ცხედარი კარზედ გაიტანეთო. გაიტანეს და იქ სრულიად ცხედრის  
გატიტვლება უბძანა. როდისაც რომ გაატიტვლეს, კიდევ უბძანა:  
კარგათ გაჩხრიკეთ, რ'ლს ადგილს არის გაგმირულიო და თვთონ  
თავზედ დაადგა. კარგა ხანი ჩხრიკეს, მაგრამ არსად არა იყო რა,  
მხოლოდ ამის მეტი, რომ მთელი სხეული ძალიან გაღურჯებული  
ჰქონდა და სიშავე დასცემდა. მაშინ მეფე ირაკლიმ დაუჩოქა და  
როგორც რიგია მოთქმით ტირილს მოჰყუა. ეს ამბავი მაშინვე  
დედოფალს აცნობეს, სადაც მთელს სასახლეში და ქალაქში შეიქ-  
ნა გლოვა. მეფის ირაკლის ოჯახობის მტრები ამით რომ ვერა  
გახდნენ რა, ახლა ეს ხმები დაყარეს: მითამ ლევან ბატონიშვილს  
ბევრი ორაგული ექამოს და უეცრათ ჯდომით მომკვდარიყოს.  
მაგრამ რას იფიქრებდნენ, ამ დროს თ'ა ლუარსაბ ონანაშვილმა  
ვაჩნაძემ თ'ა შერმაზან აფხაზი დააბეზლა მეფეს ირაკლისთან, რომ  
შერმაზან აფხაზმა ბატონიშვილი ლევან მოწამლაო. მოწამლაო და  
სულერთიან იმისი ოჯახი აიკლო მეფე ირაკლიმ, ყმა და მამულიც  
სულერთიან ჩამოართო და იმასაც სიკვდილს უპირებდნენ, მაგრამ  
შერმაზანი შეევედრა მეფეს: უბრალოების სისხლს ნუ დაიდებ,  
სწორეთ გამოიკითხე და ისე მამკალიო. ამაზედ მეფე ირაკლი  
დამშვიდდა, მაშინვე საიდუმლოთ გამოკითხუაში შევიდა, ნახა,  
რომ ის დაბეზლება სულ სიცრუე იყო, თავისი ყმა და მამულიც  
ისევ დაუბრუნეს, ის აკლებულიც სულ ერთიან და შ'დგომ პატი-  
ვითაც მოებყრა მეფე.

ახლა მოკლეთ მოვჭრი და მეტს ველარას ვიტყვი, რომ მეფის  
ირაკლის საიდუმლოს მტრების მოწყალებით ლევან ბატონიშვი-  
ლის ცოლი ზდილობიანის მოქცევით სასახლედგან გაიყუანეს და  
ცალკე მისცეს ცხოვრება. ეს ანბავი ეხლა არ შეიძლება ითქუას,





# მცხოვრებთა რიცხვი საქართვე- ლოში მე-XIII საუკუნის ნახევარს.

თათრების ეპოქის ქართველი მემბტიანე, როგორც ცნობილია, გადმოგვცემს ფრიად საინტერესო ცნობას იმ აღწერილობის შესახებ, რომელიც მოუხდენიათ მე-XIII საუკუნის ნახევარს მონგოლებს ჩვენში:

„ამათ ეამთა შინა იქმნა ესეცა, რამეთუ ყაენმან ბითო, რომელი უდიდეს იყო ყოველთა ყაენთა, ინება განსწორება და აღთვალვა ყოვლისა ქუეყანისა და ჰპოვა ვინმე კაცი ნათესავით ოირიდი, სახელით არღუნ, სიმართლის მოქმედი და ფრიად მართლის მეტყუელი, ღრმად გამგონი და განმზრახი რჩეული. ესე წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა მას მისსა რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაყეთს ვიდრე ბნელეთამდე და აღმოსავლეთს ვიდრე ჩრდილოეთამდე და ხატაეთამდე, რათა აღთვალოს და განაჩინოს მკედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა თანა, დიდთა და მცირეთა, ღირსებისაებრ მათისა ულუფაჲ, რომელ არს ძლუენი მიმავალთა გზად და ქირაჲ ცხენისა და საბალნისა და ვითარ განაჩინა და განაგო არღუნმან საბრძანებელსა ბითო ყაენისასა, მიერ წარავლინა ყარაყურუმს ყუბულ ყაენს წინაშე, რათა მანცა ესრეთ განაჩინოს კელსა ქუეშე არღუნისასა და მირაიწია ყუბულ ყაენს წინაშე, ინება მანცა ესრეთ ქმნად და წარავლინა იგივე არღუნ განგებად საბრძანებელისა მათისა და განუწყესა იგივე წესი და მივიდა ტახტსა ჩალატასსა და უშანს წინაშე თურანს და განაწესა და განავო მანდაური ყოველი და გამოვლო ჯიონი და მოვიდა ხვარასანს, ერაცს და ყოველსა რომგვარსა და განავო ესრეთვე და მოიწია ყაენს ულოს წინაშე და მანცა პატივით შეიწყნარა და წარავლინა საქართველოსა მეფეს დავითს წინაშე და საბერძნეთად და ყოველსა საბრძანებელსა მისსა ზედა განაჩინა აღწერად და განგებად და ვითარცა მოიწია საქართველოსა, დიდსა ქირსა მიეცნეს ყოველნი მკუიდრნი ამის სამეფოსანი და იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყვთამდე, ყანით ვენაკადმდე და წალკოტით ბოსტნამდე და ცხრასა გლეხ სასრულისა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი



კაცი შეაგდიან და გამოკდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა მკედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი და განაწესეს ძლუენი სოფლისაგან ათასისა მკედრისა მთავარსა კრავი ერთი და ღრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრისა მთავარსა ცხოვარი ერთი და ღრაჰკანი ორი და მიზდი ცხენისა თეთრი სამი ღლისა ერთისა და ესრეთ განუწესა და წარვიდა საბერძნეთს და ბაღდადს და ყოველგნით (\*).

ვახუშტის თავისს ისტორიაში მემატიანის ცნობა შესამჩნევად შეუცვლია. ის ამბობს: (1248 წ.) „მოვიდა აღმწერელი ქვეყანისა არღუნ, რომელი წარმოველინა ბითუყაენსა. ამან აღწერა ყოველი საბრძანებელი ყაენისა და მოიწია ულუყაენის წინაშე. მან წარმოგზავნა ქართლს აღწერად ყოვლისავე. მოსრულმან არღუნ აღწერა მიწით, ვენახით, ხვასტაგით, მტილით, წალკოტით და წისკვილით. ხოლო ათს კვამლს გლეხზედ მეთე მელაშქრედ წამსვლელი და გამოხდა დავითის სამეფოსაგან 400,000 წამსვლელი ლაშქარსა შინა“ (\*\*).

ბროსეს ეს ცნობა როგორც მემატიანისა, ისე ვახუშტისა სწორედ ვერ გაუგია. მისი აზრით, მემატიანის ცნობის მიხედვით საქართველოში მაშინ დაახლოვებით ერთი მილიონი გლეხი ყოფილა, რომელთაგან 90,000 კაცი ჯარში ირიცხებოდა, ხოლო ვახუშტის მიხედვით—900,000 კვამლი, რომელსაც იმოდინვე ჯარი გამოყავდა. პირველს შემთხვევაში ქალებისა ბავშვებისა, და ყმების რიცხვის მიმატებით მივიღებთ მცხოვრებთა რიცხვს 5,900,000 სულს და მეორე შემთხვევაში თუ კომლზე 5 სულს ვიანგარიშებთ, მივიღებთ 4,500,000 სულს ორისავე სქესისას \*\*\*). ცხადია, აქ ბროსე რალაც გაუგებარ შეცდომაში ჩავარდნილა, რადგანაც არც ვახუშტი ამბობს იმას, რასაც ბროსე მას აწერს და არც მემატიანის ცნობა, ცხრა გლეხზე ერთი მოლაშქრე გამოდიოდაო, გულისხმობს, რომ ეს მოლაშქრე ამ ცხრა გლეხს გარდა მეთე ყოფილიყოს, როგორც ამას ფიქრობს ბროსე. მაინც ბროსემ სრულიად სამართლიანად გამოთქვა ექვი, რომ შეუძლებელია ქართლკახეთში,

\*) ქართლ. ცხოვ., I, 386—387.

\*\*) ვახუშტი, ბაქრძის რედაქცია, 241.

\*\*\*) Hist. de la Gé. I, 551.



რომლ-საგან მისის აზრით შესდგებოდა მე-XIII საუკ. ნახევარში  
 დავით მეფის სამეფო, ამ დროს ამდენი მცხოვრები ყოფილიყო,  
 განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამავე ტერიტო-  
 რიაზე 1836 წელს 225,395 სული ცხოვრობდაო.

ივ. ჯავახიშვილი თავის „საქართველოს ეკონომიურ ისტო-  
 რიაში“ ვრცლად ეხება ამ საკითხს და ამბობს: „რაკი ათ სრულ  
 მიწის პატრონ გლეხის \*) ოჯახიდან ერთი მხედარი უნდა გასუ-  
 ლიყო ლაშქრად და ჯარში წასავალი საქართველოდან 90,000  
 მხედარი აღმოჩენილა, მაშასადამე მაშინ ჩვენს საქართველოში მარ-  
 ტო სრულ ფუძის ან მიწის მქონებელი 900,000 ოჯახი ყოფილა.  
 თითო ოჯახში რომ ხუთი სული ვიანგარიშოთ, — ამ დროს უეჭვე-  
 ლია მეტიც იქნებოდა, — საქართველოში 4,500,000 ისეთი გლე-  
 ხი ყოფილა, რომელნიც სრულ ფუძეზე იჯდნენ. იმათ  
 გარდა ხომ ისეთი გლეხებიც იქნებოდნენ, რომელნიც სრული მი-  
 წის პატრონები არ იყვნენ; არც ბოგანოებია აქ სათვალავში მიღე-  
 ბული, არც უმიწაწყლო გლეხი. ამათ გარდა საქართველოში აზ-  
 ნაურებიც, მოხელეები, ვაჭრები და სამღვდლოება იყო.  
 სათვალავში ისინი არ არიან შეტანილნი მთელი ეს მრავალ  
 გვარი და სხვა ნაირი ჯგუფი სულ ცოტა 500,000-ად უნდა ჩავ-  
 თვალოთ. ამ გვარად საქართველოში მე-XIII საუკ. პირველ ნახე-  
 ვარში 5,000,000 კაცზე მეტი მცხოვრები უნდა ყოფილიყო \*\*).  
 ამასთანავე ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ აქ უნდა იგულისხმებო-  
 დეს მთელი საქართველო და არა მარტო ამერი სამეფო.

ახლა ჩვენ გავარჩიოთ, თუ რამდენად სამართლიანი უნდა  
 იყოს ზემოდ მოხსენებული აზრები. როგორც დავინახეთ, მემატიაზე  
 ამბობს: „ცხრასა გლეხსა სრულის მიწის მქონებელსა ერთი ლაშქარს  
 წარმავალი კაცი შეაგდიან“ და გამოვიდა სულ 90,000 მხედარიო.  
 მაშასადამე, სულ ამ დროს ყოფილა (9×90,000) 810,000 გლე-

\*) ივ. ჯავახიშვილი აქ ისეთსავე შეცდომაშია, როგორც ბრასე,  
 რადგან მემატიაზე გარკვევით ამბობს—ცხრა გლეხზე ერთი მფლაშქრე  
 მიუყვდათო.

\*\*) ივ. ჯავახიშვილი, საქართ. ეკონ. ისტორია, 75.



ხი სრული მიწისა მქონებელი. ეს რიცხვი, როგორც ამას ქვემოთ  
დავინახავთ, მთელს საქართველოს შეეხება. სიტყვები  
„სრული მიწისა მქონებელი“ ივ. ჯავახიშვილს ესმის რო-  
გორც სრული ფუძის მქონებელი. ცნობილია, რომ მიწა ამ გვა-  
რი მნიშვნელობით ანუ ფუძე ხშირად შეიცავდა ერთს კომლზე  
მეტს. თამარ მეფის 1201 წლის შიომღვიმის სიგლიდან სჩანს, რომ  
მიწა ხანდახან ორს კომლს შეიცავდა. მე-XVI საუკუნეში კიდევ  
ქვემო იმერეთში ცნობილია, როგორც გელათის წმიდის გიორგის  
დავთრიდან სჩანს, ფუძე რვა კომლიანი\*). მაშასადამე ამ ანგარიშის  
მიხედვით თითო მიწაზე ორთა შუა რიცხვით  $1\frac{1}{2}$  კომლი მაინც  
უნდა ჩაითვალოს. ამის და მიხედვით მე-XIII საუკ. ნახევარში  
საქართველოში ყოფილა დაახლოვებით 1,215,000 კომლი. თითო  
კომლზე, თუ მე-XIX საუკუნის სტატისტიკურ ცნობებს მხედველო-  
ბაში მივიღებთ, უნდა ჩაითვალოს 8 სული ორისავე სქესისა. მაშა-  
სადამე, თათრების მიერ მოხდენილ აღწერილობის დროს საქარ-  
ველოში გლეხთა რიცხვი ყოფილა დაახლოვებით  $9\frac{2}{3}$ —10 მილი-  
ონი ორისავე სქესისა. თუ ამას სამღვდელოებას მიუმატებთ (სამ-  
ღვდელოება მემატიანის თქმით დავთარში არ შეუტანიათ) და აგრე-  
თვე აზნაურობას, მაშინ მივიღებთ დაახლოვებით  $10\frac{1}{2}$  მილიონს  
სულს მცხოვრებს. მაშინდელი საქართველო შეიცავდა ტერიტო-  
რიას—ჰერეთ კახეთს, კამბეჩიანს, ტფილისიდან აღმართ ვიდრე მთამ-  
დე შემახისა, ანისს, სომხითს, ქართლს, ჯავახეთს, სამცხეს და აღ-  
მართ ვიდრე კარნუ ქალაქამდე და იმიერ საქართველოს. \*\*) ძნე-  
ლი დასაჯერებელია, რომ ამ ტერიტორიაზე ამდენი სული ცხოვრე-  
ბულიყოს, ხოლო თუ მემატიანის სიტყვებს ისე გავიგებთ, როგორც  
ეს ბროსესს და ჯავახიშვილს ესმოდათ, მაშინ სხვანაირი ანგარიში  
მართებული არ იქნება, რადგან ისტორიულ ცნობებს არ ეთანხმე-  
ბა. მაგრამ რომ ამ გვარი ანგარიში სამართლიანი არ არის, ეს სჩანს  
შემდეგი გარემოებიდან. იმავე ქართველ მემატიანის მიხედვით ჩვენ  
საშუალება გვძლევა გამოვიანგარიშოთ, თუ 90,000 მხედარი  
საქართველოს სხვა და სხვა პროვინციებზე როგორ უნდა ყოფი-  
ლიყო განაწილებული. რუსუდანის სიკვდილის შემდეგ (1245 წ.)

\*\*) ქრანაიკ., II, 339.

\*\*) ქართლ. ცხოვ., I, 371.

მემატიანის სიტყვით „გაკდეს ქართველნი უნუგეშისცემოდ და უმეფოდ და არლარავინ იპოებოდა ნათესავი მეფეთა. რამეთუ ერთი დავით საბერძნეთს წარველინა ყიასდინს თანა, რათა წარსწყმიდოს და მეორე დავით, რომელსა ნარინ დავითობით უკმობდეს, ყარაყურუმს წარეგზავნა და არა უწყოდეს, თუ რა შეემთხვია. ამისთუის თუითოეული თავადი თავისა თუისისათუის გააგებდა და ზრუნვიდა, რამეთუ თუითოეული ერის მთავარი მისსა ხვედრსა ნოინსა შეუდგა, რამეთუ პირველვე გაყოფილ იყუნეს ნოინთა მიერ და გააჩინეს თათართა ბევრის მთავარი, რომელსა დუმნის მთავრად უწოდდეს და გამოირჩიეს პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, მკნელ მეომარი და არას საქონლისა პატრონი. ამას მიათუალეს ლაშქარი ჰერეთ კახეთისა, კამბეჩიანისა, ტფილისითგან აღმართ ვიდრე მთადმდე შამახისა და შანშეს კელთ უდევს მამული მისი და ავაგისი. ვარამ გაგელსა კელთ უდევს ყოველი სომხითი. გრიგოლ სურამელსა ქართლი და თორელსა გამრეკელსა, მსგავსადვე ეგარსლანისასა საქაბუკოთ შინა, კელთ უდვა ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქადმდე. ხოლო ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავსა ყოველი იმერი სამეფო“ \*). ამ გვარად, რუსუდანის სიკვდილის შემდეგ უმეფობის დროს მონგოლებს საქართველო შვიდ თუმნად გაუყვიათ შვიდ ქართველ დიდებულთ შორის. აღწერის დროს კი, რომელიც კირაკოსისა და სტეფანოს ორბელიანის ცნობით 1254 წელს მოხდა, საქართველოში ცხრა თუმანი მხედარი გამოსულა. კერძოდ ქართლის მხედრობა პირველ შეწყერის დროს შეადგენდა ერთს თუმანს. მაშასადამე, საერთო აღწერის დროს 1254 წელს ქართლს მოუწევდა დაახლოვებით 12,700 მხედარი. მემატიანის სიტყვით ცხრა სრული მიწის მქონებელ გლეხზე ერთი მოლაშქრე მოდიოდა, მაშასადამე ქართლი 1254 წელს შეიცავდა დაახლოვებით 115,000 გლეხის მიწას ანუ ფუძეს. ცნობილია, თუ დაახლოვებით რა სიდიდისა იყო მიწა ანუ ფუძე ქართლში მე-XIII საუკ. ნახევარში. შიომღვიმის 1201 წლის თამარ მეფის ბოძებულ სიგელში მიწა ანუ ფუძე შეიცავს 12 დღის მიწას და კიდევ ამის გარდა ვენახს \*). ხოლო 115,000 გლეხის ფუძე შეი-

\*) ქართლ. ცხოვრ. I, 371.

\*\*) თუ რა სიდიდისა იყო ერთი ფუძის ვენახი, ეს შეიძლება შემდგომად გამოვიანგარიშოთ. რკინის სიგელიდან სჩანს, რომ თითო მიწის ვენახს ედვა 12 ოცდაათხ ლიტრისი კაკა ღვინო (ქრონიკ., II,



ცავს დაახლოვები 1,380,000 დღიურსმარტო სახნავ მიწას. ხოლო  
 ლად ისტორიულ ქართლის ტერიტორია შეიცავს მთა-ტყვიან-ბარია-  
 ნად არა უმეტეს 2,500,000 დღიურისა და ამაში  $\frac{2}{3}$  მთასა, ტყე  
 სა და საძოვარს უჭირავს. აქედან ცხადად სჩანს, რომ ზემოდ მოყ-  
 ვინილი ანგარიში შემცდარი უნდა იყოს და შეუძლებელია მემ-  
 ტიანის სიტყვები ისე გავიგოთ, როგორც აქამდის ესმოდათ. მარ-  
 თლაც კირაკოსი, რომელიც თანამედროვე და თვით მხილველი იყო  
 თათრების ბატონობის დამყარებისა ჩვენში, გადმოგვცემს აღწერი-  
 ლობის ამბავს შემდეგ ნაირად: „703 წელს სომხური ანგარიშით  
 (1254—1255 წ.) მანგუყაენმა და დიდმა მხედართ მთავარმა ბათუმ  
 გაგზავნეს დიდებული არღუნნი, რომელიც ჯერ კიდევ გიუქყაენის  
 დროს დანიშნული იყო ყველა დაპყრობილ ქვეყნებში უმთავრეს  
 ხარჯის ამკრეფლად, და მეორე კიდევ ბათუს ურდოდგან ტურა-  
 ლა სხვა მრავალი მოხელეებით, რათა აღეწერათ ყველა მათი მორ-  
 ჩილი ხალხები. მიღებულ ბრძანების შესასრულებლად ისინი გაემგ-  
 ზავრნენ ყველა ქვეყნებში—სომხეთში, საქართველოს, აღბანიას და

136). კარისელაძის მიერ გაშენებულს და შემდეგ შიომღვიმისათვის  
 შეწირულ ვენახს ედვა აგრეთვე თორმეტი კოკა ღვინო, ხოლო ამ ვენახ-  
 ხის გაკეთებისთვის მიწის პატრონს 16 დრაჰმანი მიეცა (იქვე, 150).  
 საზოგადოდ, გარედან მოსული ვენახსაც კი რომ გააკეთებდა, ნახევარა  
 ვენახი მიწის პატრონს მიჰქონდა და ნახევარი გამკეთებულს. (იქვე, 151)  
 მაშასადამე მთლად ის ვენახი, რომელსაც 12 კოკა ედვა, 32 დრაჰმანი  
 ღირდა. ერთი გუთანა ან დღიური სახნავი მიწა ღირდა 4 დრაჰმანი (იქ-  
 ვე, 152), ხოლო 12 დღის მიწა ერთი ფუძის ეღირებოდა 48 დრაჰ-  
 მანი. ამ გვარად მე-XIII საუკუნის ნახევარში ქართლში ფუძე წარმოად-  
 გენდა 48 დრაჰმანის ღირებულობის სახნავს და 32 დრაჰმანის ფასს ვენახს.  
 დრაჰმანი უდრის გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების მიხედვით 6  
 თეთრს. რკონის საგლის მიმტემა კახა თორელი ექვსი კოკის მკვირად  
 გლქეხებს ადებს 8 თეთრს წლიურად. თორმეტი კოკა ეღირებოდა 16  
 თეთრი. მაშასადამე 32 დრაჰმანის ანუ 192 თეთრის ვენახს ედვა წლიუ-  
 რად 16 თეთრის ღვინო.

უოველ შემთხვევისათვის ცხადია, რომ ფუძის შემადგენელი ნაწი-  
 ლი—ვენახი დაახლოვებით  $\frac{2}{3}$  ღირებულობის უოფილა, რამდენისაც იყო  
 სახნავი მიწა.



მეზობელ მხარეებს და ჩაწერეს დავთრებში ყველა ათი წლიდან დაწყებული გარდა ქალებისა.“

მე-XIII საუკუნის სხვა სომეხი ისტორიკოსი მალაქია ამ აღწერილობის შესახებ გადმოგვცემს: „მანგუყაენის ბრძანებით მოვიდა ჩვენს ქვეყანას ერთი თათართა უფროსი სახელით არღუნ და მოახდინა აღწერა მთელს აღმოსავლეთში, დავთარში აღრიცხულთა მიხედვით მომავლისათვის ხარკით გარდახდევინებისათვის. მთელი აღმოსავლეთი ძლიერ აოხრდა, რადგან სულ პატარა სოფელში 30—50 კაცს სთვლიდნენ დაწყებული 15 წლიდან 60 წლის ხნამდის და ყველას დავთარში ჩაგდებულს ართმევდნენ 60 თეთრს.“

სტეფანოს ორბელიანის სიტყვით ეს აღწერა მოხდა 1254 წელს.

გარდან დიდი 1265 წელს სწერს: „702 წელს (1253 წ.) განგუყაენმა ბრძანება გასცა ყველა მისს მორჩილებაში მყოფ ქვეყნების აღწერის შესახებ და ეს საქმე მიანდო განთქმულ პირს არღუნს. ყაენის ბრძანებით ხარკი გააწერეს ყველა მამაკაცებს, ქალების გამონაკლისით, გარდა ღრმა მოხუცთა და ჩვილ ბავშვებისა.“

ყველა ამ ცნობებს თუ შევადარებთ, ცხადად სჩანს, რომ 1254 (ან 1253) წელს მომხდარ საერთო აღწერილობის დროს დავთარში ჩაუგდიათ ყველა მამაკაცი ათი წლიდან \*) დაწყებული 60 წლამდის. ქალები სათვალავში ჩაგდებული არ ყოფილან. ქართველ მემატრიანის სიტყვით ცხრა გლეხზე ერთი ლაშქრად მიმავალი შეუწერიათ და გამოსულა სულ საქართველოს სამეფოდან 90 ათასი მხედარი. მაშასადამე სულ დავთარში ჩავარდნილა 1254 წ. ჩვენში 810,000 სული. თანამედროვე სტატისტიკურ ცნობების მოშველებით შესაძლებელია ამის და მიხედვით საერთო მცხოვრებთა რიცხვის გამოანგარიშება. როგორც ვნახეთ ქალები არ აღუწერიათ. საქართველოში სულ 100 კაცზე დაახლოვებით 87 ქალი მოდის. გამოდის სულ დაახლოვებით 1,515,000 ორისავე სქესისა 10—60 წლამდის. თუ მივიღებ მხედველობაში რომ ჩვენში 10 წელზე უფრო პატარა და 60 წელზე უფრო მოხუცი შეადგენს

\*) მალაქია 15 წლიდან ამბობს, მაგრამ კირაკოსის ცნობა უფრო მართალი უნდა იყოს, რადგან კირაკოსი კარგად განათლებული კაცი და თან მხილველი და მომსწრე იყო ამ ამბის და გარდა ამის მისი ცნობა უდგება ვარდნს დიდის ცნობას.





დაახლოვებით საერთო მცხოვრებთა 37<sup>0</sup>/<sub>0</sub>, მაშინ მივიღებთ მცხოვრებთა საერთო რიცხვს 2,400,000 სულს ორისავე სქესისას. სახე-შია მისაღებია კიდევ ის გარემოება, რომ სათვალავში ჩაგდებული ყოფილა მხოლოდ გლეხნი. აზნაურობა, როგორც სჩანს, გამოკლებული ყოფილა. დავთარში ჩაგდებული არ ყოფილა კიდევ სამღვდელთა, როგორც ეს სჩანს მემატიანის ცნობიდან: „ხოლო (არ-ლუნ) ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიოთა განწესებათა არა შეაგდო საზღავი და არცა ყალანი, ეგრეთვე შიხთა და დავრეშთა და ყოვლისა სჯულისა კაცნი საღთოდ განჩენილნი ათავისუფლნა“ \*). თუ აზნაურობას და სამღვდელთა დაახლოვებით მცხოვრებთა 4<sup>0</sup>/<sub>0</sub> ჩავთვლით, მაშინ მივიღებთ საქართველოს სამეფოში 1254 წელს საერთო მცხოვრებთა რიცხვს 2,500,000 სულს ორისავე სქესისას.

ებლა საჭიროა გარკვეულ იქნას შემდეგი გარემოება. საქართველოს ამ დროს ფლობდა ორი დავით, ლაშას ძე და რუსუდანის ძე.

რუსუდანის ძე დავით ნარინი ამ დროს აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიას განაგებდა, ლაშას ძე კი ტფილისს იჯდა. მიუხედავად ამისა, როგორც სჩანს პოლიტიკური მთლიანობა საქართველოსი არ დარღვეულა. როგორც ცნობილია, რუსუდანის სიკვდილის შემდეგ (1245 წ.) საქართველოს ტახტზე მონგოლების ყაენის მიერ დამტკიცებულ იქნა ორივე დავით. ეს მოხდა 1248 წელს \*\*) და შემდეგ 1249 წელს ნარინ დავით შეიპყრეს მონგოლთ, მაგრამ ის

\*) ქართლ. ცხოვ. I, 387.

\*\*) გიორგისის ცნობით, მონგოლებმა სულთან გაიეთედდინის დამარცხების შემდეგ გაგზავნეს მასთან მისსლამარკებლად ვარამ გაგელი, რომელმაც უკან დაბრუნებისას თან წამოიყვანა ტუვეკობაში მყოფი ლაშას ძე დავით. მონგოლებმა ეს დავით შეუეღ გამოაცხადეს და კათალიკოსმა მას მცხეთაში გვირგვინი უკურთხა. რუსუდანმა შიპარათა ბათუყაეს, რომელმაც ნება დართო რუსუდანის ძეს დავითს ტფილისში შეეეღ ყოფილიყო და ამ ბრძანებას ადგილობრივი თათრების სარდლები არ წინააღმდეგებენ, რადგან ამ დროს ჩინგიზყაენის შვილი ოგოდა ყაენი მომკვდარიყო. აბულფედას სიტყვით, გაიეთედდინის დამარცხება მოხდა 640 ჰიჯრისას (1242—1243 წ.), სომეხ ისტორიკოსთა ცნობით კარნუ-ქადაქი თათართ აიღეს 1242 წ., გაიეთედდინი საბოლოოდ დამარცხდა 1243 წ., ხოლო ოგოდა ყაენი გარდაიცვალა 639 ჰიჯ-



ნახქვენიდან გაიქცა ორი კაცის თან ხლებით და მივიდა ქუთათის  
 ამ ცნობას ქართველ მემატრიანისას რამოდენადმე ეთანხმება კირაკო-  
 სის მოწმობა, რომ ნარინ დავითი სვანეთს დამკვიდრდაო. სამეფოს  
 ორ ნაწილად გაყოფის შესახებ სომეხ თანამედროვე ისტორიკოსებს  
 არაფელი აქვთ ნათქვამი. ორ მეფობა საქართველოში გაგრძელე-  
 ბულა დავით მეფის (ლაშას ძის) გაქცევამდის არლუნისაგან, რაც  
 მოხდა კირაკოსის ცნობით 1261 წელს. მემატრიანე ამბობს: „ხო-  
 ლო მეფე დავით კვალად მოვიდა სამცხეს და შავშეთს და ვითარ  
 იხილა სამცხე მოოკრებული, მოუწოდა თანამზრახველთა მისთა,  
 ჰკითხა თუ რა ყონ, რამეთუ ომი თათართა აღარ ეგებოდა. მაშინ  
 სარგის ჯაყელ ციხისჯვარელმან მოაკენა, ვითარმედ სამცხე მცირე  
 არს და არა კეთილი სადგომი მეფეთა. აწ განგაზრახებ, რათა წარ-  
 ხვიდე ლიხთიმერად, რუსუდანის ძისა დავითის თანა, რამეთუ სწო-  
 რად ორთავე არს სამეფო იგი და ესეცა და მე დავსდებ თავსა ჩემ-  
 სა და საქონელსა ყოველსა და ლაშქარსა ჩემსა შენტუის და ვითარ  
 გენებოს იკმარე და უკეთუ კეთილად გისტუმროს დავით, კეთილ  
 და უკეთუ არა, აჰა სიმდიდრე ჩემი მზა არ თქუენთუის და ნუცა  
 შენ სწყალობ საქურქლესა შენსა და ვებრახნეთ თავადთა იმერთა  
 და განვსცეთ საქურქლე და ჩუენ კერძო დავიყენოთ. სთნდათ ყო-  
 ველთა განზრახვა ესე და წარავლინეს მოციქული წინაშე რუსუდა-  
 ნის ძისა, რათა შეიწყნაროს თათართაგან მირიდებული, ხოლო მან  
 აღუთქვა შეწყნარება და წარვიდეს და მივიდეს ქუთათის, სადა იგი  
 წინა მიეგება რუსუდანის ძე მეფე დავით და კეთილად ისტუმრა  
 და დაყვეს წელიწადი ერთი. გარნა კეთილად თუ ისტუმრებდა  
 რუსუდანის ძე, ეგრეცა კეთილადვე ლაშას ძესა დავითს, არამედ  
 ვითარცა უცხო ვიდოდა მათთანა. მაშინ ეზრახნეს კახაბერის ძესა  
 რაჭის ერისთავსა კახაბერსა და ქვაბულისძეთა, ფარაჯანიანთა სარ-  
 გის, რათა ლაშას ძე დავით ჰყონ მეფედ, რომელნი ერჩდესცა და  
 იქმნა განდგომილებამ ლიხთ იმერეთს და რომელნიმე წარმოუდ-

რისას (1241—1242 წ.). ამის დამიხედვით დაკით ლაშას ძის შეუედ  
 გამოცხადება მოდის 1243 წელს. დავით ლაშას ძე წავიდა ე-  
 აკურუმს, სადაც გაგზავნილიყო მისი ბიძაშვილიც რუსუდანის ძე შეუე-  
 ბის დასამტკიცებლად. ქართველ მემატრიანის სიტყვით, ორივე ბიძაშვილთ  
 დაუკუს მონგოლეთს 5 წელი. მაშასადამე მათი შეუედ დამტკიცება და  
 საქართველოში დაბრუნება მოდის 1248 წელს.



გეს ლაშას ძესა დავითს და რომელნიმე რუსუდანის ძესა დავითს, ეგრეთვე დადიანი ბედანი, ჯუანშერის ძე დაადგრნენ ერთგულობასა ზედა რუსუდანის ძისასა. რამეთუ იყო ესე ბედანი კაცი წარმატებული ყოვლითა ზნითა, უხვი უმეტეს ყოველთა კაცთა, სრული გონიერებითა. ამან დააწყუნა ოდიში, რომელ მპარაგნი და ძუირის მოქმედნი არა იპოებოდეს და სხუანი განიყუნეს ორად, გარნა არას ავნებდეს ურთიერთას ორნივე დავით და დავით, დადაცათუ ლაშქართა არა ენებათ, ამისთუის რომელ არა გასკემდეს ორნივე მეფენი საქურქლესა ლაშქართა ზედა. ესრეთ იყო აშლილობაჲ და შფოთი მრავალნი იმერიის. მაშინ არღარა იყო ღონე, დაამტკიცეს, რათა განყონ სამეფო და საქურქლე ორად და აჩინეს თავადნი სამეფოსანი და განუყუნეს ორად, თბილისი ორად და ქუთათისი ორად და თავადნი და ერისთავნი ურთიერთ შეასწორეს ნიკოფსით დარუბანდამდე და განყუნეს სამეფო და საქურქლენი ორად, გარნა ხუამლისა ქუაბსა რომელი იღვა მცორე რამ გამოიღეს და გაყუნეს და უფროსი ქუაბსავე დაუტევეს. ხოლო ჯაჭვი იგი სახელდებული საღმასური და თუალი იგი პატივეცემული გრდემლი და მარგალიტი იგი დიდი, რომლისა სწორი არავის სადა უხილავს, ესე სამივე რუსუდანის ძესა დავითს მიხუდა და აქა იქმნა განყოფაჲ სამეფოსა და მიერითგან შეიქნა ორ სამეფოდ. მაშინ უმეფო იყო ამიერი საქართველო, დაშალა ლაშქარი და მსახურებაჲ თათართა“ \*)

რაკი დავით ლაშას ძეს ნარინ დავითთან ერთი წელი დაუყვია, ხოლო არღუნის შემოსევა კირაკოსით 1261 წელს მოხდა, ამიტომ საქართველოს სამეფოს საბოლოოდ ორ ნაწილად გაყოფა 1262 წელს მომხდარა. მაშასადამე, 1254 წელს აღწერის დროს ჯერ კიდევ საქართველო მთლიან სახელმწიფოს წარმოადგენდა და ამიტომაც ზემოდ მოყვანილი რიცხვი მცხოვრებთა 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონი მთელს საქართველოს სამეფოს შეეხება.

როგორც ზემოდ დავინახეთ, მონგოლებმა 1245—1247 წლებში საქართველო შვიდ თუმნად გაყვეს. თითო თუმანს წარმოადგენდა: ჰერეთ-კახეთი, კამბეჩიანი, ტფილისიდან შამახამდის, მხარგრძელთა საფლობელო, სომხითი, ქართლი, ჯავახეთი, სამცხე და აღმართ კარნუ ქალაქამდის და ორი თუმანი იმერი სამეფო. რაკი

\*) ქართლ. ცხ., 1, 392—393



მთლად საქართველოში 1254 წელს  $2\frac{1}{2}$  მილიონი სტუფიანი ყოფილა, ამიტომ შეიძლება გამოვიანგარიშოთ, დაახლოვებით რასაკვირველია, მცხოვრებთა რიცხვი სამეფოს სხვა და სხვა პროვინციებში. ქართლში, მაშასადამე, ყოფილა დაახლოვებით მეშვიდედი მთელი სამეფოს მცხოვრებლებისა, ანუ დაახლოვებით 360 ათასი სული, ამოდენივე ჰერეთ კახეთში შამახაშაძის, სომხითში, მხარგრძელების სამფლობელოში და სხვა. რადგანაც მხარგრძელთა სამფლობელო, სომხითი, ნაწილი ჰერეთისა არა ქართველებით იყო დასახლებული, ამიტომ ამათი გამოკლებით მივიღებთ ქართველ (ამ სიტყვის ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობით) ტომების რიცხვს 1254 წელს დაახლოვებით  $1\frac{2}{3}$  მილიონს სულს ორისავე სქესისას. თუ ამათ გამოვაკლებთ მეგრელ-აფხაზ-სვანებს, რომელთაც, როგორც საგულისხმებელია, 1245—1247 წლის შეწერით ერთი თუმანი ლაშქარი უნდა წამოეყენებინათ, მივიღებთ ქართულად მოლაპარაკე ტომის რიცხვს მე-XIII საუკუნის ნახევარში  $1\frac{1}{3}$  მილიონს ან ოდნავ ნაკლებ. ამისდა მიხედვით ქართულად მოლაპარაკე ტომი საქართველოს სამეფოში ამ დროს შეადგენდა დაახლოვებით მთელს სამეფოს მცხოვრებთა  $53\frac{0}{100}$ -ს\*).

\* ) სტუფიანს ორბელაიანი გადმოგვცემს, რომ აბაღაყანის (1265—1282) სამეფობა დაუთრის მიხედვით შეადგენდა 150 თუმანს, იგულისხმება მხედრობას. აბაღაყანი იყო ძე ულუგანისა († 8 თებერ. 1265 წ.), რომელმაც დაარსა დინასტია სპარსეთის ილხანებისა. მე-XIII საუკუნეში სპარსეთის ილხანებს ემორჩილებოდათ სპარსეთი, ხორასანი, ავღანისტანი, შირვანი, ადრბეიჯანი, მუსოლტაშია, სამხეთი, საქართველო, შირაქ აზიაში იკონიას სელჩუკიდები. ზემოდ მოყვანილ ანკარაშის მიხედვით საქართველოს შეწერილი ჰქონდა 9 თუმანი მხედრობა და მცხოვრები ითვლებოდა  $2\frac{1}{2}$  მილიონი. ამის და მიხედვით ილხანების სამეფობაში აბაღაყანის დროს ყოფილა სულ დაახლოვებით 41—42 მილიონი მცხოვრები ორი-სავე სქესისა.

მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცხობა ანუ  
ზოგიერთი მაშინდელი პიკნი.

ალ. ჯამბ.-ორბელიანისა.

როდისაც მეფე ვახტანგმა საქართულო დაუტევა და კახეთის მეფე თეიმურაზ საქართულოში გამეფდა ნადირშას შემწეობით, სარდალი თა ქაიხოსრო ჯ. ორბელიანი სომხითში მაშინ ძლიერი შეიქნა მეფის თეიმურაზის შემწეობით. მთელი სომხითელებით კახეთის მეფეს გაუერთდნენ და დიდათ ერთგულათაც ემსახურნენ როგორც მამულს, ისე მეფეს. თუმცა ქაიხოსრო სარდალმა პაპიჩემის მამა ეშკალაბაში თა ელიზბარ ჯ. ორბელიანი უმიზეზოთ და ტყუილების მოგონებით ერევანში ნადირშას დაახრჩობინა და იმის ოჯახი ყიზილბაშებს აკლებინა, რადგან ელიზბარ ეშკალაბაში-სა ეშინოდა, იმის ოჯახობის ძლიერებისა, ნამეტნავათ გაძლიერებული გივი ამილახუარისა (ელიზბარის სიძე იყო გივი), ამისთვის გულიდგან მოიშორა ქაიხოსრო სარდალმა ელიზბარ ეშკალაბაში \*), თავისუფლად ემოქმედა, რლმაცა ნადირშასთან შემთხუცვა იპოვა და საწადელსა მიეხწია, ძალიან ერთგულათაც ემსახურა მეფე თეიმურაზს. ამის გამო სამდურავის ღირსი აღარ არის ქაიხოსრო სარდალი, ვინადგან საქართულოს გაერთებისათვის დიდად ეწეოდა მეფეს თეიმურაზს. \*\*)

ქაიხოსრო სარდალი დამშვიდებული კაცი ყოფილა, ღრმა

\*) ემაწვილი კაცი ჯერ ბატონიშვილობაშივე ირაკლი დანიშნული იყო ელიზბარ ეშკალაბის ძმისწულს ვახტანგის ქალზე, რდინცა ეფულის დონის ძიებით ცდილა ქაიხოსრო სარდალი, რომ გაეშუტბანებინა. ის შუენიერი ქალი მოღმსნათ შემდგარი მწუხარებით მოკვდა ალავერდში.

\*\*\*) მსოფლად ეს მოხდა ცუდი, რომ ელიზბარ ეშკალაბაშზე განრისხებულმა ნადირშამ მარტო იმის მოშთობა არ იკმარა, უაიუულები აჭყარა, ყიზილბაშში გადასახლა და ეს საქართუტფოსათვის დიდი დასაკლისი იყო. მაგრამ ელიზბარ ეშკალაბაშის მოშთობაზე გვიმა ამილახუარმა დიდი სსშინელება დამართა საქართუტფოს, რლსაცა იმ ამბავსა თავის დროზედ წვრილად ავწერ.



გონებისა და დიდი ცბიერი. მეფე ვახტანგ ბეგს უთვლიდა, თიღგან ქაიხოსრო სარდალს მეფის თეიმურაზის უკუდგომას, მაგრამ გუნებაშია არ გაავლო, ამის ნაცვლად მეფის თეიმურაზისა ქალი ანა ითხოვა და თავის მახლობელს დიმიტრის შერთო (შდგ დიმიტრი ეშკალაბაში, ესეც ჯ. ორბელიანი. ელიზბარცი მახლობელი იყო ქაიხოსროსი) \*). იმ სარდლის ქაიხოსროს შდგომ იმის შვილი რევაზ ჩადგა იმის ადგილს სარდლობაში, რლიცა კარგი სარდალიც იყო, მამულისა და მეფეებისა დიდი ერთგული მოსამსახურე, მაგრამ მეტი გულფიცხელი, რლისაცა იმის პატრეთს იმის შვილს დავითზე წავიკითხამთ ამის ქუსმოთ. ის დავითიც მამას გვანებია ყოვლისფრითა. სარდალი თა დავით ჯ. ორბელიანი იყო ძლიერ ენერგიის კაცი, მამულისა და მეფის ირაკლისა დიდი ერთგული (მეფის ირაკლის ქალი თამარ ჰყუნდა ცოლათ), მაგრამ იმის ნაკლულევანებას ასე იტყოდნენ: ხასიათით აპრიალეებული იყო, როგორც თავის მამა რევაზ და ყოვლის ფრითაც იმას გუანდაო. იმ თავის ხასიათით დავით ხანდისხანა აწუხებდა მეფეს ირაკლის, მაგრამ მეფე ირაკლი არას დასდევდა, იცოდა, დიდი საჭირო კაცი იყო დავით იმისთვისა. ერთხელ ასე გააჯავრა, რომ მოთმინებისაგან გამოსულმა სალთხუცესობა ჩამოართო და იმის ქვისლს თა ივანე მუხრანის ბატონს მიცა (იმასაც მეფის ირაკლის ქალი ჰყუნდა ქეთევან). თუმცა სარდალი დავით გაჯავრა, გაანჩხლდა, მაგრამ მაინც გულშეწირული ერთგული იყო მეფის ირაკლისა (რაზედაც ჩამოართუა სალთხუცესობა, ადრევე მითქუამს სხუა წერილში). არც მაგთენი რამ დასაკარგი იყო ის იმისათვის სალთხუცესობა, თორემ თუ დიდი რამ ჩამოერთო, იქვე წუსთი დაეცემოდა. ეს მეფე ირაკლიმ კარგათ იცოდა, მხოლოდ საგრძნობლათ უყო და უფრო სწორეთ უნდა ვსთქუათ, რომ მომატებულად ველარ დასჯი-

\*) საკვირვლად მიჩანს, რომ ქართლის დიდრონი კაცები ვითარცა კოსტანტინე მუხრანის ბატონი, ქაიხოსრო სარდალი და კიდევ სხუანი კახეთის მეფეს თეიმურაზს მიუდგენენ და ქართლი კახეთს გააერთეს და ამაზე დასდგენენ, მაგრა იმათ ეტყობათ, რომ შორს დამნახავი უფიილან, მაშინ რადესაც რომ შანშე ერისთავმა და გივმა ამილახვარმა კი საქართველო დაღუქეს: რათ უერთდებო ქართლი კახეთსა? ორთა ამათ უჩანთ მოკლე გონება და მოკლე სულობაც.



და, ამისთვის რომ იმისი სახლის შვილები ან სპარსეთში გაქცეულნი და ან ოსმალეთში, საიდგანაც ჯარებს მოიყვანდნენ და ვალალებს დამართებდნენ საქართველოს. მეფის ირაკლის დაფარული მტრები კიდევ შეუძვრნენ. ისინიც მოემზადნენ გასაქცევად და როდისაც ეს განძრახუა დავით სარდლის სახლის შვილებმა დავითს შეატყობინეს და საიდუმლოთ მოახსენეს, ერთიანათ წამოვარდა დორაზენად წამოწოლილი და გინებით გამოყარა კარში თავის შვილი ივანე, თავის ძმისწულები გიორგი, ასლანი და იოსებ.

აღამამადხანის მოსვლის დროსა საქართველოში სარდალს დავითს დამბლა მოუვიდა (აღამამადხანის მოსვლის აღწერაშიაცა ვთქვი), რელიცა დასწრელებული იმერეთში გადიყუანეს, სადაც დიდათ სწუხდა: ჩემს მეფეს არ ვახლდი და ჩემს ამხანაგებთან მეც არ მოვეკვდი მამულისთვისაო.

აღამამადხანი ვერას უზამდა ირაკლის, თუ დავით სარდალი კარგათ ყოფილიყო, ამისთვის რომ ყუბლაზედ გავლენა ჰქონდა ბატონიშვილებიდან მცირემდისინ, რელიცა დიდი მცდელიც იყო საქმისა, სახეც იმისთანა მედიდური ჰქონდა იმას, წუბრიც გძელი და ტანი ბრგე. მეფის ირაკლის ბძანებასა და რჩევასა კარგათ უკლებლივ აღასრულებდა ხოლმე და არც არავის შეეძლო მეფის ირაკლის წინააღმდეგობა გაეზედა იმასთან ეთქუათ რამე. თუმცა აქეთ იქიდგან უძვრებოდნენ, მაგრამ ვერაფრით ვერ მოეხერხებინათ. ეს კი იყო, რომ ოღონდ ის კი ყოფილიყო საქმეში და იმის ღირსეულს ადგილას სხუა ნურავინ, თორემ იმის თუალის ეკალი იქნებოდა. ის იყო განუსაზღვრელი პატივის მოყუარული და მედიდური ანუ გულმბაღალი კაცი. იმას ოღონდ თავისი გაეყვანა, თორემ ტყუილსაც არ დაერიდებოდა. მეფის ირაკლისთვის ის იყო კარგი, ნამეტნავად მაშინდელსა დროში, რომ იმისთანა კაცი ისე მორჩილებდა მეფეს. აი ამით ჩანს, რომ სარდალი დავით დიდი გონიერი ყოფილა და ეტყობა მშობელი მამულიც დიდათ ჰყუარებია, რლისაცა იმისი სიანჩხლე წამი იყო მაშინვე გულზედ გადაჰკრამდა და შდგ შეიქნებოდა როგორც ბატონი. თუ ის მართლა მრთელი ყოფილიყო აღამამადხანის დროსა საქართველოში, მეფის ირაკლის წინააღმდეგები ველარას შეიძლებდნენ, თვთ ის შევიდოდა საქმეში და ყოველს საქმეს ის აღუსრულებდა. დაჰპირდა კიდევ და საქმეშიაც შევიდა, მაგრამ როგორც ზევით ითქუა, დამბლა მოუვიდა და აღარც გონება ჰქონდა რიგზედ. სხუბთა შს ესეც ზედ



დართული უბედურებაა მეფის ოჯახობისა და საქართველოს იმ დროებში დავით სარდალი აღარ იყო.

სარდალი დავით ყუპლასთან კარგათ იყო, ზოგთან ძალით, ზოგთან მეგობრობით, ზოგთან ნათესაობით, ზოგთა ეშინოდათ იმისი აღელვების ხასიათისა და ამისგანყო ყუპლას მორიდება ჰქონდათ იმისი.

დავით სარდალი საქართველოში რომ მოიყუანეს იმერეთიდან, მაგთენი ხანი აღარ იცოცხლა, რლმაცა მეფე ირაკლიმ ამ გუარათ იტირა: ჩემო მარჯუენა მხარევე, ჩემო სიძე დავით სარდალო, შენ აღარ მყუანდი და საქართველოც იმიტომ დავეიქციეს მტრებმა, რლიცა შენ იყავ ჩემი ბედნიერი სარდალიო და სხუანი. ქ. ტფილისს სიონთა ღთისმშობლის ეკლესიაში არის დასაფლავებული \*).

დავით სარდლის შდგომ სულერთიან ორბელიანები მოღალატენი შეიქნენ მეფის ირაკლისა. დავით სარდლის შდგ რაღაც ხარახურა ხალხი დარჩა ჯ. ორბელიანები \*\*), ერთს რიგიანი ჰქუა არ ჰქონდა, სულ ფუქსავატი რაღაებიც იყვნენ. დავით სარდლის შვილი ივანე სარდალი რაღაც უბრალო ლეში იყო, მეითარის სოლომან თარხნისშვილის მონა (ივანე სარდლის და ჰყუანდა თინათინ), რლსაცა თუ უნდა აყენებდა და თუ უნდა დასომდა, უსოლომანოთ ნაბიჯს არ გადაადგამდა, ასე დამორჩილებული იყო იმისი. ამ ივანე სარდლის ბიძაშვილი გიორგი ცარიელი ლაპარაკი იყო, დასომდით, უცხოთ მშუენიერის სიტყუბით ილაპარაკებდა რაც უნდა ყოფილიყო და ამაზე მეტი კი აღარაფერი. ამის ძმა ზურაბ იყო მყვირალა კაცი, თუ არ ყვირილით არას იტყოდა და ძალიანი ქალაღლის მოთამაშე. ოღონდ ქალაღდი ეთამაშა ამხანაგებთან, თორემ ცა ქუტყუნას დასცემოდა, არ შეიძროდა ადგილიდამ, მინამ არ წააგებდა და ან არ მოიგებდა. ამათ ძმას ასლანს უნდოდა მითამ დავით სარდლის როლი ეთამაშა საქართველოში,

\*) შინამ სარდალი დავით მრთლათ იყო, მუფე ირაკლი არსად არ დამარცხებულა, ეს ნამდვილი ქაქტია, აღამადახანის მოსულაზედაც ეტყობა.

\*\*\*) ვ. ორბელიანთ ყაფლანას შვილებსაც გუშძახიან, რადგან ერთის მამის ყაფლანიდგან მოკდივართ, ჰირულის მუფის თეიმურაზის დროის ყაფლანიდგან.



იმისთანა გულფიცხელი კაციც იყო, მაგრამ არც ტანი ჰქონდა იმისი, არც სახე, არც იმისი გონება და არც იმისი მოხერხება. ის იყო გამხდარი, არც მაღალი ტანისა და გული კი წრფელი ჰქონდა. ამის მომდევნო ძმები იოსებ და სოლომონ თავის უფროსების მორჩილი იყვნენ, რასაც ისინი უბრძანებდნენ, იმას აღასრულებდნენ. ამათ კიდევ ჰყუანდათ ორი ძმა, სამარადლო და იაკობ, რწლებიცა იმათ როლის და საქმეების დროსა ისინი ყმაწვილები იყვნენ. ეს ერთი ძმის უფროსის სახლობა წავიდა, ახლა მეორესი ვთქუათ, ესე იგი მამიჩემისა.

ზევითაცა ვთქვი ქაიხოსროს სარდლისაგან ჩუპნი სახლის დაღუპა, ბოლოს კიდევ მამიჩემის მამა დიმიტრი ლევან ბატონიშვილთან მოკლეს საგურამოს ომში ლეკებმა (ლევან ბატონიშვილს ხლებია პაპაჩემი დიმიტრი, ამის ამაღასა შორის). მამაჩემი ობლათ დარჩენილი და დიდს საქიროებაში გამოვლილი, ასე გაჭირებული იყო, როგორც ჩუპნი იტყვიან: სადაც კომლი მაღალიაო, ის იმისი მაყარიაო, ისე მამა ჩემი იყო. სადაც ნახავდა, რომ მომატებული სიმაღლე იყო და ძალა, მამაჩემი იმათ მრმართავდა, ეგება ამით კაცი გავხდეთ და კიდევ ეწია საწადელსა, რომ მეფის ირაკლის ქალი თეკლა შეირთო.

მოვიდეთ მესამე ძმის შვილს თამაზ ეშკალაბაშთან ანუ იმათ მესამე სახლთან. ეს იყო მეფის ირაკლის დის ანასი და იმის ქმრის დემეტრე ეშკალაბაშის შვილისშვილი. (მამა მამუკა, რწლიცა ყმაწვილი კაცი მომკვდარა და თამაზ პატარა დარჩომილა). თამაზ იყო მეფის ირაკლის დიდი საყუარელი და მეფისაგან წყალობით ამისი იმისი ოჯახი. ის იყო მეტი გალადებული და მეტი ნებიერი მეფის ირაკლისა, რწლიცა არავის არაფერში არას ეპუებოდა, თითქმის არც მეფეს ირაკლისა. ანა ბატონიშვილის გულისთვისა რომ არ ეწყნოსო, ასე ანებიერებდნენ ყუპლანი თამაზს. ამის ერთი სახლის შვილი გონიერი ჭაბუა დიამბეგი რამთენს არიგებდა თამაზს, მაგრამ ვერას აჯერებინებდა. იმას შეხვდა ასეთი ცოლი, რომ ბოლოს სრულებით თავი ჩაუკრა ქმარსა, ქობულანთ ქალმა ქეთევანმა, რწლიცა ხასიათით მაგარი ქალი იყო და მკაცრიც, რწლსაცა ძალიანაც უყვარდა თავის ქმარი თამაზ და თვთონაც მშუპნიერი იყო, სახით თუ ტანადობით.

ახლა მეოთხე ძმის სახლის შვილისა ანუ მეოთხე სახლის კაცის ამბავი, როგორ გაიარა ზაალ ორბელიანის საქმემ? თითქმის

ის ზაალ მეფეს ირაკლისთან ერთად შეზღდილი იყო, სადაც ყოუპლას შემთხუტვაში იმას ახლდა. იშვიათად მოხდებოდა, რომ ზაალ დაჰკლებოდა მეფის შემთხუტულებასა. ის კელ გამამავალი საკვირულოი ვაჟკაცი მეფის ირაკლის დიდი საყუარელი და ბევრი საქმის აღმასრულებელი მეფისა, ის ერთგული კაცი ირაკლისა—ირაკლის მოლალატე შეიქნა დავით ქსნის ერისთავის მოწყალებითა (იმის და ჰყუნდა ზალს ცოლათ), რლთაცა მოინდომეს ქართლში მეფე დასონ და თავიანთის განძრახვით ქართლი გააცალკეონ. ეს ამბავი მოახსენეს ირაკლისა, რლმაცა ზაალ დააჰერინა, საჰყრობილეში ხუნდი დაადო და დავით ერისთავმა კი ფიცით თავი გაიმართლა: არა ვიცი რაო. ბოლო დროს თუმცა აბატია, გამოუშო ზაალ, მაგრამ ველარ ენდო, ახლოს აღარ მიიკარა ირაკლიმ.

ზევით რომ ვთქვთ, დავით სარდლის შდგომ ორბელიანები მოლალატენი შეიქნენ მეფის ირაკლისა მეთქი, არამც თუ მარტო ორბელიანები, სხუბიცი უფრო აღრითგანვე. მაგრამ ჩემის სწორეს ლაპარაკით აუგათ ვიხსენები ბევრისაგან და მაინც კიდევ მე ჩემსას არ დავიშლი, ვინც რა უნდა თქუან. მე არავინ დამიზოგია აქ, არც ჩემი გუარი და არც სხუა, ჩემთვის სულ ერთნი არიან. მამულის ლალატი მარჯუნა კელმა ცოტათაც რომ იგრძნას, უნდა მოიქრას ის კელი და ძაღლებს მიუგდოს, არამცთუ დაზოგოს ვინმე.

კარგა აღრე საქართუპლოს დაღუბა ვინც დაიწყო, მე იმისას არას ვანბობ აქა და ამას კი ვიტყვი, რომ ბოლო დროს მეფე ვახტანგმა დაიწყო საქართუპლოს დაღუბა რუსეთიდგან. ორბელიანის ამბავიც ხომ გავიგონეთ, ახლა დავით სარდლის შდგომი ამბები წავიკითხოთ, ორბელიანებმა რათ უღალატეს მეფეს ირაკლის?

თითქმის ყოუპლი ორბელიანი დავინახეთ ამ წერილში და თუ დარჩა ვინმე ცოტა, ჩუპნ უფრო იმაზედ ვლაპარაკობთ, რლებმაცა მამულს და ირაკლის უღალატეს.

მინამ სხუტბზე დავიწყობ იმათ მოქმედების ამბავს, ურიგო არ იქნება ჯერ გიორგი ბატოიშვილი (შდგომ მეფე) დავინახოთ, როგორი კაცი იყო.

ბატოიშვილს გიორგის პირუტლად თაის რევახ ენდრონიკაშვილის დაჰ ჰყუნდა ცოლათ, ქიზიყის მურავისა. ბოლო დროს ის ასე გაამაყდა ბატოიშვილის გიორგის სიძეობით, რომ მეფის ირაკლის გადაგდება მოინდომა და ბატოიშვილის გამეფება, ძალაც



დიდი ჰქონდა კახეთ ქიზიყისა და ბოლოს ლეკებიც მოიმხრო ქარბელაქნიდგან. ბატონიშვილმა გიორგიმ ეს ამბები არა იცოდა რა, უიმისოთ ასე საიდუმლოდ საქმობდა რევან მოურავი. ეს ამბავი მეფე ირაკლის ვინც შეატყობინა, გაიკვირვებთ! თვით რევანის დამ ბატონიშვილის გიორგის ცოლმა, რ'ლმაცა დიახ საიდუმლოთ მოახსენა თავის ძმის ლალატი და თვითონ იმანვე ურჩია: უთუოთ გამოცვალეთო. ასეთი ერთგული იყო მეფის ირაკლისა ის ქალი (ესენი სულ აღწერილი არის ჩემგნით აღრე). მეფე ირაკლიმაც თ'ას ზაქარია ენდრონიკაშვილს მისცა ქიზიყის მოურაობა და ამით წაართო სრული ძალა რევანს (ზაქარია მოურავსაც მეფის ირაკლის ქალი ჰყუანდა ელენე, ეს იყო მეორე ქმარი ელენესი). რევანმა ეს გულში ჩაიდო, მაინც თავის ფიქრსა არ მოეშო. ბატონიშვილს გიორგის შეუჩნდა ყოვლის ცბიერობით, მეფეს ირაკლიზედ გულს უცვლიდა, მაგრამ ის რევანის და, ბატონიშვილის გიორგის ცოლი, ჭკვიანი, გონიერი, მართებული დედაკაცი დიდათ უშლიდა: მეფის ირაკლის წინააღმდეგობა რ'თის მტრობა იქნება, ის ასეთი მეფე ბძანდება. არამცთუ იმის მახლობლებმა, ყოუსლა ქართუპლმა თავი უნდა გამოიდონ და მეფეს ირაკლის შეეწივნენ, საქართუპლოსთვს იტანჯება საცოდავი, სირცხვილი არის, რევან, გაჩუმდიო. ამისთანა მკაცრის სიტყუბით გააჩუმებდა. ვინც იმათ ლაპარაკში დასწრებოდა, თვით იმან მიანბო, ბატონიშვილის გიორგის შინაურმა მდივანმა თ'ა ელიაზარ ფალავნისშვილმა.

მინამ რევანის და ქეთევან ცოცხალი იყო, რევანმა ვერა გააწყო რა. როდისაც მოკვდა და კარგა დრო გამოვიდა, ახლა სხუა რიგათ დაიწყო. თავის სიძეს ბატონიშვილს გიორგის ცოლის შერთუა ურჩია და კიდევ შერთო. მერვესი ქალი? მეფის ირაკლის მოღალატესი, რ'ლსაცა ლალატობისათვისა ყურები დასხებილი ჰქონდა და ისე ხელცახოცით ახვეული იყო ხოლმე. ის იყო გიორგი ციციშვილი, მომატებული სახელი გოგია და ბატონიშვილმა დავითმა ხათა გოგია დაარქუა. აღრეც გვითქუამს იმისი და რევან ენდრონიკაშვილის ამბავი სხუას შემთხვეულობაში.

ის ორი მაცთურები, ის მეფის ირაკლის დიდი მტრები ერთად შეიყარნენ და ბატონიშვილი გიორგი როგორღა შეიტყობდა იმათ ცბიერობას, რომ იმათგან არ მოტყუებულყო, ის მართალი, წრფელი და სწელი \*). მართლა, იმას ჰქონდა ნათელი გონება, გამბედავი

\*) მინამ მეფე გიორგი ემაწვილი კაცი იყო, უფლისთვრით კარგი უფიქრო



ხასიათი, უცხო ენის საუბრობა და მრისხანე ყოფაქცევა, იყო მოსული, ბრგე და სქელი მხარბეჭიანი კაცი და დიდი ღთის მოყუარე. დილა აღრიან ცისკარს ალოცებდა, მასუკან თავის საიდუმლოს ლოცუაზე დადგებოდა, შდ ეგ პირს და კელებს იბანდა კარგა ხანი. ჯერ კელებს რამდენიმე კვერცხის გულით ისრესდა (შშუწნიერი თეთრ სპეტაკი კელებიც ჰქონია), მერე მარანდულის საპნით და ბოლო დროს წმინდა წყალს გადივლებდა და იმითი დაიბანდა კელებს, პირსა. მეტი ფაქიზა ყოფილა და ტანისამოსის საუცხოვოთ ჩამცმელი. ტანისამოსის ჩაცმას რომ გაათავებდა, წირუაზე წავიდოდა, სადაც მთელს წირუაზედ თუალებიდგან ცრემლი გადმოსდიოდა და გულმხურუალედ ისმენდა. წირვის შდგ სალამში დაჯდებოდა თავის მამის ირაკლისავეით. იმ დროს დიდი კაცნი მოვიდოდნენ და საქუცენო საქმეს განაგებდნენ. ის იყო სამეფო კაცი, მაგრამ ამთენს კარგს ღირსებასთან ოცდაოთხს საათში სამი საათი კარგს მდგომარეობაში არ იყო ქუცენის გამგეობისთვისა, რლიცა წირვის შდომ იქნება სამი სათი როგორმე გაძლო იმ კარგს მდგომარეობაში, მასუკან სადილს მოითხოვდა და მეძნელება ვთქუა იმის სისუსტე სნეულობა, მაგრამ უთქმელობაც არ იქნება, სვინილისი გაგვიწყრება. რაკი სადილათ დაჯდებოდა, მაძლრად სჰამდა და ღვინოსაც კარგათ სვამდა სიმთვრალემდინ. აბა კიდევ ამ დროს ატყუებდნენ იმას საქართუელოს მტრები მაცთურებისაგან შეჩენილნი. ის სადილზედ იჯდა ხოლომე სალამომდინ, სხუა და სხუა საქმელები მოჰქონდათ, სჰამდა და ზედ მაგარს კახურს ღვინოს სუამდა. უფრო იშვიათათ ამთენს სჰამდა და ამთენს ღვინოს დალევდა, რომ სადილს უკან ორხუაში უნდა ჩაეწვინათ და ისე ექანებინათ, მინამ პირიღამ ნასუამს ნაჰამს ამოუშუბბდა, რომ თავისუფლად ამოექმინა. რა ვქნათ, ყველას თვთო სისუსტე აქვს ანუ სნეულობა ბატონიშვილის გიორგის სისუსტეც ეს იყო და სნეულობა. მე ეს ძნელათ მიმჩანს იმაზედ ეს ლაპარაკი, ნამეტნავად იმაზედ, ვიზგანაც ჩემი ოჯახი დადგენილი არის, მაგრამ რა ვქნა, რაკი იწერება, უნდა დაიწეროს ესე, როგორც იყო საქმე, თუ არა და ტყუილები

და როდესაც ხანში შესულა და ტანი სიმსუქნით დასძიმება, მაშინ დაუწევია მომეტებული ჰამა და ღვინის სმა, რლსაც ეს სნეულებად და სისუსტედ გადაჰქრეკია.



უსვინიდიისობის წესია. ბევრჯველ სადილს უკან ისა ისა აღარ იყო, უნდა ქუსშეგებში ჩაეწვინათ და გათენების ცისკრამდისინ სძინებოდა, რლსაცა საიდუმლო მტრები შეხდომოდნენ და ეშმაკურის სიტყვებით ეუბნებოდნენ: კარგი საქმელი და კარგი ღვინოები მიირთვო, ეს არის ამ სოფლის სიამოვნე, სხუა სულ ტყუილიაო, რლსაცა კარგი სომხების სახლებიდგან საგანგებო საქმეები მოსდიოდა და გარსევან ჭავჭავაძისაგან ჩინებული ღვინოები, ისიც იმით ივსებდა მუცელს. იმ შეჩენილებმა იმ ჩუსნი ქუსუნის მტრებმა ბატონიშვილი გიორგი ანუ მეფე სმაქამისაგან არ მოაცალეს და მეფე ირაკლი ომებისაგან, რომ ქუსუნისათეს ფეიქრათ რამე იმ ორთა. მეფის გიორგის ის სამი სათი სიფხიზლე ქუსუნის გამგეობაში იმის ნათელის გონებისათეს კმაროდა, თუ იმას კეთილ გამძრახველები ჰყოლოდა. ერთი ჰყვანდა ჩინებული მდივანი თა ელიაზარ ფალავანდიშვილი და ის იყო ბატონიშვილის გიორგის მარჯუენა კელი, რლიცა დიდი ერთგულიც იყო იმისი და ყოველს საქმეს სულ ის უკეთებდა. სხვები ვინც ეხვია, სულ ეშმაკნი, იმის მატყუებლები, რლებიცა ელიაზარს ფალავანდისშვილსა ნაბიჯზედ გზას უხლათავდნენ იმასთან. თუ იმ ორისთეს დაეცლიათ, დღეს მეფობა ისევ იქნებოდა აქა.

მეფის ირაკლის მცირედი ბიოგრაფიაც გავიგონოთ, ან ის როგორი კაცი იყო. ის იყო კარგი, ჩინებული და განთქმული მხედარ მთავარი, უშიშარი, შეურყეველი ვაჟკაცი. იმთენს აუარებელს ომებში გამოვლილი, არსად არ იყო დაქრილი, კდ ის იყო ღრმა გონებისა, ყოველს საქმეში ფხიზელი და დაუღალავი. ქეშმარიტი მართლმსაჯული და მაღალი გონებისა. როდისაც მეფე ირაკლი ომების ამბებისაგან მოცლით იყო ხოლმე, წირვის შედგომ მაშინვე საქუსუნოს საქმეებში შევიდოდა, სალამომდინ სულ მშოიერი საქმობდა და სალამოზედ სადილს მოართმევდნენ. სადილს უკან კიდევ საქუსუნო საქმეში შევიდოდა და შუალამე გაღვიდოდა, რომ კიდევ საქმობდა. მასუკან კი ვახშამს მიირთმევდა, რლიცა დიახ ადრე წამოდგებოდა ძილით და მინამ ცისკარს დარეკავდნენ, თავის საიდუმლოს ლოკუას გაათავებდა და მზათაც იყო ჩაცმული. სამი სათის მეტი ძილი არა ჰქონია ოცდაოთხ სათში, დანარჩენსა დროსა სულ საქმობდა. ასე გაშინჯეთ, სადილ ვახშამზედაც საქმეზედ ლაპარაკობდა, მაგრამ ღთმა ჰკითხოთ იმ ცბიერთა და დაფარულთა საქართუპლოს მტრებსა. ისინი რომ არა, იმათი შვილები ანუ



შვილიშვილები პასუხის გებაში იქნებიან: უსამართლობა შვილით შვილადმდებო. იმ ორის მაცთურის ამბავი ხომ გავიგონეთ, იმ მაცთურებსა კიდევ სხუა მაცთურები ჰყუანდნენ შემჯდარი ესე იგი სომხები (შემდგომში იმათი ამბავიც იქნება), რლებიცა ფულს აძლევდნენ რევაზ ხათაგოგიასა და როგორც უნდოდათ ისე ასაქმებდნენ ის სომხები. აბა ახლა გავგონოთ იმ სომხების ამბებიც. ბატონიშვილის გიორგის მეორე ცოლის მარიამ დედოფლის და, ხათა გოგიას ქალი ასლან ორბელიანზედ დაანიშნინეს, რლმაცა ამით თავი მოიწონა, თავი ასე ეგონა: ეს ეს არის დავით სარდალი შვიქენო. ამის შდგომ ივანე სარდალი, დავით სარდლის შვილი თავიანთის წილის სახლობითა ბატონიშვილს გიორგის მიაკედლეს, მაშინ როდესაც რომ დავით სარდალი დამბლა იყო და რიგიანი გონება აღარ ჰქონდა. ამასთან ამ ამბავში ბატონიშვილის გიორგის ქალი პირუტლი ცოლისა გაიანე ბატონიშვილი თას გიორგის ქსნის ერისთავის შვილზე \*) დანიშნეს, მეფის ირაკლის დაუძინებელს მტრების გუარის შვილზე, სადაც ერთიანი საიდუმლო დასი გაკეთდა მეფის ირაკლის დასალუბად, მაგრამ ნაცვლად მეფის ირაკლისა საქართულო დააქციეს. ზაალ ორბელიანისა შდგ ორბელიანების ღალატი აი აქედგან დაიწყო მეფეს ირაკლიზედ. ასლან ორბელიანისა მე მახლობელი მცნობი ვიყავ, მამაჩემი და ის კარგი მეგობრებიც იყვნენ და მაშინდელი ბევრი ამბებიც გამოუთქუამს ჩემთან იმ გულწრფელს ასლანს. ახლა შდგომი გავიგონოთ.

თა გარსევან ქავჭავაძეს, იმის მეგობრებს არქიმანდრიტს ეფთვიმეს, თა აღექსანდრე მაყაშვილს და იმათ დასსა უფრო ასე უნდოდათ, რომ რუსეთს მისცენ საქართულო კელალებით ქვეშევრდომად. მინამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, ცხადათ ვერა გაებდათ რა, ისე ქუტბუდანათ მოქმედებდნენ და როდისაც მოკვდა, მაშინ ცხადათ დაიწყეს საქმობა და ბოლო დროს მეფის გიორგის მეფობაში მეფეს მიაწვრინეს რუსეთის კელმწიფესთან: საქართულო თქუწნთვს მამირთმევიაო. აქ მოკლეთ ვანბობ, თორემ სხუა და სხუა ამბავი ბევრი არის. ის არქიმანდრიტი ეფთვიმე მეფის ირაკლისაგან კარგათ იყო მიღებული, ნამეტნავად ბატონიშვილის გიორგისა ბატონიშვილობაში და მეფობაშიაც მიმავალს რომ დაინახამდა, დაიძახებდა: ოჰ! ანგელოზი მოდისო. აქამდისინ იყო ის სასახლეში მიღებული, სწორეთ წმინდა ეგონათ, როგორც ის იყო

\*) ეს გიორგი ბოჯფოს ღენჯრალ ოტინჰატური შეიქნა რუსეთისა.



ისე მიღებული, ისე გარსევან ჭავჭავაძე და ალექსანდრე მარცხაიშვილი. არამც თუ მხოლოდ სასახლეში ისინი ისე კარგათ იყვნენ მიღებული, მთელს საქართველოს საზოგადოებაშიაც და დიდი პატივისცემაც ჰქონდათ იმათი ყუბლას. ამათ დიდი სამღერავი ჩამოუგდეს ბატონიშვილს გიორგისა და იმის შვილს დავითსა ისევ გიორგის ბატონიშვილობაში. რასაკვირველია, ამისი დამწყობნი სულ სომხები იყვნენ მეფის ირაკლის მახლობელნი და გიორგისა. თვითონაც ხომ საქმეებში იყვნენ, მაგრამ მომატებულად სხუბს ასაქმებდნენ და გაბრიყვებული ჰყვანდათ. ვისაც ენდობოდნენ, იმათი ოსტატებიც ისინი იყვნენ. ის სომხები როგორც არიგებდნენ, ისეც ამოქმედებდნენ და ამასთან მიჰქონდათ ფული სომხებისგან არაჩნურთის იოსებ არღუთაშვილის გამოგზავნილი რუსეთიდგან. ამათ ამთენი ამბები უზიდეს მეფეს გიორგის იმის შვილს დავითზე, რომ თავათ სნეული იყო, ბოლო დროს სრულებით ქუცშაგებში ჩააგდეს. მეფე გიორგიმ მოციქულები უგზავნა: დამშვიდდი, შვილო, ნუ მლანძღავ, ცუდათ ნუ მახსენებო. ისიც აღელებული გულის პატრონი უთვლიდა მკუახეს და მწარე სიტყუბსა. აი ამისთანა უცნაური კაცი იყო დავით. რაც მოხდა, მოხდა, თავიანთ ოჯახისთვის უნდა დაევიწყა. მაგრამ არ იქნა, ვერაფრით ვერ გაუერთა გული მამას. თუმცა თავის მამას ხანდისხან იახლებოდა, ნახავდა ხოლმე, მაგრამ მაინც დიდი სიძულვილი იყო იმათში. მეფის ირაკლის სიკვდილის შდგომ პეტერბურღში მოსამსახურე მეფის ირაკლის ძე მირიან ბატონიშვილი პეტერბურგიდგან მოვიდა, რლმაცა პირველად მეფის გიორგის თვის ძმის გადაგდება მოინდომა და იულონ ბატონიშვილის გამეფება, მაგრამ ამაზედ რომ იმას არ მიუდგნენ, მასუკან თავის ძმის გიორგისკენ გადმოვიდა და თავის დასის შემწეობით ოჯახს შფოთი ჩამოუგდო და ბოლოს საქართველოც მიაცემინა რუსეთს. პირუტლად საქართველოს ხალხსა ბატონიშვილი მირიან რადაც დიდი ნასწავლი და საკვირუტლი ეგონათ, მაგრამ იმისთანა თავის ოჯახის დასაქცევ საქმეები რომ ჰქნა, სრულიად აითუალწუნეს და ლანძღვის მეტი სხუა აღარა იყო რა იმაზედ. ამაცბს მე მოკლეთ ვანბობ, თორემ დაწვრილებითი ამბები დიახ ბევრი არის და იქნება ოდესმე ავწერო.

კარგა ხანის წინააღმდეგობის შდგომ ბოლოს იულონის მხარემ აიღო დაიღო და ისევ მეფეს გიორგის გაუერთდნენ ძმები და იმათი მხარეც სულერთიან. თუმცა ესენი გაუერთდნენ, მაგრამ დავით ბატონიშვილი მაინც ვერავინ ვერ გაუერთა მამას მეფეს, ასე



სდაგდა მამა და მამასაც ისა. მეფე გიორგი თავის შვილს დაავითს  
 არ მოეშო, კიდევ მოციქულები გაუგზავნა თავის შინაური მდივან-  
 ნი თა ელიაზარ ფალავანდიშვილი, თა ალექსანდრე მაყაშვილი  
 და არქიმანდრიტი ელფეთერ \*): შვილო დავით, თურმე ეკლესიას  
 თიატრს ეძახი, ცისკარს სათამაშოს და წირუას წარმოსადგენს, ნუ  
 შერები ამისთანა ღთის გარეგანს საქმეს, მოიქეც და ღთი იწა-  
 მეო. ახლა დავითის გაჯავრებული პასუხი გაიგონეთ: წადით, ასე  
 უთხარით მამაჩემსა, რაც იმას სწამდეს, მე გამიწყრეს და რაც მე  
 მწამს, იმას გაუწყრესო. როდისაც მივიდნენ და მოახსენეს, დორ-  
 ზე წამოწოლილმა დაიძახა: დადგა იგი ყოველსა გზასა არა კეთილ-  
 სა და ბოროტი მას არა მოეწყინა. ესა სთქუა და შეწუხებული  
 იქით მხარეს გადაბრუნდა. ეს ამბავი იმ სამის მოციქულებისაგანვე  
 ასე გამიგონია. ასე და ამ ყოფით უზიდავდნენ ენას ერთსა და  
 მეორესაც და ერთმანეთზედ აღელვებდნენ. შეჩუპნებულები არ იქ-  
 ნა არ დაწყნარდნენ, არ შეიბრალებს ის საცოდავი მეფე, კიდევ  
 დრო იპოვეს და ამბავი მიუტანეს, მერმე რა ანბავი? — თქუნი შვილი  
 დავით, მარიამ დედოფალსა (მეფის გიორგის მეორეს მეუღლესა, დავი-  
 თის დედინაცვალს) ვირზე შესმას უპირებს და მთელი ქალაქი ისე  
 უნდა მოატაროსო. ამასთან სხუა უფრო ბევრი უთხრეს, სულ იმი-  
 სი სასიკვდილო სიტყუაბი. ასე გაანჩხლეს ის საწყალი მეფე, რომ  
 მაშინუც თა ელიაზარ ფალავანდიშვილს დააწერინა და რუსეთის  
 კელმწიფესა მისცა საქართულოო. აი ამისთანა არეულობა ჩამოუგდეს  
 იმათ ოჯახს, რომ ძმა ძმის მტერი გახადეს, შვილი მამისა და რა  
 კეთილიდა მოუვიდოდა იმათ ოჯახს და ბოლოს საქართულოო?  
 ზედატანებით ამ ამბავში ბატონიშვილი ალექსანდრე თავის ძმას მე-  
 ფე გიორგის შემოსწყრა რუსეთს რათ აძლევ საქართულოოსო?  
 ამისგამო სპარსეთში გაიქცა ამ განძრახვით, რომ რუსები გაელალა  
 საქართულოოდგან. თუმცა დიახ ბევრს ეცადა, მაგრამ ვერა ეშვე-  
 ლარა. მე ამას მოკლეთ ვანბობ, თორემ ამისი ამბებიც ბევრი  
 არის.

როდისაც მეფე გიორგი მოკვდა და საქართულოო რუსეთმა  
 დაიმკვიდრა და შდგომად ვნიაზ ციციანოვი საქართულოოში მთა-  
 ვარმართებლად მოვიდა, მაშინ ასლან ორბელიანმა დაინახა, დიდ  
 შეცდომილებაში იყვნენ, რომ მეფის ირაკლის ღალატში შევიდნენ,

\*) ეფთვიმე სხუა არის და ეს ელფეთერ სხუა.





რღმაცა შეთქმა მოახდინა, მოინდომა თავის ცოლის და დედოფალი მარიამ ხევსურეთის მთაში შეიყუანოს და იქიდგან საქართულოში არეულობა მოახდინონ, მაგრამ მეთუალე იოსებ კალატოზის შვილმა ეს ამბავი აცნობა კნიაზ ციციანოვს, ასლან დააჭერინა და დედოფალი მარიამ რუსეთში გაისტუმრა. ის რომ რუსეთისკენ გაისტუმრეს, მასუკან ივანე სარდალმა და ერთიანათ ნათესავებმა ასლან გამოაშუშბინეს. ბევრჯველ მეტყოდა ასლან: არ ვიცი, რამ დაგვებრმავა, ისე რათ შევიკარით, რომ ველარაფრისთანას ველარას ვხედავდით? მთელი საქართულო ისე რათ იყო მოწადინებული მეფე ირაკლი დაილუბოს და გაუკითხვად კიდევ დავილუპეთო. როგორც ბოლო დროს შევიტყე და წვრილათ მიანბნეს, რაც საქართულოს მოუვიდა სულ სომხებისაგან, სხუას ნურავის დავაბრლებთ. ისინი ჩუშნის კელით ნარსა გლეჯდნენ, ჩუშნ იმათი იარაღები ვიყავითო \*). სხუა ამბებიც ბევრი უნაბია ჩემოვს, როგორც ზევითა ვთქვი, იმ გულწრფელს ასლანსა.

მოვიდეთ ქსნის ერისთავებთან და იმათიც შევიტყოთ რამე. ეს გუარი პირუტლად რომ საქართულოში მოვიდა, მგონია ან მეექვსე და ან მეშვიდე საუკუნე იყო. ოსეთიდგან ორნი თუ სამნი ძმანი გადმოვიდნენ ლომისის ეკლესიის დღესასწაულში მთიულეთს, სადაც შფოთი იყო მთიულეთის და ქსნის ხევებების ხალხში, რღთაცა იმ ყმაწვილ კაცთა დაამშვიდეს და დებულემა დაუდეს, რომ ამას იქით იმათში შფოთი აღარ იყოს და შდგომ იმისა აქამომდე აღარც მოხდენიათ. ამის მადლობისათვს უფროსი ძმა სიღამონ მთიულეთის ხალხმა წაიყუანეს, იქ არავის ერისთავად დაისუტს და მეორე უნცროსი ძმა როსტომ ქსნის ხალხმა ქსნის ერისთავად. ეს ორნი ძმანი მგონია თავაურები უნდა იყვნენ, დუდაროები ოსეთის მეფის ჩამომავლობისა. გამიგონია, მითამ ჩერქეზიდგან დუდარუკოების გუარისანი იყვნენ. დუდარუკოები სადაც დგანან, შორს არის და ამის გამო მე უფრო დუდაროები მგონია.

პლატონ იესელიანი თავის დუშეთის აღწერაში არავის ერისთვიანთ ამოწყუტას ამბობს, მაგრამ ეხლა რომ კახეთის ქისტურში ერისთვანები დგანან, სწორეთ იმათა ჩამომავალნი არიან

\*) მე იმ ამბებისა რაც წვრილად ვიცოდი, მე იმისა არა უნაბე რა ასლანს და ამისთვის სომხებს აბრალებდა.



არავის ერისთავებისა. მე მივირს პლატონისგან, ისე ჩქარა გორ იჯერებს ამბავს უბრალო სიტყვთ. საკვირულოა, რომ იმან გამოკვლევა სულ არ იცის, იქამდისინ მიიყუანოს ამბავი, რომ ყოველი წვრილად და ნამდვილად შაიტყოს. მაინც რაღაც სისუსტეები აქვს იმას, მალე დაჯერების გარდა, სადაც ნათელია, ის იქიტკენ პირ მიიქცევს მზეს უჭვრიტსავით და არც ტყუილს დაერიდება მხოლოდ თავის ამაოების სიამოვნებისთვს და ანუ სარგებლობისათვს.

მე იმ ქსნის ერისთვიანთ ამბავს იქიდგან მოვყუბი იმ პირუტლის შანშე ერისთავის მამის დათუნადგან, როდისაც მეფის ვახტანგის შვილმა ბაქარმა სალთხუცესობა ჩამოართო (მაშინ მეფე ვახტანგ სპარსეთში იყო) და ამის მიზეზით გაუღდა ბაქარს დათუნა. აი აქედგან ამ 1717-ის წლიდგან ვიდრე რუსეთის მთავრობის ვახსნამდის საქართულოში, 1800-ის წლამდისინ სულ ლალატში იყო ეს გუარი მეფობისა და მეფობის გამოისოთ მამულისა, ესე იგი ოთხმოცდაორი წელიწადი მეტი.

რა დათუნა ქსნის ერისთავი გადგა, ამ დროს ბაქარმა ჯარები გაუსია, მაგრამ მინამ ისინი იქ მივიდნენ, დათუნა მომკვდარიყო, რლებიცა დათუნას ძენი კახეთს გადავიდნენ და იქიდგან შანშე სპარსეთში ჩავიდა, სადაც მეფე ვახტანგმა დააქვრინა და ისე დაქვრილი თავის შვილს ბაქარს გამოუგზავნა. შდგომ ამისა როდესაც მეფე ვახტანგ ქართლში მოვიდა და ქართლის საქმე განაგო, ამ დროს დათუნას ძე შანშე ერისთავი გადგა და თავის მამულის მაგარი ადგილი გაამაგრა, რლზედაც მეფე ვახტანგმა დიდი ჯარები გაგზავნა და დიდის შემოხუტვებითა შანშე შეირიგა მეფემ. მაგრამ მეორეთ კიდევ გადგა შანშე და კიდევ გაამაგრა თავისი მაგარი ადგილი. როდესაც მეფე ვახტანგმა საჭირო საქმეებისაგან მოიცალა, შანშეზე გაილაშქრა, მაგრამ როდისაც დაახლოვდნენ, დიდის ხუტუნით კიდევ შემოეხუტწა, კიდევ შეირიგა და თავისი მამულები ისევ მისცა სრულად. ბოლოს მაინც იმისი გული არ გასწორდა. ერთს რლსამე ძლიერს ომში შანშემ უღალატა თავის მეფეს ვახტანგს და ძმებს ქართულოებსა, რლიცა თავის ჯარით შემოეცალა, წამოვიდა და ამის გამო ლეკებისაგან დამარცხდნენ ქართულოები და იმათის კელით ბევრნი მოსწყდნენ, სადაც იმერლებიც იყვნენ და ისინიც კარგა დაიხოცნენ. რალა გავაგძელო, ამის შდგომ მეფე ვახტანგმა განიძრახა, მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, რომ



რუსეთიდან გაგზავნილი კაცნი მოუვიდა, საითკენაც გასწია და წავიდა რუსეთს (1724-სა).

ვიციტ გაგონილი ამბები, წაგვიკითხამს კიდევ, სხუბის ბოროტებაც ვიციტ საქართუპლოში, მაგრამ რაც შანშე ერისთავმა და გივმა ამილახუარმა უყუტს საქართუპლოს, იმტოლა ბოროტება არავის უქნია. თავის გვირგვინოსანი მეფე იყო მეფე ვახტანგ, იმას უღალატა შანშემ, არა ერთხელ, სამჯერაც და ბოლოს შანშეს მიზეზითაც წავიდა რუსეთს. შდგ ოსმალები იყვნენ, იმათაც უღალატა, მასუკან ყიზილბაშები, იმათაც და მეფე თეიმურაზ ხომრასაკვირველია და ბოლო დროს საქართუპლოსაც მიჰყო კელი დასალუპათ. პირუტლო ნადირშაის დროსა საქართუპლოში, როდისაც მეფე თეიმურაზ მეორე საქართუპლოში დაამკვიდრა მეფედ ნადირშამ და ამ დროს ბატონიშვილი ირაკლი ინდოეთში ჰყუანდა ნადირშასა, კიდევ გადგა შანშე. მაშინვე სპარსელები მივიდნენ, მაგრამ შანშემ ზოგიერთის თავის ხიზნით თავი მოარიდა, იმერეთზე რუსეთს გადვიდა, მაგრამ ისევ საჩქაროთ დაბრუნდა და რისთვისაც დაბრუნდა, ეხლა გამოჩნდება. ის რომ შორს გზას იყო, ჩუტნს საქართუპლოში სხუა ამბავი მოხდა. შანშე ერისთავის ძმის იასეს ცოლი ახალგორიდან ქსანზედ არის. კახეთისკენ მიდიოდა თავის სამშობლოში. ამ დროს ერთი არაგვის ერისთავის შვილი უთრუთ თავის ტოლი ყმაწვილი კაცებითა ბაზალეთის ტბის მოახლოვოდ ნადირობდნენ და კარგი ყიზილბაშის ყმაწვილი კაცებიცა თანა ჰყუანდა სტუმრათ. ამ დროს სად იყო და სად არა, იმ თავხედებს წინ გამოუარა იმ უმანკომ და მშუტნიერმა ქალმა, რელიცა თავის კერძობითა თავის გზასა მიეშურებოდა. იმ თავხედებმა და კარგათაც გადაკრულებმა ის მშუტნიერი ქალი რომ დაინახეს, თვთ არაგვის ერისთავის შვილი უთრუთ პირუტლოდ მიესია. მტრობაც ჰქონდათ ერთმანეთში არაგვ ქსნის ერისთვიანთა და ის ქალი ცხენიდან გადააღებინა, ერთს მიფარებულს ადგილს ჯერ თვთონ შეურაცხათ გახადა და მასუკან ერთი კარგი მეგობარი ჰყუანდა ყიზილბაშის ყმაწვილი კაცი, იმას მისცა. თუმცა ამ შეურაცხმყოფობაში მტრობაც არის, ყმაწვილ კაცობის თავხედობაც და ღვინის მსმელობაც, მაგრამ მანც დიდი სასჯელის ღირსი იყო ის მხეცზედ მხეცი, არაგვის ერისთავის შვილი კი არა, ის ვირის თავი.

უპატიოდ გამხდარი და გულმოკლე ქალი უკანვე მოვიდა სახლში და მწარეს მწუხარებაში ჩავარდა. კარგა ხანი გამოვიდა, შან-



შე ქსნის ერისთავი ისევ დაბრუნდა. ამისთვის დაბრუნდა, ამბავი იქ შეეტყო, ეს იმისთვის საშინელი, რლმაცა მაშინვე განიძრახა, ერთის დანაშაული მთელს სახლზედ გადინადოს და გადინადა კიდევ. მოიყუანა დიდი ლეკის ჯარი და ის ოჯახი დასცა ანანურში. იტყვიან, ნუ იქ ავსა და ნუ გეშინიან ავისა, იმ არაგვის ერისთავიშვილსა ისე მოუვიდა. მაგრამ ესეც არის, რომ შებრალებაც უნდა იყოს. ერთის დანაშაული ასს რათ უნდა გადახდეს ნამეტნავად წვრილს უმანკოს ყმაწვილებსა? იმათ ვილა იტირებდა, საქართულლოს სოფლებს მიჰყო კელი შანშემ და ოხრება დაუწყო.

თუმცა ასეც უთქუამსთ, შანშე ქსნის ერისთავი რუსეთს რომ წასულა, მითამ არაგვის ერისთავებს შანშეს ძმის იასეს ცოლი მოეტაცნოთ და ყიზილბაშებისთვის მიეცეთ. ეს სულ გადასხუაფერებულია, არაგვის ერისთავიანი ამას ვერ გაბედდნენ და თუ უნდა გაებედათ, ქსნის ერისთავანთ იმთენი დიდი ძალა ჰქონდათ და ძალიან მაგარი ადგილები, რომ არაგვის ერისთავანნი ვერაოდეს ვერ შეუვიდოდნენ, ამისთვის ზევით ჩემი აღწერილი სხულებსაგან ხომ ასე გამიგონია, თვთ ზოგიერთის ქსნის ერისთავანდგანაც ასე ვიცი. შანშე ქსნის ერისთავი მაინც არ დასცხრა საქართულლოზე იმ თავის მოყუანილის ლეკებითა, იმათ თავის საერისთოში ინახავდა და იქილგან ახდენდა საქართულლოს სოფლებს. ამის მნახულთ ყიზილბაშებმა კიდევ გაილაშქრეს იმაზედ, მაგრამ ახლა ახალციხეში გადავარდა, საიდგანაც ნადირშამ მოითხოვა და მაშინვე მოსცეს. თუმცა ქართულლების თავდებობით უნდოდა გამოეშო შანშე, მაგრამ ქართულლებმა ეს არა ქნეს, იცოდნენ იმისი დაუდერავი ხასიათი, ამისთვის ხორასნისაკენ გაისტუმრა. იმ უბედურებაში მაინც თავის ენერგია არ დაკარგა და არც იმედი გადიწყუტა, სადაც გზაში დრო იპოვა და გზიდგან გამოიქცა, მაგრამ ყიზილბაშები მოეწინენ და გაჯავრებულმა ნადირშამაც თულალები დაათხრევინა იმას და იმის ძმას იასესა. ამის შდგომ საქართულლო დასცხრა ოხრებიდგან, თუმცა ამ დროებში ნადირშას დიდსა ხარკსა და გამოსაღებსა სწევდნენ ქართულლები, მაგრამ მაინც ძლიერებაში დაიწყო შესვლა საქართულლოში.

ამისთანა ერთობაში რომ შევიდა საქართულლო ესე იგი ქართლ კახეთის გაერთებითა, ამ დროს გივმა ამილახვარმა დაჰკრა ფეხი და ქ. ტფილისიდან გაიქცა ქართლში, რლსაცა ჩაბარებული ჰქონდა ქართლი ნადირშაისაგან. უთქუამთ: ნადირშას დიდს გამო-



საღებს მოერიდა და ამიტომ წავიდაო. ტყუილია, მაშინ მეფე თეიმურაზს ასე პატივს ცემდა ნადირშა, რომ რაც ეთხოვნა, უთუოთ აღუსრულებდა და უსრულებდა კიდევ, ამიტომ რომ დიდათ ერთგულობდა ნადირშასა. გივი ამილახვრის გაქცევა გამოსაღების მიზეზით არ მოხდა. როდისაც დარბანდიდგა მოვიდა გივი ამილახვარი საქართველოში, ერთი უსიამოვნო ანბავი დახვდა (იმას ცალკე აწერ) და ამ დროს მეფის ვახტანგის შვილის ბაქარისაგანაც მოუვიდა შემოთვლილობა რუსეთიდან \*). მაშინ მეფე ვახტანგ აღარ იყო, გივი რომ გაიქცა და უწყალო საქმე მოახდინა საქართველოში. შანშე ერისთავისაგან მოიყუანა ლეკის ჯარი, სადაც ზემო ქართლში ინახავდა და ოხრება დაუწყო ქართლს სომხითსა, ასე რომ შანშე ქსნის ერისთავის საქმე დაავიწყდათ. შანშეს და გივის ოხრებისაგან შეწუხებულები ქართლ სომხითი ბევრნი აიყარნენ იქიდან, ნამეტნავად სომხითიდან და კახეთში გადავიდნენ დასასახლებლათ სადაც კახელები კარგათ მიიღებდნენ და პატივსაც სცემდნენ რაც შეეძლოთ, ამიტომ რომ იქ უფრო მშვიდობა იყო ერეკლესგან. ამ გივი ამილახვარის დროებში ბაქარ ბატონიშვილიც აშტარხანში მოვიდა, რ'ღმაცა ქართლის მეფედ მოიწვია გივმა. ამ განძრახვითაც წამოვიდა ბაქარ, მაგრამ ველარ გაბედა მოსვლა, ამისთვის რომ შეიტყო, ნადირშას დიდრონი ჯარები იდგა საქართველოში და ამისგამო დაიშალა წამოსვლა. ოსმალოს შემწეობით გივმა ამილახვარმა სურამის ციხე ძალიან გაამაგრა, საიდგანაც ოხრება დაუწყო ქვემო ქართლსა ნამეტნავად სომხითსა \*\*). ნადირშას ყიზილბაშები იმ მხარეს ახდენდნენ სომხით ქართლისას, რ'ლნიცა გივსა მორჩილებდნენ და გივი იმ მხარეს ახდენდა, რ'ლებიცა ნადირშას მორჩილებდნენ და მეფე თეიმურაზსა. ამაში იყო გატანგამოტანა ერთმანეთისა: გივი ოსმალოს და ლეკების შემწეობით მოქმედებდა და მეფე თეიმურაზ ნადირშას ყიზილბაშებითა. მაშინ კახეთი უფრო თავისუფლათ იყო ბატონიშვილის ირაკლისაგან, ამისთვის რომ იმ პირუტყლს თავის გამოსვლაში ქუტყანაზედ დიდო ანწუხი და სხუა მთების ლეკები გაიერთა და თვთონ ისინივე უფთხილდებოდნენ კახეთს. ეს ამბავი სხუაგანაც მაქუს დაწერილი უფრო გარკვევითა;

\*) შანშე ერისთავსაც მოსდიოდა ხოლმე კაცი რუსეთიდან შეთვის ვახტანგისა.

\*\*) ამ ამბავს ცალკე აღწერ, რათაც გაიქცა გივი.



დალისტინდგან ლეკების გამოსვლა ახალციხეში. შდგომში როლისაც ირაკლი ინდოეთიდგან მოვიდა, თავის მამამ მეფე თეიმურაზმა ნადირშას ნებით სულ ერთიან კახეთი იმას ჩააბარა, იქ გამგეთ დასუა და ამ ქართლ სომხითის ამბებში ჯერ არ გაურია. ირაკლიც თავის კაცობით და მღვიძარებით ფთხილათ იყო იქით მხარეს მტრებისაგან. ასეთის თავგამოდებით და თავდადებით ეწეოდნენ სპარსნი მეფე თეიმურაზს, რომ მეტი შემწეობა აღარ იქნებოდა. მეფე თეიმურაზ და სპარსები უგზავნიდნენ კაცსა გივსა შერიგებისას, მაგრამ მინამ გული არ ისრულა და ძალიანი უბედურობის დალი არ დაასო ქართლ სომხითსა, არ შეურიგდა, ისიც ძალიან გაუჭირეს, მაშინ ძლივს. სომხითი ხომ სულ გააოხრა ერთიანად. შანშე ერისთავი ოცი წლის განმავლობაში ხან შემოღორიგდებოდა და ხან გაუდგებოდა მეფეს, რლისაგან ამთენს წელიწადში ისრისებოდა ქართლ სომხითი, გივმა ამილახვარმა კი ოთხი წელიწადი. ასე გასინჯეთ მთების ოსებმაც წილი ჩაიდეს ქართულლების წახდენაში. ბოლო დროს ნადირშამ გივი ამილახუარი ხორასნისაკენ გაისტუმრა დაჭერილი და იქიდგან თუალგებ დათხრილი შანშე თავის სახლობითა დააბრუნა საქართულლოში მეფის თეიმურაზისა და თამარ დედოფლისა თხოვით. მაგდენი ხანი აღარა გამოვიდა რა, რომ მეფის თეიმურაზისა შუამდგომელობით გივიც დააბრუნა, არამცთუ ვნებული, დიახ დიდის წყალობითა. აი ამისთანა მოხერხებული კაცი იყო გივი. თუ გივსა და შანშესა მეფის თეიმურაზისთვს არ ეღალატათ, საქართულლო ძალიან დაწინაურდებოდა. იმათ იმ თავიანთის ქცევითა და იმათგან საქართულლოს ოხრებითა საქართულლო დაიჩაგრა. როგორც იქნებოდა კიდევ საქართულლო წამოიწევდა, მაგრამ ახლა იმათ შდგომ სხუბი გამოვიდნენ: იასე მეფის შვილი აბდულა ბეგი და მეფის ვახტანგის ბუში პაატა ბატონიშვილი და შდგომში კიდევ სხუბი, რლთაცა აღარ მოასვენეს საქართულლო. ზოგიერთების იმათი სახელი კიდევ ითქუა ზევით და ახლა ზოგიერთებისაც დაიწერება.

თუ ვინმემ მოინდომოს მეფის ირაკლის მეორის ისტორის დაწერა, ღთის გულისათვს ისე ადვილად ნუ შეუდგები იმის დაწერასა, მინამ კარგათ არ გამოიკითხო, მინამ სრული ფაქტები კელში არ ჩაიგდო, იმაზედ ნურას დასწერ. ჯერ რამდენიმე წელიწადები იზრუნე, ყოვლის მხრიდგან იმაზედ ფაქტები მოკრიფე და მასლკან შეუდგე იმის დაწერასა. მაგრამ მართალი კაცი კი უნდა იყო, ვინც მეფის ირაკლის მეორის ისტორიას დასწერ, თორემ თუ



თუალშიხედვით დაიწყე წერა, სხულებს სასიამოვნოდ, აღაზრდებოდა გები და შენს ისტორიას ქარი მოიტაცებს მტვერსავითა. თუ ამ ჩემს რჩევას შეუდგები, იმის ისტორია ასეთი საგანგებო რამ იქნება, ნამეტნავად იმაზედ იმთენი საშინელი ინტრიგები, რომ იზუიტების ამბები დაგავიწყდება. იმის ისტორია აჩქარებით არ უნდა დაიწეროს, უნდა დაიწეროს გულის დადებით და ძალიან ფთხილათაჲ. იმის ისტორია ეხლა დრო არ არის დაიწეროს, უნდა კარგა ხანი გავიდეს, თითქმის ორმოცდა ათი წელიწადი უკანასკნელი. ამისთვის რომ იქნება მანამდისინ მეფის ირაკლის წინააღმდეგების შვილიშვილებს მტრული ფიქრი დაეკარგათ იმაზედ და პატიოსნების სიმართლებედ დამდგარიყვნენ დროის მიხედვითა, რადგან მაშინ განათლება წინ იქნება და სვინიდისი დაწმენდილი. გასაშტერებლად მიმჩანს! ეხლანდელს დროს ზოგიერთს განათლებულებშიაც კიდევ ის მამაპაპების ღუარძლი არის დარჩომილი, ის იმათი გულმღრმობის ჩაგონებულობა, რ'ლებიცა თავიანთ მამაპაპების იმთენი მამულის ღალატობა უნდა როგორმე დაჰფარონ და ირაკლი მეფე გამოიყუანონ დამნაშავედ—დამნაშავედ ყუსლაფერში. სირცხვილია, იმისთვის არის სწავლა და განათლება, რომ სიმართლისთვის გულის სიყუარულიც უნდა არ დაზოგო, არამც თუ მამა პაპა ანუ ერთიანათ გუარეულობა.

ახლა სომხებთან მოვიდეთ და იმათ საქმეებსაც მოვკუტოთ, რაც იმათ ქართულებს უყუპს. მე ეს ვკითხე ზოგიერთს ჩუპნს ძუტლებსა:

— მეფე ვახტანგ თავის მეფობისთვის ზრუნავდა და იმისთვის ურევდა საქართულოს. იმის შვილი ბაქარიც იმისთვისა და ის სომხები რა მიზეზისთვის ღუპავდნენ ჩუპნ ქუტყანას?

მეფის გიორგის შინაურმა სანდო მდივანმა ელიაზარ ფალავანდიშვილმა მითხრა:

— ორქივატერი იოსებ საქართულოში რომ მოვიდა, ჩუპნი პირველი თავადები მისულიყვნენ იმასთან სანახავად, სხუა და სხუას ლაპარაკში ეთქოთ იმისათვის გულის წფრელითა: თქუტნო უწმინდესობავ, მართლა თქუტნის დაბარებით წამოვიდა აღამაძაღხანი საქართუტლოზე? იმას ხუმრობით გაეკეთებინა და გაცინებით ეთქუა: ეგ მართალი რათ იქნება, მაგრამ ამას იქით ჩუტნ სომხები უნდა ვიყვნეთ საქართულოში და საქართუტლო ჩუტნი უნდა იყოსო. თუმცა ორქივატერმა ხუმრობითა თქუა, მაგრამ კი მართალი



თქუა. სწორეთ მართალია. სწორეთ თავიანთს უნდათ საქართუ-  
ლო. ჯერ ჩუხნ წაგვახდინონ და მასუკან ჩუხნის წახდენითა ისი-  
ნი განძლიერდნენო. ელიაზარ ფალავანდიშვილის სიტყვა არის  
ესა \*).

ორქივატერ იოსებ არღუთაშვილს ჰყუანდნენ სომხები და  
იმათით მოქმედებდა, საქართულო დაეღუბა. აი ისინი და იმათი  
კულები ვინც იყვნენ, ისინი კიდევ სხუანი არიან: თვთ ორქივატე-  
რის ძმისწული მეფის მიმბაში თა სოლომან არღუთაშვილი, მის-  
კარბეში იოსებ, დარჩია ქალაქის მელიქი თა ბებუთაშვილები \*\*)  
იოსებ შალბათაშვილი, ამის ძმა ავეტიქა, თა სულხან და ამის ძმა  
მანუჩარ თუმანიშვილები, ამ სულხანის შვილი შიოშ \*\*\*) , მილახ-  
ვარი ოსეთა ყორღანაშვილი და ნამეტნავად არტემ არარაცკი. ამ  
არარაცკის ამბავი აღრევეც დამიწერია აღამამადხანის შემოსვლაში.  
სომხურათ იმას ერქო არუთინ იმ არტემას გარდა სხუა სულ ესე-  
ნი მეფეების დიახ მახლობელი იყვნენ; რლთაცა მეფის ირაკლის,  
მეფის გიორგის და ყოველი დიდი კაცების საიდუმლო მათ კარგათ  
იკოდნენ, ასე დაახლოებული იყვნენ ყუბლასთან ისინი და ყრი-  
ლობაც ხშირათ ჰქონდა ხოლომე საქართულოს დასადუბად.

მინამ დავით სარდალი ოსეთა ყორღანაშვილს სცემდა \*\*\*\*),  
მანამდისინ დიდათ ერთგულობდა მეფეს ირაკლისა და ვერაოდეს  
ვერც მიიზიდეს იმათ, რლმაცა სამეფოსა ბევრი კარგი შესძინა,  
მაგრამ შდომ ცემისა ისიც გაუერთდა ზევით ხსენებულს სომხებსა  
და გამხნედნენ საქართულოს დაღუბაზედ. იმათ ორქივატერის

\*) აქ შე რეგორდაც ექვში შეველ. ეკატერინა ხელმწიფას და იოს-  
ებ ორქივატერს ამ საგანზედ საიდუმლოდ თათბირი ხომ არ ექმნებო-  
დათ რა, რადგან დიდათ შიბირებულნი ჰყუნდა იოსებ ორქივატერი ეკატე-  
რინა კელმწიფასა. ამას ძალიან გამოკვლევა უნდა, ამიტომ რომ ეკატერი-  
ნა კელმწიფას ჰოლექტიკისაგან საკვირველი არ არის, რომ ამას იქით  
თქვენ სომხებია უნდა იყვნეთო საქართულოდში. ან გულისთ მართლად ეტ-  
უოდა და ან თავის ჰოლექტიკისათვს.

\*\*) ამას ლექსიც გამოუთქუეს  
\*\*\*) ეს შიოშ და უულარაღაზის ძე ელიაზარ ქსნის ერისთავს შვილი  
დაის დიდი შეგობრებიც იყვნენ.  
\*\*\*\*) ამის ცემის მიზეზი სხუა წერილში მაქუს დაწერილი.





კაცები მოსდიოდათ და მისდიოდათ ერთიერთმანეთსა საქართუ-  
ლოს დამხობისა, სადაც ყოველ ქალაქებში და დიდრონს სოფლებ-  
ში თავისი აგენტები ჰყუანდათ და ურევდნენ წრფელსა ქართულ-  
ლებსა და რასაც მოიწადინებდნენ, უთუოთ შეასრულებდნენ კიდევ.  
ფულიც ბევრი მოსდიოდათ ორქივატერისაგან იმ სომხებსა. მე აქ  
მოკლეთ ვანბობ, თორემ ამბავი დიდი არის.

ახლა უკანასკნელად ამით მოკლეთ დავასრულოდ, შანშე ქსნის  
ერისთავის შ'დგომ, იმათმა მომავლებმა რაღა ჩაიდინეს?

როდისაც მეფე ირაკლიმ სრული ქართლ კახეთი ჩაიბარა თავის  
მამის მეფის თეიმურაზის შ'დგომ, მთელს ქსნის ერისთავანთ  
დაუმტკიცა სრული თავიანთი მამაპაპის ყმა და მამულები, დიახ  
კარგის წყალობის წიგნითა და დაამკვიდრა თავიანთს მამულებზე,  
ეგონა ბევრი კარგი იქნება საქართულლოში იმათგანაო, მაგრამ  
იმათ კიდევ შანშეს ყოფაქცევა მოაგონდათ და დიდ სახელათ დარ-  
ჩათ იმისი ღ'თის მტრული ამბები.

გიორგი ყულარაღაზის შვილს ელიზბარს კარგათ მოვესწარ;  
იმერეთის დიდი მეფის სოლომანის ქალი მარიამ ჰყუანდა ცოლათ.  
იმისგან გამიგონია ლაპარაკში თვთ გორის ქალაქში:

— ჩუხნც ვიტყვთ ქსნის ერისთავები ვართო. ჩუხნ რა კაცე-  
ბი ვართ, დიდი შანშე ერისთავი იყო საკვირველი კაცი და რაც  
იმან ამბები ჩაიდინა, დიდი საქებური საქმეები არისო.

აი ასე სახელათ დარჩენილი ჰქონდათ შანშეს ამბები იმათ  
შვილიშვილებსა და თავის მოსაწონათ. მეფეს ირაკლის მეორესა  
ასე გაუჭირეს ამ ერისთავანთ, რომ მოთმინებისაგან გამოიყუანეს,  
რ'ლმაცა იმათ მამულები ჩამოართო, ეგება იგოძნან და დაიშალო-  
ნო, მაგრამ იმათ ამისთვისა აი რა ქნეს: მიხეილ, მირმანოზ და  
სოლომან ერისთვს შვილები \*) გააქციეს ოსმალლოში თავის სახლის  
შვილებმა, იქიდგან ოსმალლოს ჯარები მოიყუანეს და ქართლის სოფ-  
ლებს ხდენა დაუწყეს. გარდა ამისა სულით ძებნა დაიწყეს, სად რა  
წინააღმდეგობა იყო მეფეს ირაკლიზედ, იქ დაუახლოვდნენ და  
დაუწყეს ლუპა საქართულლოს მეფის ირაკლის მტრობისათვის, რ'ლე-  
ბიცა აღამამადხანის საქმეებში ისინიც გაერივნენ ერთათ სომხებთან,

\*) იმით თავის მახლობელი ნათესავი თა' ზაქარია ციციშვილიც  
მიუდგა, მაგრამ ის სხუა საქმეზედ ადრე გაქცეულა იყო და შგონია ის  
კიდევ ვათათრდა.



ნამეტნავად გიორგი იასეს ძე და ელიზბარ ყულარაღაზის ძე ქსნის ერისთვს შვილები, თვინიერ რევაზისა (მეფის ირაკლის ქალის ანასტასიას ქმარი ყულარაღაზის უფროსი შვილი რევაზ იყო). ის რევაზ დიდი კეთილი და მართალი და პატიოსანი კაცი იყო და მეორეც ამისი უნცროსი ძმა ლუარსაბიც არ ერია. იმათ გუარში თა გიორგი იასეს ძე \*) და თა ელიზბარ გიორგი ყულარაღაზის ძე ქსნის ერისთვანები იმ უკანასკნელს მეფის ირაკლის დროებში ის ორნი უფრო მომატებულად უპირველესი იყვნენ და დაფარვით მოქმედნი პირნი მეფის ირაკლის დამხობისა. არცხომ სხუები აკლებდნენ, მაგრამ ეს ორნი უფრო მომატებით, ერთი იმერეთში ელიზბარ მეფის სოლომონის ქალის მარიამ ბატონიშვილის დიდი დამოკიდებულობის გამო და მეორე გიორგი მთელს საქართველოში. ეს ორნი ძალიანი ენერგიის კაცებიც იყვნენ და ძალიანი ხასიათიც ჰქონდათ მცდელობაში \*\*). მაგრამ შესაწუხებელი ეს არის, რომ მეფის ირაკლის დამხობასთან მეფე გიორგიც იმას ჩაჰყუა და მთელი საქართველოც.

სეკტენბერს 1866-სა წელსა თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი. ქ. ტფილისს.

ეს ნაწარმოები ალექსანდრე („პუპლია“) ჯამბაკურ ორბელიანისა და ცუ-ლია წერაკითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში, დაწერილია თაბახიან ქალაღზე, ყარანღაშით.

\*) შდგომ რუსეთის დერუნალ ოტინქატური.

\*\*) ორთავ ხსელა ვიცნობდი და ნამეტნავად გიორგის (მეფის გიორგის ქალი გაიანე იყო იმისი ცოლი, ჩემი ბიძაშვილი). აღამამადხანის მოსკელის დროსა ელიზბარ და გიორგი მოუსვენად ეთაგედს მხარეს დარბოდნენ ჩუმათ და მეფის ირაკლის ჯარის გამოყენას შლიდნენ. გიორგი რამდენჯერმე მეფის ირაკლის ჯარშიაც მიიჭრა და რევაზ ანდრეიკაშვილი ჩუმათ ნახა მეფის ირაკლის წასახდენათ. ვინც იმ ორთან მოლაპარაკებაში დასწრებია, თვთ იმისაგან გამიგენია ეს, თა ნინია ენდრეიკაშვილისაგან. ის ნინიაც იმ ჯარაინობაში იყო.



პიმატ გუ პიჭეთობულუც რანჭილუც თუ გუ სტყვი იგროიგ თუ  
-პიმა პიოუნე პიოუნეობი პიოდენ) აშიძეგერ რევიმიგუა იბტლუიგენ სელოპიოც  
ჭეგერ პი (ოკი ჭეგერ იოიგენ იპორტულუ პიჭეთობულუ იობანე პიიპეტ

**ანდერძი გენათლის მავის შის იოსებისა,**  
**1766 წელს დაწერილი**

პიმატ გუ პიჭეთობულუც იგროიგ რანჭილუც ა თ თუ (\* გუ სტყვი იგ  
იპოო პი ინტელობუ პიოუნეობი პიოდენ პიუნეპიმატულ ნი ინტეპელსიოც  
-ფენტონ ლიგობედუ თუ მემეცი იტლუიგობიტუ თეთუნტეგონონ კოფლ  
მემეს ანდერძი მე გადმომცა გადმოსაწერად ამ ნ წლის წინა დ დაფ.  
ჩხეიქემ. ანდერძი ფრად საინტერესოა თავის შინაარსით. როგორც ეტ-  
უბა, მეფის ძე იოსებ ოსმალებთან წასულა საქვეუნო საქმეებასათვის და  
წასვლის წინ ეს ანდერძი დაუტოვებია თავის ძმის მეფის სოლომონისა-  
თვის. ანდერძი დაწერილია 1766 წ. 23 აგვისტოს როდესაც იოსებ  
გენათელი მისისავე სიტყვით 27 წლისა და ცხრა თვისა უფთავდა. აქე-  
დან ჩვენ ვტოვობილბთ, რომ მეფის ძე იოსებ დაბადებულა 1738 წელს  
ნაკუმბერში. 1769 წელს ის დაინიშნა აფხაზ-იმერეთის კათალიკოსად და  
კარდაიცვალა 1776 წელს 13 მაისს ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა.

იპიოუნობო .ჯ. გუ .ჭეგ .ი .ა .ო .პიოუნეუ .პ-მამა .პიოდენტეცა

ქ. ჩემო ძმავო ბატონო საყვარელო მეფე სოლომონ. ს შენი  
ძმა გენათელ მიტროპოლიტი იოსებ ამ ანდერძს მოგახსენებ. ჩემი  
სიტყვა და ანდერძი ზეპირათაც მომიხსენებია და წიგნითაც მოგახ-  
სენებ. ჩემი რაც არის წიგნი ან შესამოსელი ყველა თქვენ გაბა-  
რია. მე რათვან თქვენის ერთგულებისა და ქვეყნისათვის ამ უსჯულ-  
ლოებში შევალ ვინ იცის რა ამიტყდება. ან მათი კელით რამ  
მოხვდეს ჩემი სიკვდილი და ან ჩემი თავის დლით და სნეულობით  
რომ მოვკდე. ესენი ასე მომახმარე.

ქ. ყირმიზი სტოფის ბისონი თეთრ ოქრომკედლიანი, ქ. ომფო-  
რი მარგალიტის ჯვარებიანი, იმ ომფორს რაც მარგარიტი  
და თვალი აქვს ნახევარის უფროსი ჩვენი არის მაგრამ ჩვენ მა-  
შინც საკუთრა საყდრისათვის შეგვიწირავს. ქ. სირმით ნაკერი ოლა-  
რი: ქ. მარგარიტის ენქერი, ქ. მარგარიტის სამკლავე ენქერი და სამ-  
კლავე თვლით გაწყობილი, ქ. სარტყელი ვეცხლის არის და ოქ-  
როთი დაფერილი, ქ. ყირმიზი გრიზეთის სტიხარი ბეზუმედის  
აშიიანი, ქ. თქვენი წყალობა გულსაკიდი ხატი არწივის. და ორმო-  
ცი ფუნდუხის წონა ჯაჭვი კილია ოქროსი. ჯაჭვს ნუ მოხსნი იმა-



ზედ იყოს. ქ. სირმა ვეცხლის ჯვარის სასანთლები. ქ. მღინაძე  
 ოქროს ღილებიანი და ყავარჯენი. ეს ერთი ხელი რაც ეპისკოპოსს  
 მოუხდება ყოლიფერი უკლისა არის ჩემს სიკვდილს უკან ესენი  
 დიდს საყდარს ჩემს გელათს შემეწირე როგორც ველოდე შენი  
 სიყვარულისაგან. და გენათლათაც მრომელიც ჩვენი მოგახსენეთ  
 თუ თქვენმა გუნებამაც ქნას მისი ყაბული ის დასვით ამისთვის  
 რომ ჩემს სულსაც უფრო შეიბრალებს და მოიხსენებს და თქვენი  
 ერთგული იქნება. რათგან დასვათ ძალი და ღონე და სიბრალუ-  
 ლი თქვენგან ასე უნდა ქონდეს რომ არც თავისმა სამღვდელმ  
 და საერომ კრებულმა არ აიგდოს და უმსახურობა ვერ გაუბედონ  
 თქვენი წყალობით ასე გებრალეობდეს საყდრის კეთებას და მუშა-  
 ვობას ნიადაგ უბრძანებდეს და გამთხილებდეს. ეკლესიის მამული  
 არ დაიბნას არც მისგან და არც თქვენ შეაწუხოთ. რაც ეკლესიის  
 მამული მიყიდა და დამიხსნია სოფლობით ან თითოეული ორორი კა-  
 ცი ყველა ხელახლა საფიცრით შემეწირავს აზნაური და გლეხი.  
 რაც ჩემი ეკლესიის კაცი ჩემს გენათლობაში ან თეთრით მიყიდა  
 და ან სიტყვით ამომიყვანია. ვინც ესენი ჩემს ეკლესიას გამოართ-  
 ვას ძალით ან ნებით. შეჩვენებული იყოს ისულით და ეკორციით  
 უკუნისამდე კიდე ორი ბიჭი ერთი აზნაურის შვილი გეტოს შვილი.  
 და მეორე გლეხი კაცის შვილია კაპანაძის. საყდრის ყმა არ იყვენ  
 ესენი ორივე ჩვენი ნაყიდი არის გეტოს შვილი ჩვენს მოძღვარს  
 და სულს ვამსახურეთ სანამდის ცოცხალი არის და მას უკან აზნ-  
 ტი აქვს ჩვენგან და მისგან კაცს მასთან წელი აღარა აქვს მისთვის  
 უნდა წავიდეს სადაც ერჩიოს საქრისტიანოში. და კაპანაძის შვი-  
 ლი. ბიძა ჩემს ბრძას გედევანს მივეცი სიცოცხლეში მანც იმსახუ-  
 როს და მას უკან მასაც აზნატი აქვს ჩვენგან და იმასაც სადაც ერ-  
 ჩიოს უნდა მისთვის იყოს საქრისტიანოში. უკან მგებ ეპი დეფონტურს  
 სხვა ეს მოიხსენეთ იოსების ეკვდერი რომ არის წინამძღვრის  
 ქიქინაძის. რომ დამკლებოდა ჩემთვის მსამარხათ ის მინდოდა. და  
 თუ მოვკდე ამ დროში იმაშიდ დამმარხეთ. იმას მამული აღარა  
 აქვს. თქვენ რომ ვატანგ (სიხ) ია შვილი მამული მიბოძეთ ჩემს სასაფ-  
 ლავოს ის შემეწირეთ უცილობელათ რომ არავინ. ბერი ან ერის  
 კაცი არ ეცილებოდეს. ესენი ღთისი სიყვარულისათვის ქენით და  
 ჩემი სიბრალულისათვის. *ქიქინაძისათვის შექმნილ მამული*

ქ. იმ კაცებს თავის ბეგარაზე ცოტა ცოტა მოუკლით და მა-  
 გიერი სანთელ საკმეველათ შემეწირეთ ბეგრის მონაკლები ჩემს სასა-



ფლავოს რომელიც ჩემი ბერი მოგახსენეთ საფლაზე ის დამიყენეთ  
 თქვენ რომ ორმოცი მარჩილი მიირთმიეთ ჩვენგან და ყვებრა ურია  
 რომ მიბოძეთ თავისი ცოლშვილიანა ისიც შემიწირეთ ჩემს სასაფ-  
 ლავოს თავის ბევრით. ქ ჩვენც ეს შეგვიწირავს იმ ეკვდრისათვის  
 ბარძიმ ფერშხუმი კოვზ კამრიანათ სირმის მძიმეთ დაფერილი. ოქ-  
 რო მკედით ნაკერი ყირმიზს ატლასზე დაფარნა და პერქლები  
 ტრაპეზის გარდასაფერებელი და ოდიკი. პატარა სახარება მამიჩე-  
 მის წყალობა ვეცხლის კუბოში არის და მოქედლილი ჯვარი. ერთი  
 მოუქედელი ჯვარი საიახმე. ჩემი ღთის მშობლის კატიც იმაშიდ  
 დამისვენეთ. ქ. ერთი ახალი გრიზეთის სტიხარი ერთი ზარბაზის  
 ფარჩის ოლარი. ერთი სირმა ვეცხლის სარტყელი დაუფერავი.  
 ერთი სირმით ნაკერი და მარგალიტიანი სამკვლავე. ერთი ენქერი  
 ყვითელი ოქრომკედით ხავადზე (sic) ნაკერი. ერთი ყვითელი ღიბის ბი-  
 სონი დაარღვევინეთ ის ბისონი და ფილენათ შეაკერვინეთ. ერ-  
 თი პატარა ჯვარი წინამძღვარის გულსაკიდათ. კონდაკი კურთხევა-  
 ნი სახარება სამოციქულო ჟამნი დავითნი ჩემი პატარა გულანი  
 სტამბის ზატიკი და სხვა წიგნე (sic) რაც ჩემი გამოვიდეს ყველა ესენი  
 იმ ჩემს ეკვდერს შემიწირე. თეთრი მაშინაც მოგახსენე რომ ამის  
 მეტი არა მაქვს თქვა. ასი ფლური ბისენის ფასი იესე ბერძენს მარ-  
 თებს და მის ამხანაგს და ოთხმოცის მეტს ნუ სთხოვთ ასი მარჩი-  
 ლი სარგებლით ბაინდურაშვილს მართებს და თამასუქი ქუთათელს  
 აბარია სარგებელს ნუ სთხოვთ და მთავნი გამოართვით. ასი  
 მარჩილი თქვენი მმართვეს და მიირთმიეთ \*). ჩემს  
 ეკვდერს არცა აქვს საცეცხური და არც სეფისკვრის ფეშხუმი. ორ-  
 მოცდაათი მარჩილი იმ ორის გაკეთებისათვის ჩემს ეკვდერს უბოძეთ  
 და სხვა რაც ამას მორჩეს როგორც ღმერთი გიყვარდეს ან ჩვენ გებ-  
 რალეობოდეთ ისე ჩვენს სულს მოახმარეთ. ჩვენს სულს ნუ დაივიწ-  
 ყებთ. სხვა შესამოსლის კოლოფში სადიაკნო გრიზეთის სტიხარი  
 არის. ის ჩვენს არქიდიაკონს ჩიჯავაძე ბერს ანტონის უბოძეთ.  
 კიდე კოლოფში მარგალიტი არის და ვეჭოფ თვალიც არის ყველა  
 დიდი საყდრის არის ჩემო ბატონო და იმას უბოძეთ. სხვა რომე-  
 ლიც ნახოთ იმ კოლოფში რომ ამ ჩემს ანდერძში არ ეწეროს ყვე-  
 ლა მოგვახმარეთ ჩემი ბერების საქმე როგორც მოგახსენეთ ისე  
 გაარიგეთ. და ან ყმის და მოსამსახურის როგორც მომეხსენებიას

\*) ეს წაშლილია. სიორგენ დიდიწინენ. დიუგენსკი ფლავოს იორიგ





## თორელთა გვარაულოზის შესახებ

მე-XII და მე-XIII საუკუნის საქართველოს ისტორიაში, როგორც ცნობილია, თვალსაჩინო როლს ასრულებს თორელთა გვარეულობა, რომელიც არც მე-XII საუკუნეზე უწინარეს არის ცნობილი და არც მე-XIV საუკუნის შემდეგ იხსენიება. პირველად ეს გვარი მოხსენებული აქვს თამარ მეფის მემატიანეს თამარის მამის გიორგი მეფის მეფობაში:

„მას ჟამსა შინა ანისსა განამტკიცებდა თორელი, დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“ (ქართლ.ცხ., I, 269)

„უბრძანა (გიორგი მეფემან) ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, ხოლო მესხთა და თორელთა კარისა და აშორნისა“ (იქვე, 271).

„მაშინ დიმიტრი (გიორგი მეფის აჯანყებულმან ძმისწულმან) მყოფმან ციხესა შინა ლორისასა წარგზავნა ლაშქარნი, რომელნიცა დარჩომოდეს ერთგულობასა შინა მისსა და სხუანი თემისა და თემის მესხნი, თორელნი, ქართველნი, სომხითარნი და თუით გამზრდელი მისი მეჯინიბეთ უხუცესი ჭიაბერი“ (იქვე, 273).

თამარ მეფემ იმავე მემატიანის სიტყვით თავის გამეფებისას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ამილახორობა უბოძა გამრეკელ თორელს, რომელიც სარგის მხარგრძელის შემდეგ დაინიშნა ამირსპასალარად (იქვე, 283). ეს გამრეკელი იყო ძე კახასი (იქვე, 286). ამ გამრეკელს დარჩენია შვილებიც:

„ამას შინა მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი. ესე ყოველთა იგლოვეს და დიდათ დაუძძიმდათ და თმოგვისაგან კიდე არარა დააკლეს შვილთა მისთა: მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარია მკარგრძელსა, ძესა სარგისისა ამირსპასალარისასა“ (იქვე, 297).

ცნობილნი ისტორიულნი პირნი ძმანი შალვა და ივანე ახალციხელნი თორელნი ყოფილან:

„ოცდამესამედ გინათუ მეოთხედ აღმავლობასა მეფობისა მისისასა წელიწადსა, იკითხა საქმე კარისა. რამეთუ მრავლით ჟამითგან



კბრძოდეს სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი, ვერა ღონე ქნეს აღებისა“ (იქვე, 326).

„მაშინ სულტანმან ყიასდინ მოუწოდა ყოველთა სპათა და შემოკრიბა მკედრობა თუისი, კაცი ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი (თათართა წინააღმდეგ) და უჩინა მკედართ მთავრად შარვაშისძე აფხაზი სახელით დარდანი... ამასთანა ფარადავლა თორელის ახალციხელის შალვას ძე, რომელი იგი ლტოლვილი წარსულიყო სულტნის წინაშე, კაცი მკნე და რაზმთა შინა სახელოვანი“ (იქვე, 362).

როდესაც მონგოლებმა 1245—1247 წლებში საქართველოს ლაშქარი 7 თუმნად გაყვეს, ჯავახეთი, სამცხე და აღმართ კარნუქალაქამდის ჩააბარეს თორელს გამრეკელს (იქვე, 371). თორელი გამრეკელი კარგად ცნობილია ჩვენს ისტორიაში თათრების ბატონობის დამკვიდრების პირველ ხანებში. მატიანეში ის იხსენიება რუსუდანის და შემდეგ დროს 1236—1247 წლებში (ქართლ. ცხოვ. I, 362, 364, 370, 375, 377).

როდესაც დავით ნარინი 1249 წ. თათრებს გაექცა, „მოიწია თორს ლიპარიტ თორელისასა, რომელსა დევის ყურცა ეწოდებოდა და მან უძღუნა ცხენნი და შესამოსელნი და წარჰყუა ქუთათისს“ (იქვე, 383).

დავით ლაშას ძის დროს ცნობილია კახა თორელი, რომელიც ჯერ იხსენიება როგორც ერისთავი ახალქალაქისა (იქვე, 390) და შემდეგ ვითარცა მეჭურჭლეთუხუცესი (იქვე, 408). მეჭურჭლეთუხუცესობის დროს არის ზოძებული მის მიერ ცნობილი რკონის სიგელი. კახას, როგორც რკონის სიგლიდან სჩანს, ცოლად ყოლია მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელის ასული ხათუთა. კახას ჰყავდა ძმები (ქრონიკ., II, 133—142).

მე-XIII საუკუნის მიწურულს და მე-XIV საუკ. დასაწყისს მატიანეში თორელნი კიდევ იხსენიებიან (გვ. 434, 435, 447). მე-XIV საუკუნის დასაწყისში მატიანეში ცნობილია ჯავახის შვილი გამრეკელი (გვ. 444), რომელიც ცოცხალი ყოფილა 1344 წ. ოკტომბერში (საქ. სიძვ., II, 10). გამრეკელს ყოლია შვილი სარიჯნა, მოხსენებული გარდა ამ 1344 წლის სიგლისა ჯვარის მონასტრის აღაპებში (ნ. მარრის გამ., გვ. 26): (წირვაჟ და აღაპი) „ჯავახის შვილისა სარიჯნისი და მისისა მეუღლისა ორბოძლელისა ასულისა





თამარისი“. ამ გამრეკელის „ბიძაძე“ ყოფილა შალვა, რომელიც ცნობილია 1339 წლის სიგელით როგორც მეფეებთან უხუცესი (საქ. სიძ., II, 9). მანდატურთუხუცესის ბექას შვილს, როგორც ერთს ბექას მიერ დაწერილ საბუთიდან სჩანს, ცოლად ყოლია კახას და. ეს კახა კიდევ ერთი ახალი და უცნობი წარმომადგენელი უნდა იყოს თორელთა გვარეულობისა. დაგიწერე უთუმცოი დრო დაუდებელი და მიზეზისაგან უმიზეზოი თქუენ კახასა, თქუენსა ცოლშვილსა მე ბექამან მანდატურთუხუცესმან, ჩემმან ძემან სამცხისა სპასალარმან სარგის, ყუარყუარე, ნათესავნი ყოფილან ჩუენი სახლი და თქუენი ოდეს მამაი იყო და მათი უკანით რაი მე დავჩი, ჩუენისა სახლისა ერთმანერთისა მოყუარენი, მომკმარებელნი, მეშველნი და ძემან ჩემმან თქუენი დაი შეირთო და ველარაი სიყუარულით ყოფილვიყუენით. აწ უკანის ჩუენ ვიმზახენით და ზეხაი და მოგეც და ვერ ვითმე იყუნეს და კიდე განსაცდელი გარდაუშვით. აწ ამას იქით ვიყუნეთ ჰაგრევე ვითა წინას ყოფილ ვართ გაუყრელნი და მოდაწერილნი“... (საქ. სიძვ., II, 7—8). უკანასკნელ, ერთი მე-XIV საუკუნის სიგელი, რომელიც ბოძებულია ერთ გიორგი მეფის მიერ მეფობის 39 ინდიკტიონს\*), ამტკიცებს, რომ ჯავახიშვილნი არიან თორელნი: „მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი დიდად ერდგული თორელი ივანე და გუეაჯა და მოგუაქსენა, რათამცა კოჭრისა ძირსა მონასტერი ათენაგუენი მიგუებოძა, დაგუაჯერა ონი და... ვინებედ თორელისა ჯავახიშვილისა ივანესი და მიუბოძეთ კოჭრისა ძირსა მონასტერი ათენაგუენი სამკუილროდ“ (საქ. სიძვ., II, 8-9).

ზემოდ მოხსენებულ ცნობებს შორის უპირველს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ცნობილნი ისტორიულნი პირნი ძმანი შალვა და ივანე ახალციხელნი თორელნი ყოფილან. შალვასა და ივანეს შთამომავლობის შესახებ ფრიალ საინტერესო ცნობა აქვს დაცული მათ მომსწრე მე-XIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს კირაკოსს, რომელიც გადმოგვცემს: „სომხეთში ლეონის

\*) რედაქტორი „საქ. სიძვ.“ ამ სიგელს მიაკუთვნებს გიორგი ბრწყინვალეს, მაგრამ ჩემის აზრით შეიძლება უნდა იყოს. სიგელი უნდა ეკუთვნოდეს გიორგი მეფეს დავითის ძეს, ძმისწულს გიორგი ბრწყინვალისას. ჩემის გამაზნარეობით გიორგი დავითისძე გამეფდა 1309 წელს, ხსენებული სიგელი მაშასადამე ბოძებული უნდა იყოს 1348 წელს.



მეფობის დროს აღმოსავლეთში იყო ორი ძმა ერთი სახელით ზაქარია და მეორე ივანე, ძენი კეთილმსახურ მთავრის სარგისისა, ძის ვარამისა, ძისა ზაქარიასი, შთამომავლობით ქურდნი ბაბირაკანხელედგან. . . ზაქარია იყო ამირსპასალარი საქართველოსი და სომხეთისა, რომელიც ემორჩილებოდა ამ ქვეყნის მეფეს. ივანეს ჰქონდა ტიტული ათაბაგისა. მათ მრავალი ბრწყინვალე გამარჯუება ნახეს და დაიპყრეს ერევანის ქვეყანა და რამოდენიმე მხარე სომხეთისა რომელიც ექირათ სპარსთ და ტაჟიკებს. . . მეორე მთავარმა ზაქარიამ თავის ძმით სარგისითურთ, რომელიც არის მამა შალვა დ ივანესი, ნათესავმა ზემოდ ხსენებულ დიდთა მთავართა, მათის დახმარებით წაართვა სპარსელთ რამოდენიმე ქვეყანა და მაგარი ციხეები: გარდაბანი, კარპერცი, ერგევანქი, ტაეუში, ტერუნაკან, გავი. მან შეივიწროვა ქალაქი შამქორისა, რომელიც შემდეგ აიღო მისმა შვილმა ვარამმა, აღბულას მამამ და პაპამ ვარამისა, ზაქარიასი დ ივანესი.“

ახლა უკვე ცნობილია, რომ ზაქარია (ბლუ ზაქარიად წოდებული) და მისი ძმა სარგის იყვნენ ძენი ვარამისნი, ძმის ამირსპასალარისა სარგის მხარგრძელისა. სარგისს გარდა შალვა დ ივანესი ყოლია კიდევ შვილი მხარგრძელი \*). სარგისი იყო თმოგველი, მისი სიკვდილის შემდეგ მხარგრძელი დარჩა თმოგველად (აღბად მხარგრძელი იყო უფროსი შვილი) ხოლო შალვა და ივანეს მიეცათ ახალციხე და იწოდნენ ახალციხელად. აქედან ცხადია, რომ ძმანი ახალციხელნი ყოფილან მხარგრძელების გვარეულობის წარმომადგენელი, ხოლო რაკი ახალციხელნი თორელებად იხსენიებიან, მაშასადამე თვით თორელები ამავე მხარგრძელების გვარეულობისა უნდა ყოფილიყვნენ. ეს ცხადად სჩანს თამარ მეფის მემტიანის ერთი ადგილიდანაც: „მაშინ უბრძანა (თამარ მეფემ) ამირსპასალარსა გამრეკელსა, ოთხთავე მკარგრძელთა და სხუათა თორელთა ზემოთა და ქუემოთა წარსლვა და მიგებება წინა (გიორგი რუსისა) ქუეყანასა ჯავახეთისასა“ (ქართლ. ცხ., I, 295). ამირსპასალარი გამრეკელი იყო თორელი, ხოლო ოთხნი მხარგრძელნი არიან ძენი სარგისისა და ვარამისა და როგორც ამ ციტატიდან სჩანს, თამარ მეფის 1195 წლის მემტიანის მიხედვით, ყოფილან აგრეთვე თორელებად.

\*) ჩემი — ვინ იყო და რაღის ცნობრბდა სარგის თმოგველი?



რელნი. ამისდა მიხედვით ექვს გარეშეა, რომ თორელები მხარგრძელნი ერთი გვარეულობის ყოფილან. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თორელი უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარებულა და მთელი გვარის წოდებულება ყოფილა და მხარგრძელნი, როგორც მატინის ამ ადგილიდან სჩანს, თორელების გვარეულობის ერთი შტო ყოფილა („ოთხთავე მკარგრძელთა და სხუათა თორელთა“). ეხლა ჩვენ შეუდგეთ თორელების გენეალოგიურ შტოს გამოძიებას. როგორც ზემოდ დავინახეთ, კირაკოსის სიტყვით ზაქარია და ივანე მხარგრძელების მამა იყო სარგის, ძე ვარამისა, ძისა ზაქარიასი. ამ გვარსავე შთამომავლობის შტოს იძლევა ვარდან დიდიც. ის ამბობს: „ამ დროს ცხოვრობდნენ სახელოვანი მთავრები ზაქარია და ივანე, ძენი სარგისისა, ძისა ვარამისა, ძისა ზაქარიასი, ძისა სარგისისა. ისინი იყვნენ ქურთნი და გარდმოსულიყვნენ ძოროგეთის მეფეებთან ბაგრატიონებთან, მიეღოთ ქრისტიანობა და პატივში შესულიყვნენ. საცხოვრებლად მათ მიეცათ ხოშორნი. ისინი თავისი წხედარმთავრობრივ სიმხნით თანდათან ამალდნენ, ხოლო უმთავრესად კი სახელგანთქმულ შვიქნენ თამარ მეფის დროს, რომელმაც მათ უბოძა ლორი.“ მაგრამ კირაკოსისა და ვარდანის მიერ წარმოდგენილი გენეალოგიური ტაბულა ვერ პოულობს საფუძვლით გაპართლების უტყუარ საბუთების მხრივ. ზაქარია და ივანე მხარგრძელების მამის ამირსპასალარის სარგისის საფლავის წარწერიდან სანაინში სჩანს, რომ სარგისის მამა ყოფილა ზაქარია და პაპა—ავაგ სარგისი \*). ეს ავაგ სარგის, პაპა ამირსპასალარის სარგისისა, მოხსენებულია ახპატის მონასტრის ერთს წარწერაში, რომელშიაც იხსენიება, რომ მას წირვა გაუჩენია თავის მამის ხოსროს და ძმის ქარიმის მოსახსენებლად \*\*). საფიქრებელია, რომ ეს ქარიმი უნდა ყოფილიყო თორელების გვარეულობის წარმომადგენელი, ხოლო რადგანაც როგორც ზემოდ დავინახეთ, საგვარეულო სახელი „თორელი“ სხვა შტოს და არა მხარგრძელებისას შერჩა, ამიტომ ქარიმი უნდა ყოფილიყო უფროსი ძმა ავაგ სარგისისა. ამ შემთხვევაში თორელების სახელწოდება შერჩებოდა უფროსს შტოს (ქარიმისას), ხოლო იმავე თორელების უნცროსი შტო იწოდა მხარგრძელად.

\*) *4. კითხვასთან, ქიქნის თარხიქი, 36:*

\*\*) იქვე, 231.



როგორც ვნახეთ, პირველი თორელი, მათიანეში მოხსენიებული არის კახა, რომლის შვილი იყო გამრეკელი თორელი. 1187 წელს ეს სარგის მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ დაინიშნა ამირსპასალარად და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გარდაიცვალა. ამ კახას მამის სახელი არა სჩანს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში გენეალოგიური ტაბულის შედარებით შესწავლას, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ კახას მამა ყოფილიყო ქარმიძე, ძმა ავაგ სარგისისა. ამირსპასალარს გამრეკელს დარჩენია შვილები, მაგრამ ამათი სახელები არა სჩანს. ცნობილია მხოლოდ მონგოლების შემოსევისა და ჩვენში დამკვიდრების დროს თორელი გამრეკელი, რომელიც შესაძლებელია იყო შვილი შვილი ამირსპასალარის გამრეკელისა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შვილიშვილს ხშირად პაპის სახელი ერქვა, ამიტომ შესაძლებელია, რომ ამ მესამე გამრეკელის მამას ერქვა სახელად კახა, პაპის სახელი. კახა თორელი, ახალქალაქის ერისთავი და შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი, შესაძლებელია იყო შვილი ამ გამრეკელისა. კახა მეჭურჭლეთუხუცესს 1259 წლის ახლოს რკონის სიგელის დაწერის დროს შვილი აღარ ყოლია და მე-XIV საუკუნეში ცნობილი პირი ჯავახის შვილი გამრეკელი წარმოშობილ უნდა იყოს მისი ერთერთ ძმისაგან. 1249 წელს მათიანესაგან ცნობილია ლიპარიტ თორელი დევისყურად წოდებული და შესაძლებელია ეს არის ერთი ძმათაგანი კახასი. საინტერესოა, რომ ლიპარიტ თორს ზის, შესაძლებელია ამ დროს ის იყო გვარეულობის მოთავე და მამასადავამე უფროსი ძმა კახასი. ეხლა თუ კი ყველა ამ ცნობებს თავს მოუყრიით და აგრეთვე სახეში ვიქონიებთ მე-XIII საუკ. დასაწყისის თმოგველების შესახებ ცნობებს\*), მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგს გენეალოგიურ ტაბულას:

მეჭურჭლეთუხუცესი	კახა	გამრეკელი	თორელი
მეჭურჭლეთუხუცესი	კახა	გამრეკელი	თორელი
მეჭურჭლეთუხუცესი	კახა	გამრეკელი	თორელი
მეჭურჭლეთუხუცესი	კახა	გამრეკელი	თორელი
მეჭურჭლეთუხუცესი	კახა	გამრეკელი	თორელი
მეჭურჭლეთუხუცესი	კახა	გამრეკელი	თორელი

\*) ჩემი—ვინ იყო და რადის ცხოვრობდა სარგის თმოგველი?



**ხოსრო**

**ძარიშ**

**ავაშ სარგის**

**ქახა**

**ჯაძარია**

**გამრქაქელი**

ამირსპასალარი თამარის დროს.

(ქახა?)

**გამრქაქელი?**

სჩანს 1236-1247 წ.

**ლიპარიტ**

**ქახა**

მეკურ. უხ.

**ჯავახი**

**ქახა**

**გამრქაქე-ლი**

**შალვა**

სოც. მეაბჯრეთუხ. 1344 წ. სოც. 1339 წ.

**საკიჯნა**

ტელმანგ სეფიანი  
სებლად ვაზბეგი

**ვარაშ ჯაძა-ივანე**

**რია**

**სარგის**

ამირსპას.

† 1187

**ვარაშ**

† 1178 წ.

უწინ.

**ჯაძარია ივანე**

მანდ. უხ. ათაბაგი ამირსპას. † 1227

† 1212

**ჯაძარია სარგის**

**შანუშ**

**ავაშ**

**ვარაშ**

მანდ. უხ. ათაბაგი † 1261

მსახ-**შხარ-შალ-ივანე**  
ურთ-**ზიძე-ვა**  
უხუც-**ლი** ახალ-  
სჩანს თმოგ-**ცი-**  
1206-**ველი ხელი**  
1245

**ჯაძარია**

† 1261

**ალგუ-სარ-შარა-დავით**  
**ლა გის დავლა**

ცნობილი (ქართ. ქ. ცხ. მწერალი ცხ, I, I, 365). სჩანს 362) 1236-1250 წლ.

სიქლასანგ სეფიანი  
მან სებლად ვაზბეგი

ინტენციონით სიგებლად ჟენთონობე მიჯნობა რეი მიგ - სიქლ (



ამ გვარად, თორელების გვარეულობა უნდა იყოს ქურდისტანიდან გამოსულ და შემდეგ გასომხებულ გვარეულობას უმთავრესი შტო. უნკროსი შტო ამ გვარეულობისა (მხარგრძელნი) სომხითში დარჩენილა, ხოლო უმფროსი შტო მოსულა ქართლში, იქ დაბინადრებულა და მალე გაქართველებულა. თორი, უმფროსი შტოს სამკვიდრო აღგილი, ვახუშტის გეოგრაფით მდებარეობდა სადგერის ხეობაში. თორის წყალი მტკვარს ერთვის ბორჯომთან. „ხოლო ქვარების დასავლით და მძოვრეთის სამკრით არს მდინარე და კეობა თორისა, რომელი გამოსდის ქვარებსა და ამის შუათს მთასა და მიდის დასავლით, მერმე მომრგვალებების ჩდილოთ სადგერს ზეით და მიერთვის მტკვარს სამკრიდამ და აწ განყოფილ არს სადგერად და გუჯარეთად“ (ვახუშტი). რადგანაც უმფროსს შტოს თორელი ეწოდა, ამიტომ როგორც მათიანის ზემოდ მოხსენებულ ერთს ცნობიდან სჩანს, მხარგრძელებიც ჩვენში თორელებად იწოდებოდნენ, მე-XII საუკუნის დასასრულს მაინც. თორელები, როგორც ეტყობა, ადრე გაქართველებულან, მალე გაქართველდენ შემდეგ მხარგრძელების ზოგიერთი შტოებიც.

დღეს ითარგმნება ქართული ენის სიტყვები, რომლებიც უნდა იყოს ქურდისტანიდან გამოსულ და შემდეგ გასომხებულ გვარეულობას უმთავრესი შტო. უნკროსი შტო ამ გვარეულობისა (მხარგრძელნი) სომხითში დარჩენილა, ხოლო უმფროსი შტო მოსულა ქართლში, იქ დაბინადრებულა და მალე გაქართველებულა. თორი, უმფროსი შტოს სამკვიდრო აღგილი, ვახუშტის გეოგრაფით მდებარეობდა სადგერის ხეობაში. თორის წყალი მტკვარს ერთვის ბორჯომთან. „ხოლო ქვარების დასავლით და მძოვრეთის სამკრით არს მდინარე და კეობა თორისა, რომელი გამოსდის ქვარებსა და ამის შუათს მთასა და მიდის დასავლით, მერმე მომრგვალებების ჩდილოთ სადგერს ზეით და მიერთვის მტკვარს სამკრიდამ და აწ განყოფილ არს სადგერად და გუჯარეთად“ (ვახუშტი). რადგანაც უმფროსს შტოს თორელი ეწოდა, ამიტომ როგორც მათიანის ზემოდ მოხსენებულ ერთს ცნობიდან სჩანს, მხარგრძელებიც ჩვენში თორელებად იწოდებოდნენ, მე-XII საუკუნის დასასრულს მაინც. თორელები, როგორც ეტყობა, ადრე გაქართველებულან, მალე გაქართველდენ შემდეგ მხარგრძელების ზოგიერთი შტოებიც.

დღეს ითარგმნება ქართული ენის სიტყვები, რომლებიც უნდა იყოს ქურდისტანიდან გამოსულ და შემდეგ გასომხებულ გვარეულობას უმთავრესი შტო. უნკროსი შტო ამ გვარეულობისა (მხარგრძელნი) სომხითში დარჩენილა, ხოლო უმფროსი შტო მოსულა ქართლში, იქ დაბინადრებულა და მალე გაქართველებულა. თორი, უმფროსი შტოს სამკვიდრო აღგილი, ვახუშტის გეოგრაფით მდებარეობდა სადგერის ხეობაში. თორის წყალი მტკვარს ერთვის ბორჯომთან. „ხოლო ქვარების დასავლით და მძოვრეთის სამკრით არს მდინარე და კეობა თორისა, რომელი გამოსდის ქვარებსა და ამის შუათს მთასა და მიდის დასავლით, მერმე მომრგვალებების ჩდილოთ სადგერს ზეით და მიერთვის მტკვარს სამკრიდამ და აწ განყოფილ არს სადგერად და გუჯარეთად“ (ვახუშტი). რადგანაც უმფროსს შტოს თორელი ეწოდა, ამიტომ როგორც მათიანის ზემოდ მოხსენებულ ერთს ცნობიდან სჩანს, მხარგრძელებიც ჩვენში თორელებად იწოდებოდნენ, მე-XII საუკუნის დასასრულს მაინც. თორელები, როგორც ეტყობა, ადრე გაქართველებულან, მალე გაქართველდენ შემდეგ მხარგრძელების ზოგიერთი შტოებიც.



### გვიჩი ამილახვარის გაძევება ქ. ტფილისიდან.

აღ. ჯამბ.-ორბელიანი.

ეს უნდა გამოვარკვიოთ, იმის გაქცევის მიზეზი რა იყო? ის გვიჩი ამილახვარი ჩვენი სახლის სიძე იყო, ჰაზიჩემისმამის ელიზბარ ეშქადაბაშის და ჰყუანდა ცოლათ. აღრეც და ამ დროშიაც ჩვენს სახლსა დიდი დამოკიდებულობა ჰქონია ნათესაობით ჯერ მეფეს ვახტანგის სახლთან \*), მასუკან ქართლში თვით იმ განძლიერებულს გივთან, შერეთ სომხიაში ბარათაშვილის ამილახვარის ოჯახთან \*\*), შდგომად იმერეთში ჩიჯავაძის ოჯახთან \*\*\*) და დასასრულ თვთ მეფეს თეიმურაზ მეორესთან. \*\*\*\*) სხუბბიც ბევრნი იყვნენ, მაგრამ მომატებული ლაპარაკი რაღა საქიროა ამ ხსენებულს ძლიერს ოჯახებთან. ერთი მეფის თეიმურაზის წიგნი არის ჩუქნს ოჯახში, რლიცა ჩვენი სახლის ქალს ითხოვს თავის შვილის ირაკლისათვის, რლსაცა იმ წიგნს აქ წაიკითხავთ. აი რას იწერება:

„ქ: ჩვენგან მათ საკადრისად დღე ყოველ დიდებით სახსოვართ და მათ შესატყვისად კეთილად არაოდეს დასავიწყართ ყაფლანი-შვილებს ბატონს ელისბარს და ბატონს ვახტანგს მრავალ მაგათის ყოვლის სამღთო სადიდუაცოს ზნე სრულებით უნაკლულოს კაის თავის მოკითხვა და კარგად ყოფნის სიხარული მოახსენეთ. მერმე თქვენი ოჯახი კელმწიფეთ მემძხლენი ყოფილან და ჩვენც თქვენი მოყრობა მოვინდომეთ. ერეკლესათვის თქვენი ქალი მოგვეცით და

\*) ეშქადაბაშს თა ელიზბარ ჯ. ორბელიანს მეფის ვახტანგის დისწული ჰყუანდა ცოლათ.

\*\*) ელიზბარ ეშქადაბაშის ბიძაშვილი ჰყუანდა ცოლათ ამილახვარს, ქალი ერასტისა, ქართლის მეფის დიანბუკისა.

\*\*\*) იმერეთში ჩიჯავაძეს მეფის ვახტანგის და ჰყუანდა ცოლათ და ამათი ქალი ელიზბარ ეშქადაბაშის ცოლი იყო, ზევით ხსენებული.

\*\*\*\*) მეფე თეიმურაზის ცოლი იყო თამარ დედოფალი. მეფის ვახტანგის ქალი და ელიზბარ ეშქადაბაშის ცოლის ელენეს ბიძაშვილი იყო თამარ დედოფალი.



მოყრობა და ერთობა კიდევ უფრო გავაახლოთ. სარდალს (ქაიხოსროს) და ამილახვარსაც (გივი) წიგნები მივწერეთ და სხუას ჩვენს სიტყვას ჩუპნი მორღალი პაატა მოგახსენებსთ, ბატონო“. (ბექელი) მეფე თეიმურაზ. წიგნი კი უქრონიკონოა.

ამ დროს სარდალი ქაიხოსრო ჯ. ორბელიანი და გივი მიდგომილი იყვნენ მეფის თეიმურაზის კერძ და იმისი მხარე ეჭირათ, რადგან მეფე ვახტანგ რუსეთში გადავიდა, საქართველოზედ კელი აღლო, ამისთვის იმას მიუდგნენ საქართველოს გასაფრთებლად და ძალიან კარგათაც ქნეს, მაგრამ ქაიხოსროს სარდლის გული აღარ მოასვენეს. ეშმაკებმა და თავის თავზედ შიში მისცეს. თუ მეფის თეიმურაზის შვილი ირაკლი ელიზბარ ეშკალაბაშის ძმისწულს ვახტანგის ქალს ანას შეირთამდა, მაშინ იგი დაიღუპებოდა\*). ეს თქვამები რომ დაუნერგეს ქაიხოსრო სარდალს, ამ დროს ბატონი შვილი ირაკლი ინდოეთიდან მოვიდა საქართველოში და მათენი ხანი აღარა გამოვიდა რა, ელიზბარ ეშკალაბაშის ძმისწული ვახტანგის ქალი ანა წაიყვანეს ბატონი შვილის ირაკლისათვის საქორწინოდ. ამაზედ გული შეუწუხდა ქაიხოსროს სარდალს, რა ქნას, როგორა ქნას. ამასთან დაუყოვნად თვთ ბატონი შვილის ირაკლის მახლობლები შეუჩინეს მისყიდვითა ყმაწვილს კაცს ირაკლის. ჯერ იმ ღთიურს ქალზედ ბევრი რაღებიც უთხრეს, მას უკან ელიზბარ ეშკალაბაშზედ: მითამ ქრისტანებს თავის ყმებსა ტყვეთ ჰყიდდეს ოსმალებზედ და ბოლო დროს ორგულემა უთხრეს ელიზბარ ეშკალაბაშისა მეფის თეიმურაზის ოჯახზედ. ამისგამო ბატონი შვილი ირაკლი ასე გააჯავრეს, რომა თავგადაკლულმა აღარა ქნა შერთვა იმ ქალისა. სწუხდნენ მეფე დედოფალი, მაგრამ აღარ იქნა, ვეღარ დაიბრუნეს ირაკლის გული, რელიცა შდგომ ის ქალი იქნა მონოზანი ალავერდში, სადაც მწუხარებით მოკვდა და იქვე არის დამარხული. შდგომ მეფე ირაკლი თურმე იტყოდა თავის ცოლ-შვილში: მე რომ ვახტანგ ყათლანი შვილის ქალი მამაგონდებამ, იმის სიბრალული ძალიან შემაწუხებს ხოლმე, ყმაწვილი ვიყავ და ყმაწვილი კაცობით შემაცდინეს, რომ იმაზედ ჯვარი აღარ დავიწერე.

\*) მაშინ რუსეთის აკენტებმა იყვნენ აქ საქართველოში და ისინი ჩუმად ცდილობდნენ ერთმანეთში წინააღმდეგობა ყოფილიყო, რა ლეებიცა საწადელსაც მისწევნიდა იყვნენ ის რუსეთის თვით აქაურა აკენტები.





როგორც შდგომ შევიტყე, ეს სულ ქაიხოსრო სარდლის საქმე იყო თავის შიშის გამო. მაგრამ იმ თავის უბრალო ტყუილმა შიშმა გივს ამილახვარს საქართველო დააღუპინა და სომხითი ხომ სულერთიანათ გაოხრებინაო. სხუასაც ბევრს იტყოდა ხოლმე მეფე ირაკლი იმ ამბებზედ, რ'ლიცა აღარ მოვიხსენე აქა, საჭიროთ აღარა ვრაცხ და შესატყობად ესეც კმარა. ახლა ამის შდგომ გივის ამბავი მოვყვეთ, რა ქნა იმან?

როდისაც ნადირშა დარბანდს იყო და ქართველები საჭირონი აღარ იყვნენ, დაითხოვა და გივს ამილახვარს მოსცა ვეჭილობა ქართლისა. წამოსული ესენი რა მოვიდნენ მეფეს თეიმურაზთან, აქ გივს დახვდა ამბავი: ბატონიშვილმა ირაკლიმ შენი ცოლის ძმის ვახტანგის ქალზე ხელი აიღო და იმერეთიდგან მოიყვანა თა მხეიძის ქალი, რ'ლმაცა ჯვარიც დაიწერაო. გივი ამილახვარი იმისთანა კაცი არ იყო, რომ თავის ცოლის სამშობლოს დამცირება იმას მოეთმინა, რ'ლსაცა მაშინ იმას ძლიერებაც დიდი ჰქონდა. თითქმის მთელს ქართლს ბძანებლობდა. ამ დროსაც ბატონიშვილის ბაქარის (მეფის ვახტანგის შვილისა) წიგნიც მოუვიდა რუსეთიდგან იმას და სთხოვდა ერთგულობას, რ'ლსაცა ერეკლესგან იმ ქალის გაშვებასა ესეც ზედ დაერთო იმ მიზეზსა და მაშინვე განიძრახა, კახეთის მეფე თეიმურაზ გადაადღოს და იმის ნაცვლად ქართლის მეფე დაჯდეს მთელს საქართველოში. ამისგამო ჯერ შეუჩნდა მეფეს თეიმურაზს, რომ ის ნადირშას გაუდგეს და ოსმალ ლეკების შემწეობით სპარსნი გარეკონ საქართუპლოდგან, რ'ლიცა თვთ ამ საქმეს თვთ გივი შეიძლებს, ოლონდ მეფე თეიმურაზმაც ინებოს და ერთად იმოქმედონ. ამასთანავე მეფის ვახტანგის შვილს ბატონიშვილს ბაქარსაც მეორე წიგნი მისწერა გაფთხილებით ჩუმათ და საქართველოს მეფედ მოიწვია.

ეს ამისთანა თათბირი მეფე თეიმურაზმა არ მოიწონა გივისაგან და უარი უთხრა, რ'ლთაცა შორის ამის გამო დაეთესა სამღურავი და ბოლო დროს მტრობაც. ამ დროებში ბატონიშვილს ბაქარისაგანაც კიდევ წიგნი მოუვიდა თანხმობისა გივსა, რ'ლმაცა აღარ დაიყოვნა და 11-ს აპრილს 1744-სა წელსა ბზობის ღამეს ქუთაისიდან გაიპარა ქართლში და ამხედრდა მეფის თეიმურაზის წინააღმდეგათ. ესენი სულ რუსეთის აგენტებისაგან მოხდა. ქაიხოსრო სარდალსაც ეს უნდოდა, რომ გივი გაიქცა. ახლა რა ქნას, როგორ მოახერხოს, რომ ელიზბარ ეშვალაბაშიც როგორმე მოი-



შოროს, რადგან ის არ გაჰყვა გივს ამილახვარს და იქვე თეიმურაზთან დარჩა. ეს მიძიმეთ აწვა ქაიხოსრო სარდალს, ამისთვის რომ იმის გული თავისუფალი უნდა ყოფილიყო, საქართველოს გასაერთებლად თავისუფლად ემოქმედა და საეჭო იმისი აღარავინ აღარ ყოფილიყო, რადგან ელიზბარ ეშკალაბაშისა ეშინოდა: დღეს თუ ხვალე მამასწრობს და მაგიერს მიზამსო. ასე თურმე დიდათ ეშინოდა, რლმაცა ამისთვისაცა ღონე მოიპოვა, ნადირშასთან ერევანში ჩუმით ბეზღება დაუწყო, რომ მითამ იმას ორგულობდეს და გივს ამილახვარს ჩუმით წიგნებს სწერდეს ქართლში. ზედატანებით აირუმები დაეხოცათ ქართლში და ეს ხომ დამტკიცებით დააბრა-ლა ელიზბარ ეშკალაბაშსა ქაიხოსრო სარდალმა. ამაზედ ის დიდათ გააჯავრა უიმისოთაც ის მრისხანე ნადირშა, საჩქაროთ ერევანს მიაყვანინა ეშკალაბაში ელიზბარ და გაუკითხავად თავის თვალ წინ მოაშთობინა, სადაც ქაიხოსრო სარდალიც იქ იყო და სხუა ქართველებიც ბევრნი. ამ ამბავსა იქ დამსწრე ერთი ვინმე აღწერს და ის აღწერილი ჯერ მე არ მიშოვნია. ვის სახლშიაც არის, თვთ იმის-მა პატრონმა მიანბო უფრო წვრილათ\*, მე ესენი სულ ასე გამი-გონია. გივი ამილახვარის ყურამდისინაც მივიდა ესე: უენი ცოლის ძმა ელიზბარ ეშკალაბაში ქაიხოსრო სარდალმა დაახრჩობინა შაჰ-ნადირსაო. ელიზბარ ეშკალაბაშის დას ელდისცემით გულ შემოეყარა და გივი ამილახვარი აპრიალდა. როდისაც გული მოიბრუნა, გივმა შეუთვალა ქაიხოსრო სარდალს: „ირაკლისაგან იმ ქალის გაშვე-ბასა და ელიზბარ ეშკალაბაშის სიკვდილსა სულ ცხვირიდგან ამო-გადენო. მაგ შენს სომხითს ასე გავაოხრებ, ბლავანი აღარ იპოებოდეს მანდ.“ ისეც უყო.

ვაი, ვაი საქართველოვ, ბედისაგან გაწირულო, უბედურო!...

თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი. 9 მაისს 1867-სა წელსა, ქ. ტფი-ლისს.

\*) ეს ანბავი თა ივანე ზა:ლისძემ ბარათაშვილმა მიანბო და ის აღწერილიც მე მაქვსო. მე ვთხოვე, კიდევ დამხარდა, მაგრამ იმ დრო-ებში მოკვდა. თუ როგორმე იმ აღწერილს ვიპოვნი, სრულად ჩავწერ ამ წერილში დაწვრილებით შესატუბად.



ეს ნაწარმოები ალექსანდრე („კუპლია“) ჯამბაკურიან ორბელიანისა და ცულია აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში, დაწერილია თაბახიან ქალღმერთის ყარანდაშით. გივის გაპარვას პაპუნა ორბელიანი შემდეგ ნაირად გადმოგვცემს: „ამა ამბავთა შინა თვესა აპრილსა თერთმეტსა, ღამესა ბზობისასა, ქალაქიღამ ღამე გაიპარა გივი ამილახორი, რომელი იჯდა ვეჟილად, წაივდა თავის ცოლშვილით და თან გაიტანა პაატა აბაშიძის ცოლი და სარიდან ერისთვისშვილის ცოლი, პაატა აბაშიძე და ზოგი ვინმე თავადნი ზემოქართლისანი. ამავ ბზობის ღამეს გამოიპარნენ იორის პირიღამ რომელინი ახლდნენ ჯარად ხანსა ქართლისასა და მივიდნენ ამილახორთან. რა მივიდა მცხეთას ამილახორი, ჩამოეგება არაგვის ერისთავი ბეჟან ჯარით, ხიდი მცხეთისა ჩავარდნილიყო და ნავტიკები მზათ დაახვედრა, გავიდნენ უვნებლად და მივიდნენ დუშეთს, შემოიყარა ქსნისა და არაგვის ხევისა კაცნი, მისცა მისაცემელი და გამოართვა ფიცი და იერთგულა, ყოველნი თავადნი ზემოქართლისანი გაიერთა“ (ქართლ. ცხ., II, 355). გივის გაქცევის მიზეზი, მისივე განცხადებით, იყო სპარსთ სამსახურის შესრულების შეუძლებლობა ქვეყნის გავერანებისა გამო.

... თუ ღვი ღვი ციოეთომ ორპოძიქ ციეთ ამინოთნონ  
 თუ პრეწუთ ცნშიც ითრც ცრწმით ღვი სენენა ნე იმბრცნ ცინტრც  
 -პინი თცი პინე ცინუთმ მიც იმბეონინ რე ცნ რცჯ ითიორწუთე მი  
 -ინიგ ცმა ულს იმბც ცნ ... თაუიორწუ ორდუ ონშინი ნეპოტენ მ  
 პოუოკ იმბც :ცმ თეიენ ცეშიპთენარლუ მირეძეოინე იციგ იმბრც  
 -ზენ მინოიორძე თეუთომ ორპოძიქ ინანთეცნც ონბიოუც ნე  
 სოცეცონენ ულც ოინეკსითუელ მთე პინანთეცნც ონბიოუც ოსპრთემ  
 ანციგ მელბინონ ითუც ცეპითობ თეუიორსე ირეძეოინე იციგ თე  
 -ცნმეც მითიქ ნი მავსითეცობი :პუთომ ორპოძიქ თეცეცონენ  
 -ონე მავთიორცმც ულს თაუთეცნც მინანთეცნც ონბიოუც თე მან  
 მტეონდონიპთეიმიცეომ მტეპოცეცნც ცმა მთინობ მბენ ცენ ომტეც  
 ... ორტეცნც ოთუტრიწეც მავსითენც ოთუცეცონიქმ იცე იცე  
 -იბტ ღვი თეუცე მ-წმბი მინენ მ იმიოუნბო .ჯ ცნ მცე .ე თ  
 ... მით

... ორტეცნც ოთუტრიწეც მავსითენც ოთუცეცონიქმ იცე იცე  
 -იბტ ღვი თეუცე მ-წმბი მინენ მ იმიოუნბო .ჯ ცნ მცე .ე თ  
 ... მით

... ორტეცნც ოთუტრიწეც მავსითენც ოთუცეცონიქმ იცე იცე  
 -იბტ ღვი თეუცე მ-წმბი მინენ მ იმიოუნბო .ჯ ცნ მცე .ე თ  
 ... მით

## თამარ მეფის დროინდელი ერთ მონასტრის ტიპიკონის ნაწყვეტი.

ნათლისმცემლის მონასტრის საბუთებში (№ 32) მე ვიპოვე ერთ ნაჭერ ტყავზე (ზომით 58 1/2 X 20 სანტიმ.) ნაწერი ნაწყვეტი თამარ მეფის დროინდელი ერთ მონასტრის ტიპიკონისა. ტექსტი დაწერილი ყოფილა ნუსხა ხუცურად, მაგრამ ნაწერი სულ გადასულია და ძლიერ დიდის გაჭირვებით იკითხება. არშინაზედ მიწერილია მე-XVIII საუკუნის ხელით წერილად: „წვიმაში გდებულიყო ქვევით კევში და მაგიერი ქაღალდი კი მივეც. ეს აქ აღარას ეკმარებოდა.“ აი ამ მიზეზით ეს ნაჭერი ტყავისა თავისებურად გამოუყენებიათ და მეორე, წმიდა გვერდზე დაუწერიათ შეწირულობის სიგელი მელიქიშვილებისა 1777 წელს.

ტექსტი ტიპიკონისა დაბეჭდვ შეუცვლელიად ისე, როგორც შევიძელ მისი ამოკითხვა. თავი და ბოლო აკლია და აქა იქ ზოგი ადგილების წაკითხვა გადასულობისა გამო ყოვლად შეუძლებელი იყო. ეს ტიპიკონი წარმოადგენს ნაწყვეტს ერთ ერთ სომხითის მონასტრის განგებისას, ბოლნისის ახლოს, შესაძლებელია თვით ბოლნისისას ან ეგებ წულრულაშენისას, რომელიც ბოლნისის პირისპირ მდებარეობდა. ტიპიკონი დაწერილი ყოფილა თამარ მეფის დროს მაშინ, როდესაც ივანე მხარგრძელი ჯერ კიდევ მსახურთუხუცესად ყოფილა.

---თუ ვინმე დაიჭიროს თვთოჲსა მეტი: მოძღრი და მწფე ორნივე კიდე გაისხნენ მონასტრით შეუნდობლდ: მწირსა მონაზნსა დქნისა დაჭირვაჲ არ კლენწიფოს და არცა ერისგნისა: უკთუ დაიჭიროს ორივე კიდე გწიკადნენ: დედალი: არესაგან ---უკთუ ვინმე დაიჭიროს---დაიჭიროს--- და კცი გაიძოს. საკე--- არს ეგრეთ საწყსო მისაჩენელი არს გწა. ამს მონა ---ყმროდ სიცოცხლისა იო-- ამის წს გწ ფაჩი---ამს მეწირა ---ვინცა იკად-



როს: კ'ცი კიდე გაიძოს--- სა ემსახუროს: საპყრნი რ'ნი გნჩე-  
 ნილ არ'ნი ეგრევე იმყოფებოდენ რ'თაცა ძმ'თა: წ: უბ'დეს: ეკ-  
 ლს'იისა და შტრსა სამსახურად. გაგზავნასა შორს თუ ახლოს---  
 ნუმცა უკადრებია უნებელი წ'რამ და წ'ისა ესრეთ განჩენილ არ:  
 საწინამძღრონი ადგილნი და გლეხნი და ზუარნი და ვენაენი და  
 სხ'ე მოსავალი ეგრ'თვე ჰქონდეს ვ'რ ესენი--- გ--ცა იკლებდა და  
 ჩიოდა: ვითა პტრ'ნისა და ლაშქრთა და სტუმართათ'ს ესე მოსავ-  
 ლი არ ეყოფის: და ამისთს--- ეგრ'ვე ბოლნის საღვნე დავდევით.  
 ესე--- ქარცებით ხუარბ'ლი მოვიდოდეს და ბოლნისსა ღვნოჲ მოი-  
 ღების ერთი მონასტ[რის] მწირვ'ლი. ნაცვ'ლი დ-წ'სა დაიყენებო-  
 დის და ერთი მწირი და ერთი ვი'სა ყმ'ე: ამ'ს მოსვ'ლსა ზ'ა:  
 და გი---არს დიდთა და სრლ'თა მონასტ'რთჳთა მის ღვნისაგნ პ'დ  
 საბ-ისკვ--- რლთნი ქურნი აღივებოდიან: და მერმე სხ'ნი რავდენ-  
 ნიცა ეგებოდეს საბბილოჲ ქური დღეობასა წაიგებოდეს ვითა მო-  
 სავამარებლ'დ საკ-მსო იყოს: და საკვრაოჲ ჯ'რ ამ'ღლებითგ'ნ ვი-  
 თა წესი და პ-- სქთსჲ მოგცემდეს: და ვითა წ'ისა აქამდის პტრ'-  
 ნი ღ'ისა სწ'რნი. ლაშქარნი სტუმრ'ნი დიდნი და მცირენი გაუს-  
 ტუმრებიან: ეგრეთვე აწ გაისტუმრებოდეს: და რ'ცა დააკლდე-  
 ბოდეს: პტრ'ნისა ლაშქართა და სტუმ'რთათ'ს აქაჲთ წაეგებოდეს  
 პური და ღვნოჲ: ოდესცა ფ' შ'ა არვის აქაჲთ ეგრეცა ნადა გუმას-  
 პინძღებ მით.---ჯარ არა გმო-რ. -- დიდთა და მცირეთა ყთ'ვე  
 პტ'ვით გაისტუმრებდით. თუ ჟმთა რაჲთმე ცვაღ'ბითა: ანუ სეტ-  
 ყვთა ანუ თუ--- ანუ სგლბ'კითა და უღონობითა. რ'ჲთაცა მიზე-  
 ზითა ამათ განჩენილი ღვნოჲ მოაკლდეს. რ'ი ესე ღ'ნ ნუ ქნას:  
 რ'ჲცა აქაჲთ პური და ღვნოჲ მოჰრჩეს ტრაპ'ზი აქაჲთ გ'რდა-  
 იკლებოდეს: და სხუ'ბ'ბრ: წ'და: ტრ'პ'ზისა შესვლ'თა და საქონელ-  
 თა ზ'ა-----დეს წელიწოდისა დღეთა აღ'პნი: და მოჰრჩა ორმოც და  
 ხუთი აღ'პი?: ესე მეტი მით გნვაჩინე უკთუ დასეტყოს ანუ რაჲ-  
 თაცა თუ ზიანითა მოაკლდეს, ამით მომეტებ'ლითა შაისრ'ლონ:  
 და თუ ესე ერთიცა მიზეზი არ იყოს: ზ'ავე დაეყოფვოდეს ესეცა:  
 დაუხუ'ბბით და უნაკლულოდ იყოფებოდენ აქა შ'ა მყოფნი: ყ'ნივე  
 ძმ'ნი: რ'ა ღთვგვრგ'ნოსნისა მეფეთა შ'ს მეფეთა მეფისა თამ'რის  
 დღეგრძელობ'ჲ და წარმართებ'ჲ და შ'ნდობ'ჲ უფროჲსდ აღემ-  
 ტოს და ითქუმოდის რ'ნ დიდი გ'ლს მოდგინებჲ აჩუ'სნა: და  
 სფლ'ნი და აგრ'კნი შ'მოსწირნა და სხ'ნი აგარ'კნი თქ'ნი შესავა-  
 ლობისაგ'ნ შეუვალყვნა: და ყ'ი ხარკი და ბეგ'რი [ამო]გკადა---



მონასტრისა მწეობისათს. მთისა: ყთა დღეთა ტრაპეზთანა და  
 დებოდეს სახსნბლი მეფობისა მთისა: და სკნომცა არს და დაუს-  
 რულელბლ კსენბქ მთი: ან:.

ივანე მკარგრძლმწნცა მსახრთუხუცესმწ დიდი სსოზა და  
 გლს მოდგნებქ აჩუნა ამის დედისა ღსა მრთ და საყოფლისა  
 მისისა: და რლ მონასტერსა--- საბოსტნე და საღენაკე რლი დიდად  
 ეკმრ--- ესე ვალანის ქუეშთგნ იყიდა რლ--- უფროსითა საფასოა-  
 თა და დედასა ღსისა შემოსწირა რა მოკსნებლი დბლ ყოს  
 ძემწ ღსმწ და ამწ ყდ წწ დედამწ მისმწ: და ამის ადგილისგწ  
 ჰმართებდა ტრპზისათს გწვაჩინეთ. რწ სტუმრსა და ყწ მომვა-  
 ლისა მისსა ეყოფოდა: ეგრთვე საწინამძღრდ გწვაჩინეთ რა წწ-  
 სა სტუმრსა და მომვლსა ყლსავე მისსა ეყოფოდა. და ეგრეთვე  
 სამწირველოაჲსა სახლისა მისისა თს გწვაჩინეთ:--და სწქ რწ ამის-  
 გწ დაჰრჩა: ასსავე სახლსა ზა: სახუცოსა დას---სა წესისაებრ ვი-  
 თა ჰმართებდა ზა გაუყავ სწორდ

აწ ესე ვით ყწვე წესი და გწგებქ ამს მონასტრისქ სით-  
 რა და საკცოა ამს ტვიკონსა შა სდ და უნაკლოლოდ დამიწე-  
 რია ყლსვე ეგრეთ აღასრლებდენ: წსა ვითა ქა, ჰმორჩილებდენ  
 ნუმცა რქ იკადრების წსა უნებლი ვითა ქსი: და წ: ვითა ქე  
 მისთა მოწუფეთათს ტკბილი და სწრი არს: ეგრთვე იგი ყთათს  
 თვთეულდ ტკბილი სწრი და ლმობიერი იყოს. წსგწ ნუმცა იქნე-  
 ბის ესე: თუ--- კწ რჩევით სიყრლი ჰქონდა: რლმწ ემინოდა და  
 ჰრცხუზნოდა და ნუგეშწნის ცემდა ასუმეგდა და აცმეგდა და რთა  
 მწირთგწ არცა ემინოდა და არცა ჰრცხუზნოდა მთი ყბლბი საქ-  
 ---.

მეორე გვერდზედ ძლიერ ლამაზად, მხედრულად მოყვანილია  
 მელიქიშვილების შეწირულობის სიგელი:

ქ ვინათგან არსნი ყოველნი არაობისაგან ყოფად მოსრულნი  
 ყოფად, ზესთა მხოლოისად ნანდვილსა სატრფოაჲსად უზადოისა  
 კეთილობისა დაღმა ვალობენ. რომელ იგი არს ანი, და ზე: რო-  
 მელ იგი არს აღმავალობით დაუსაბამო, და ქვე განზიდვით მიუწ-  
 დომელი. რომელი იგი განიზიდვის განუყოფელად სამად. და შეი-



ერთების შეურწყმელად სამმასა შინა მხოლოსა მარტივობასა მყოფობითა, მხოლოსა არსებასა შინა მიუწდომელობითა: და მხოლოს ღუთაებასა შინა დგომითა, რომელ არს გონება, სიტყუა, და სული: ღთმთავარი ერთობა. და სამთვითება დიდებული: ვითარ სატრფოჲსა ერთისად. ვითარ საწადოჲსა უზადოჲსად, და ვითარ ნანდვილ მამყოფისა პირველისა კეთილობისად: და უმეტესად. ხოლო იგინი, რომელნი ხატებასა შინაგებითა პირმშოსა სახისად აღმავლობენ: სრბიან ყოველნი, ხოლო თვითოეულნი სიმკაცრისებრ თვისსა შეწვევისაებრ გულს მოდგინებათასა: რომელნიმე სიწმიდისა კეთილობითა, რომელნიმე ლოცვათა მიერთითა მოსწრაფებითა, რომელნიმე კელთა განმარტებითა გლახაკთა მიმართ: რომელნი მე განბნევითა საკმართათა. და ესრეთ მოსწრაფებენ ყოველნი, ვითარცა ხატებასა შინა მყოფნი ყოველნი პირველისა საძიებოსა პირმშოსა სახესა მეძიებელნი ყოველნი. ამით ესე ვითაობასა მიმხედველთა, და ხატსა მოკვდავებისასა მოძრავთა, ვითარცა მონათა ქესთა, და თანა ასოთა უფლისათა. ვისმინეთ ვედრებაცა, ნათლისმცემლის მონასტრის მამისა ჭრბიანდრიტის ევთიმისა, და ვიგულმოდგინეთ შეწირვად მცირედი რაჲმე საძღვანი მეუფისა მის ზეცათასა, სახსრად სულისა ჩვენისა, და სხეულთაცა მისდამი მონებასა შინა სიმრთელედ: ჩვენ სომხეთისა მელიქ გვარობითა, ბაადურ მელიქისძეთა. თეიმურაზ, და მელიქმან გიორგი ძმამან მისმან. და ბიძაშვილმან ჩვენმან იოანე. და შვილთა ჩვენთა თეიმურაზის ძეთა ზაალ, და სოლომონ: და გიორგი მელიქის ძეთა დავით, და იოსებ: ესე მცირედი რაჲმე საძღვანი ძღვენი, და კნინი რაჲმე ქვრივებრი მწვლილი გკადრეთ და მოგახსენეთ, შენ ზეცით მაცხოვარებად ჩვენდა მოსრულისა ზეცათა მეუფისა ჴეს წინა მსრბოლსა, და წინათ განმავალსა მკედარსა. და ყოვლისა სოფლისა სფერაჲსა სრბით მომვლელისა, დიდისა მზისა, წინათ აღმოცისკრებულსა რწყინვალესა მთიებსა. ნათლის მცემელსა. და ნაშობთა უპირატესსა. მღღვაწეთა ყვავილსა. ჴეს წინამორბედსა: შემოგწირეთ ჳოჳკონელი სარუხანაშვილი თამაზა, თვისითა მეუღლითა თვისთა შვილთა მიერ, და შვილისშვილთა: და ვიდრე უკუნისამდე მოცილე არავინ იყოს, არცა ამისა და არცა ამისთა სახლისა მომავალთა: არა რა იყო კადრი შენდა. გარნა შენდა მომართი მკურვალე სასოება. და სიყუარული. შენდა მომართი მონებრი ვაჩვენეთ: მიითვალე მცირე ესე კნინი საძღვანი, ვითარცა იგი ჴრის-



ტემანცა შენმა, ზოგადმა მეუფემან ყოველთამან. და ნაცვლად  
 გვაგენ საუკუნესა ნეტარებისა ნაწილი, და სამარადისო მეოხება  
 წინაშე ქრისტეს ღრისა ჩვენისა: და აქა ეამიერსა ცხოვრებასა შა  
 სამარადისო მადლი, დაფარვა, და კურნება სულთა და კორცთა  
 ჩვენთა: და გვედრებით ყოველთა მამათა. და ძმათა წმიდისა მო-  
 ნასტრისათა, გარეშჯა, მრავალმთა ნათლისმცემლისა უდაბნოსა-  
 თა, რათა მარადის დაუვიწყებლად მოგვიხსენებდეთ წინაშე ზოგა-  
 დისა მის მეუფისა მეუფესა ყოველთასა: დაიწერე მტკიცე ესე სიგე-  
 ლი შეწირულობისა, სიტყვითა, და ნებითა ჩვენითა კელითა სიო-  
 ნის დეკანოზის შვილის ზაქარია მღუფდელისა უღირსისათა: იან-  
 ვარს: კე: ქკს. უფე: წელსა ჭეს განკორციელებისათ: ჩლოზ

ბეჭედი ქართული წარწერთ: მონა ღრისა გოგია. ამავე ბეჭედს  
 აქვს სპანსული წარწერაც, რომელიც არ განიხილვა.

განზე ცუდას ხელით: კე: წამინდის: მონასტრისათინ. შემიწირამს.  
 ეს. ქსაი: მე თეიმურაზამა. ბეჭედი. არა მაქონდა. ეს. ჩემი. ხე-  
 ლია. +

სხვა ხელათ: კე: მელიქის: შვილმა ივანემა: შემოავიწირამს.  
 ნათლისმცემლისათვისა. ბეჭედი: არა მაქონდა: ეს. ჩემი ხელია





### ფავლენისუვილუბის გვარის ისტორიისათვის.

ჩემს მონოგრაფიაში „თმოგველთა გვარის ისტორიისათვის“ მე შემდეგს დასკვნამდის მივედი: „ამ გვარად მე-XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან თმოგველნი იწოდებიან თმოგველ-უჯარმელებად. ამ დროს მათ უკვე დატოვებული ქონიათ თავისი მამა-პაპური სამკვიდრებელი თმოგვი. მე-XV და მე-XVI საუკუნეში, როგორც ზემოდ მოხსენებულ (ფავნელ უჯარმელის) 1459 წლის (მცხეთის) საბუთიდან და უფრო კიდევ ამ ჩვენ მიერ დაბეჭდილ ფავნელისუვილთა ორი სიგლიდან სჩანს, თმოგველ-უჯარმელნი ბინადრობენ დასავლეთ ქართლს. მე-XVI საუკუნეში ისინი კიდევ იწოდებოდნენ თმოგველ-უჯარმელ-ფავნელისუვილებად, ხოლო შემდეგ კი მარტო შემოკლებით ფავნელისუვილებად. მათ საგვარეულო სამარხად ითვლებოდა, როგორც ზემოდ მოყვანილ (ნიქოზის საყდრის) სიგელებიდან სჩანს, ჯერ კიდევ მე-XVI საუკუნეში ნიქოზის საყდარი.“ ფავლენისუვილების გვარის ისტორიისათვის ფრიად საინტერესო ცნობას იძლევა ერთი ოქმი კათალიკოს ანტონ I-სა, 1783 წ. დაწერილი. მე-XVIII საუკ. დასასრულს სასულიერო უწყებასა და ფავლენისუვილებს შორის ურთიერთობა გამწვავებულა და ამ გამწვავების მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ფავლენისუვილნი ნიქოზის საყდარს თავისს საგვარეულო სასაფლაოდ სთვლიდნენ, ნიქოზელსა და მის ყმებს ავიწროებდნენ. აი ეს ოქმი კათალიკოსისა:

ყოვლისა საქართველოსა პატრიარხი მეფის ძე ანტონი ლოცვა კურთხევას მოგიწერ, ბატონო ფავლენისუვილებო, მერმე ნიქოზელი რომ არ დამარხეთ თავის ეკლესიაშიდ და რაც რამ ჰქონდა წაიღეთ და რაც წაგილიათ, ყველა ისევ უკან უნდა მისცეთ და რაც დაკარგულა, იმისი რიგიანი პასუხი ჩვენ უნდამოგვეცეთ, ამისათვის რომ თქვენმა მისვლამ დაჰკარგა. მეორე ესე, რომ ეკლესია როგორა გაქვსთ სასაფლაოდ მიცემული ან იმ ეკლესიის ყმათ თქვენი რა სდებიათ, მეფეების წიგნი გექნებათ. ესეც უნდა შეგვატყობი-



ნათ, როგორც ძველთ მეფეთაგან განწესებული არის, ისე უნდა აღსრულდეს. რატომ არ უნდა გკონდესთ წიგნი, თქვენ საიღამაც გამოხვედით და როგორც მანდ შეხვედით, ეს ხომ ძველი ამბავი არ არის, არც სამასი წელიწადია და არც ოთხასი. ჩვენ დია კარგად ვიცით, რომ თქვენ დიდის გუარისაგან ხართ გამოსულნი და ფვენისიღამ მანდ ერედვს გასულნი და დასახლებულნი და სასაფლაოდ როგორ მოგვემიათ ნიქოზის ეკლესია და ან ნიქოზის ეკლესიის ყმათ თქვენი რა ჰსდებიათ ან დიდის ლუარსაბ მეფის წიგნი გექნებათ, ან იმის მამისა და ან სვიმონ მეფისა, ამის ზევითი კი აღარავის იქნება და ან მეფეს სვიმონს აქათ მეფეებისა, ან განაჩენი გექნებათ ვისიმე და ან ოქმი, გვიჩვენეთ ის წიგნები და ან ერთი საწმუნო რამ საქმე გვაჩვენეთ, რომ გული დავაჯეროთ და ისე მოგვეცეს. ოცდაათი დღე პაემანი მოგვიცია, თუ ამ ოცდაათს დღეში საბუთი არ მოგვიტანეთ, მასუკან უქმშარიტი და სწორე სამართალი იქნება. მაისის იღ, წელსა ჩღბე.

I მოტმა მეფეთგ აწილოლთიგან წე ანოთიგნათ თოლო  
 კათალიკოზი ანტონ \*)

ამ ოქმიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ფავლენიშვილნი ჯერ ფავნისს სახლებულან და შემდეგ ფავნისიდან გადასახლებულან ერედვს. ეს გადასახლება მომხდარა მე-XVI საუკუნეში და არა უადრეს ამ საუკუნისა. ფავნისი მდებარეობდა ქართლს თეძამის ხეობაში, ნოსტესა და ერთაწმიდას შუა. ის გარემოება, რომ 1459 წ. ამ გვარის წარმომადგენელი ფავნელ უჯარმელად იწოდება\*\*), მართლაც გვიჩვენებს, რომ ამ დროს ამ გვარეულობის სამკვიდრო ადგილი ფავნისი ყოფილა. მაშასადამე უჯარმო ამ დრო უკვე მიტოვებული ჰქონიათ ისე, როგორც მიტოვებული იყო უფრო წინად თმოგვი. 1515 წ. კიდევ ამ გვარის სამკვიდრებელად და სამაზრხად ითვლებოდა ნიქოზის საყდარი, როგორც ეს სჩანს ფავნელის-შვილთა მიერ ბოძებულ სიგლიდან\*\*\*).

გარდა ამისა, როგორც ამავე 1515 წ. სიგლიდან სჩანს, ფავნელის-შვილნი ამ დროს ერედვს (ერედვი ნიქოზის ახლოსაა) არც მთლად ახალი მოსული ყოფილან: ... „ხატსა ამალღებისასა ნიქოზს სამკუი-

\*) ა. ხახანაშვილი, გუჯარები, 13—15.  
 \*\*) ჩუმი — ისტორიულა საბუთები, II, 12—14  
 \*\*\*) ჩუმი — თმოგველთა გვარის ისტორიისათვის.



დრებელსა და სამარხსა ჩუენთასა მოგაკსენეთ და შემოგწირეთ ფელი ზემო ნიქოზი, პირველადცა ღთივ გვრგჳნოსანსა მეფეთ მეფესა და მოწმესა ვახტანგ გურგასლანსა, სანატრელსა აღმაშენებელსა წისა საყდრისა თქუენისასა, შეეწირა სოფელი ზემონიქოზი და სხუანიცა მრავალნი სამწყსონი და ადგილნი და ქამთა სიგრძეთა და ვითარებისაგან მოშლოდეს, ზოგი რომელიმე ჰქონდეს კულად წისა ტაძარსა თქუენსა და რომელიმე ჩუენთა ნათესავთა გაეყო და თუის თუისად დაეპირა, ხოლო ჩუენ... მოგაკსენეთ და შემოგწირეთ რაცა ჩუენ სახასოდ გუქონდა აზნაურისშვილი, მსახური და მოყალბე.\*

ცხადია, ფავენელისშვილნი ამ დროს ნიქოზის რაიონში უკვე კარგა ხნის ბინადარნი ყოფილან და ზოგს ამ გვარის წარმომადგენელს საეკლესიო მამულებიც მიუთვისებია. ეს გარემოება ეთანხმება 1459 წ. ფავენელ უჯარმელის სიგლის ცნობას, საიდანაც სჩანს, რომ უკვე ამ დროს ფავენელთ ამ რაიონში მამულები ქონიათ. ხოლო საბოლოოდ დამკვიდრება ამ გვარეულობისა ერედვს, ანტონ I კათალიკოზის ოქმის მიხედვით, ცოტა უფრო გვიან მომხდარა, არა უადრეს დავით IX ქართლის მეფისა, რომელიც გარდაიცვალა 1526 წელს. რადგანაც 1526 წ. უკვე ნიქოზის საყდარი ფავენელისშვილების სამკვიდრებელად და სამარხად იხსენიება, ამიტომ საფიქრებელია, რომ მათი დამკვიდრება ერედვს და ფავენისის მიტოვება მე-XVI საუკ. პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო.

ამ გვარად, მე-XIV საუკ. მეორე ნახევრიდან თმოგველნი ბინადრობენ უჯარმოს (კახეთს) და იწოდებიან თმოგველ-უჯარმელებად. მე-XV საუკ. ნახევარში ჩვენ მათ ვხედავთ ქართლს, ფავენისს და ეხლა ისინი იწოდებიან უჯარმელ-ფავენელებად. მე-XVI საუკუნის პირველ ნახევარს კიდევ ისინი გადასახლებულან ერედვს და ამიერიდგან იწოდებიან (თმოგველ-უჯარმელ-)ფავენელისშვილებად. ფავენელისშვილი მე-XVIII საუკუნეში კიდევ გადაიქცა ფავენის-შვილად\*).

\*) მე-XIX საუკუნის დასაწყისს შედგენილი უცნობი შიხის მიერ „შემოკლებული აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ფავუნისშვილების შესახებ გადმოგვცემს შემდეგს:  
 „ძველად არიან ესენი მხარგრძელის შთამამავლობისანი, რომელნიც იყვნენ მხარგრძელნი უკანასკნელი მკოთისა (შარსთასა



ეკლესიის გვარისანი. ამთხი უკვე გვარნი განდევნილ  
 სპარსთაგან და მივიდნენ ასურისტანსა შინა და მუნ დაეშენენ და  
 მერე მიიღო ამთხის წინაპარმან სარწმუნოება სომეხთა და აიესტანდგან  
 გადმოესახლნენ ერევანს და იქმნა ამთ გვართა შინა წარჩინებული სერ-  
 გის მხარგრძელი და შემდგომად ამისა განდიდებულ იქმნენ ზაქარია მხარ-  
 გრძელი და იოანე ძმა მისი დროსა თამარ მეფისასა წელსა 1174-სა, რომელნიც  
 მიღებულ იქმნენ სპარსეულებად და უკანსკენელ ზაქარია აღუყენებულ იქმ-  
 ნა ხარისხსა შინა ათაბეგობისასა, ხოლო მამულად აქვინათ ღვინი ერევანს,  
 რომელიც არს აწ გარნიი. და ფლობდენ თამარ მეფისა დროსა შინა და  
 ოდეს იოანე მხარგრძელმან მიიღო მართლმადიდებელთა ბერძენთა სარწ-  
 მუნოება დროსავე თამარ მეფისასა, მაშინ იგი უმეტეს ახლდა თამარ მე-  
 ფისა განუშორებლად და შემდგომად ამისა, ოდეს მოვიდნენ თურქნი სა-  
 ქართველთა ზედა სულთანიურთ თვისით და სძლო მეფემან დავით  
 ბატონიანმან მეუღლემან თამარ მეფისამან, შას ჟამსა შინა თანა ჰყუა  
 ზაქარია მხარგრძელი იოანეთურთ და რა ძლევა შეიმოსა მეფემან, მაშინ  
 მიუბოძა ზაქარიას სასაფლაოდ მონასტერი სომეხთა სანაინი და მუნ სოფე-  
 ლი, ხოლო იოანეს უბოძა თვისი საზაფხულთა სასახლე სოფელითურთ  
 ერედვად წოდებული, რომელ იოანესა შთამამაფლობანი ჰსცხოვრებდენ მუნ  
 და შემდგომად თამარ მეფისა შვილის შვილისა დავით მეფისა დროსა,  
 იქმნა რა აღრუელობა საქართველთა შინა და დაიპურეს ჩინგიზთა საქარ-  
 თველთა და ნოინთა, მაშინ ერმა ერთი ამთგანი მხარგრძელი მოიტაცეს  
 რსთა და მუნ კაგასიასა შინა თავადმან თავგურთაგანმან, ფაღვენად წოდე-  
 ბულმან აღზარდა შვილად თვისად, ვინაიდგან არა ესვა შვილი და მისცა  
 ასული თვისი ცოლად და უწოდა სახელი თვისი მხარგრძელსა მას ფაღვენ-  
 ნა და მოიყვანა მამულადვე თვისად და მუნიდგან იწოდებოან ესე მხარგრ-  
 ძელნი ფაღვენის შვილებად მუნ ჟამიდგან წელს 1244-სა და აწ არიან  
 სხვა და-სხვა სახლად განუთფილნი: 1) შიოშის შვილებად, 2) თეიმურა-  
 ზის შვილებად, 3) ივანეს შვილებად, 4) იორაშის შვილებად და კიდე  
 სხვად და აქვინათ ზირველის შვილისას ხარისხი ზირველისას სახით, სხვანი  
 მუორისა და მესამისა ხარისხით“.

აქ უმთავრესად საინტერესოა ჩნობა ფაღვენის შვილების მხარგრძელე-  
 ბიდან წარმოშობის შესახებ, რაც მე უკვე უჩვენე უტყუარი საბუთების  
 მიხედვით. ვახუშტიც გადმოგვცემს — ფაღვენის შვილი იტყვის მხარგრძე-  
 ლობისათ.



**იმერეთის მეფის დიდ სოლომონ I-ის მახიანა,**  
**შედგენილი ნიკოლოზ დადიანის ძის მიერ.**

ნიკ. დადიანის ძის „ქართველთა ცხოვრება“ დაწერილია 1823 — 1824 წლებში. წიგნი შედგენილია შემდეგი გეგმით: პირველად მოთავსებულია მოკლე წინასიტყვაობა \*), ამას მისდევს „თვის სამეფოასა ქართლისათა“ — შემოკლებული ისტორია საქართველოსი მე-XV საუკუნემდის, ესე იგი განყოფამდის. ეს ისტორია შედგენილია ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით. ამას მისდევს: „აღწერა საქართველოასა შემოკლებულად ჩემ მიერ“ და ისტორია ქართლისა რუსების მოსვლამდის, ორივე აგრეთვე ვახუშტის მიხედვით. ვახუშტის მიერ შედგენილი ისტორია მოყვანილია 1744 წლამდის და ამის შემდეგი მოთხრობა ნიკოლოზ დადიანის ძეს დამოუკიდებლად შეუდგენია:

„ ხ' ჟამთა ამათ მეფე თეიმურაზ კახთა და ძე მისი ერეკლე ერთგულებდა თამაზხანსა, რ'ლი ფლობდა ს'დ სპარსთა და დიდისა ერთგულებისათვის თეიმურაზს მისცა ქართველთა მეფობა, ხ' ძესა მისსა ერეკლეს კახთა მეფობა და დაიპყრა თეიმურაზმა ქართლი წელს ქესით 1744. შ'დ რამოდენიმე ჟამისა გარდაიკვალა თეიმურაზ და მეფე იქმნა ერეკლე ძე თეიმურაზისა, რ'ლმან შეაერთა მეფობა ქართლისა და კახეთისა წელს ქესით 1762 და მეფობდა ორთავე ზ'ა კაცი სახელოვანი და მხნე ყოსა შ'ა. ამან მოხარკე ჰყო თვისდად ერევანი, განჯა, შუშა და სხვანნი ხანნი ყიზილბაშთანი. ამან ჰსძლო მრავალჯერ მრავალთა დიდძალთა ყიზილბაშთა და ოსმალთა და ლეკთა სახელოვნად და სამაგალითოდ. ამან მოიყვანა მეუღლედ დადიანის კაციას ბიძაშვილი დარეჯან დედათა შ'ს ღირს სახსოვარი, ხ' ორთავე მეუღლეთა იმეფეს უღრმეს მოხუცებულებადმდე და მიიკვალა წელს ქესით 1798.

შ'დ ამისა იქმნა მეფედ გიორგი ძე ირაკლისა. ამის მეფობის

\*) დაბეჭდილია კ. თაყაიშვილის Опис. рукоп. общ. грам. I, 9—10.



ქამშიდ თვით ნებიტა და თხოვნითა გიორგი მეფისათა წარმოგზავნიდა რუსეთის იმპერატორმან პავლე პეტროვიჩმან მხედრობაჲ თვისი, რათა დაიცივას საქართველოჲ აგარიანთაგან და ამას ქამსა გარდაი- ცვალა მეფე გიორგი და იწყეს ცილება სამეფოსა ზა ძმებთა და ძე- თა გიორგისათა. ამისთვის დაიპყრას საქართველო რუსეთისა იმპერა- ტორმან ალექსანდრე პავლეს ძემან და წარიყვანეს მეფეთა ძენი რუსეთად და ერთი ძე ერეკლე მეფისა და ძმა გიორგი მეფისა ალექსანდრე წარვიდა სპარსთა მეფისა თანა, რნ მრავალი ბრძო- ლანი აჩვენა რუსთა და ამა ქამსა აღიხოცა მეფობა საქართველოჲ- სს. ხ ივერიის მეფობის განკერძოების შდ იქმნენ მეფენი საქარ- თველოსა შა ვიდრე აღხოცამდე ცხრამეტი.“

ამას მიყობა შემოკლებული აღწერა კახეთისა და კახეთის ისტორია, სამცხე საათაბაგოს აღწერა და ისტორია, აგრეთვე ვახუშ- ტის მიხედვით. ამას მისდევს იმერეთის შემოკლებულად აღწერა, რომელიც რამოდენადმე განსხვავდება ვახუშტის აღწერილობისაგან და ამიტომ აქ მომყავს:

„აღწერა იმერეთისა ადგილთა მდინარეთა და შენებულება- თა შემოკლებულად. იმერეთი ეწოდება ცხენის წყლიდამ ვიდრე ლიხის მთამდე. აქა იმერეთსა შა არს მდინარე სხვათა უპირატესი რიონი და ამას მიერთვიან ყლნი მდინარენი იმერეთისანი. ესე გამოსდის სვანთა, დიგორისა, ბასიანისა, რაჭისა შს კავკასსა და მიერთვის მეორესა რიონსა. ცხენის წყალი გამოსდის ლეჩხუმისა და სვანეთისა შს კავკასსა და მიერთვის რიონს საქილაოს ილორს და უწინარეს მყერთოდა ტყვირს. ხანის წყლის აღმოსავლეთით და ყვირილას მდინარის სამხრით ფერსათის კალთას არს დიმი, სადა პლმან მეფემან ფარნავაზ ალაშენა ციხე მტკიცე. ყვირილა გამოს- დის ერწოს ტბას და მოერთვის ყვირილას ცუცხვათის ხევი, სადა არს ციხე ცუცხვათისა, რლი შეთხრით აღიღეს ოსმალთა წელს ქესით 1721. გაენათის ეკლესია ალაშენა მეფემან დავით ზედწო- დებით აღმაშენებელმან. აქ არს ხატი ხახულისა ღთის მშობელი. აქ არს ვარძიის ჯვარი. აქ არს რკინის კარი ზღუდისა, რლი მოი- ტანა დავით აღმაშენებელმან დარუბანდით. აქა ჰვიდავს ეკკლესიი- სა ბჭესა კარი ერთის ვაზისაგან გამოთლილი. აქ არიან მეფენი დაფლულნი: დავით აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუ- დან, დავით და სხვანი. პლად იყო გელათი მონასტერად და ბაგ-



რატ ჰყო საეპისკოპოსოდ. ჩხარს იყო დიდი ქალაქი, გარდა მთიან ხრდა ლეონ მანუჩარის ძის დადიანისაგან. აქ არს ეკკლესია წმინდისა გიორგისა. აქ ასვენია ჯვარი, რლსა შა მღებარებს ბექი მთავარმოწამისა გიორგისა, მარადის სასწაულ მოქმედი. ესე ჯვარი პლ იყო ყანათას, შდ სამცხეს, მერმე ატოცს და აწ აქა. შორაპანი აღაშენა პლმან მეფემან ჭარნაგაზ ქალაქი და ციხე. ხ შე მოსრვილი აღაშენა გიორგი აბაშიძემ, გარნა მასვე შეამუსრვინეს ოსმალთა და მერმეთ მისცა ზურაბ აბაშიძემ ოსმალთა და იღვენ მას შა ენგიჩარნი და შდ მოიყვანნა მეფემან იმერეთისამან სოლომონ პლმან აღექსანდრეს ძემან რუსნი, აღიღეს და შემუსრეს, რლი დღესაც შემუსრვილ არს. მღვიმე არს აღშენებული კახაბერისა რაჭის ერისთავისაგან. ხ ამ მონასტრის დასავლით არს ყვირილას გაღმა გამოღმა კლდესა შა ქვაბნი, სახიზრად ნაკეთნი, რლი ვერ აღიღეს ყრუს მოსვლის დროს და დადგა ქვაბნი ესე და ციხე სვერისა, რლ ვერ აღიღო ყრუმან მომსრველმან. გეგუთს ციხე-დარბაზი აღაშენეს თურქთა 57 მეფის გიორგის დროს. ქუთათისი აღაშენა პლმან ავხაზთა მეფემან ლეონ და ჰყო ტახტად. ხ ციხე ქუთათისი მისცა ოსმალთა სეხნია ჩხეიძემ წელს ქესით 1666 და ეპყრათ მრავალ ჟამ და შდ იმერთა მეფემან სოლომონ აღექსანდრეს ძემან პლმან ევედრა რუსეთის მპყრობელს იმპერატორცა ეკატერინას და წარმოუვლინა მხედრობა და აღიღეს ციხე ქუთათისისა და შემუსრეს, რლიცა დღესაც შემუსრვილ არს. აქა აღაშენა ეკკლესია დიდი გუმბათიანი 56 მეფემან ბაგრატ და დასვა მწყემსი იმერეთისა და გურიისა და დაფლულ არს აქა იგი აღმაშენებელი ბაგრატ მეფე 56 და 57 გიორგი. ხ შემუსრეს ოსმალთა ეკკლესია ესე და წარიღეს სვეტნი მისნი სამცხეს და მარმარილონი წელს ქესით 1692. რაჭის ბარის წყალს ზეით არს მთაშიდ მრავალძალს ეკკლესია წმინდის გიორგისა და ჯვარი დიდი ოქროსა სასწაულმოქმედი. მას ეკკლესიასა შესწირა I შაბაზ ყეინმა ხრმალი ოქროდ მოქედილი და შუბი აწცა სძეს მუნ. არათუ სარწმუნოებისათვის, ად ჰსცნან, რ ხრმალი მისი ჰკიდავნ მუნ. წესს ეკკლესია ბარაკონად წოდებული აღაშენა რაჭის ერისთავმან როსტომ შოშიტას ძემან. უწერას ეკკლესიასა შა მკიდარებს კამარასა შა ერთი ნაწნავი თმა, იტყვიან თამარ მეფისასა. ხ უმეტეს ამისა არღარა აღესწერე აღწერასა შა იმერეთისასა წყალთა, შენებულებათა და სხვათა, ვინათგან უწყით ჩვენ ყთა მას შა მყოფმან.



**აღწერა ოდიშისა შემოკლებული.** ოდიშს მენგრელი ეგრისელები დაეპყრნენ. საზღვარი ოდიშისა არს ცხენის წყალი, მერმეთ თაკვერსა და ოდიშს შორისი მთაჲ კავკასი და ჩამოსრული სამხრით და კ'დ თაკვერიდამვე წასრული კავკასი ჩრდილოდ, ვიდრე ეგრისის სათავედმდე ოდიშისა და სვანეთისა შსი. სამხრით მდინარე რიონი გურია ოდიშს შსი და კ'დ ეგურის მდინარე შესართავს, დეაღეთი, შავი ზღვა, დასავლეთით ზღვა შავრვე და კ'დ ანაკოფიის მთა კავკასიდამ ჩამოსრული სამხრით ზღვამდე, ჩრდილოთ კავკასის მთა.

ეკლესია მარტვირისა (ესე იგი ჭყონდიდისა) აღაშენა 8 მეფემან ავხაზთამან გიორგი, იქ დაფლულ არს მეფე ბაგრატ. სენაკის ეკლესია აღაშენა ლეონ დადიანმან მანუჩარის ძემან. ნაქალაქივის ციხე გოჯად წოდებული აღაშენა პ'ლის მეფის ფარნავაზის ჟამილ ქუჯი ერისთავმან, ქალაქი და ციხე, რ'ლი შემუსრა ყრუმ. ხოფის ეკლესია აღაშენა გიორგი დადიანმან, პაპამან ზემოხსენებულის ლეონისამან. ცაიშის ეკლესია აღაშენა დაქცეული ძვრისაგან კათალიკოსმან მალაქია გურიელის ძემან. ხ' ჟამთა ვითარებისაგან განწყენილი და საეროდ ქმნილი კ'დ აგო სავისკოპოსოდ შრომითა თვისითა დადიანმა კაციამ ოტიას ძემ და დასვა მას ხ'ა ეპისკოპოსად კაცი ღირს სახსოვარი გრიგორი ჩიქოანი და ყ'დ დაცემული ეკლესია ცაიშისა მან ყ'ლითურთ შენებითა და საეკლესიოს სახმარებელითა განაახლა და კ'დ ახლად წარმოაჩინა. ქალენჯიხა არს აღშენებული ლეონ დადიანის მანუჩარის ძისაგან. ანაკლიას ციხე აღაშენეს ოსმალთა წელს ქ'ესით 1703. რუხის ციხე აღაშენა ლეონ დადიანმა მანუჩარის ძემ წელს ქ'ესით 1647. შ'დ შემუსრეს ოსმალთა წელს ქ'ესით 1725. რუხს ზეით არს ეკლესია გუმბათიანი კოცხერს ღ'თის მშობლისა, კ'დ ლეონ დადიანის მანუჩარის ძისაგან აღშენებული. ილორს ეკლესია ოდეს მო!წვეს თათართა წელს ქ'ესით 1733. ბედია აღაშენა 54 მეფემან ბაგრატ. ხ' პ'ლ აქა მოვიდა ეგრი ძე თარგამოსისა და აღაშენა ქალაქი და უწოდეს ეგრისი ეგრის გამო და მერმედ უწოდეს ბედია. ხ' აქა დაფლულ არს ბაგრატ მეფე. მოქვი აღაშენა 9 მეფემან ავხაზთამან ლეონ. ანაკოფია აღაშენეს პ'ლ ბერძენთა. ესე არს საზღვარი ოდიშისა და ავხაზეთისა. აქა ანაკოფიას აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლეონ დადიანმან მანუჩარის ძემან, პ'ლ მრავალს ადგილს ხსენებულმან, ავხაზთ გამოუსვლელობისათვის. ხ' სიგრძე





ოდისისა არს კავკასიის თხემიდამ ზღვამდე და ცხენის წყლიდამ ანაკოფიამდე და განი მისი ზღვიდამ კავკასიის თხემამდე. ხ უმეტეს ამისა არღა საჭიროდ ვრაცხე აღწერა, ვინათგან ვიციით და ვართ მას შინა და ვიქცევით.“

ამას მიყობა მოკლე აღწერა აფხაზეთისა, ჯიქეთისა, სვანეთისა, ალანეთისა და გურიისა ვახუშტის მიხედვით და ახალს არაფერს წარმოადგენს. ამის შემდეგ იწყება იმერეთის ისტორია შემოკლებით აგრეთვე ვახუშტის მიხედვით. ვახუშტის მიერ შედგენილი ისტორია 1741 წლამდის არის მოყვანილი. ალექსანდრე V მეფობას ნიკოლოზი ასე აბოლოვებს: „(გიორგი ბატონიშვილის ოდიშს განდევნის შემდეგ) კდ მკირედისა ჟამისა იქმნა მეფესა და დადიანს შუა შური. ესე ალექსანდრე მეფემან აბრალა დედისნაცვალსა თვსსა თამარ გურიელის ასულსა (რლსა უწოდდენ კოკიბროლად), შეიპყრა და მოჰკვეთა თავი. ხ დადიანი წარმოემართა სპითა და მოვიდა გეგუთს და შეიერთა ერისთავი გრიგოლ. ხ მეფე შევიდა ქუთაის და არა ეძლო ბრძოლა პირისპირ, გარნა რლისამე მიზეზისათვის უკმოიქცა დადიანი და მომავალსა ეწივნენ იმერნი და დაუწყესთ თოფთა ცემა. მოჰკლეს ერისთავი გრიგოლ და ივლტოდენ ოდიშარნი წელს ქესით 1743 და ნაცვლად გრიგორისა ერისთავად ჰყვეს ძმა მისი ვახტანგ. შდ შერიგდენ მეფე და დადიანი, იქმნა მშვიდობა და მეფობდა ალექსანდრე იმერეთს. ხ შემდეგ რაოდენისამე ჟამისა ამა მეფემან განძარცვა ხატი ყდ წისა ლთის მშობელისა, რლსა უწოდებენ ხახულისა ლთის მშობელსა და ამის ძლით წარმოსცინდენ ორნივე თვალნი და მოკვდა თვესა მარტსა წელს ქესით 1749 და იქმნა მის წილ მეფედ ძე მისი სოლომონ.“

ამას მიყობა შემდეგი მატიაწე დიდის სოლომონ I ის მეფობისა:

ესე პლი სოლომონ იქმნა მეფედ იმერთა, კაცი მხნე ახოვანი და მამაცობასა შა ქებული. ამან შეირთო მეუღლედ აფხაზეთის თავადის ზუფუს მცხოვრების ინალის შვილის ასული. გარნა ვინათგან იხილა, თვინიერ დადიანისა მეფობა მისი შეუძლებელ არს, ამასთვს განუტევა ინალის შვილის ასული და შეირთო ოტია და დიანის ასული მარიაჲ, რლი იყო დედათა შს ყდ კეთილ სახსოვარ



გარნა ჟამსა ამას მძლავრებდნენ იმერეთს ოსმალნი და ეპყრათ იმერეთსა შა ოსმალთა სიმაგრენი ციხე ქუთათისა, შორაპანისა, ცუცხვათისა და ბაღდადისა და მძლავრობდნენ დიდათ, გარნა მხნე ახოვნებითა თჳსითა დიდათ წინააღმდეგობდა სოლომონ ოსმალთა, მრავალთა სრვიდა, მრავალთა ხოცდა და მრავალთა ატყვევებდა და ოსმალნიცა მრავალჯეუ გარდაადებდნენ მეფობიდამ, გარნა კდ მეფედ მოიქცეოდა შეწევნითა დადიანისათა და თჳსითა მხნე ახოვნებითა და მრავალნი ძლიერნი სერესკალნი ოსმალთანი შეწევნითა დადიანისათა და ამარცხნა და არცხვინა და უკუნ აქცია და ესრეთ მეფობდა მეფე სოლომონ. ამან წინააღმდეგობისათვის თვისისა დაამდაბლა სახლი თავადთა აბაშიძეთა. თუმცა იყო სახლის შვილი აბაშიძისა მეფე ესე, გარნა არა რიდა და წარვიდა პაპა მეფისა ამის ლეონ აბაშიძე ახალციხეს და მოიკა ძალი ოსმალთაგან და მოვიდა აბაშიძე იმერეთს დიდითა სერესკლებითა. მცნობმან ამისმან მეფემან სთხოვა შეწევნა სიმაგრსა თვისსა დადიანსა ოტიას და ვინათგან კაცი მამაკი დადიანი ოტია მოუძღურებულ იყო მოხუცებულობისა გამო, ამისთვის წარმოუვლინა ძე თვისი კაცია შესაწევნელად სიძესა თვისსა მეფესა და წარმოვიდა კაცია სპითა ოდიშ ლეჩხუმ აფხაზთა და აქათ მეფემან შეიკრიბნა რამოდენიმე იმერნი, გარნა უმეტესი მიბირებულ იყო აბაშიძის ლეონისა მრმართა და შეერთებულნი მეფე და კაცია დადიანის ძე მიუხთენ ხრესილს მყოფს ოსმალთა განდიდებულთა მხედრობათა და შეიქმნა ბრძოლა სასტიკი, სადა მამაკად ბრძოდნენ მენგრელნი და მოჰკლეს აბაშიძე ლეონ პაპა მეფისა, შეიპყრეს აბაშიძე გედევან და მოჰგვარეს მეფესა და შდ დასწვა თვალნი მეფემან. კდ მენგრელთ შეიპყრეს გოლაფაშა და სპასპეტი მხედრობისა ამის ბაშადა და მოჰკვეთეს ორთავე თავი და გაემარჯვათ დიდათ და სახელოვანად მეფესა და დადიანსა წელს ქესით 1756, რლ კაცსა ერთსა მოჰყავდა ათი ოსმალნი შოებულნი და აღიღეს ალაფ ბარგნი უმრავლესნი და თუმცა სადამე განერა რაოდენიმე ოსმალნი, ივლტოდნენ ახალციხეს. ხ მეფე და დადიანი მოიქცენ გამარჯვებულნი სახლადვე თჳსდად. გარნა ძე დადიანისა მწუხარე იყო, ვინათგან მხლე მისი შარვაშიძე ხუტუნია მოჰკლეს ბრძოლასა ამას შა, რლმანცა სამაგალითოდ წარმოარჩინა მამაკობა და სიმხნე მისი, სადა სხვათა სახელოვანთა ბრძოლათა შორის ხრმლითა გაჰკვეთა თექვსმეტი ოსმალნი და შდ ოსმალთ რაზმთა შუაგულობასა მყოფი მოჰკლეს შარვაშიძე ხუტუნია. ამათ ჟამ-



თა გარდაიცვალა დადიანი ოტია და იქმნა დადიანად კაცია, ამ წელსა დაბნელდა მზე წელს ქესით 1758. შდ რამოდენისაჲე უამისა კაცია დადიანმა განუტევა ცოლი ინალის შვილის ასული და მიიყვანა მეუღლეთ დიდითა და სახელოვანითა მზითვითა საქართველოჲსა და სხვათა და კახთა ცხებულის მეფის თეიმურაზის ასული, დაჲ სახელოვანის მეფის ერეკლესი ელისაბედ, რლისა ქებანი წარიწერებოდენ ამა სამეფოთა და სამთავროთა კიდით კიდედმდე. ხ შდ ორისა წლისა შობასა ზა ყრმისასა მოკვდა სანეტარო ესე დედოფალი ელისაბედ სამწუხაროდ და საგლოველად ყლთა სამეფოთა საქართველოჲსა და სამთავროთა სამენგრელოჲსათა და დაფლეს ცაგერს, ვინათგან გარდაიცვალა სამთავროსა სასახლესა მურს წელს ქესით 1769 \*) და შდ მძიმისა გლოვისა შეირთო ცოლად დადიანმა კაციამ ასული პაატა წულუკიძისა ანნა. მეფემან ამან სოლომონ ოდეს იხილა, რლ ვერ განთავისუფლდების ოსმალთ მონებისაგან, ამისთვის ევედრა როსიისა იმპერატრიცას ეკატერინა მესამესა. მან წარმოუვლინა მხედრობა და აღიღეს ციხე ქუთათისისა, შორაპანისა, ცუცხვათისა და ბაღდადისა და მრავალნი მოსრნეს, მოსწყვიდნეს ოსმალნი და სხვა დაშთომილნი განდევნეს და იქმნა თავისუფალ მეფედ სოლომონ. ხ შდ წარმოვიდენ, იწინამძღვრეს დადიანი და შემოადგენ ფოთის ციხესა, გარნა ვერ აღიღეს და შდ განვლეს იმერეთი და წარვიდენ საქართველოთი რუსეთადვე წელს ქესით 1770. შდ მეორესა წელსა მოვიდნენ კდ რუსნი და შემოადგნენ კდ წინამძღვრებითა დადიანისათა ფოთს, გარნა ვერცა მაშინ აღიღეს და დასწამეს გამაგრება ფოთისა თავადსა სამენგრელოსასა ხახუს ჩიჩუას, შეიპყრეს რუსთა, წარვიდენ და თანა წარიყვანეს ჩიჩუაცა და მიიწივნენ რა მოსდოქს, მოკვდა მუნ ჩიჩუა და დაფლეს. ამან მეფემან აღხოცა ერისთაობა რაჭისა, შეიპყრა ერისთავი რაჭისა როსტომ და ძე მისი გიორგი და სხვანი მცირეწლოვანი შვილნი მისნი და დასწვნა ამა ყლთა თვალნი, ვინათგან სწამობდა ორგულებასა და მამულნი მისნი რლნიმე მისცნა თავადთ წერეთელთ პაპუნასა და ძმასა მისსა ზურაბს და რლნიმე თვით დაიპყრა სამეფოდ თვისდად. ხ იყვნენ მოყვარენი ესე ორნი მეფე სოლომონ და დადიანი კაცია დიდსა და სრულსა სიყვარულსა შა

\*) ეს წელიწადი ამოფეხვიდა და ნაცვლად ამისა ჯურჯი ვარანდ- შით შესწორებულა: 1770.



ყლითურთ. გარნა რლისამე მიზეზითა და ავთა კაცთა მოქმედებითა საგან სიყვარულისა წილ შეექმნათ შური დიდი ურთიერთა შს და არბევდა მეფე ოდიშს მრავალჯერ და ეკირთებოდა, გარნა არცა დადიანი აყენებდა და მრავალჯელ ესეცა არბევდა იმერეთ რაჭასა და ესრეთ განვლო ჟამიან საკმაოიან. ჟამსა ამას გარდაიცვალა ღირს სახსოვარი დედოფალი იმერეთისა, მეუღლე სოლომონ მეფისა მარიამ, დაჲ კაცისა დადიანისა. შდ გლოვისა მეფემან ამან შეირთო წულუკიძის ასულ გულქან, ნაცოლარი მიქელაძის აზნაურის ქაჯიასი. შდ რაოდენისამე ჟამისა მოკვდა ძე სოლომონ მეფისა ალექსანდრე და დაშთა მეფე უძეოდ და დაფლეს გელათს. ვინათგან ალექსანდრე იყო დისწული კაცია დადიანისა, ამისთვის წარვიდა დადიანი შესაფერითა დიდებითა და მივიდა გელათს და იტირა დისწული თვისი ალექსანდრე, თუმცა დიდი შური იყო მეფესა და დადიანს შუა, მაგრამ სიყვარულისათვის დისწულისა არა რიდა მისვლა იმერეთსა შა და მშვიდობითცა მოიქცა. ჟამსა ამას ჰვლობდენ ავხაზეთსა შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ აჰმედბეგ და ბეჭირბეგ. ამათ შეიკრიბნეს ჯიქნი, ალანნი, ზუხუა და მაზუმაჲ და ამასთან ავხაზეთი და წარმოემართენ დადიანსა ზა, განუდგენ დადიანსა სამფლობელო თვისი ავხაზეთნი სამურზაყანოდ წოდებული და მიერთვენ მათ ხსენებულთა შარვაშიძეთა. მცნობიან ამისმან დადიანმა შეიკრიბა სპანი თვისნი ოდიშ ლეჩხუმისა და სვანეთისა და დაებანაკა რუხს კიდესა ზა ეგურისასა, გარნა რა სცნო სიმრავლე და ძალი შარვაშიძეთა, მაშინ თუმცა იყვენ მტერად მეფე სოლომონ და დადიანი, გარნა მაშინცა მიუწერა ავთრათი მეფესა და შეუთვალა: „მოვიდენ აგარიანნი დასამზობელად ჩემდა და სამფლობელოჲსა ჩემისა და შებლალვად ქრისტიანობისა და ნუ მოიხსენებ ჩვენ ორთა ურთიერთსა წყინებასა და მოვედ შემწედ ჩემდა სახელოვნითა გულითა და აჰა ჟამი მოიხსენო მსახურება ჩემი ზრესილის ბრძოლისა.“ მოვიდა რა წერილი დადიანისა მეფისა თანა და წარმკითხველმან წერილისამან მსწრაფლ ბრძანა შეკრება იმერეთ სპისა და წარმოემართა სახელოვნად და მოვიდა დადიანისა თანა. მხილველი და მოხარული დადიანი მეფისა მიეგება და უამბორეს ურთიერთსა დამვიწყებელი ყლითურთ შურისა ურთიერთისა და დაებანაკნენ მახლობელ ერთმანერთისა. შდ რაოდენისამე ჟამისა მოვიდენ ავხაზნი და მიურიდებელად გამოვიდენ ენგურს და დასდგენ პირისპირ მათსა. მეორესა დღესა აშხედრდენ ავხაზნი



და წარმოემართენ ზარბაზან არტილერიითა და დიდძალითა მხედრებითა მეფესა და დადიანსა ზა, აქათ მიეგებნენ მეფისა და დადიანისანი და შეიქმნა საშინელი ბრძოლანი. მაშინ მეფე ამხედრდა ჩვეულითა კისკასითა გულითა და წარუძღვნა რამოდენსამე გუნდსა მხედრობასა იმერთ ოდიშართასა და მიუხთა მარჯვენით კერძო მამაცად და მრავლისა ურთიერთისა ბრძოლისა შემდეგ განგლიჯა რაზმი და შევიდენ სპანი მეფისა და დადიანისანი რაზმსა შუა და მხილველი ამისი აფხაზნი ვერ წინააღუდგნენ და ივლტოდენ აფხაზნი და განემარჯვეთ სახელოვანად მეფესა და დადიანსა, სადა მოიკლნენ აფხაზნი მრავალნი და შეპყრობილიცა წარმოიყვანეს მრავალნი ტყვედ და გამარჯვებული და მხიარულ ქმნილნი უკმოიქცენ სახლადვე და გარდხადა მეფემან თანამდები ხრესილისა და მის ქამიდამ იქმნა მშვიდობა ამა ორთა მეფეთა და დადიანთა შორის და იყვარული შესაფერი წელს ქესით 1780. შდ რამოდენისამე ხანისა სიყუარულისა დასამტკიცებელად მოვიდა მეფე სალხინოს დადიანისა თანა, მონათლა ასული დადიანისა მარიამ და შდ მრავლის ლხინისა და მრავლის საჩუქარისა მოვიდა მეფე კდ ქუთათის. დროსა ამას შეიშურვენ ურთიერთისადმი შარვაშიძე ზურაბ, რომელი ფლობდა ზუფუს და ძმის წული მისი ქელაიშ აჰმედ ბეგ, რლი ფლობდა აყუს და მიმდგომსა მისსა. ამისთვის წარმოვიდა ზურაბ შარვაშიძე და მოვიდა კაცია დადიანისა თანა და სთხოვა შეწევნა. უსმინა დადიანმა, შეიკრიბა სპანი თვისნი, აჩინა მხედართ მძღვანვად ძმა თვისი გიორგი და წარგზავნა აფხაზეთად. მივიდენ რა აფხაზეთს, ურჩნი ზურაბისანი მოსწვეს, მოსწყვიდნეს და შდ შემოადგენ ცხომის ციხეს, სადა მამაცად ბრძოდენ ციხით გამო მეციხოანენი ქელაიშ აჰმედბეგისანი, გარნა სიმხნე მამაცობითა საქებელითა აღიღო ციხე იგი გიორგი დადიანის ძემან და მოიქცა გამარჯვებული კდ ოდიშადვე. შდ ემზახლენ ერთმანერთს კაცია დადიანი და ზურაბ შარვაშიძე და ასულა ზურაბ შარვაშიძისა რუსუდან მოუყვანა დადიანმა მეუღლეად ძესა თვისსა მანუჩარს. შდ ჟამისა რაოდენისამე იწადა მეფემან, რათა მიუხთეს ჩაქვს ოსმალთა და შემუსროს იგი. შეიკრიბნა სპანი იმერელთანი და მიუხთა ჩაქვს, გარნა უკმობრუნებულს ეწივნენ რამოდენნიმე ჩაქველნი და უწყესთ თოფთა ცემა, დაკოდეს სარდალნი წულუკიძე ბერი და აგიაშვილი ქაიხოსრო, მოჰკლეს მრალნი წარჩინებულნი თავად აზნაურნი და კოცხალნიცა დაიმორჩილნეს და მოიქცა მეფე იმერეთს დიდათ



დამარცხებული. უდ ამისა ამავე წელსა თვესა აპრილსა კა დღით  
 სასწაულსა წმინდისა გიორგისასა ჩვეულებათ აქვსთ შეკრება ხონს  
 დღესასწაულობად. მაშინ მეფემან მოიწადა ქუთაისით მუნ წამოს-  
 ლვა შექცევად და დილას რა აღემზადა, მოგვარეს ცხენი შესაჯდო-  
 მად, მაშინ ანაზღად მოულოდნებელითა სიკვდილითა გარდაიცვა-  
 ლა წელს ქესით 1784 და დაფლეს გელათს და გარდვიდა უძეოდ  
 და იქმნა უმემკვიდროდ იმერეთი. ხ იყო მას ჟამსა ორნი ბაგრა-  
 ტოანთა ძენი, ერთი ბიძისძე მეფისა დავით გიორგის ძე, ხ მეორე  
 ძმისწული მეფისა დავითვე არჩილის ძე. ხ იწადეს იმერთა რლ-  
 მანმე იგი და რომელმანმე ესე მეფედ. გარნა დავით გიორგის ძე  
 იყო მამიდას შვილი დადიანისა და იყო სიძე მისი პაპუნა წერეთე-  
 ლი, რლი მას ჟამსა იმერეთსა შინა წარჩინებულ იყვენ წულუკიძე  
 ბერი და იგი ხსენებული წერეთელი პაპუნა და ამა ორთა მოიწა-  
 დინეს და შემწეობითა დადიანისათა იქმნა იმერთა ზედა მეფედ  
 დავით გიორგის ძე, ხ არჩილის ძე წარვიდა საქართველოდ მეფი-  
 სა ირაკლისა თანა, ვინათგან იყო შვილისშვილი მისი დედით და  
 იყო მუნ.

ამას მისდევს გაგრძელება იმერეთის ისტორიისა 1823 წლამ-  
 დის, რომელსაც აქვს თავი წინასიტყვაობა, სადაც ნიკოლოზი სხვათა  
 შორის ამბობს: „ხ პირველის სოლომონ მეფი დამ წყებულნი ვიდრე  
 აქამომდე და ესე შემდგომნი ამისა წარწერილნი ისტორიანი ანუ  
 მოთხრობანი ქართველთა და შემდგომთა მისთანი ჯერეთ არღა აღ-  
 წერილ არიან არცა ძველსა და არცა ახალსა ქართველთ ისტორი-  
 ასა შა, ვინათგან არა იყო ჯერეთ საქმენი ესე ნამყო სრულად.  
 ამისთვის მე თანამდებად შევრაცხე თავი ჩემი, ვითარცა შვილმან  
 მამულისამან და ესე შემდგომნი მოთხრობანი ანუ ისტორიანი  
 რომელნიმე სმენილნი და რომელნიმე თვით ჩემგან ხილულნი აღვსწერე  
 სახსოვრად და სასარგებლოდ ყლთა მოყვარეთა მვისტორიეთასა“....  
 ეს გაგრძელება უკვე დაბეჭდილია და ცნობილია ლიტერატურაში\*).

\*) პირველად დაბეჭდა 1877 წლის „ივერიაში“ და შემდეგ გადა-  
 ბეჭდა და რუსულთა გადათარგმნა ე. თაყაიშვიალმა Опис. рук. общ.  
 грам., т. I).

სიგელი იმერთა მეფის სოლომონ II-ისა 1805 წლისა ზუ-  
რაბ და ქაიხოსრო წამართლებისადმი

ამ სიგელის ზირი დაცულია წერაკითხვის საზოგადოების ხელნაწერ-  
ში № 2392. სიგელს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან იქ  
ვრცლად აღწერილია იმერეთის მეფეების ბრძოლა რაჭის ერისთავებთან  
მე-XVI სუკუნის სიგრძეზედ და ამიტომ მომეყვს აქ.

წყალობითა ღვთისათა ჩნ მფლობელმან სდ იმერეთისამან  
ძემან არჩილისამან მეფემან მეფეთა მეფემან მეორემან  
სოლომონ გიბოძე სიგელი ესე წყალობისა თქნ სარწმუნოდ  
საყვარელთა და ერთგულთა თავადთა ჩემთა თავადს წერეთელს სახ-  
ლუხუცესს ზურაბს და ძმისწულსა თქუცნსა თავადს წერეთელს ქაი-  
ხოსროს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომ  
რლიცა რაჭას გაქვსთ თქნ ბოძებული ყმა და მამული ნეტარ  
ხსენებულისა ბიძისა ჩისა მეფე სოლომონის მრ და ნეტარ ხსე-  
ნებულისა მეფე დავითის მრ, პლ ქონებულნი ერისთვისანი,  
მათ ებოძა პაპუნა წერეთლისათვის და ზურაბ სახლთუხუცისათს  
და აწ ჩნცა წერილითა ამით ვჰყოფთ განცხადებასა სამართლად  
ჩამართმევისა მათისასა და მოცემასა სისხლის დათხევითა ერთგუ-  
ლებასა შა ნამსახურისა სახლისა თქნისასა. ოდესცა შოშიტა ერის-  
თავმან და გიორგი აბაშიძემ შეთქვეს პირი და უღალატეს მეფესა  
ალექსანდრეს, წაიყვანეს ქართლს და მოკლეს რუისს და დაჰკარგეს  
შვილი მისი გიორგი და დაიპყრეს მათ სამკვიდრებელი ჩნი სდ  
იმერეთი და იყო შვილი მისი გრი დაკარგული ოცდახუთ წელ. შე-  
წევნითა ღვთისათა მოვიდა გრი, დაიპყრო იმერეთი სდ ერთგულად  
დაშთომითა და მსახურებითა სახლისა თქვენისათა განაძო აბაშიძე  
და შეიწყალა შოშიტა მონად თვისად და მისცა საერისთო სდ და  
მან ერისთავმან შოშიტამ შეითვისა აბაშიძეები სდ და უღალატეს



მეფეს და მოკლეს მეფე გ<sup>ი</sup> და იყო ქვეყანა ჩ<sup>ნი</sup> ოხრობასა და ტყვეობასა შ<sup>ა</sup> და მოკვდა ერისთავი შოშიტა და შეწევნითა ღ<sup>თი</sup>სათა მეფის გ<sup>ის</sup> ძემ ალექსანდრემ დაიპყრო სამკვიდრებელი ს<sup>დ</sup> იმერეთი და დაჯდა მეფედ და კ<sup>დ</sup> ერთგულობით დაშთომითა სახლისა თქვენისათა და მეფემან ალექსანდრემ შეიწყალა შოშიტა ერისთვის შვილი გრიგოლ და დაადგინა ერისთავად და მისცა საერისთო ს<sup>დ</sup> და შოშიტას ძემ გრიგოლმა მოიბირა დადიანი ოტია და ოსმალთა ჯარი. შეკრბენ ერთად და დაესხა გამკეთებელსა ბატონსა ალექსანდრე მეფესა თავის ცოლშვილშიდ და გარდაიხვეწა მეფე დედოფალითურთ და სხვანი სახლში მყოფნი ერთბამად დაამტყვევეს, ყ<sup>ლ</sup>ნი სახლის მოხელენი ტყვედ ქმნეს, მეფეს სდიეს და გარდააგდეს ქართლს. მას ჟ<sup>ა</sup> მკვიდრობდა საქართველოსა შ<sup>ა</sup> სპარსნი, დაიპირეს სპარსთა მეფე ალექსანდრე და გაუგზავნეს ახალციხეს ფაშას მტყვეთ და იყო რაოდენსამე ხანს საპყრობილედ და დატყვევდა ქ<sup>ყ</sup>ნა ჩ<sup>ნი</sup>. იუწყა მტყვეობა მისი ხვანთქარმან და განათავისუფლა ტყვეობისაგან მეფე ალექსანდრე და მისცა მას ჯარი თ<sup>სი</sup> და დაიპყრო სამფლობელო თ<sup>სი</sup> იმერეთი სისხლამდე მსახურებითა მამაპაპათა თქვენთა. შეიწყალა კ<sup>დ</sup> ერისთავი გრიგოლ და მისცა საერისთო ს<sup>დ</sup> და უღალატა ერისთავმა გრიგოლმა და მიიბირა დადიანი ოტია იმერეთის ჯარით და მოაოხრეს ყ<sup>ი</sup> ქ<sup>ყ</sup>ნა, მტყვედ ყვეს და დაებარგენ გეგუთს და შიამწყვდიეს მეფე ალექსანდრე ქუთაისსა შ<sup>ა</sup>. მას ჟ<sup>ა</sup> შ<sup>ა</sup> მკვიდრობდა ქუთაისსა შ<sup>ა</sup> ოსმალთა და მისცეს შეწვენა ოსმალთა მეფე ალექსანდრეს და გამოაქციეს ქვეყანისა აღმაოხრებელი დამამტყვევებელი დადიანი ოტია და ერისთავი გრიგოლი მოკლეს ომსა შ<sup>ა</sup>. კ<sup>დ</sup> შეიწყალა ძმა მისი ვახტანგ ალექსანდრე მეფემ და დაადგინა ერისთავად და იყო ერისთავი იგიცა ვახტანგ ორგულობასა და წინააღმდეგობასა შ<sup>ა</sup> და ესეცა გარდაიცვალა და შეწყალებულ ჰყო ძმა მისი მეფემან ალექსანდრემ როსტომ და დაჯდა ძე მისი სოლომონ მეფედ და მან ერისთავმან როსტომმან ძემან შოშიტასამან მოიბირა აბაშიძის გიორგის შვილი ლევან და შეებნენ მეფე სოლომონს და გარდააგდეს ახალციხეს და დაატყვევეს ქვეყანა და დაყიდეს. მისცა შეწვენა ხვანთქარმა იმერეთად და დაიპყრა სამკვიდრებელი თ<sup>სი</sup> და შეიწყალა ერისთავი როსტომ და დაადგინა ერისთავად. უღალატა შეწყალებულმან ერისთავმან როსტომმან და შეიერთა აბაშიძე ლევან და მოიყვანა ოსმალის ჯარი და დაესხენ მეფე სოლომონს ხრესილზე წელთა





ჩნევ \* ) და მისცა ღთნ ძლევა მეფე სოლომონს და გაიმარჯვა მათზედ კ'დ შეიწყალა ერისთავი როსტომ და დაადგინა ერისთავად. უღალატა შეწყალებულმან ერისთავმან როსტომმან და მოიყვანა სარასკალი ხვანთქრისა და მოაოხრა ქვეყანა და მისცა ძლევა მეფე სოლომონს ღთნ და გაიმარჯვა. შეიწყალა კ'დ ერისთავი როსტომ და მისცა სამკვიდრებელი თ'სი და მოიყვანა კ'დ ოსმალთა სარასკალი და შეუერთდა ერისთავი როსტომ. აღაოხრეს ქ'ყნა და ტყვედ ჰქმნეს და განსდევნეს მეფე სოლომონ და დაკარგეს და დაიპყრეს სამკვიდრებელი თ'სი ს'დ და იქმნა მეფე უღონოდ ყ'ლის გზით და დამალა მეფე ესე სოლომონ წერეთელმა ქაიხოსრომ მონითა ოთხითა ციხესა შ'ა თ'სსა და გარდაყარეს ცოლი და შევიღნი მეფე სოლომონისანი და მყის ეძიებდენ სასიკვდილოდ ნიადავ და იყო რაოდენთამე უამთა ფარულად ციხესა შ'ა თქვენსა. შეწვენითა ღთისათა და მოქმედებითა ქაიხოსრო წერეთლისათა დაიპყრო იმერეთი და შეიპყრა ერისთავი როსტომ და აბაშიძე მამაბაბათა სისხლისათ'ს და მრავალჯერ დევნილებისათ'ს თქნის ოხრობისათ'ს და დამტყვევებისათ'ს ქვეყნისა, კ'დ მოაოხრებისათ'ს ორთა დიდებულთა ოჯახთა, რ'ლთა უბრძანებლად მეფისა დაიპყრა თვით ერისთავმან როსტომმან, ესეოდენთა ბრალთათ'ს შეიპყრა ცოლშვილით და დაავლახა მეფემა შთამომდინარეობა მისი და განუყო სამკვიდრებელი მისი ერთგულთა თ'სთა, რ'ლისათ'სა ესოდენი ერთგულებისა და წ'ე მეფეთა სისხლთა დათხევისათ'ს თქნთ'ს ებოძა ნეტარ ხსენებულსა ბიძასა ჩ'ა მეფე სოლომონს რაჟას ნასისხლად ჩვენდა ორგულთა ჩვენთა ერისთავთა და შთამამავლობათა მისთავან სამართლად მიღებულნი ესე სახელდობ დაწერილნი ყმანი და მამულნი: ლომინ ერისთავის თავისი ძმისავან ნასყიდი აზნაური, მსახური და გლეხნი, მიწა, წყალი რაჟას და იმერეთს რისიც მკონებელი იყონ ს'დ. კ'დ ებოძებია ჯაფარა ჯაფარიძის შვილები და მისი ძმისწულები ს'დ სამკვიდრებელით თ'სით, ვაჭრით, აზნაურით, გლეხით და მსახურით, მიწით, წყლით და ციხით. კ'დ რაჟას ჩ'ნი ნასისხარი ერთობით გოცირიძეები თავისის მამულით, ადგილით, ყმით, მიწით, წყლით. კ'დ ებოძებინა ლინჩი, ლოდორა და გოლისი თავისის სამართლიანის სამძღვრით. კ'დ აბლუშელიშვილი ბეჟანი და ძმა მისი გოგია შალაურით, მიწით, წყლით და ყ'ლითურთ ყმით, კ'დ ეკკლესია ღვიმევი თავისის სამართლიანის ყმით, მიწით,

\* ) ეს რიცხვი შემდეგაა ჩამატებული.



წყლით, კდ ძველთა მამაპაპათა ჩნთაგან ბოძებული ჯრუჟიანი სის სამართლიანის ყმით, მამულით, ადგილით და ტყით. კდ ებოძებინა ძილიშვილის სეულობა საწერეთლოში თავისის მამულით, ადგილით, ყმით და წყლით. კდ ჩნი სასახლე და დიდველი თავისის ადგილმამულით და წყლით. კდ პასიეთი, რლისათჳსცა უმეტესისა წყალობისა თანამდები ყო სახლი სამეფო ჩნი ოჯახსა თქუტნსა ზა, ამისთს რლ ძველნი მამაპაპანი თქუტნნი მამაპაპათა ჩვენთა და მეფეთა თა შერიცხვით ორასზე უმეტესი რხმლითა და თოფით დააკლდენ სიცოცხლესა და ამისთვის რლიცა წინაპართა მეფეთა მეფე სოლომონისა და მეფე დთის მრ ბოძებულნი მამულნი გქონდენ, სიგელითა ამით დაგიმტკიცებთ, დთნ ჩნს ერთგულება-სა შა მოგახმაროსთ ყთა კაცთაგან უცილებლად. აწ ვინაც და რამანც ძემან კაცისამან, მეფემან ანუ დედოფალმან ანუ უფლის-წულმან, დიდმან ანუ მცირემან ჩნ მრ ბოძებულსა ამა წყალო-ბასა შლად კელ ჰყოს, იყავნ კაცი იგი სკნოდ აღბოცილ წიგნისა მისგან ცხოველისა. მიეცინ მას უფალმან ცოცხლივ დანთქმა და-თან და აბირონისი, ნაწილი იუდასი შა განმცემელისა და ყნივე საცხოვრებელნი მისნი და თვითცა ჯოჯოხეთსა გამოაჩინებს. ხ მსმენელი და დამამტკიცებელი წიგნისა ამის აკხენ სიბრძნემან დთისამან და განამტკიცენს და განაძლიერენს ყთა სათნოდ დთ-ისა მსახურებითა. აწ არიან წიგნისა ამის მოწამედ წულუკიძე ოტია და ძმა მისი სეხნია, მაჩაბელი ზურაბ და ყნი სახლისა ჩნისა გამ-გენი დიდნი და მცირენი. აღიწერა კელითა მოძღვრის ძის ოსე მღვდლის გაბაშვილისათა, თვესა აპრილსა კე, ქრისტეს აქეთ ჩყე.

ბეჭედი წაწერათ: მეფე იმერთა სოლომონ

ჩვენ ყდ სამღვდელი ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს თა მოწამე ვარ ამა ჩი კელმწიფის ბრძანებისა და დავამტკიცებ და დამარღვეველსა ამისსა ვსწყევ და შევაჩვენებ. (ბეჭედი)

ჩნ ყდ სამღვდელი გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი ჩი კელმწიფის მეფე სოლომონის ბრძანებას ნებითა დთისათა ვამტკი-ცებ და დამარღვეველსა ამისსა ვსწყევ და შევაჩვენებ. (ბეჭედი)



ჩნ უდ სამღვდელი ნიკოლოზწმიდელი არხიებისკოპოსოს  
სოფრონიოს ვამტკიცებ ამა კელმწიფისა ჩისა ბრძანებასა და აწ  
შლად კელმოფელსა ვსწყევ და შევაჩვენებ (ბეჭედი)

ჩნ უდ სამღვდელი მთავარებისკოპოსი ანტონი მისი სიმალ-  
ლის ბრძანებას ვამტკიცებ და დამარღვეველსა ვსწყევ და შევაჩ-  
ვენებ (ბეჭედი)

სარდალ მოურავი წულუკიძე სვიმონ ვამტკიცებ ამ ხელმწი-  
ფისა ჩემისა ბრძანებასა (ბეჭედი)

წულუკიძე ოტია და სეხნია (ბეჭედი)

ნამდვილსა თა სწორედ გარდმოწერილ არს. მდივანბეგი დავით ჩხეიძე.

## დიდის სოლომონ I-ის გამეფების თარიღი.

ვახუშტის ქრონიკით იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის გარდაცვალება და მისი შვილის სოლომონის ტახტზედ ასვლა მოხდა მარტს 1751 წელს: „ვალად განძარცვა ხახულის ღუთისშობელი და მის ძლით ამ დიდ მარხვის მარტში მოკვდა ალექსანდრე მეფე, დაჯდა ძე მისი სოლომონ მეფედ.“ მაგრამ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს თარიღი ვახუშტისა შემცდარი უნდა იყოს, რადგან სოლომონ I მეფედ იხსენიება 1751 წელზე უფრო ადრე, სახელდობრ ერთს 1750 წლის ხონის სიგელში. ეს სიგელი № 22 დაწერილია ქალაქზე ზომით 45 X 32 სანტიმ. და ოდნავ შემოკლებით იკითხვის ამ ნაირად:

...ესე...წიგნი და კელით წერილი გუჯარი ესე ვიგულსმოდგინეთ და შემოგწირეთ შენ მთავარმოწამეს კონის წმინდას გიორგის და ეკლესიასა. შენსა ჩვენ მონამან და მსასოებელმან შენმნ პროველ მიტროპოლიტმან არაგვთ ერისთვის ძემ იოსებ, ასე რომ ჟამთა ვითარებისაგან ეკლესიის შესავალს დაკლებოდა და სამთელ საკმეველითა და იარაღით მოკლებულ იყო. ახლა ხთისა მიერ რჩევით წარმოჩენილმან კელმწიფემ მეფეთ მეფემ სოლომონ და დედოფალთ დედოფალმან სარწმუნოებით ნათლფენილმნ დადიანის ასულმნ მარიამ შეგვიწყნარა და ეს სამთავრებისკაპოსო ეკლესია და მამული და ნახევარი ბაჟი მიბოძა და მე ამის მეტი საძღვენო და ეკლესის საკადრი ვერა ვიგულე და ჩემი სახვედრო ბაჟის გამოსავალი რაც იყოს თვინიერ მარილისა და მატყლის სუფრის იარაღის მეტი რაც მოვიდეს, წმინდას გიორგის ხონისას და შენს ეკლესიას შემოგწირეთ სამთელ საკმეველისა და საყდრის სამკაულის ფასათ მოგერთმევოდეს და მარილი, მატყლი და ჭურჭელი, კოკა თუ ჭური, დოქი თუ კათხა, ჯამი და ვგე ვითარი რაც მევიდეს ჩვენდა, ვინც მთავარებისკაპოსი შემდგომად ჩვენსა იმყოფებოდეს, მას მიართმევდეს. სხვა რაც მოვიდეს ჩვენი ბაჟის გამოსავალი, ბატონმა რომ ნახევარი ბაჟი გვიბოძა, ყველა



უკლისათ შამოგვიწირავს... დეკანოზს მიებაროს და მნ მოახმაროს... (წყევლა)... ვინც ეს შეშალოს შეჩვენებული იყოს შვიდ-თა კრებათაგან, ოთხთა პატრიარქთაგან და ჩვენს მწყემს მთავრის კათალიკოზის ბესარიონისა და მისთა კრებათაგან... კაცთაგან მოწამე ამისი თავად ხელმწიფე ღთივცხებული მეფე სოლომონ, დედოფალა (სიძ) ბატონი მარიამ, უფალი ჩვენი კოზ ბესარიონ, გენათელი იოსებ, ქუთათელი მაქსიმე, უფლისწული გიორგი, უფლისწული თეიმურაზ, მეფის დეკანოზი სვიმონ და ერთობით იმერნი დარბაზის ერნი დიდნი და მცირენი, წინამძღვარი ჩვენი მაქავეარიანი დანიელ, დეკანოზი მიქელ, ჯვარმტვირთველი ბახტაძე დავით, გიორ[გი] და სვიმონ და მათე მოურავი, ბატონის მაგიერი კაცი გიორგობიანი გიორგი, მესტუმრე ბახტაძე ჟოჟუა და დათუა ხელოსანი, ხოეონა კოპეშავიძე, ბახტაძე გორგელა, ჭავჭავანიძე ბუჭუა და ერთობით ქუთათელაძე და ამის შემავალნი დიდნი და მცირენი. მე არქიმანდრიტს ლოლაბერიძეს მღღელ მონაზონს, სილივისტროს დამიწერია და მოწამეკა ვარ ამისი. დაიწერა სიგელი ესე ქრისტეს აქეთ ჩნდ თვესა მარტსა იზ დღესა ლაზრობისა შაბათსა

სვეუდად: იოსებ

ბეჭედი

1750 წელსავე იხსენიება სოლომონ I მეფედ გელათის ერთს (№ 63) სიგელში, რომელიც დაწერილია ქალაქდზე ზომით 86<sup>1</sup>/<sub>4</sub> X 31<sup>1</sup>/<sub>2</sub> სანტიმ. ნიშნად იხმარება თითო წერტილი და ზოგან სამი:

(გრძელ ღვთის მეტყველურ წინასიტყვაობის შემდეგ)... მე აღქატი სიჩოდგან ამისდა სახელდებული მღღელ მონაზონი ლაზარე გვარისა უხმარებითა ერგებლიძე... აწ შეიწირე ჩემ უღირსთაგან უბიწოვო დედაო ღთისაო გლეხი არგვეთს რომელ არს აღისუბანი ჩემის კონდაკით თითოულებ დახსნილი და მამულ ალაგი ჩემის თეთრით ნაყიდი არავისაგან არა საცილო... თურქაძე მამუკა და მისი ძმა იმედა და სეხნია და დათუნა მისის ცოლშვილით, მამულ ალაგით... გელათისათვის შემომიწირავს... და ასე შეგვედრებივარ ამ ჩემს ხელმწიფის შვილს გენათელს იოსებს და შემდგომს კვალად გენათელს, რათა წელიწადშიდ თვითან მოხსენებას



და წირვას ყოფდენ ჩემ ცოდვილისათვის. უკეთუ თვითან არა გავიწყდებოდა  
 საჯენ, ერთს წინამძღვარსა და ერთს დიაკონს გვიწირვინონ....  
 (გენათელს მსახურანთა, გრძელი წუგვა შემქმლელთათვის)... კაცთა-  
 გან მოწამე ამისი თავად ბატონი ბატონისშვილო უფლისწული  
 გენათელი იოსებ, ქუთათელ წოდებული აბაშიძე მაქსიმე, წინამძღ-  
 ვარ ჯვარმტვირთველი კანდელაკი დავით, წინამძღვარი მაჭავარიან-  
 ნი ნიკოლოზ, წინამძღვარი ჭიჭინაძე იოსებ, კანდელაკი მღვდელი  
 იესე, წინამძღვარი მღვდელმონაზონი ბასილ, მღვდელმონაზონი  
 შავლანიძე, მგალობელ ჭიჭინაძე იესე და ერთობით კრებული გე-  
 ლათის, სახლითუხუცესი ნემსაძე შოშიტა დასხვანი მოხელენი ყო-  
 ველნი და მე აღქატს მღვდელმონაზონს... წმინდის მოწამეთის წი-  
 ნამძღვარს და ჩემის ხელმწიფის კარის მღვდელს ლოლაბერიძეს სა-  
 ლიბისტროს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ქრისტეს  
 აქეთ ჩნდ, დასაბამიდან ვიდრე აქამომდე (ცადიერა ადგილია დატო-  
 ვებ.) თვესა, ინდიკტონსა (sic) იგ (ხუცურად: ამპყრობასა ჯვარისა-  
 სა სრულ იქმნა დღესა პარასკევსა შეწვევითა ღთისათა).

ამ გვარად ექვს გარეშეა, რომ სოლომონ I უკვე 1750 წელს  
 მეფედ ყოფილა. მართლაც, ნიკოლოზ დადიანის ძე თავის მატია-  
 ნეში გადმოგვცემს ალექსანდრე V-ის სიკვდილს მარტს 1749  
 წელს, ორი წლით ადრე ვახუშტის ქრონიკის ცნობაზე. ეს გარე-  
 მოება მით უფრო საგულიხხმოა, რომ ნიკოლოზ დადიანის ძე თავის  
 ისტორიაში ბრმად მისდევს ვახუშტის ისტორის და თუ კი  
 სოლომონ I-ის გამეფების თარიღს ასწორებს, ეს აიხსნება ალბად  
 იმით, რომ მას რაიმე მტკიცე საბუღი ჰქონია ვახუშტის აზრის  
 უკუგდებისათვის.

ცნობილია, რომ სოლომონ I დიდი გარდაიცვალა 23 აპრილს  
 1784 წ., ერეკლე მეფის ძის ვახტანგ ბატონიშვილის სიტყვით 49  
 წლისა. მაშასადამე, სოლომონ I დაბადებულა 1735 წელს და  
 ტახტზედ დამჯდარა 1749 წ. თოთხმეტი წლისა.

საინტერესოა კიდევ ის გარემოება, რომ ზემოდ მოხსენებულ  
 1750 წლის სიგელებში ბატონიშვილი იოსებ იხსენიება გენათ-



ლად. ახლა უკვე ცნობილია, რომ ბატონიშვილი იოსებ ჯაფარიძე 1738 წელს ნოემბერს \*). 1750 წ. 17 მარტს, როგორც ზემოდ მოხსენებულ ხონის სიგლიდან სჩანს, ის უკვე გენლათლად ყოფი-  
ლა, მაშინ როდესაც ის იქნებოდა მხოლოდ 11½ წლისა.

ფაქტობრივად იოსებ ჯაფარიძე იმდროინდელი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მფლობელი იყო. მისი მფლობელობის სიდიდე იმდროინდელი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მფლობელის მფლობელობის სიდიდესთან შედარებით უდიდესი იყო. მისი მფლობელობის სიდიდე იმდროინდელი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მფლობელის მფლობელობის სიდიდესთან შედარებით უდიდესი იყო. მისი მფლობელობის სიდიდე იმდროინდელი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მფლობელის მფლობელობის სიდიდესთან შედარებით უდიდესი იყო.

მოდე 1750 წელს I სიმეონ ბატონიშვილი იოსებ ჯაფარიძეს დაეხმარა. მისი დახმარებით იოსებ ჯაფარიძემ მისი მფლობელობის სიდიდე იმდროინდელი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მფლობელის მფლობელობის სიდიდესთან შედარებით უდიდესი იყო.

\*) გელათის წმ. გიორგის გულანის ქრანია გადმოკვების 1776 წლის ქვე: „ამ ქრანიაშია მაიგვალა ედ სანატრელა კათალიკოს გნათელი და მუის ძე იოსებ. თუეს მასისი ივ დუსა ზარასკესა შა მუოთხესა იკო წლისა იცხადებდეთ და ექუსი თვისა.“ 1776 წელს 23 აგვისტოს შედგენილ ანდერძის მანუალებით გენათელი იოსებ იეო ამ დროს 27 წლისა და 9 თვისა. ამ ცნობების მიხედვით სხობაფთად ირკვევა, რომ გენათელი და შემდეგ კათალიკოსი იოსებ დაბადებულია 1738 წ. ნოემბერის მეორე ნახევარში

## დოკუმენტი იმერთა შივის სოლომონ II-ის სიკვდილის შესახებ.

შემთხვევით მე ხელთ ჩამივარდა ფრიად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს წერილს სოლომონ II-ის მოძღვრის იასე ყანჩაველისას იმერთა დედოფლის მარიამისადმი 1817 წელს. წერილი ფრიად დაქონჭილია და ზოგი ადგილი გაჭირვებით იკითხება. სათაურად მისამართის ადგილს აქვს: „მათს უმაღლესობას დედოფალს დადიანის ასულს მარიამს მიერთუას იმერეთილამ რუსეთს სადაც ბრძანებოდეს.“ აი ეს წერილი უცვლელად:

მათს უმაღლესობას ს'დ იმერთა დედოფალს დადიანის ასულს მარიამს, მოწყალეს ხელმწიფეს.

ქრისტეს. მიერ ლოცვას და კურთხევას და თქუენის უმაღლესობის ტახტს. კოცნას. მოვახსენებ. შ'დ ვინადგან ბატონი ჩემი მეფე სოლომონ გარდიცვალა და ჩემის აურაცხელის ცოდვისაგან დაბნელებული შევიქენი და უნუგეშო ყოვლითურთ: მერმეთ თქუენ წიგნი მოგართვით და ყოველივე ამბავი გამოვაცხადე და მოგართვი ერთი ტრაპიზონილამ. მოგართვი წიგნი და ერთი იმერეთილამ აროდეს პასუხი არ მებოძა თქუენ მიერ არც ვიცი. მოგერთუათ თუ არა ეგებ არ მოგერთუათ და ახლა მოვახსენებ ამბავს ჩვენი ცოდვის კითხვისას. მათის უმაღლესობის. კურთხეულის და ნეტარ ხსენებულის. მეფე სოლომონის მიკვალებას ოდეს თქუენი წერილი მოერთვა ბატონს ფოთს ბრძანდებოდა და ავათ იმყოფებოდა თქუენი წერილი მოერთვა აპრილის იბ რომ ყ'დ მოწყალეს ხელმწიფეს გაურიგდო აქ გირჩევნია ისევ თათარში ყოფნასაო ბევრათაო მაგრამ მაშინ ავათ. ბრძანდებოდა და ტრაპიზონს წაბრძანდა იქ აქიმი გახლდათ მაგრამ ვერა ქნა რა იმ წყეულის ქირისაგან რაც ერთი ბზუკვა იყო მარჯუენა ძუძუს ქუეით. ბრძანებდა არ მომარჩენსო და მოახსენებდენ თავადნი ნუ ბრძანებო კარგათ ბრძანდები





ცხენზე ჯდომა შეგიძლია და აგრე. რათ. ბრძანებო მამაკვლამ და  
და უნდა სთქუასო მაგრამ მე ასე ვგონებ. რომ სამლო მადლით  
იკოდა ნახევარი წლით მიხუდა თავის განსაცდელს მიბრძანებდა  
ნიადაგ რომ მე არ მოვრჩებიო და შენ იციო შენს მეტი მომხსე-  
ნებელი არ მეყოლება. საკუთარიო და ანაწერი მიბოძა თუ. რამ  
იქანა. ქონდა ათი. ქესა თეთრი იყო და ათი ქესიცი თუ. რამ სა-  
ქონელი იყო ოცი. ქესა ყურუშის ქესა რაც. შეიძლებოდა ღვთის  
მადლი და მეფის. მადლი. შემეწია და გავარიგე ის ოცი ქესა ასე  
გარიგდა. რომ ასი ქესა თეთრი ვერ იქმოდა ღვთის მადლით ასე  
ვიცოდვილე ასორმოცდაათს მონასტერზე. მეორეთ მოსულამდი  
მოსახსენებელი დავსდევი. ბერძნულათ ქარუსია. ქვიან იმ დასადე-  
ბელს თავის საფლავზე ერთი სახარება მოვაქედინე სინათელი ოს-  
ტატი მოვიყვანე რომ იქ იმისთანა ოსტატი არ იზოგება არსად თერ-  
მეტი ას მარჩილად ისეთი გაკეთდა რომ ზ ქესათ აფასებენ ერთი  
ხელი. შესამოსელი დავსდევი ბატონის საფლავზე და სამასი მარჩი-  
ლი სამთავრო იმ წმინდის გრიგოლის ეკლესიაზედ. რომელზედაც  
ბატონი. მარხია. ასე რომ მისმა სარგებელმა წირვა არ უნდა გაუ-  
სხლიტოს იმ საფლავზე იმ ეკლესიაში. ქუაზე მიწერილი არის მულუ-  
დელმთავარი დგას იმ ეკლესიაზედ და დიახ სასოებით მიღებული  
აქუსთ ბატონი ასე რომ. ხატის მსგავსად ემთხვევიან ბატონის საფ-  
ლავს. ქრისტიანები ოცდაათი ათასი ქრისტიანი არის იმ ეკლესიის  
შამომავალი იმ მიტრაპოლიტის სამწყსო. სულერთობით ბატონის  
მომხსენებელი და მლოცველნი. რაც გახუდა იმ ოცი ქესიდამ იმ  
საკვირველს ღარიბებს მივართვი ყე მე სხუა ვერ შევიძელი. და იმ  
ბერძნებისაგან საწირავათ მოცემული და თუ ან ულუფას გამოვრ-  
ჩი რასმე ორას სამოცი ყურუში მქონდა და ისიც ღარიბებს მიუ-  
ეცი რომ მწუხარება მომაყენეს ღარიბებმა ღვთის მოწყალებით  
ასე დაიმარხა. რომ როგორც ეკადრებოდა. სხუა მეფე ისე არ და-  
მარხულა მე ასე მგონია იმ კაი ქრისტიანებისაგან. ქუეყანის გან-  
წესება არის თუარამ. ვაცემა. რალათ ეჭირვებოდა ნეტაი თქუნ  
რომ თქუნც ვაცხოვნებს მისი კეთილი გონება და მისი სიწმინდე  
და მისი კაი ლოცვა ასეთი მლოცველი შეიქნა რომ. საკვირველი  
არ დაცბრებოდა ლოცვისაგან. ხატი უდაბნოს შესაწირავათ. მინ-  
დოდა ბატონმა ანაწერში ჩამიწერა ვასაცემათ მაგრამ მერე შევიტყუე  
რომ დედოფლის არისო მე არ ვიცოდი და ვთქვი. რომ დედოფალს. მი-



რვათმევ. და რავარც ინებოს მეთქი ახლა სხუას მიტომ არ ვანდევ. რომ ეგებ მატყუებდენ და დედოფალს არ მიართუან თქუა თორემ. ბევრმა მითხრა. იმერეთს მე გაუგზანი დედოფალსაო მაგრა მე არავის [გადავსცემ] თუ თქუენი წერილი არ მომივიდა და ნიშნოულობა არ მენიშნა არავის მივსცემ როდესაც თქუენი წერილი და ნიშნოულობა მომივა. მაშინ მიბრძანებ ეკლესიას. შევსწირავ. რავარც ვაგზანიდი [მთა] წმინდის ეკლესიაში მიბძანებ გაახლებ და ვისაც მიბრძანებ იმის ხელით გამომიგზავნე და მომიტანს იმას მივსცემ და მოგართმევს თუარა ის კი აღარ ვიცი იმერეთში სიცრუე გამრავლებულა დიად ძალიანს და ველარავის ვენდევ თუარამ აქნამდის მანდ მოგერთმევოდა ეს ხატი ახლა მერ[მი]ს ნათლის ცემლის უდაბნოში უნდა გაიხლო აგვისტოს გამლევს და ეს ხატიც იქ მექნება და თუ მიბოძოთ წერილი იქ მიბოძეთ და რავარც თქუენი წერილი გამომიცხადებს [ისე] ვიქ აქნამდის მინდოდა უდაბნოში შესულა მაგრამ მეგონა მიხმობდით და თქუენს ამბავს უყურე ახლა აქ ნათლის ცემლის უდაბნოში უნდა გაიხლო მეფის სულის სალოცუელად რადგანაც კურთხეული ბატონი ჩემი. მეფე სოლომონ გარდაიცვალა ამ სოფლიერად არასფერი კეთილი და არასფერი დიდება არ მინდა და ღმერთმა ნურც მომცეს. ბატონო

ქრისტეს წინ მხურვალის გულით თქუენი მლოცველი და მომხსენებელი მეფის. მოძღუარი. ყანჩაშვილი მლუდელი იესე

წელთა ჩყიზ  
აპრილის კვ.

ათი ქესა, რომელიც დარჩენია სოლომონ II-ს სიკვდილის დროს, უდრიდა მაშინდელი კურსის მიხედვით 1.500 მანეთს. ამდენივე დარჩენია მეფეს, როგორც ზემო წერილიდან სჩანს, საქონლად. ამ წერილში მოხსენებული ფოთში ჩასვლა მეფის მოხდა 29 ოქტომბერს 1813 წელს. ფოთიდან დაბრუნებული მეფე გარდაიცვალა ტრაპიზონდს 7 თებერვალს 1815 წელს. თეოდოსიპოლის მიტროპოლიტის თეოდოსის წერილიდან საქართველოს მთავარმართებლისადმი 13 მარტს 1815 წ. (იხ. აქტები კავკასიის არქეოგრაფ. კომისიისა, ტომი V) სჩანს, რომ უკანასკნელს



ხანს მეფის ამაღლაში ირიცხებოდა 60 კაცი, რომელთაც ულუფად ეძლეოდათ სოლომონ II-ისაგან თითოს 500 ყურუში (მაშინდელი კურსით დაახლოვებით 115 მანეთი). ტრაპიზონდის წმიდა გრიგორის საყდარში მეფის მოძღვრის მიერ დადებულს ბერძნულ სახარებას ოქროთი მოჭედილი აქვს შემდეგი წარწერა: „შეიწირე, წმინდაო გრიგორო, აქა მდებარე სრულიად იმერთა მეფე ძე არჩილისა მეორე სოლომონისა მიერ წმინდა ესე სახარება.“ მეორე გვერდზედ: „მოიხსენე, უფალო, სრულიად იმერთა არჩილის ძე მეფე სოლომონ, რომელ არს მდებარე წმინდა გრიგორის საყდარზედ ტრაპიზონდს. მიიცვალა წელსა ჩუიე თებერვლის ზ-ს და შესწირა ეს წმინდა სახარება წმინდის გრიგორის ეკლესიას სულის საოხად, რათა შენდობა უბრძანოთ ძრისტეს მოყვარემან მხილველმან სახარებისა ამისამან. მოიხსენე, უფალო, მშრომელი სახარებისა ამისა მეფის მოძღვარი მღვდელი ყანჩაველი იესე. ვითხოვ მეცა ყოველთა ქრისტეს მოყვარეთაგან შენდობას. მონა და მოსამსახურე მეფისა ამის მადლითა ღვთისათა ვიქმენ შეძლებისამებრ ჩემისა.“

მოწირობა რუსთაში იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს. იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს.

იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს. იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს.

იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს. იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს.

იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს. იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს.

იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს. იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს.

იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს. იმდროინდელი რუსეთის იმერეთის მეფის მიერ იმერეთის მონღოლთაგან დასაცავად დასრულდა 1258 წელს.

## მეფე ირაკლის მეორის მეუღლე დარია ანუ დარეჯან ალ. ჯამბ.-ორბელიანისა.

მეფეს ირაკლის ჰყვანდა სამი ცოლი: პირუპლი თა ხეიძის ქალი იმერეთიდგან, მეორე თა აბაშიძის ქალი და მესამე დადიანის ქალი მეგრელიიდან. პირველ ცოლთან ჰყუანდა კარგი ვახტანგ (კარგი ვახტანგ იმიტომ რქმევიან რომ მეტი მშვენიერი თუალ ტანადი ყოფილ), მეორესთან გიორგი და თამარ და მესამე დარია ანუ დარეჯანთან, რამდენიმე მამაკაცი და რამდენიმე დედაკაცი.

როდესაც მეფე ირაკლიმ მესამე ცოლი მოიყვანა, ამის მფარველობას ქვეშ დარჩნენ პირველი ცოლების წვრილი შვილები, რლიცა დიდს სიყვარულს და ჭირნახულობის ქვეშ ზდიდა იმ ყმაწვილთა თავის გერებს, მაგრამ კარგი ვახტანგ თოთხმეტი წლისა გარდაცვლილა და იმის სიკვდილზე დიდი მწუხარება მიუღიათ მთელს სახლეთულობასა, ნამეტნავად დედოფალს დარეჯანსა, რლისაცა მეტის მწუხარებით რამდენჯერმე გულს შემოჰყრია. ესენი ხომ ასე გავიგონეთ, ახლა იმას მოვყუპთ დედოფალს დარეჯანსა შეუკდომი ენანი ისე ურიგოდ როგორ იხსენებდნენ ან როგორ ეხლაც იხსენებენ! ამ 1851-სა წელსა რუსულათ დაბეჭდილი წიგნი ვნახე მოგზაურობა მოურავიოვისა საქართუპლოში და ყურადღებით გადვიკითხე, სადაც იმ წიგნში ნახსენები იყო დედოფალი დარეჯან არა კარგად გამოყვანილი. უფალო მურავიოვ, თუ ყოველი თქუპნი მოგზაურობა აგრე მართლათ არის აწერილი, სჯობია ბერათ შედგეთ და უდაბნოში სადმე წახვიდეთ, რადგან მლოცავად აჩუპნებთ თავს ყუპლას \*)

ადამიანი ადამიანზედ ბევრს ურიგოს სიტყუას იტყუს და ის

---

\*) აქ ჰირუქლშივე მე ვაწად დავიდებ ამ სხლდოში ეს ვთქუა, რომ ეს უუქლასთან ცხადია, კელმწიფე აღექსანდრე ჰირუქლი დიდი მარშივე იყო ქალებისა. დარეჯან დედოფალი ჰეტერბუდში რომ მიიყუანეს, მამჩემი და თა გიორგი ჩოლაყაშვილი ორივე დედოფლის სიტყუები თან ახლდნენ და მას უკან მეთვის ოჯახის აქიმბაშიც ივანე უარავეიც, დედოფ-



ლითონი სიტყუა გაივლის, გაქრება, მაგრამ როდესაც ქალიღმერთი დაიწერება, ის საუკუნოდ დარჩება და ველარავინ ველარ მოსპობს, თუ არ მართალი კრიტიკა. უფალმა მურავიოვმა ისე ჩქარა დაიჯერა დედოფალს დარეჯანზედ ურიგოთ ხსენება, რომ დაწვრილებით გამოკითხვაში არ შევიდა. როგორც კიდევ ვიცით, ბევრი ურიგო ამბები უანბიათ მოურავიოვისთვის დედოფალს დარეჯანზედ იმათ სახლის მტრებსა, მაგრამ იმას კიდევ თავი შეუნახამს მაგთენი არა უთქუამს რა. არამც თუ მხოლოდ მურავიოვისთვის უანბიათ ტყუილები - სადაც კი თავისუფალს ადგილს იპოვიან, ყუბლას არწმუნებენ ბევრს ცუდებსა მეფეს ირაკლიზედ და დედოფალს დარეჯანზედ. სხუბსა შორის ამასაცა: მეფის ირაკლის სასახლე სრულიად გარყვნილი იყოვო, მაშინ როდესაც რომ მეფეს ირაკლის და დედოფალს თავის შინაურობა დიან მაგრა ეჭირათ და მკაცრად ინახავდნენ იმათ. იმ თავის სახლის ამბავი მცირედიც არა დაემალეო-

დის თხზვით ისიც დედოფალთან მიიფანეს ზეტეზბურდში. მაშინ დედოფალი ან სამოცის წლისა იქნებოდა და ან ცოტა მეტნაკლები, მაგრამ კიდევაც კი ასეთი თუაღტანადობა ჰქონდა, ცდდაათის წლისა. ალექსანდრე კელმწიფემ თურმე არძიუობა დაუწყო და ისეც შეუხინა, მაგრამ ზედაც არ მახელა. იქამდისინ რომ კელზედაც არ მიუშო საკატხელად. დედოფალი იტყოდა: ჩემი ცხოვრება ჩემს ქმარს შეეყს ირაკლისთან დიდის სიყუარულით გამიტარებია და ქვეყანაზედ წმინდათ ვუოფილვარ და უოკული კაცი ჩემს ძმათ შგონებია და ესლა იმის დიდი კელმწიფობასე უნდა შეეცდებ? მაშინ როდესაც რომ ის დიდი კელმწიფე ალექსანდრე შეფის ირაკლის კაცობასთან სულ არა მგონია რა ჭეშმარიტათაო. აბა ახლა ამის შდგომ რუსების წერილებს ანუ იმათ მიწერმოწერას და ანუ იმათ დამოკიდებულებათ კითხეთ, რამდენი ცილის წამებანი არის დედოფალს დარეჯანზე? ამისთვის რომ ეგება როგორმე თავიანთი დაჰვარონ. ისა რაც უბედურობა საქართულზედ მთავლინეს, რომ დედოფლის დარეჯანის ნაკულულებებით ანუ იმისი აუკისა ხსენებით თავიანთამდისინ აღარავინ აღარა ათექრებინონ რა. იმათ კი იციან, როგორც გამართლონ თავი. აქიბაში ივანე ბევრჯველ შეტყოდა: დედოფალი დარეჯან რომ დამორჩილებოდა ალექსანდრე ხელმწიფესა, უთუოთ საქართულზედ დაუბრუნებდაო. მე გაოცინებდი და ამით გათავადებოდა ეს ჩვენი ღაზარაკი. უწინ სულ ამისთანა მართალი ქართულები იუენენ და ევროპის მფლექტიკას როგორ მიხვდებოდნენ?

დათრა, რწლებიცა დანაშაულობის მიხედვით დანაშაულობის შესწავლად გადაახდევინებდნენ და დაუსჯელს არ გაუშვებდნენ. იმათ სახლში იყო წმინდა ზნეობა და პატიოსნებითი ქცევა მოწიწების კრძალულებით. სხუას ნურაფერს ნურას ვიტყვთ, ეს მაინც მინახავს, რომ მეფის ირაკლის ქალები დარეჯან დედოფლისაგან დიდის ყურადღებით გაზდილობი: ქეთევან, ეკატერინე, ანასტასია და დედანიმი, ასეთი ღთიური კეთილი და პატიოსნები იყვნენ, წელიწადები რომ იმათთან გონიერი ადამიანი ყოფილიყო, ერთს მცირედს ნაკლებს ხასიათსა იმათში ვერ უპოვიდა, რწლისაგანც იგი დაწერილი დედოფალს დარეჯანზედ მურავიოვის ბრალი არ არის, დენერალ-ოტინჭატერს თა გიორგის იასეს ძეს ქსნის ერისთოვს და იმის მეგობარს რუსეთის ჩინოვნიკს პლატონს იოსელიანსა უანბია და მურავიოვსაც დაუწერია, ასე ჰგონებია: ეს რუსეთის დიდი ჩინოვნიკები ტყუილს არას მეტყვანო. ესენი სულ სწორეთ კარგათ შეტყობილი გვაქუს ჩუბნ. აქ პლატონს იესელიანზედ ვერას ვიტყვი, აქ იმისთვის ადგილი არა გვაქეს ჩუბნ, იმას ცალკე ადწვერთ.

თუ რომ მურავიოვი გამოკითხუაში შესულიყო და დაწვრილებით გამოეკვლია, მაშინ შეიტყობდა, რომ იმ გიორგის ერისთოვსა იმათი ერთიანი გვარი როგორ დასჯილი იყო მეფის ირაკლისაგან რამდენსამე ღალატისათვის და სულერთიან ყმა და მამული რისთვის ჰქონდათ ჩამორთმეული, რწლებიცა საცხოვრებელს ძლივს შოგობდნენ და აქეთ იქიდკან მოწყალებას უგზავნიდნენ. თუ ესენი სულ სცოდნოდა მურავიოვს, მაშინ სხუას იტყოდა.

მოხუცი ოტინჭატერი გიორგი იმ თავის სახლის უბედურებასა კარგათ მოესწრა მეფის ირაკლისაგან და იმის სახლზედ იტყვს რასმე კარგსა? მეფეს ირაკლიზედ ვერას ნაკლულევანებას ვერას იტყვს იმ განთქმულს კაცზედ სახელოვნებითა! ამისთვის დარეჯანს დედოფალსა და იმის სახლსა იმისათვის რყენიან ყველგან ისინი: ის გიორგი, იმის ძმა თონიკე (ეს თონიკე ორის წლით უფროსია გიორგიზედ) და ზოგიერთი ერისთვანები, რომ ეგება ამით როგორმე მეფეს ირაკლისა ავნონ, რომ იმის სახლზედ ცუდი სახელი დარჩეს და ამით მეფე ირაკლი ხალხის თუალში დამდაბლებული იყოს და ესეც რომ იმათზედაც ექვი ვერავინ ვერ მიიტანოს, საქართულოს რაც ღალატი უყვეს იმათ, რწლმაცა სხუათა შს აი მე კიდევ რა ვიცი იმ ერისთვანთ ამბავი?

უკანასკნელად რუსები რომ წამოვიდნენ სამარადისოდ საქარ-



თუპლოს დასამკვიდრებლად, ის ზოგიერთი ერისთვანები მოუძღვრებოდა ნენ რუსებს საქართველოში და თავდადებით დაუწყეს რუსებს შემწეობა, რლთაცა არ იკმარეს ესა. მაშინ კიდევ იმ ერისთვანთ, თვთონ იმ გიორგიმ, იმის ძმამ ელისბარმა, თონიკემ და კიდევ ზოგიერთებმა რუსის ჩინოვნიკს კოსტანტინოვს ბევრი ტყუილი აუგები უანბეს დედოფალს დარეჯანზედ, როგორც ზევითა ვთქვი ისე, ეგება თავიანთი ლაღატი როგორმე დაჰფარონ. ისიც ახალი მოსული კაცი, ახალი ამბავი უნდოდა, იმანაც კალამი აიღო და გაუკითხად გადმოჯღაბნა ქალღმერთ ტრიქანები. იქამდისინ კიდევ ჩუმათ მითქმა მოთქმა ჰქონდათ დედოფალს დარეჯანზედ, ახლა ამის შდგომ იმ მწერალს რომ ის აუვი დააწერინეს დედოფალზედ, სხუბიცი დამქაშები ბევრი მოიპოვეს თავის აზრისანი და გახადეს ჰაი ჰაი... დროი იპოვეს იმათ მაგიერისათვის და რიდასთვის მორიდება ექნებოდათ, მაშინ როდესაც რომ ძლიერი რუსები იმათი მფარველი და მოწყალენი შეიქნენ იმ ზოგიერთის ქსნის ერისთვანთი. \*)

როდისაც მე მურავიოვისაგან დაწერილი წავიკითხე დარეჯან დედოფალზე, მაშინვე მინდოდა წინააღმდეგი დამეწერა და ის აღწერილი შემენახა დროისათვის, მაგრამ ვთქვი: უნდა გამოვიკითხო, ვის დაურწმუნებია ამისთანა სიცრუე მეთქი? შეუღდექ და ადვილათაც შევიტყე. ქართველებში არცარა დამალულა რა და ვერცარა

\*) იმ ოტინჭატერს გიორგის და იმის ძმას თონიკეს ჩემი ახლანათესავეები ჰუუხანდენ ცოლათ (ის ქალები მკვდრები არიან, გიორგის ჩემი ბიძაშვილი გიორგი მეფის ქალი გაანე და თონიკეს ჩემი დედიდაშვილი ბარბარე. ის ბარბარე იყო ივანე მუხრანის ბატონისა და ამის ცოლის, დედიდის ჩემის ბატონიშვილის ქეთევანის ქალი, რლსაცა იმ ბარბარეს ძმასავით უუვარდი მე და მთელს ჩუზნს სახლეუფლობასთან დიდი ერთობა ჰქონდათ: იმის დედას ბატონიშვილს ქეთევანსა, იმის ოთხს ძეთა, იმის ქალს იმ ბარბარეს და ამის ორს ქალს, ელენეს და ნინოს. ელენემ შედროთ რუსის დენერადმა ჰაზაგმა და ნინო თამაზის ძემ თა ივანე ორბელიანმა. ჩემს სიძეებს ოტინჭატერს თათ გიორგის და ამის ძმას თონიკესაც ძალიან უუვარვარ მე იმათ და ჰატოვსა მამაშეურობდენი, მაგრამ რა ვქნა, მართალი მიუვარს, ვერავის მხარე ვერ ვიქნება, ჩემთვის სულ ერთი არიან, ამისთვის რაც ვიცი სწორეთ უნდა ვთქუა. ზღატონს იესეღიანსა მივანებიბე მიდგომასა და უსამართლო ტყუილებსა.



დაიმალება, როგორც ზევითა ვთქვი. რასაკვირველია, მისხვედ-  
რია, რომ ოტინჭატერმა და პლატონ იესელიანმა უანბეს მურავი-  
ოვს ბევრი ცუდი მეფის ირაკლის სახლზედ, რომელმაცა თურმე  
კიდევ დაიკვება თავისიანებში ოტინჭატერმა: ჭე, კარგათ კი ჩაუ-  
წვეთეთ მურავიოვს მეფეს ირაკლიზედ, დედოფალსა დარეჯანზედ  
და მთელს იმათ სახლეულობაზედ, რ'ლიცა კიდევ დასწერს  
იმათზე.

მართალია დაწერა, მაგრამ ტყუილებსა მოკლე ფეხები აქუს.  
ვის დააკლო ამისთანაებითა ოტინჭატერმა, თუ არ თავის მშობელს  
მამულს? დაჰკარ შენცა, შენ, პლატონო, ქართულწლებსა. მაინც მო-  
სეული არის ჩვენზე ჯოხიანი და უჯოხო, ერთი შენც აკლიხარ  
იმათ.

გარდა ამისა ისინი ამასაც იძახიან: რაც დარეჯან დედოფლის  
ნება იყო, სულ იმის ნების მიმყოლი იყო მეფე ირაკლიო და ამი-  
ლახვარი ოსეთა ყორღანაშვილიც ჰყვარობდაო. აჰა დაიჯერეთ,  
ვისაც გაკეთებული ჭორები გიყვარსთ. არა, რა სვინდისი უნდა  
ჰქონოდათ იმ ღ'თის გარეგანებს, რომ ამისთანა ჭორებს უგონებდნენ  
დედოფალს დარეჯანსა. აბა გაიგონეთ. იმ ოსეთა ყორღანაშვილს  
ასე რიგათ უყარდა პირი, რომ ვინც იმის მოახლოვოდ იღვა  
ხოლმე, ძლივს ითმენდნენ იმ სუნს. მეფე ირაკლისთან ხომ ახლო  
ჯდომა არ შეეძლო. შორს უნდა მჯდარიყო და ისე ელაპარაკა.  
როდისაც დარეჯან დედოფალმა ის მონათლა და რადგან იმის  
მოახლოვოდ უნდა მდგარიყო მონათვლის დროს, იმ დამეს მთელი  
დამე გული ერეოდა დედოფალსა იმის პირის სიმყრალითა და მე-  
ფე ირაკლი კი იცინოდა. თან ამბობდა დედოფალი: ვაი იმ ქალის  
ბრალი, ვისაც ის ოსეთა ყორღანაშვილი ცოლათ შეირთამსო. ისეც  
იყო, მცირე ხანსა ვერ დაწვებოდა ცოლთან, მაშინვე სხუას ქვეშა-  
გებში უნდა დაეძინა, რომ იმის პირის სიმყრალესა ცოლიც ვერ  
უძლებდა. ოსეთას პირველი ცოლი რომ მოუკვდა და მეორე შეირ-  
თო, თურმე ბევრი დასცინოდნენ: თავის პირის სიმყრალითა ის  
პირველი ცოლი კარგი დედაკაცი ხომ მოკლა და მეორესა მგონია  
ჩქარა გამოუყენებს იმას. მე იმის მეორეს ცოლს ელისაბედს კარ-  
გათ მოვესწარ. ის იმისთანა დედაკაცი იყო (ამ დროს ოსეთა ცოც-  
ხალი აღარ იყო), რომ არ მალავდა: ჩემი ქმრისთვის მე ჩემს დღე-  
ში პირზე არ მიკოცნიებია და არც ერთს ქვეშაგებში მე იმასთან  
დამიძინია, პირი მეტათ უყარდაო. ბატონიშვილს დედაჩემთან ხში-  
რათ მოვიდოდა ის ელისაბედ, მე ეს იმისაგან გამიგონია და ბატონი-





შვილს დედა(სა)ც უცინია იმის ამ სიტყუაზე. ამა ამებზე მეფის ირაკლისა მტრებო, წინაშე ღთთან რას პასუხს მისცემთ თქუნი საძაგელის ქორებისათჳს? მეფეც და დედოფალიც ისეთს პატივსა კი სცემდნენ ოსეთა ყორღანაშვილსა, რომ მეტი პატივის ცემა აღარ შეიძლება. ყოვლის ფრით დიდათ გააამდიღრეს, ამის- თჳს რომ როგორც მეფის სახლისათჳსა, ისე სამეფოსთჳს დიდი სა- ქირო კაცი იყო, მაგრამ ბოლო დროს ისიც მოღალატე გახადეს. ამ უკანასკნელს აქ ქვემოთ წაიკითხამთ როგორც იყო.

გაიგონეთ, ოსეთა ყორღანაშვილს რათ სწყალობდა მეფე ირაკ- ლი ისე? ჯერ პირველი ეს, რომ დარეჯან დედოფლის ნათლული იყო და როგორ უნდათ ეს მიმალონ იმ ღთის მტრებმა. რა ვი- ცი, რა ვთქუა მე იმათზე, ღირსნი იქნებიან, მაგრამ დავიდუმებ, ეს სიჩუმეც კმარა იმათჳსა. აი ოსეთა ყორღანაშვილმა რა შემა- ტა მეფეს ირაკლისა და რათ სწყალობდა ისე, რლიცა თავშეწირუ- ლი იყო მეფის ირაკლისა ის ოსეთა ყორღანაშვილი და მოუსვენ- ნად მსახურებდა შინ და გარეთ, თითქმის მეფის ირაკლისაგან ყუ- რადლებით გაზდილი ოსეთა ყორღანაშვილი \*). როდისაც რომ

\*) გაზდილი კი არა, მაგრამ იმ თავის უმაწვილკაცობითვე მეუფეს ირაკლისა მსახურებდა მეფის ირაკლის დარიგების ქვეშა, მაშინ როდისაც რომ მიღახვრობა მისცა და ან დედოფლის დარეჯანის ნათლული როგორც იყო, ესღა წაიკითხამთ აქა: სტეფანე ყორღანაშვილი და ოსეთა ძმები იყვნენ. უფროსი ძმა სტეფანე და უნგრეთის ოსეთა. უფროსი მეფის ირაკ- ლის დიან მახლობელი იყო და დიდი თანამდებობის მქონე, მაგრამ სტე- ფანე თავის ძმას ოსეთას ძალიან თურმე სწავლა და გაგებულსავეთ დადიოდა აქა იქა. იქამდისინ გაუჭირდა, რომ ჭარში გაიქცა ლეკებში და იქ განიძრახა მკვმადის საწმუნება მიიღოს, ცოლიც იქაური შეირ- თოს, კარგი ოჯახის ქალიც აქიეს და იქვე დასსლდეს. ეს ამბავი მე- ფეს ირაკლის აცნობეს, ამაზედ სტეფანეს ძალიან გაუწერა და ამასთან საჩქაროთ კაცები გაგზავნა, საიდგანც მოიუფანეს და მაშინვე მეუფეს ირაკ- ლის წარუდგინეს. ზოგიერთის ძველებს დამტკიცებითაც უთქვამსთ: გა- თათრდაო. მაგრამ არა, მასწრეს, თორემ ის იყო გათათრებოდა. რად- გან ოსეთა თათრბაზედ ისე მიქცეული შეიქნა, ამისთვის მეფე ირაკლიმ მანც მაშინვე სომხის ტერტერა მოაუფანინა, იქვე წყალში ჩაუსმელად რაც რიგი იყო გადუხადეს, უველა ღოცვა წაუკითხა ტერტერამ ნათლ- ბისა და მარცხის ცხებით დედოფალმა დარეჯანმა მიხათლა, როგორც რი-



მილახვრობა უბოძა იმას მეფემ, მოკლეს ღროში შეჰყარა რამდენიმე ცხენის ჯოგი მეფისათვის, საიდგანაც ჩინებული ცხენები გამოდლოდნენ და მეფის თავლა გამოჩენილის ცხენებით აავსო, საქონელს და ცხვარსა ანგარიში აღარ ჰქონდა მილახვრისაგან მოგროვილსა, ვენახები და ხვნათესვა გაამრავლა, საღარო უიმისოთაც მდიდარი, იმან უფრო დაუმატა: ინდოეთიდან, კოსტანტინეპოლიდან და სადაც კი სომხები იყვნენ. ყოვლის მხრიდან საუცხოვო ფეშქაშები მოსდიოდა მეფეს ირაკლისა და მიწერ მოწერა გაუჩინა ინდოეთში მდიდარს შამირალასთან, რელიცა ეს სომეხი გადმოსახლებასაც აპირებდა თავის სიმდიდრითა ლორეს ხეობაში და რლსაცა მეფე ირაკლიმ სულერთიან ლორე იმას მისცა შამირალას, ოღონდ მოვიდესო. მაგრამ აღამამდხანი წამოსასვლელად რომ მოემზადა საქართველოზედ, იმის შდგომ ველარ წამოვიდა, ისევ ინდოეთში დარჩა. აი მილახვარმა ოსეფამ ესეები შესძღვნა მეფეს ირაკლისა და მოდი ნუ იქნები მწყალობელი მეფე ირაკლიო ოსეფა მილახვრისა? ეს კიდევ არაფერი, აბა ახლა ესეც გამოგონეთ.

მეფეს ირაკლის ურჩია აბრაშუმის ვაკეთება, ამისთვის ჯერ პირველად დიდი ციხე გააკეთა მდინარეს პირზედ (ხრამზედ), დღესაც ქოლაგირად წოდებული. აბა მივიდნენ, ნახონ ოსეფა მილახვრის ღვაწლი და მაშინ დაინახვენ, ვითარი სარგებლობა ნდომია ან მეფის ირაკლისათვის და ან ჩვენის სამეფოსათვის, საიდგანაც დიდი ძალი ფული შემოვიდოდა აბრაშუმიდან, ამისთვის რომ ქციის გაღმავამოღმა მინდვრები სულ თუთის ხეებით უნდა აევსო და აბრაშუმის თესლი ბევრი ჰქონოდა. ფურცელი და აბრაშუმიც კიდევ გააჩინა. აი ნამდვილი ჭაკტი.

გი იუო, რჯბსაც ამას შემდგომ კარგი ძმობაც ჰქონდათ სტეფან ოსეფასა და სტეფანეს თხოვით მეფე ირაკლიმ მილახვრობა მისცა ოსეფასა და სადღოფლო სოფლებიც იმას ჩააბარეს, ესე იგი სტეფანემ თავისი თანამდებობა ძმისთვის გამოითხოვა და ცოლიც დაუფინებლივ შერთეს უოფლისფრით კარგი, ჩინებული შუშანა (სახელა), რომ ეშინოდათ: კიდევ ლეკებში არ გაიქცესო და ბუერი დასაკლისი არა მთახდინოს რად საქართულლოში. ეს დარეჯან დედოფლისაგან მონათულა ოსეფა უორდნაშვილისა თათ ამ სტეფანეს შვილის ადალუა უორდნაოვისაგან გამოგონია, შდგომ ამის შვილის ჩემის ნათლიმამის ზურაბასაგან (ზაქარაი) და დედანქმისც უთქუამს.



ბატონებო, როცა მიხვალთ და იმ ოსეფას ღვაწლს იმ ციხეს, სადაც ნდომია აბრაშუმის გაკეთება ან იმისაგან განმარტვანილოს არხსა ქციიღგან და ან გაღმა გამოღმა მინდვრებს თუთის ხეებით რომ უნდა გადაექცია აბრაშუმის ქიისათვს, მაშინ დაიჯერებთ, რაც სარგებლობა ნდომია მეფისა და სამეფოსათვს, რწლებიცა ბოროტ გამძრახველები სულ ბოროტად აჩვენებდნენ ხალხსა იმის ყოველს კეთილს საქმეს.

იქნება იკითხონ: ციხე რაღათ უნდა გაეკეთებინა, რა საქრო იყოვო. რადგან მაშინ დიდი შიშინაობა იყო და სხუა ადგილებს გარდა იქით მხარესაც მიდიოდ მოდიოდა მტერი, ესეც შემოვიდა იმის აზრში. იქ იყოს ციხე, რომ მტერი შეიკავოს იმ ადგილებში და იქიღგან დააბრუნოს დამარცხებული, რწლსაცა ამით საქართულლოს დიდი შვება მიეცემოდა და მიეცა კიდევ, სადაც ოთხი ზარბაზანი და განუყრელად ჯარი შიგ იღვა და აბრაშუმის მიმართულების საქმეც კარგათ წავიდა. იმთენი სარგებლობის მნახველმა მეფე ირაკლიმ დიდი წყალობა დაუწყო სომეხს ოსეფა მილახვარსა და სახლელულობით გააკეთა. ამაზედ ბოროტ გამძრახველების ჩაგონებით ბატონიშვილებმა და საქართულლოს თავადებმა შური იძიეს ოსეფა ყორღანაშვილზე და იმის დამხობა მოინდომეს. კეთილისთვის კეთილი ვის უქნია, მოუჭირე გველოვო (სიბრძნე სიცრუიღგან). ამისთანა საქმე უნდოდათ ოსეფა მილახვრისთვისაც იმ საქმის გაუგებლებს. აქ რასაკვირველია მეფის ირაკლის საიდუმლო მტრები იყვნენ ამისი მიზეზნი, სადაც შეჩენილებისაგან ყველგან უთანხმოება იყო ერთმანეთში და ძლიერი შური. საწადელსაც მიხწეული იყვნენ ისინი, მაგრამ ის კი ველარ შეიძლეს, მეფე ირაკლი ისე რომ სწყალობდა, რაღა მოეხერხებინათ ოსეფასათვს. ამის გამო მეფის ირაკლის უსვინიდიისო მტრებმა ამის მეტა ველარა მოიჟიქრეს რა, რომ ჩუმათ მითქმა მოთქმა შექნეს: დარეჯან დედოფალს ჰყვარობსო. აი პირველათ საიდგან და რა მიზეზით დაიბადა ეს სიცრუე ჭორი დარეჯან დედოფალზედ, რწლიცა დიახ მცირეს ამბებს ვიტყვი მეფის ირაკლის სახლისას, როგორ მკაცრად ექცეოდნენ მეფე დედოფალი თავის შინაურებს.

პირუტლოს დამეს, მაშინ როდესაც რომ ფეხი მისწყდა, ერთი რწლიმე მოახლე გამოვიდა. ალაყაფის კარებამდისინ, სადაც იმ დროს აღარავინ აღარ იყო. ამ დროს მეფე ირაკლიმ დაინახა, ჩამოვიდა და ჰკითხა:



— ვინა ხარ შენ? — მოახლე შეკრთა და ხმა ვერ ამოიღო.  
რეთ:

— მითხარ ჩქარა.

— მე გახლავარ ეკატერინე ბატონიშვილის მუახლე, სამოთხი-  
სეული (მეფის ირაკლის ქალისა)

— არამხანის ეზო საკმაო არ არის შენთვის, რომ აქ კაცების  
ეზოში არ გამოსულიყავ?

— ალაცაფის კარების სანახავათ გახელი (ახლათ გაკეთებუ-  
ლი იყო, საუცხოვო თურმე).

— ამის მეტათ არ გინახავს, რაც ააშენეს?

— არა, შეინჭიმე, ამის მეტათ არ გხლებივარ.

— მერე შენს უფროსს დაეთხოვე?

— ჩემს უფროსს ეძინა (თურმე უდროთ ეძინა)

— მაშ დაუთხოვად როგორ გაბედე აქ მოსვლა? ეხლავ გატ-  
რიალდი, წადი.

მასუკან მეფე ირაკლი დედოფალთან შევიდა და  
ყველა უთხრა. თუმცა საყურადღებო არა იყო რა, მაგრამ დედო-  
ფალმა აღარ დააყენა სხვების სამაგალითოთ და იმ ღამესვე გაიყვა-  
ნეს სასახლიდგან, ის კარგი მოახლე ყოვლისფრითა. მეორე ბატო-  
ნიშვილს დედა ჩემს სამი მუახლე ჰყვანდა სასახლიდგან მზითვეში  
გამოტანებული. პირველი ლომისახარ (ჩემი გამდელი იყო) მეორე  
ნაისახარ (ჩემი ძმის დიმიტრის გამდელი) და მესამე ვარდისახარ (ჩემი  
ძმის ვახტანგის გამდელი). ამათგანაც დიახ ბევრი გამიგონია მეფის  
ირაკლის სასახლის ამბავი, როგორ ყურს უგდებდენ ყველას მეფე  
დედოფალი, ან როგორ დაკრძალვით ჰყვანდათ ყველანი და ან  
თვთონ დიდით პატარამდისინ სასახლისანი, როგორ კრძალულებით  
და პატიოსნათ იქცეოდნენ ყუბლანი, ესენი სულ უამბიათ ჩემთვის  
იმათ და კიდევ სხუბისაგანაც გამიგონია, იმ თავადიშვილის ცო-  
ლებისაგან, რწლებიცა სასახლეში დედოფალთან ხშირათ იყვნენ.  
ლომისახარ და ნაისახარ სრულიად უმანკოები დაიხოცნენ, ორნივე  
ოთხმოც ოთხმოცის წლის მეტი და ვარდისახარ უფრო იმათზე  
ბევრით ყმაწვილი იყო, რწლიცა როდისაც მეფე ირაკლი აღარ  
იყო და იმის სახლი სრულიად დაეცა, მაშინ დედოფალი დარეჯან  
მწარეთ მწუხარე, მაშინ თურმე შემკდარიყო ვარდისახარ, უფრო  
სწორეთა ვთქუათ, შეეცდინათ, რწლიცა არ მალავდა თავის შეც-  
თომილებასა, მაგრამ ზიზლით მოიგონებდა და სწყევლიდა ხოლმე  
თავისთავსა. მიყვარდა მაშინდელი ძველი ამბები და მომსწონიც



მიამბობდნენ კარგს ამბავსა სიამოვნით და მწარეს მწუხარებრთა

— მე დიას ყმაწვილი შემამიყუანეს მეფის სასახლეში და დაკრძალვით ვიზღებოდი, — მოჰყვა ვარდისახარ და მიანბო: როდისაც თერთმეტის წლისა შევსრულდი, სიყმაწვილის გამო ერთს სალამოზე ბანზე ავიარე. იყო ზატხული და ბანზე ჩემს სოფლურს სიმღერას ვმღერობდი დაბლის ხმითა. თურმე დედოფალს დარეჯანს გაეგონა და ებძანებინა: ბანზე ვილაც მღერობს, ეხლავ აქ მამგვარეთო. ორმა მუახლემ მიმიყუანეს დედოფლის წინ და ამასთან ჩემი გამდელიც შეაყვანინა, უბძანა: გამდელიო, ეს შენი გაზდილი ბანზედ მღერობდა, გაიგონებს ვინმე, ასე იტყვან: დედოფლის სასახლეში ასეთი თავისუფლება არის, რომ მეფის სახლის ბანი სამღერლოთ გაუკეთებიათ მუახლებსა და შეეჭკვევიან, მტრებს იამებათ და მოყვარენი შეწუხდებიანო. ან როგორ გაბედა ბანზე ავიდა და თუ ავიდა, სიმღერა რალა იყო. გეტყობა, შენ მაგას ყურს არ უგდებ, წაიყვანე, გაფთხილე ამას იქით. — თავის ოთახში შემიყვანა, მამწვიდა თმებში და ისე მათრია.

ამისთანა სიმკაცრე და დაკრძალულება იყო მეფის სასახლეში, რომ ერთს მცირედს ვერავენ ვერას გაბედავდა და ყველანი განკრძალულის შიშით იქცეოდნენ, თორემ თუ მომატებული გაებედა ვისმე რამე, იქნება მოეკლათ.

ახლა ამის შდგომ კიდევ მილახვრის ოსეფასი მოგყვით და ვთქუათ ესეც: ერთს დილაზე მეფეს ირაკლის ახლდა მილახვარი ოსეფა და მეფემ საჩქაროს საქმეზე გაგზავნა ავლაბრისკენ, რელიცა ცხენზე შეჯდა და ნახევარ ქენებით გაეშურა. ბატონის მოედნის ბოლოში რომ მივიდა, სარდალი დავით ორბელიანი ქვემოთ ბაზრიდგან მოვიდოდა დაქვევითებული თავად აზნაურ მსახურებით და უეცრათ შეხვდნენ ერთმანეთსა. ოსეფა მილახვარმა ცხენიდგან მძიმეთ თავი დაუკრა და კიდევ ისე გაეშურა. ამ დროს სარდალმა დავითმა დაიძახა:

— ეგ მამაძალი ცხენიდგან გადიღევით, როგორ გაბედა ცხენიდგან არ გადმამიხტა, დაჰკარით მაგასაო.

— რას შემართლებით, სარდალო, მეფემ საშურს საქმეზე გაგზავნა, იმ საქმეზე მივეშურები, თორემ როგორ არ გადავხტებოდი, მაბატიეთ შეინჭიმე.

სარდალმა უფრო ხმა მალლივ:

— დაჰკარით მაგ მამაძალს, მეფემ მაგას უნდა გვანაცვა-



ლოს?\*) . გადიღეს და ბევრი ჯოხი დაჰკრეს ბეჭებზე, ასე დაიწყო, ხალიჩით შინ წაიღეს. მეფეს ირაკლის რომ მოახსენეს ოსეთა ყორღანაშვილის ცემა დავით სარდლისაგან, დიდათ შეწუხდა, მაგრამ რადგან სარდალი ძალიან საჭირო კაცი იყო მეფის ირაკლისათვის, ამისთვის მოუთმინა, მაგრამ სალთხუცესობა კი ჩამოართო საგრძნობლად. ეს რომ საგრძნობლად უყო მეფემ სარდალს, ამით დიდათ გაათხილა, მაგრამ იმის შდგომ ოსეთა ყორღანაშვილი კი დიდი დაფარული მტერი შეიქნა მეფის ირაკლისა, მთელი იმისი სახლობისა და დიდაც უმტრო, როგორც იმათ ოჯახობას, ისე სასაქართველოს, რელიცა გაუერთდა სხუა სომხებსა და საქართველო დალუპეს. ოდესმე დროს ვიპოვი, იმათ ამბებსაც დავწერ.

კიდევ სხუათა შორის ის მეფის ირაკლის წინააღმდეგები ამასაც ამბობენ: დედოფალი დარეჯან ინტრიგანკა იყოვო (ესე იგი შუქის მძიებელი). მეფის ირაკლის სასახლის ამბავი ბატონიშვილის დედი ჩემისთანა არვინ იცოდა, რლებიცა ძველი კაცები ბევრჯველ ლაპარაკში მეტყოდნენ მე: ბატონიშვილი თეკლა მეფის ირაკლის ოჯახობის მატანეა და მართალი დედაკაციც არის, წმიდა სვინილისიანიო. მე ამას დედაჩემობით არ ვანბობ, სწორეთ ისეც იყო დედაჩემი. იმისგნით ხომ ბევრი გამიგონია თავის მამის მეფის ირაკლის სახლის ამბავი, მაგრამ სხვებისაგანაც ბევრი ვიცი, ვინც მეფის ირაკლის შინაური სახლის ამბავი კარგათ იცოდნენ. მოკლეთა ვთქუათ, აი დედოფალი დარეჯანი როგორი დედაკაცი იყო. იყო დიდი რთის მოშიში და მოყვარე ქრისტიანობისა, იყო მლოცავი, გლახაკთ, ობოლთ, ქვრივთ, დაცემულთ და სნეულთ მოწყალე. თვთონ დიახ წყნარი და სიწმინდის პატიოსნებითა სრული, რლსაცა სხვებისგანაც ეს მოსწონდა და სულიერთიან სახლეულობასაც ამას ასწავლიდა, ასეც მოაქცევდა ყველას. თავის ქმრისა დიდი სიყვარული ჰქონდა. არვის არ ახსომს მცირედი მეფის წინააღმდეგი იმას გაებედოს, არამც თუ გარეულიყო, ასეთი სიყვარული და თავაზი ჰქონდა ქმრისა და დარწმუნებულაც იყო, რომ მეფე ირაკლი დიდი გონიერი არის. როდისაც დედოფალი მეფესთან იყო

\*) უწინდელი ჩვეულება იყო, რომ უნგრისი უნგრისს ცხენიდან კადმოუხტებოდა, როდესაც ერთმანეთს შეხვდებოდნენ.



ხოლომე, სულ თვალეზში შეჰყურებდა, მეფის სიმხიარულე დედოფლის ბედნიერება იყო და მცირედი შეწუხება მწარე ცრემლი, რ'ლებისა ქვეშაგები არ გაყრილა სიკვდილამდინ და მარადის ერთს ქვეშაგებში ეძინათ ტკბილად\*).

ბატონიშვილი დედაჩემი ბევრჯველ იტყოდა; ხუთი, ექვსის და შვილისა წოისას ხანდისხან მიმიყვან[დ]ა მეფე ირაკლი მე, თავის ქვეშაგებში ჩამიწვენდა, თავისა და დედოფლისა შუა. დედოფალი შეეხვეწებოდა: შეინჯიმე რათ გინდათ, სიყუარულის აღერსს გვიშლის, უბძანეთ, წავიდეს ჩემო კელმწიფეო. ბევრს ამისთანებს ეტყოდა, მაგრამ მინამ მეფის ნება არ იყო, არ დამითხოვდა. ამაში მე ხან ერთს ვეთამაშებოდი ჩემის ტიტინითა და ხან მეორესა, ისინიც სიამოვნით კასკასებდნენ (ამისთჳს ისე ჰქვარებათ დედაჩემი შეფეს დედოფალსა, რამ შეტი უზომო მშენიერი უოფილა იმ დროს ვამაწვილობისს).

აქ რომ ესეცა ვთქუათ, მგონია, უზღელობა არ იქნება. მეფე ირაკლი ტანზედ მეტი სპეტაკი თეთრი ყოფილა, სახე და ხელები კი მოშაო ჰქონია, ინდოეთის სიციხისაგან დამწვარი, მაშინ როდესაც რომ ნადირშასთან იყო. მაშინდელი აქიმები ბევრსა ცდილან, მაგრამ ვერ გადუყვანიათ და ისე მოშაოთ დარჩენია. ბევრჯველ მეფე დედოფალი მკერდებს მიაწყობდნენ ერთმანეთსა, რ'ლებსაცა ერთი სითეთრე და ერთი ფერი ჰქონიათ, ასე თურმე თამაშობდნენ ქვეშეგებში ყმაწვილურათ, ასე უზომოთა ჰყვარებიან ერთმანეთი. კიდევ ბევრი არის იმათი სიყვარულის ამბავი, მაგრამ მეტათ გაგ-

\*) მართალია, მეფეს ირაკლის ოცდა ოთხს სათშა სამ სათზე შეტი ძილი არა ჰქონია, სულ საქმეში იყო ანუ ღოცვის დროსა იღოცავდა, მაგრამ თუ შეფეს განსხუაებით საქმე არ ექნებოდა, დედოფლის დარქვანისა და თავის სიამოვნისათჳს იწუა იმასთან იქამდისან, მინამ დედოფალი გაიღვიძებდა. არცა მომატებით იმას სცოდნია ძილი, ექვს სათზე შეტი არა, შეფეს ირაკლის ასე დაუწვევია ის, რ'ლებიდა იმის გაღვიძებისთანე ერთმანეთს ტკბილად გადაეხვეოდნენ და სიყუარულის აღერსში იყვნენ. იმათი მოშორებაც შეწუხებით იყო ხელმე. უოკელმა ცოლქმარმა დ'თსა სთხოვან და იმისთანა ბედნიერი სიყუარული ინატრან ერთმანეთისა, რეკარც მეფეს ირაკლის და დედოფალს დარქვანსა ჰყვარებიან ერთმანეთი.



ძელდება, ამისთვის ვიკმაროთ გასაგონად და დასაჯერებლათაჲს იმათი მტერი არ იქნებით. მეფე ირაკლი თითქმის ნადირშისაგან გაზდილიყო\*) და იმთენი ხანი ყიზილბაშში ნამყოფი, სადაც დედაკაცების იმისთანა დაკრძალულებასა დაეჩვია და მოსწონდა თურმე კიდევ, იმის შტდგომ იმის სახლში რაღა უნდა ყოფილიყო ცული? მართალია, გარეთ იმის მტრებისაგან ჩუმი ცრუ ქორები დიახ ბევრი იყო, რწლებიცა ქვეშ უთხრიდნენიმასა და იმის ოჯახს დასალუ- ზად. ოღონდ ენახათ რამე მეფეში ანუ იმის სახლში თუნდა ბევ- რიც კარგი, მაინც იმაზედაც მითქმა-მოთქმა ჰქონდათ ქვე ცოც- ვითა აქ იქ და ათას სხვასაც უმატებდნენ ზედა, დიდრონ დიდრონ სიცრუებსა, ისე ესეც დაუმატეს დედოფლის დარეჯანისა და მილახერის ოსეფასი იმ უსვინილისებმა, რომ უფრო ძლიერ ავნონ მეფეს ირაკლის და იმის ოჯახობას. ეწეოდნენ კიდევ საწადელსა ქვემძრომები იგი. მტერსა ვერაფერსა ვერას მოაწონებ, მაშ რათ ჰქვიან მტერი? რაც უნდა რამ კარგი გპირდეს, მაინც იტყვს: ცუ- დიაო. საზიზლარი ისე მილახვარს ოსეფაზედ ასე იყო. ის ოსეფა ყო- რღანაშვილი ხომ ნათლულიც იყო დედოფლის დარეჯანისა, მაგ- რამ მაინც ვერ შეეძლო მისულოყო უდროოთა დედოფალთან თუ არ დილაზედ წირვებისა შემდგომ. ისიც ამ სახით მივიდოდა გან- კრძალვით, ჯერ პირველად უნდა მოესხნებინათ:

— ოსეფა მილახვარი გახლავსთ შეინქიმე.

დედოფალი უბრძანებდა:

— უთხარ, შემოვიდეს.

შემოვიდოდა დიახ მოწიწებით, მუხლებამდინ თავს დაუკრამდა და განკრძალული დადგებოდა მოშორებით. დედოფალი უბრძანებ- და მედიდურად:

— ოსეფა მილახვარო, თქვი, რაც საქმე გქონდეს?

მოსწყვებოდა და მოახსენებდა. თუ სუბუჭი საქმე იყო, თჯთონ უბძანებდა, თუ სამძიმო, შეეფეს ირაკლისთან გაგზავნიდა და იმის ნებისამებრ აღასრულებდა.

ვინიცოდა არის, თუ ხანგრძლივ მოსახსენებელი ექნებოდა, წვრილ- ღმაზედაც მოხდება ხოლმე, მაშინ დაჯდომას ეტყოდა, რწლიცა

\*) გაზდილი კი არ იყო, მაგრამ რადგან იმასთან კარგახანი დაქყო (ოთხა წელიწადი) და ბევრს თურმე არიგებდა ნადირშა ირაკლისა, ამი- ტომ ძველები იტყოდნენ: ნადირშას გაზდილი არისო.





კიდევ მძიმეთ დაუკრავდა თავსა, ეგრეთ მოშორებით დაიჩოქებდა და ისე ილაპარაკებდა. შდგომ ადგებოდა, კიდევ მუხლებამდინ თავს დაუკრავდა, მაგრამ მეფეს ირაკლის კი თითქმის ყოველთვის ახლდა ის ოსეთა მილახვარი შინ თუ გარეთ და მრჩეველიც ბევრში ის ყოფილა მეფის ირაკლისა, რლისაცა ზევით დავინახეთ იმის გონიერების ღირსება, მაგრამ იმის მოშურნეებმა იქ ძლივს დრო უპოვეს ოსეთა მილახუარსა, სადაც შეხვდა დავით სარდალს, რომ სარდალიდავით ეშმაკურის ცბიერობით გაანჩხლეს ამ სიტყვთა: ოსეთა მილახვარი ასე გაამაყდა, რომ ცხენიდგან გადახტომას აღარც კი კადრულობს დავით სარდალის წინაო. ჩუმათ წაიჩურჩულეს, მაგრამ ასე რიგათ, რომ დავით სარდალმა გაიგონა. დავით სარდალის გაანჩხლებისათვის, იმის სწრაფსა ხასიათსა ცოტა მიზეზი ეყოფოდა ხოლმე, რლმაცა დაუხედად ისე ვახადა ოსეთა მილახვარი, რომ ერთგულობიდგან მოღალატე შეიქნა მეფის ირაკლისა, მაგრამ შემდგომ დავით სარდალი ინანიდა: ეს რა ვქენი, რათა ვცემე იმისთანა ერთგულს კაცსა მეფის ირაკლისას? ამისთანა დაუხედავი საქმე არ მამსვლია მე ჩემს დღეშიო. მაგრამ ამას კი ტყუოდა, რაკი გაანჩხლდებოდა, სრულიად გონებას დაჰკარგავდა ხოლმე.

თუ რომ იმთენი მოშურნე მტერი არ ჰყოლოდა მილახვარს ოსეთსა, საქართულოს ბევრს დიდ სარგებლობას შესძინებდა, მაგრამ რა გაეწყობა დაუძინებელს შურსა? უფრო ცხადათა ვთქუათ გამორკვევით, რომ ესენი და ამ გვარები მომართული ჰქონდათ მაცდ ჯრც წიკცხე ეშმაკური მაშინები მეფის ირაკლის ოჯახობის დასამზობათ და დაამხეს კიდევ ძირით, მაგრამ უფრო ძნელი ეს რომ საქართულოც ჩააყოლეს იმათ. მე ესენი სულ წამდვილად შეტყობილი მაქვს და დიახ ბევრიც სხუბიცი...

ახლა კიდევ იქ მოვიდეთ, მეფის ირაკლის სახლობაში რომ რლს უფრო დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა იქა?

იქ იმათში იყვნენ ორი ქალი: ბატონიშვილის გიორგის\*) მეუღლე ქეთევან ენდრონიკაანთ ქალი და კიდევ ბატონიძალი ქეთევან\*\*) ივანე მუხრანბატონის დაჲ, რლისაცა პირუტლად ბატონ

\*) შდგომ მეფე

\*\*) ეს შკორე ქეთევან შირველის ვახტანგის ცოლი იყო, ზევით რამ ვთქვა იმ ს... არ ევთ იქნება.



იშვილის გიორგის მეუღლის ქეთევანის ამბავი დავასრულოთ და მასუკან ბატონიძლის ქეთევანისა.

იმ ენდრონიკანთ ქალმა თავის მაღალის გონებით და კარგკეთილობის დედაკაცობით მეფე ირაკლი, დედოფალი დარეჯან და ერთიანათ იმათი ოჯახი ასე ხელში დაიჭირა, რომ როდისაც ის იმათთან მივიდოდა, მთელი სახლი სიხარულით აიძვებოდა, ნამეტნავად დედოფალი დარეჯან. ბევრჯველ დიდის სიამოვნით გადაეხვეოდა და კარგა ხანი თავის გულში ჩაიკრავდა ამ სიტყვათა: ჩემო არამც თუ რძალო, ჩემო შვილო ქეთევან, შენმა გაზღამ მეტი კარგი რამა ხარ შენ.

მეფე ირაკლიც ხომ რასაკვირველია და ამის გარდა ბევრს რჩევასაც ჰკითხამდა იმას. ის ქეთევან ასეთი თავ შეწირული ერთგული ყოფილა მეფის ირაკლისა, რომ თავდადებული მსხვერპლი იქამდისინ, რომ მეფის ირაკლის მშვიდობისთვის არავის არ დაინდობდა არა თავის მახლობელსა. ვაიგონეთ იმისი ერთგულობა მეფის ირაკლისა და იმისი საკვირველი გონიერება.

ბატონიშვილი გიორგი ქიზიყში წავიდა მაშინ, როდესაც რომ მეფის გიორგის (ბატონიშვილობაში) ცოლი ქეთევანის ძმა თა რევან ენდრონიკაშვილი ქიზიყის მოურავი იყო, რლმაცა თვთონ იმან წაიყვანა. ის ქეთევან იმისთანა კარგი დედაკაცი რომ იყო, ის იმის ძმა რევან დიდი მოუსვენებელი, დიდი დაუდერავი და უპირო, ასეთი რომ თავის მცირედის სარგებლობისათვის არვის არ დაინდობდა, ნამეტნავად დიდის სარგებლობისთვის ხომ ოჯახებსაც დააქცევდა. დააქცია კიდევც.

იმ რევანმა ბატონიშვილი გიორგი განგებ წაიყვანა ქიზიყში, სადაც იმის სახელით მოქმედება დაიწყო ყოველს იქით მხარეს, მერეთ ჩუმი შეთქმა მოახდინა, რლსაცა დიდი ლეკის ჯარი უნდა მოეწვია, კახეთის ჯარიც თან წამოეყვანა, მითამ ესენი სულ ოსმალოზედ ანუ სპარსეთის სამძღვრების დასაკვრელად უნდა წავიდნენ. ამაში უეცრათ მეფეს ირაკლის დასხმოდნენ და იმის განძრახვითა მეფობიდან გადაეგდოთ, სადაც მასუკან თავის სიძე ბატონიშვილი გიორგი მეფეთ დაესო საქართველოში და ამით ისა უპირველესი კაცი შექნილიყო, ასეთი რომ მთელი საქართუცლო იმას ეტრიალებინა.

ეს ანბავი ბატონიშვილმა გიორგიმ არ იცოდა, ამიტომ რომ მეფე ირაკლი რომ აღარ იქნებოდა, ამის გამო მეტი ღონე აღარ ექნე-



ბოლა, უნდა მეფეთ დამჯდარიყო. ესენი სულ კიდევ მაშინები იყო მომართული მაცთურ ეშმაკებისაგან, კ'დ მეფის ირაკლის ოჯახობის დასაღუბად, მაგრამ ერთი ეშმაკური მაშინები რომ ვერ გასკრიდა, ახლა უარესსა სხუასა იგონებდნენ, რითაც და რ'ლისა საშუალობითაც მოხსენებულიყო, მეფის ირაკლის ოჯახი უთუოთ უნდა დაეღუბათ. იქამდისინ იმოქმედეს თავიანთის ეშმაკურის მაშინებით და იქამდინ მიიყვანეს საქმე, რომ ბოლო დროს მაინც დანთქეს.

ის ბატოიშვილის გიორგის ცოლი ქეთევან, დაა რევახისა, როგორც დიდი გონების ქალი იყო, ასე ფთხილი იყო ყოველს საქმეში, რ'ლსაცა ის თავის ძმის ანბავი არ დაემალა და ყველა წვრილად შეიტყო. ჯერ უნდოდა თავის ქმრის ბატოიშვილის გიორგისათვის შეეტყობინებინა, მაგრამ იმან და ბატოიშვილის გიორგის განსაკუთრებულმა მდივანმა თ'ა ელიაზარ ფალავანდიშვილმა\*) მოილაპარაკეს და ასე თქვეს: ამ გვართ არ სჯობიაო. ბოლოს დროს კიდევ კარგათ რომ მოილაპარაკეს, ასე დააწყეს: თვთონ ბატოიშვილი ქეთევან ქ. ტფილისში წავიდეს და ყოველივე მეფეს ირაკლის აცნობოს და უთუოთ გამოაცვალოს რევახ მოურაობიდგან. შემდგომ ესეცა თქუეს: თუ ეს ასე არ მოხდება, საქართველო დაიღუბება, ამისთვის რომ მეფის ირაკლის გადაგდება არავის არ შეუძლიან, ის ასეთი კაცი არის, ამიტომ ორივე მხრის ქართველების სისხლი რომ დაიღვაროს და ბოლოს ვერც არა შეიძლოს რა რევახმა, ამიხალიან დასუსტდებიან ქართველები, ამაზედ ჩუხნი მტრები გაძლიერდებიან და შ'დგომ საქართველოს მოიტაცებს გარეშე რ'ლიმე სახელმწიფო ან მეფის ირაკლიზედ უკეთესი მეფე ვილა უნდა დასონ აქა? ეს უკანასკნელი სიტყვა თვთონ იმ ღვთიურის ქეთევანის სიტყვა არის, რ'ლიცა ამის შ'დგომ ბატოიშვილს გიორგისა დაეთხოვა:

— დიდი ხანია დედა თქვენი დედოფალი დარეჯანი\*\*) აღარ მიწახავს, ნება მომეც გიახლო და ქალაქის ეკლესიებიც ვილოცო. გიორგი ბატოიშვილმაც სიამოვნით ნება დართო და კარგი მისართმეებიც გამოატანა მ'ეფე დედოფლისთვის და ეგრეთვე დიდრონის სახლებისთვისაც.

\*) ელიაზარ ფალავანდიშვილის ცოლი იყო ჩუმი სიმაჰრის დაა ბარბარე. ეს ადრევეც შეთქვამს სხუა წერილში.

\*\*) დედა არ იყო — იყო დედინაცვალი.



ქართული  
ლიბრეოთეკა

ღ თმა საუკუნო განსვენება მისცეს მეფის გიორგის მღრღნესა  
 თა ელიაზარ ფალავანდის შვილსა და სხუა ძველებსაც, რომ მე ამისთა-  
 ნა ძველს ამბებსა მიანბობდენ, რ'ლიცა დიდის ყურადღებით მეც  
 ვისმენდი ხოლომე. ეხლა როგორც ვფიქრობ, ეტყობა იმისთვის მიუ-  
 გდებდი იმათ ყურს, რომ ბოლოს ის ანბები დამეწერა, თორემ სულერ-  
 თიან გაქრებოდა მეფის ირაკლის მტრების თავის გასამართლებელად,  
 რომ ყოველი თავიანთი დანაშაული მეფეს ირაკლისა და დედოფალს  
 დარეჯანზედ გადმოიღონ. ამით თავიანთი დაჰფარონ, რომ სამარადი-  
 სოთ სულ ვერაინ ვერა გაიგოს რა იმათი ეშმაკური საქმეები.

ბატონი შვილის გიორგის ცოლი ქეთევან სამგორის მინდორში  
 რომ მოვიდა\*), იქიდან საჩქარო ცხენიანი კაცი გამოგზავნა მეფე  
 დედოფალთან: თქვენი რძალი ქეთევან გახლებათ, მოკითხა მოგახსენ-  
 ნათო. ეს ძველი ჩუტულება იყო. იმათი სახლეთულობის ამბავი რა-  
 და ეთქუა, რა ყოფა შეუდგათ? მეფე ირაკლი ქალაქის გარეთ გაე-  
 გება კარგა შორსა და დიდებით შემოიყვანა, სადაც ნათესავებით  
 და მახლობლებით დედოფალი დარეჯან სასახლის კარებში დახვდა  
 და სიამოვნის გადახვევის შ'დგომ შევიდნენ და დიდის სასტუმროს  
 ოთახში დასხდნენ ყველა რიგზედ.

რალა ბევრი ვილაპარაკოთ, იმ ღამეს ვახშმის შ'დგომ, თავის  
 რძალს ქეთევანს ხელი დაუჭირეს მეფე დედოფალმა და საწოლი-  
 საკენ წავიდნენ, სადაც მეფის დედოფლის პირდაპირ მეორე მხარეს  
 იმისთვისაც ქვეშავები იქ გაეშალათ, რ'ლსაცა ბევრჯველ თურმე  
 ასე დააწვენდნენ თავის საწოლში, ასე ჰყვარებიათ თავის რძალი.

მეფე დედოფალი ერთს მხარეს რომ დაწვენენ თავის ქვეშა-  
 ვებში და ქეთევან მეორეს მხარეს, აქ დაიწყეს საუბრობა სიამოვნ-  
 ით და ამაში უნდა ეთქუა, უკეთესს დროსა სადღა იპოვიდა.

— ჩემო კელმწიფენო! — მოახსენა: თუმცა ამ ჩუტნს საამოსა  
 ლაპარაკსა არ შეშვენის, უზღედლობაც არის, შეწუხდებით კიდევ  
 ამ ამბავზედ, რაც მე უნდა მოგახსენოთ ეხლა, ჩემი გიჟის ძმის ამ-  
 ბავი რევაზისა. მაგრამ უკეთესა დროსა სად ვიპოვი, რ'ლიცა მე  
 იმისთვის გხლებივარ.

ამ სიტყვაზედ მეფე დედოფალი ორნივე ქვეშევგებში წამოსხ-  
 დნენ ახალუა (სადამურა ახალუხი ვეჟლას ეცვათ ქართველების ქალებს და  
 გაცუხსაც) და ქეთევანც ეგრეთ წამოჯდა, მაგრამ ამ დროს ამას კაბა

\*) სამგარი ქ. ტფილისიდან იქნება ოთხი საათის სავალი.



ეცვა, ჯერ გახდილი არა ჰქონდა, იცოდა, უნდა მოეხსენებინა. ჰკითხა მეფე ირაკლიმ დამშვიდებით;

— ჩვენო სიცოცხლეო შვილო! მართლა უკეთესი დროა ესა, რა ანბავი უნდა იყოს, რაზედ უნდა შეეწუხდეთ?

მაშინ მოჰყვა და წვრილად უანბო. მერეთ მეფემ უთხრა:

— ჩვენო ბედნიერებაო, ეგ ანბები შენ ქმარს ბატონიშვილს რატომ არ შეატყობინე?

— მე და ელიაზარ მდივანმა არ ვამჯობინეთ შეგვეტყობინებინა. თქვენი შვილი გიორგი მრისხანე ხასიათისა გახლავსთ, ვაი თუ სახალხოთ გასწყრომოდა ჩემს ძმას რევაზს და ამითი უარესი საქმე მომხდარიყო? ის ჩემი ძმა რევაზ, ვიცი, თავს გაიმართლებდა ბევრის მიკიბულ-მოკიბულის ლაპარაკით, ის ასეთი კაცი და ამაში მე ცუდ დედაკაცათ დავიდებოდი და ყველანი ლანძღვას დამიწყებდნენ: თავის ძმასაც არ ინდობსო. თვთონ ის ჩემი ძმა ასე აალაპარაკებდა ყველას ჩემზედ, ამისთვის ვერ ვაცნობე თქვენს შვილს.

— შენმა გაზდამ, ქეთევან, ის ელიაზარ გონიერი და კარგი კაცი არის. ბატონიშვილს გიორგის იმისთანა არვინ არა ჰყავს, მაგრამ ახლა ეს მითხარი, რას მირჩევ, ჩვენო გონიერო შვილო?

— ამის მეტსა ვერას მოგახსენებთ, ჩემს ძმას რევაზს მოურაობა ჩამოართვთ და თქვენს სიძეს ზაქარიას უბოძეთ.

მერე შენს ქმარს ბატონიშვილს გიორგის არ ეწყინება?

— თქვენგანით არაფერი არ ეწყინება, ამისთვის რომ იტყვს: მამა-ჩემი მეფე ირაკლი არ შესცდებოდა, იმან უფრო კარგათ იცისო ყველა და ვინცობა არის თუ რომ მკითხამს რასმე, მეც ასე ვეტყვი: იმის გამოცვლაზედ მე უნდა ვწუხდე, მე კი არა ვწუხარ, შენ რა გრჯის? თუ რევაზ შენი ცოლის ძმა არის, ზაქარია შენი დის ქმარია, სულერთია შენთვის მეთქი, მაგრამ არა, არას მეტყვს და არც ეწყინება. მე ეს კარგათ ვიცი. რასაკვირელია, ამის მიზეზი კიდევ ქეთევან იქნებოდა რომ არა სწყენოდა. მასუკან ქვეშაგებში მიწვნენ, კიდევ კარგახანი ილაპარაკეს, მერეთ მოსვენებით უნაღვლელად დაიძინეს. ეს ლაპარაკი სწორეთ იმათია, მე ეს ვიცი ნამდვილათა მეფე ირაკლის ოჯახის მატინეს დედრიჩემისაგან.

მეფე ირაკლიმ ერთს თვეს უკან რევაზ მოურაობილდგან გამოცვალა და თვის ქალის ელენეს ქმარს ზაქარიას მისცა ქიზიყის მოურაობა, რომ რევაზმა იგრძნას, ამით თავი დაიპიროს, რომ



აღარა იფიქროსრა, რ'ლმაცა ეკვი სულ ვერ მიიტანა თავის დახედვას  
მაგრამ უკვირდა კი: ეს ვინა ქნა, ვინ გადამაყენებინაო? ბოლოს  
მეფის ირაკლის დაღუპისა მდევნელებმა მოიგონეს და ჩურჩულით  
არწმუნებდნენ აქა იქა: დედოფალმა დარეჯანმა გამოაცვლევინა,  
რადგან ზაქარია იმის ქალის ელენეს ქმარი არის, იმისთვის გამოა-  
აცვლევინა რევაზ. აი ის ეშმაკნი მაცთურები ამისთანა სიცრუებსა  
უგონებდნენ დედოფალს დარეჯანსა, რომ ამ გვარებით დედოფალსა  
დასდონ დანაშაულობა და ამითი მეფეს ირაკლისა ხალხი გაუყენონ:  
მითომ მეფე ირაკლი რადგან არაფერში არ ვარგებულა, ამისთვის რასაც  
ის შვრება, სულ დედოფლის დარეჯანის სიტყვთ. წარმოიდგინეთ,  
მეფის ირაკლის და დედოფლის დარეჯანისა ანუ ბატონიშვილის გი-  
ორგისა და ან მთელი ოჯახობის დასაკლისი ის ქეთევან უდროოთა  
მიიცივალა უეცრათა (რა ვქნა, მე ეჭვი მაქვს, ხომ არ მოწამლეს? კარგო  
ისტორიკო, მოაკითხე კარგათ დ'თის გულისათვის. თუ კარგი ისტორიკო-  
სი იქნები, სამდვილად რომ ვერ შეიტყო, მაშინდელი გარემოების გამო  
მიხვდები და დაინახავ), რ'ლებმაცა იმის სიკვდილზედ მეფე ირაკლიმა  
და დედოფალ დარეჯანმა დიდი გლოვა იწყეს და ხშირათა გადმო-  
სტკუამდნენ მწარეს ტირილში ასე: შვილო ქეთევან! პირველათ  
ჩუწნათან შენ რომ შამოხველ, ბედნიერება შემოგვიტანე, მიდინარ  
და თან მიგაქვს ის შენი შემოტანილი ბედნიერებაო. მართლა და  
რომ დიახ დიდი უბედურობა იყო იმ ქალის სიკვდილი მეფის ირა-  
კლის ოჯახობისა. ასეც იყო, მართალია. რამდენი კიდევ სხვები  
არის იმ ქალის ამბები, მეფისა ირაკლისა და იმათი მთელი ოჯა-  
ხობისა, რომელსაცა იმ რევაზსა ვერაფერი ველარ გაებედა ასე შე-  
კრული ჰქონდა კრიქა თავის დისაგან. სადაც კი რომ წავიდოდა,  
ჩუმათ უკან კაცებს ადევნებდა: რას საქმობს და რას შვრებაო. ასე  
ფრთხილად იყო თავის ძმაზედ. მაგრამ იმ ქალის სიკვდილის შემ-  
დგომად კი ფართოდ გაიმინდვრა რევაზმა. არ იქნა, იმის გულიდ-  
გან არ ამოვიდა მეფის ირაკლის დაღუპა და ამიტომ ბატონიშვი-  
ლს გიორგის ქვებუდანად მოტყუება დაუწყო, სადაც თავის დამ-  
ქერი აღარავინ აღარ ჰყვანდა იმას, რ'ლმაცა რაც თავის დის ქე-  
თევანის სიკვდილისა შ'დგომ მოახდინა, ზოგიერთი დამიწერა და  
კიდევაცა დავწერ იმის საძაგლობას. აღამამდხან რომ საქართუც-  
ლოზედ მოდიოდა, მაშინ უნდა სკოდნოდა მეფეს ირაკლის, რაც  
ღალატობას რევაზ შვრებოდა იმ დროებში, რომ გაჰფრთხილებოდა,  
რ'ლსაცა აღარც კი ახსოვდა ის იმისი აღრინდელი ამბავი, სულ



გულიდგან გადავარდნილი ჰქონდა, ან როგორღა იფიქრებდა, დი-  
დი სპარსეთის ჯარი მოდიოდა საქართველოზედ და რევან-ენდრო-  
ნიკაშვილი მამულის ლალატს გაივლებდა გულში, მაშინ როდესაც  
რომ ქვებუდანი ისა დიდს ერთგულობას აჩვენებდა იმ დროებში  
მეფეს ირაკლისა თავის თავზე უექველობისათვის, მაგრამ ქვეშე კი  
უთხრიდა წასაქცევათ იმ პატარა ერეკლესა!

იმ ბატონიშვილის გიორგის მეუღლის ქეთევანის ამბავი ხომ  
გაიგონეთ, როგორი დედაკაცი ყოფილა, ანუ როგორი გავლენა  
ჰქონდა მეფის ირაკლის სახლუელობაზედ, ახლა მეორე ქეთევანის  
ამბავს მოვყვით, ივანე მუხრანბატონის დისა, ან ის როგორი დე-  
დაკაცი იყო, ან როგორი გავლენა ჰქონდა მეფის ირაკლის სახლუ-  
ელობაზედ.

ეს ქეთევან და ივანე იყვნენ კოსტანტინე მუხრანის ბატონის  
შვილები\*). როდისაც ეს ქეთევან ცხრა წლისა თუ ათისა შეიქნა,  
მეფე ირაკლიმ და დედოფალმა დარეჯანმა მეფის ირაკლის პირველ  
ცოლთან თა ხეიძის ქალთან ნაყოლის თორმეტის წლის ვახტანგი-  
სათვის ითხოვეს\*\*) და ჯვარიც მაშინვე დასწერეს, მაგრამ ერთად კი  
არ დაუწვენიათ\*\*\*), რლისაცა იმ კარგის ვახტანგის ამბავი ამ წე-  
რილის თავში დაიწერა, კარგი ვახტანგ რათაც რქმევია და თოთხმე-  
ტის წლისა რომ მომკვდარა, ეს იქვე თავში გავათავეთ. ახლა იმის  
სიკვდილისა შდგომ ის ქეთევან აღარ გათხოვდა, ასე ქვრივით  
დარჩა და დარეჯან დედოფალმაც აღარ მოიშორა, ყოველთვის გა-  
ნუყრელად თავისთან ჰყვანდა დღეცა და ღამეცა. მეფე ირაკლი  
რომ წავიდოდა სადმე, თავის რძალს ქეთევანსა თავის საწოლში  
დაიწვენდა დედოფალი, ასე განუყრელად იყვნენ ერთად, გულით  
მეგობრულად. დედოფალს დარეჯანთან მეფეს ირაკლისა მესამე ვა-

\*) შდგ კოსტანტინე მუხრანის ბატონისა ივანე იყო მუხრანის ბა-  
ტონისა სამუხრანოში.

\*\*) იმერეთის კარგი თავადია დღესაც ხეიძე.

\*\*\*) უწინდელს დროში ისე ადრე მოეწობას იმისთვის მახდენდ-  
ნენ ხოლმე, რომ ოჯახებში ამ ერთობით ძალიან გასდევრებულნი იყვნენ და  
ამ მიზეზით ერთმანეთში თანხმობა დიდი ჰქონდათ. ესეც მაშინდელი  
ჩვეულება იყო, რომ მიხამ კარვათ არ მოიხდებოდნენ, ერთთა არ დაწვე-  
ნდნენ და ამაში ესეც იყო, რომ თანდათან ძალიანი სიყვარული ეძლეო-  
დათ ერთმანეთისა და ბედნიერებიც იყვნენ ხოლმე.



ეი რომ მიეცა, ამ ბატორძლის ქეთევანის თხოვით ვახტანგს დაართ-  
ქვეს თავის ქმრის სახელის დასარჩენათ მეფის სასახლეში, რ'ლიცა  
იმანვე იშვილა, იმისივე ზრუნველობის ქვეშ გაიზარდა, დავაეკაცდა  
და ბოლოს იმანვე შერთო ცოლი, თავადის ენდრონიკანთ ქალი  
მარიამ\*), რ'ლსაცა იმ ვახტანგსა მომატებულს სახელს უძახოდნენ  
ალმასხან ბატორძლის ქეთევანის გულისათვის, რომ ეს სახელი  
ხშირათ არ მოიგონოს და არ შეწუხდეს თავის ქმრის სახელის მო-  
გონებაზედაო. როდესაც რომ კარგ ვახტანგის და ქეთევანის მოუ-  
მწიფებელსა გულსა ცოტაოდენი რამ სიყვარულის თვალი დასჩენო-  
დათ, მაშინ კარგი ვახტანგ იმ მშვენიერს ქეთევანსა მოჰკლამია.  
ასე გაუხარებელი დარჩენილან ორნიც ერთმანეთით დაუნდობი  
წუთისოფლისაგან, რ'ლიცა ის ქეთევან ხანდისხან ასე თურმე წა-  
მოიძახებდა მწარეთ: დაუნდობო, ჩემო ბედნიერებისა მტაცებელო,  
ოჰ სოფელო! და კრემლებსა გადმოჰყრიდა, მაგრამ ამას ცალკე  
სხუა ოთახში დაიძახებდა, ისე დაბლის ხმითა, რომ დედოფალს ვერ  
გაეგონა და თუ როგორმე გაიგონებდა ხმა მაღლივ დაუძახებდა:

— ქეთევან, შვილო ქეთევან, ნუ მკლავ მაგ სიტყვებით. შენმა  
გაზღამ თუ შენ ვნებას შეიმთხვევ რასმე, იქნება მეც შენ უკან გა-  
მოგყვე. აქ შამოლი ჩემთან, აქ შამოლი ჩქარა.

შეიყვანდა და იქ უფრო დასტუქსავდა. ასე ჰყვარებია იმას ის  
ქეთევან და მეფეს ირაკლისაც ის. მართლა რომ ღირსიც ყოფილა,  
ის ასეთი დედაკაცი იყო როგორც თვალ ტანადობით, ისე გონე-  
ბით, ისე ენა მქვერობით და ისე სრულის ენერგიით, მაგრამ ცო-  
ტა აჩქარებული და პირდაპირ მთქმელი იყო, რომ არავის არ და-  
ეფერებოდა არც მეფესა დედოფალსა, თითქმის ისა ბრძანებლობდა  
დედოფლისა მაგიერათ მთელს სახლზედა, რ'ლებსაცა ყველას მო-  
რიდებდა ჰქონდათ იმისი და ამასთან დიდათაც ჰყვარებიათ, ის ასე-  
თი უნაკლულყო დედაკაცი იყო. ყოველს დროსა ანუ ყოველს შემთხვე-  
ვასა რაც რომ მოუხდებოდა ანუ რაც უნდოდა, ის იმაში უკეთესიც  
იყო და ხმარობდა იმ შემთხვევას ისეთისა ქცევით, რომ როგორც  
თვთონ სურდა, ისეც მოიყვანდა საქმეს რაც რომ დედოფლისა  
შესახები იყო იმას და სხუებში კი არაფერში არ ერეოდა არა

\*) ამ მარიამს ასე კარგათ მოგვეწარ, რომ დაცლად შეიღიანებული  
ვიყავ. ჩემი ცრლის ცრტათ ნათესავი იყო და ჩვენ ორნიც ძალიანაც უყვარ-  
დით.





სამეფოსა საქმეებში, მინამ მეფე ირაკლი რჩევას არ ჰკითხავდა და როდესაც დაეკითხებოდა, იქაც კარგი იყო ხოლმე. ის იყო საკვირველი დედაკაცი, მაგრამ იმასაც გზას უხლათდნენ ოჯახობის კეთილმდგომარეობაზედ მეფის ირაკლისა ანუ საქართველოს ჩუმნი და ძლიერნი მტრები. გაიგონეთ, როდესაც რომ აღამამადხანი შემოვიდა ქ. ტფილიში, ის ქეთევან თუ იმ დროებაში დედოფალს დარეჯანთან ყოფილიყო, რაც სიმდიდრე მეფის სასახლეში იყო, ანუ სალაროში სულ ერთიან დაახიზენინებდა ან ქსანზედა და ან არაგვის სიმაგრეში სადმე. აღრეც ამაზედ ლაპარაკი ჰქონდა მეფე დედოფალთან, მინამ აღამამადხან მოვიდოდა, ორის თვის წინათ, მაგრამ იმ დროებაში იმისი ძმა ივანე მუხრანის ბატონი ავით გამხდარიყო ს. მუხრანში და დედოფალს დარეჯანს საჩქაროთ ძმასთან გაეგზავნა თავის ქალის ქეთევან ბატონიშვილის მისაშველებლათ\*): ორნი უფრო კარგათ მოუვლითა და შდგომ ისევ ჩქარა ჩამოდი, რომ უშენოთ არას დაეხიზნამთ და ამისთვის შენი მაყურებელი ვიქნებითო. ესენი სულ შეჩენილმა მტრებმა შეიტყეს და გარეთ ძლიერს მტრებსა შეატყობინეს. ბოლოს როდისაც ივანე მუხრანის ბატონი კარგათ შეიქნა, იულონ ბატონიშვილი ქართლიდგან გადმოვიდა, მაკდურების რჩევით (რქსსაგა გარს ესვია ბატონიშვილს თუ ლასსა ბეჭდი ჩუმი მტრები იმათი ოჯახის დასამხობათ) და იქ ქართლში გადიწვია თავის ცოლს სალომესთან ცოტას დროთი, მაგრამ ისე მოახერხეს მაკდურებმა, რომ აქამდისინ დარჩა. აი ამ ბოროტების თათბირი:

ეს გონიერი ქეთევან აღამამათხანის მოსვლის დროებში თუ იქ დედოფალთან იქნება, ბევრს კარგს საქმეს ურჩევს და იმ საქმესაც შეასრულებენო. ეს სწორეთ იმათი სიტყვაა. ამ უკანასკნელს იმათ სიტყვას ასე მოკლეთ ვანბობ, თორემ ამაზედ ბევრი ლაპარაკი ჰქონდათ. თუ ის ქეთევან დედოფალთან ყოფილიყო, ბევრს კარგი შესძინებდა თავის რჩევით როგორც დედოფალსა, ისე მეფესაც. მაგრამ რა გაეწყობა ჯოჯოხეთის ეშმაკურს ცბიერებას. რლიცა ის ქეთევან იქგააბეს და დედოფალს დარეჯანსა რბილ კეთილისა ბატონიშვილის იოლონის რამდენიმე თხოვის წიგნი მოუტანეს: თქვენი რძალი სალომე (თავის ცოლი) შეუძლებლობს და გვევდრებათ, ბატონ-

\*) ეს ქეთევან ბატონიშვილი ივანე მუხრან ბატონის ცოლი იყო, რქლიცა ამ ქეთევან ბატონიშვილის რჩევით მისცეს.



ირძალი ქეთევან აქ გახლდესთო. ამ გვარი ხვეწნა ბევრი ამის გამო დედოფალმაც ძალა აღარ დაატანა და იქ დარჩა იმათთან. მართლა იმ დროს შეუძლოთაც ყოფილიყო ბატოირძალი სალომე მტრების სადღესასწაულოდ.

აი ამისთანა კარი ჰქონდა ეშმაკებით გარს მოცული ბატოიშვილს იულონსა და სხვებსაც ხომ ყოველ მხარეს დიდს თუ პატარებსა თითქმის უარესი. მე არ დავიჯერებ, ამისთანა ცფიერული ეშმაკობა ყოფილიყოს სადმე, როგორც მაშინ იყო საქართველოში მეფის ირაკლის ოჯახობის და ერთიან საქართველოს დასამზობი.

რალა უნდა ითქუას? სხუათა ქორებსა შორის ამ ქეთევანსაც ეს მოუგონეს და ჩუმათ მითქმა მოთქმა შექნეს ასე: თავის გაზდილს, თავის მაზლს ვახტანგს, რლიცა შევილათ აიყვანა, იმას ჰყვარობსო. განა დარჩენილილა იყო ვინმე მეფის ირაკლის სასახლეში, რომ არავიზედ არ ეთქუათ რა იმ უსვინიდესებს თავიანთის ბოროტების დასაფარავათ? მაგრამ სიმართლე როგორ დაიმალება? სიმართლის მომართულების ძალა ასე რიგათ არის მომართული, რომ ბოლო დროს მაინც არ იქნება თავი არ იჩინოს და ცხადათ არ გამოჩნდეს. მე ამაზედ დავჯერებული ვარ, რომ ეს ასეა. ამაებსა ასე მოკლეთ დავასრულებ და შემდგომში კიდევაც სხუა იქნება ოდესმე.

თ. ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

1851-სა წელსა

ქ. ტფილისს.

ეს ნაწარმოები ალ. ვახტ. ორბელიანისა დაცულია აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ საცავში და ფრიალ საინტეროა როგორც მასალა დედოფლის დარეჯანის პიროვნების დასახასიათებლად. ალ. ორბელიანი ყოველის ღონისძიებით ცდილობს თავისი ბებუის რეაბილიტაციას ოსეთა ყორღანიშვილთან ურთიერთობაში. თუ რამდენად მართალია ალ. ორბელიანი, მე ამას ცალკე გავარჩევ სხვა გარეშე საბუთების დახმარებით.



### სვანები მე-XV საუკუნეში.

1838 წ. მ. ბროსემ დაბეჭდა (Bullet. scientif., t. IV, 268 — 272) თარგმანი ერთი ფრანდ საინტერესო საბუთისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მე-XV საუკ. სვანთა მდგომარეობის და ვითარების შესასწავლად. ბროსეს ხელთ ქონია პირი ამ საბუთისა, რომელი პირი (ქართული ტექსტი) მე ვერ ვიპოვე პეტერბურგს აზიურ მუზეუმში ბროსეს ნაქონ ქაღალდებს შორის. ამ სიგელის ქართული ტექსტი დაბეჭდილი ყოფილა დიდი შეცდომებით ყურნალ „ცისკარში“ 1866 წ. № 10. სიგელი დაწერილი ყოფილა ქაღალდზე და თავი სიძველისგან აკლდა. აი ტექსტი ამ საინტერესო საბუთისა, შესწორებული ბროსეს მიერ გამოცემულ თარგმანის მიხედვით.

- - - - მოუკდით და თქუენი ბიძანები თვალია და ივანე მოგვეწივნეს და შეგვეზნეს. მოგვერია ცოდვა, ეშმაკის მანქანებითა შემოგვერივნეს<sup>1)</sup>. მერმე დაგვიწყეთ მტერობა თქუენ ჯაფარიძემან სარგის<sup>2)</sup> და აღარც გაგვიშვით საჯამაგიროდ, აღარც რაქას და ლეჩხუმს სამუშაოდ<sup>3)</sup> გამოგვიშვით, შვიდს წელიწადსა ასე ვიყუენით, რომე სრულიად სვანეთის ქუეყანასა საზიარებელს ველარ ვიშოვებდით და არცა ვის მარილის გემო გვინახავს. მერმე მიგვიკირდა და აღარა ღონე გვიკონდა. შევიყარენით და ოთხასი საპალნე ცხენი წამოვიტანეთ, თვთოს ცხენსა ოროლი კაცი წამოვჰყევით.

1) ბროსეს: par le mechanceté du demon et par suite de nos péchés, vaincus nous fûmes taillés en pièces.  
 2) დაბეჭდ.: სარგის.  
 3) დაბეჭდ.: სამუშირად.



ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც სავაჭრო გვახლდა, გავაყიდეთ და ვისაქმეთ. ავჭკიდეთ ღვინო და წამოვედით. თავი მორკმული გვეგონა, აღარას მოველოდით. თურმე კუქაიძე და ლაშხიშვილი შემოაჩინილი გვეყუა. როგორც ჩუენ სავაჭროდ ჩამოვედით, კუქაიძესა და ლაშხიშვილს თქუენთუის კაცი გამოეგზავნა. თქუენ სრულიად რაქველნი<sup>1)</sup> შეგვეყარა და ასრე მოსულიყვენით რებტაშიგა, რომ ჩუენ თქუენი მოსვლა ვერათ საქმით ვერ შევიტყუევით<sup>2)</sup>. წინათ თქუენ დაგზუდით, უკანით კუქაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე და გარეყანიძე მოგვეწივნეს, გავიყავით წინა უკანა და დაგვეკოცეთ და ამოგვეწყვიტეთ. რვასის კაცისაგან ოთხასის მეტი აღარ მოვრჩით. ეს ყუელა კაცი დაგვეკოცეთ და ოთხასი ცხენი, ყუელას ღვინო ეკიდა, მისის საპალნით წაგვართვით. ამას გარეთ სხუა მრავალი მტრობა გვიყავით და ვერსით საჯამაგროდ ვერ გავებარენით. ამისი ღონე ვერ დავდევი, რომ გზა გვეშოვნა. ასი სვანი<sup>3)</sup> დვალეთისაკენ გავიპარენით, კახეთს<sup>4)</sup> საჯამაგროდა წავედით, მის წასვლა ვერ შეგვიტყუევით და შეგვიტყუევით და მერმე შინისაკენ რომ შემოვიქეცით, იმავ დვალეთზედ წამოვედით, დაგვხვდით გლოლას და ჭიორსა შუაზედან<sup>5)</sup> და მოგვიჭირეთ, კელთა დაგვეკარცეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბედ გაუშვი, სხუა ყუელა ტყუეთ წაგუსხით, ჩუენის მონაგებიანად ონს მიგუსხით, საქონელი სალაროში შეიტანეთ და ჩუენ დარჯილნი საბრალონი სალორესა და საბატეში შეგვეყარეთ. ნააღდგომევიდალმა ენკენისთვემდის<sup>6)</sup> იმაშიგ ტყუედ ვიყვენით. ღონე აღარ გუქონდა, დავიკსენით თავი და თვითო კარგი აბჯარი ჩუენის თავის სახსრად გამოვიდეთ და გარჯილი სული ამით შევირჩინეთ. სხუა რამდენი ჭირი და მტერობა გარდაგვეკიდა, კაცის ენა როგორ იტყვის. ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სვანეთი არის, თორმეტს წელიწადსა ასრე შეწყვედულნი, რომ

1) დაბეჭდ.: მფარველნი.

2) ბრესე: vous, vous rassemblez toutes les gens du Radcha et vous avancez de la sorte dans un défilé, sans que nous eussions le moindre vent de votre marche.

3) დაბეჭდ.: სპანი, ბრესე: Souanes

4) ბრესე შენდომით: Waseth

5) დაბეჭდ.: შიუაზედან

6) ბრესე: depuis la Pâque jusqu' au mois de novembre



ვერც კახეთისაკენ ვიშოვთ საჯამაგრო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერცა გურიისაკენ, ვერც ვიპყირეთ<sup>1)</sup> და მერმე შევიყარენით სრულიად სვანთ ჩენილები და ვქენით ვაზირობა. მივედით ეკერს, რუჩაგიანსა და დადიშკელიანსა შევეხვეწენით და დადიანთან გავგზავნეთ. შევეხვეწენით დადიანს მამიასა და ცხრა ჯორი გაუგზავნეთ. ამისი აჯა ვსთხოვთ, რომ მეფეთ მეფეს<sup>2)</sup> პატრონს ალექსანდრესთან აჯა ეშოვნა. ღმერთმან გაუმარჯოს პატრონს დადიანსა. ქყონდიდელი<sup>3)</sup> გაეგზავნა და შეხვეწოდა ალექსანდრე მეფესა, ეაჯებინა და ეპატივებინა ბატონის დადიანისათუის და ასრე ებძანა მეფეთ მეფესა პატრონსა ალექსანდრეს თუ ჯაფარიძისთანა თავადი რაქას არა მყავსო. თუ ჯაფარიძის სისხლს გარდინდიანო, სვანთ გზას მივეცემო და ჯაფარიძეთაჲ ჩამოვხსნითო, თუ არა და ჯაფარიძის საქმეს არ გარდავსწყვეტო, ჯაფარიძენი უბრალოდ დაუკოცსო, მწვედ მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად რაქველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგვიანო და თუ ამ ჯაფარიძის საქმეს გარდავსწყვეტენო, მოიყენე კარსა და რა რიგადაც სჯობდეს და ემართებოდნენ, ჯაფარიძესაჲ გარდაუწყვიტონ და შემოვიწყობთო. ამაში გამოხდა ხანი და მივედით დადიანთან სრულად ჩენილები. წამოგვიძღვა თუითან ბატონი დადიანი და გეგუთს მივედით. შეიქნა საქმობა და სანახშირე გვთხოვეს ჯაფარიძეთა. დასხდეს თუითან მეფეთ მეფე პატრონი ალექსანდრე და დადიანი ბატონი მამია, ფალავანდიშვილი ზვიადი, ქილაძე ლომკაცი, ერისთავი კახაბერი, ამირაჯიბი რამინ და ფალავანდიშვილი ფალავანდი. ქნეს მოკითხული და სიგელიც მოატანინეს ჯაფარიძეთა და მეტად უზომოდ დიდი სისხლი და სანახშირე ეწერა. ამაზედან იანგარიშეს და სამასი კაცი<sup>4)</sup> მოეკლა ჯაფარიძეთა და სხუა მრავალი ავი დამართებოდა ჯაფარიძეთან სვანთა. დაუდევით სიგელი სვანთა და გარდაიხადეს და მოვაცემინეთ ლაშხეთს სოფელი და ციხე, ზერიას<sup>5)</sup> ცხრა კუამლი კაცი და ერთი მომცრო მონასტერი წმინდის გიორგისა თექვსმეტით ჯვარქნატითა, ოთხთავითა, საწინასწარმეტყუელოთა, სამოციქულოთა,

1) დაბეჭდ.: ვიპყარეთ

2) დაბეჭდ.: მეფრეს

3) დაბეჭდ.: ქეონდადეღს

4) ბრესე: 700 hommes

5) დაბეჭდ.: ზერიას



მარხვანითა, ტიბიკონითა სტოდიელითა. ამას გარეთ მოგეცით ოცნების პირად მთიულეთს ხიდური ას ოცი გლეხი, ერთი კარგი ციხე, ორი მონასტერი, ერთი დიდი გუმბათიანი მთავარ ანგელოზთ მონასტერი ორით დიდით ოქროს ხატითა, ორმოცდათვრამეტით სხუა დიდით ხატითა, თორმეტით ოქროსა და ვერცხლის კანდლითა<sup>1)</sup> მისით სამონასტროს წიგნებითა, დიდი გულანითა, ოთხთავითა, სამოციქულოთა, საწინასწარმეტყუელოთა, მარხვანითა, მეტაფრასითა, დავითითა, დავითის თარგმანითა, ოთხთავის თარგმანითა, ენქერონის წინამძღვრითა, მეორე წმინდის გიორგის საჯანის დიდი სიონი<sup>2)</sup> მონასტერი ოცდათორმეტი ჯვარი ხატითა და რაც სამონასტრო წიგნი არის მით სრულიად გათავებული და საბატონო დეკანოზი, წინამძღვარს ოცი კუმალი კაცი და დეკანოზს რვა კუამლი კაცი. ამის გარეთ იქვე კიდურს ერთი აზნაურშვილი ხობაგიძე<sup>3)</sup> მისით ციხითა<sup>4)</sup>, თორმეტი კუამლით კაცითა. სხუა მთიულეთს ციხე და სოფელი (კრილი<sup>5)</sup>) ოცდაოთხი კუამლი კაცი, ერთი ეკლესია თხუთმეტი პატიოსნით ხატითა და მისით წიგნებითა სრულობით შემკობილი, თევარეშოს თექუსმეტი კუამლი კაცი და ციხე სხუა და არიშიძე ლომი მისით ციხითა, ორმოცით კუამლი კაცითა, ზედაქალაქსა კარგი საპატიო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა საეფისკოპოზო მისით მოთვალმარგალიტულით ომფორითა შემკობილი, რაც ეფისკოპოზსა და იმისთანას საყდარს ეკადრების, იმისთანას წიგნებითა სრულიად გათავებული ასის კვამლით კაცითა და ღებს<sup>6)</sup> ორი აზნაურშვილი გაგაშვილები მისით ციხითა და სამოცდათორმეტით კუამლით კაცითა. შოდას<sup>7)</sup> წმინდის გიორგის ეკლესია და სოფელი ოცდახუთი კუამლი კაცი და ციხე; ჩუეშოს ციხე და შვიდი გლეხი; ჭიორას ციხე და სოფელი თექუსმეტი კუამლი გლეხი<sup>8)</sup>, ბუბას კარგი ეკლესია ციხე და სოფელი, ეკლესია

1) დაბეჭდ.: ორმოცდა თვრამეტი ოქროსა და ვერცხლის კანდლითა  
 2) დაბეჭდ.: სიონი  
 3) ბრძესე.: Sisagidzé  
 4) დაბეჭდ.: ცხვრითა  
 5) დაბეჭდ.: ცარიელი  
 6) ეს სიტყვა დაბეჭდილში არაა.  
 7) ბრძესე Moda  
 8) სიტყვიდან ჭიორას ბრძესეს არა აქვს



კარგის ჯუარ ხატითა, ოცდახუთი გლეხი; სხუა ლების შესავალი  
 სოფლები ჯუმლად ოთხასი კუამლი კაცი, სამი საშავარდნე, სხუა  
 ყოვლის დღის სანადიროები საჯიკვე, ზოფახითო, ვირტიშო, ედენ,  
 გილოინა, რიონის სათავე<sup>1)</sup>, სხუა სანადიროები არჩვისა, ამ მამულს  
 გარეთ სამასი სამანქანური<sup>2)</sup> და ზედაური აბჯარი, სამასი ვერცხ-  
 ლის ჭურჭელი სურა თებში, ჩოლათო და თასი, ვერცხლის ტაშტი,  
 წურწურმა, კახთ მეფის ნაპარევი. ამას გარეთ სამასი დიდი და სუ-  
 ბუქი ქუაბი, სამასი ჯორი, სამასი კარგი ულაყი, ამას გარეთ ვე-  
 ლარა ამოგივედით, არ შეგვეჯერდით, ამისათვის რომე თქუენი  
 სწორი კაცი სვანეთს არ იყო და სხუა ველარა ღონე ვქენით სრუ-  
 ლად სვანთა ეცერს აქათ ყუელამან თქუენი ბაჟი<sup>3)</sup> დავიდევით სრუ-  
 ლად მულახელითა და მულახის შესავალთა, ლატარელთა და ლატარის  
 შესავალთა, უშკულელითა და უშკულის შესავალთა<sup>4)</sup>. აწე მოგვიხსე-  
 ნებია გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ, სრულად მთიუ-  
 ლეთის თემი მათით სამართლიანითა მთითა, ბართა, საყდრებითა  
 წყლითა და წისქვილითა, სათევზითა, სანადიროთა, ველითა, სათი-  
 ბითა, მისითა მიმდგომითა მართლით სამართლიანითა საქმბრითა და  
 უძმბრითა, მისით ყოვლითა. გქონდეს მკვიდრად და სამამულოდ  
 თქუენ ჯაფარიძესა სარგისს, აბესალომს და ვამიყს. ვინც ეს მოგი-  
 შალოს და შეგიცვალოს, წყეულიმც არის აქა და მერმესა მას საუ-  
 კუნისა ორთავე ცხოვრებათა შიგან, ან თემისაგან<sup>5)</sup>, ან ბაჟისაგან  
 სადამდის სვანეთი იხსენებოდეს, ან ჯაფარიძის გვარი იყოს ან იხ-  
 სენებოდეს. ვინცა შეგიცვალოს და ან მოგიშალოს, შემცაიცივლების  
 ქრისტიანობის სჯულისაგან, რისხავსმკა მამა, ძე და სული წმიდა. აწე  
 გქონდეს მკვიდრად და სამამულოდ ქიდროთას ზედათი, და გლოლას ზე-  
 დათი, სვანეთს იქით, ოსეთს აქათი და სრულად მთიულეთი ოთხასი  
 კუამლი აზნაურ შვილიანად, გლეხიანად. სრულად ეცერს აქათ რაც სვა-  
 ნი იყოს, ყველამ ბაჟი [მოგცეს]. გიბედნიეროს ღმერთმან, როგორც  
 ნასიხსლსა მართებდეს, ვინც ან ამ მთიულეთს დაგეცილოს და ან  
 ბაჟსა, ამისი პირისა და პასუხის გამცემნი ჩუენ სრულად სვანნი ვი-  
 ყვნეთ. ამას გარეთ სალაპოდ მოგახსენებთ სამასი ნებიერი, ათასი

1) ბრასე: Sophazitho Kisticho, Eden, Gidoïnia la source du Rion  
 2) ბრასე: Samakanour  
 3) დაბეჭდ.: ბაზა  
 4) ბრასე უმატებს: de Lachkh, de Holour et de ses environs



ცხვარი და სამასი ლიტრა სამთელი. დაიწერა წიგნი ესე ქარან-  
კონსა რკ და ერთსა, კელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილის  
ფალავანდისითა. მოწამეცა ვარ ამ საქმობისა.

ეს სიგელი, ბოძებული 1432 წელს ალექსანდრე მეფის მიერ,  
ფრიად საინტერესო საბუთია თავისი მრავალმხრივი შინაარსით. ამ  
სიგელის გარჩევის დროს პირველად იბადება საკითხი სიგელის  
მბოძებლის ალექსანდრე მეფის ვინაობის შესახებ, არის ის საქარ-  
თველოს მეფე დიდი ალექსანდრე თუ სხვა პიროვნება. ჩემის აზ-  
რით, ეს ალექსანდრე მეფე არ უნდა იყოს დიდი ალექსანდრე,  
არამედ სხვა პირი, რომლის 1392 წლის სიგელმა ჩვენამდის მოაღ-  
წია და რომელსაც ამ 1392 წლის სიგელის მიხედვით უოლია შვი-  
ლი ვახტანგ\*). მეფე ალექსანდრე ამოწმებს 1408 წლის ცირლილადეს-  
თა სიგელს, ბოძებულს საქართველოს მეფის გიორგის მიერ\*\*).  
ალექსანდრეს შვილი ვახტანგ 1432 წელს უკვე მეფედ იხსენებოდა.  
ეს ვახტანგ, გორგასალად წოდებული, გარდაიცვალა 1445 წ.\*\*\*)  
ვახტანგ იყო რაჭა-არგვეთის მფლობელთა შტოს წარმომადგენელი,  
ჩვენი სიგელის მბოძებელი ალექსანდრე მეფეც რაჭას ფლობს და  
იმავე სამეფოს შტოს წარმომადგენელი უნდა იყოს.

ამ სიგელს დიდი მნიშვნელობა აქვს კერძოდ სვანთა ვი-  
თარების გამოსარკვევად მე-XV საუკუნეში. ამ სიგელიდან სჩანს,  
რომ თავისუფალ სვანეთს მე-XV საუკ. პირველ ნახევარს ექირა  
ტერიტორია ეცერს აქეთ, ცხენის წყალისა და რიონის სათავე,  
ჰიდროთას და გლოლას გასწვრივ, ე. ი. ისტორიულ რაჭის ერთი  
ნაწილიც. 1432 წ. თავისუფალ სვანეთს დაუკარგავს რიონის სათა-  
ვეში მდებარე მთიულეთი, რომელიც ჯაფარიძეების ხელში გადასუ-  
ლა. ამავე სიგელის მიხედვით ჩვენ ვტყობილობთ, რომ საბატო-  
ნო სვანეთს ამ დროს ბატონობდნენ დადიშკელიანი და რუჩაგვიანი.

\*) ქრანიკ., II, 193.

\*\*) ჩემი—გენჯაღოვია დიდის ალექსანდრე მეფისა.

\*\*\*) ჩემი—ვახტანგ, უცნობა აფხაზიშერეთის მეფეთაგანი.





საყურადღებოა კიდევ ის გარემოება, რომ ამ სიგელში არ იხსენიება სვანთა ერისთავი. ცნობილია, რომ 1495—1502 წლებში სვანთა ერისთავად იჯდა აბესალომ გელოვანი\*). შესაძლებელია, რომ მე-XV საუკ. დასაწყისის სვანეთის ცალკე ერისთავი მართლაც გარ მჯდარიყო და შემდეგ წლებში დადგენილიყო ცენტრალურ თავრობასთან სვანების უფრო დასაკავშირებლად. ამ საკითხის უფრო დანამდვილებით გადასაწყვეტად კიდევ ახალი საბუთებია საჭირო.

დღემ ცოტაა შენახულია მხოლოდ 5881 იოუნდებონ, იოუნდები მც  
 ნი . თიპრეაშინ იგიობნოფდებონ იპიციეო აიოუნდამ ოქტობრტშიამ ფიორფ  
 პიოუნდები იმთიქამ ანტუანი ფიოუნდებონ პოლფ პიუნდებონ პიოუნდები  
 -რქამ პი პიოხე . ბნდამენ შინოაშიფ პიუნდენ ცოტამაქცოუე პიუნდებონ  
 -რქამ პიუნდამ . ანტუანობინ ანტამ ლა ცოტამაქცოუე იფიფ ცუნენ პიოუნდეს  
 ცოტამაქცოუე იფიფ პოქცი ანტამ რან ცუნენ ცოტამაქცოუე მც . თიპ  
 -რქამ პიუნდებონ ანტუნიამ პიოუნდები პიოუნდ 5881 პიოუნდობ , იობინ ანტამ ფენბორ  
 -რქამ აიოუნდეს თიფთებინ პიოუნდები პიოუნდ 5881 ნი ცესუნდობლ ან იოქ  
 -რქამ პიუნდებონ პიოუნდ 8081 პიუნდებონ ცოტამაქცოუე ანტამ . (\* გმბტან იო  
 . (\*\* რინი პიუნდობინ პიუნდენ პიოუნდებონ მც პიუნდებონ , პიუნდები თ  
 . ანტამაქცოუე თუნდენ 5881 . პიუნდ 5881 გმბტან იოუნდენ ცოტამაქცოუე  
 . (\*\* რქამ 8081 ანტუნიამ ანტამ იოუნდებონ ფიოუნდებონ გმბტან მც  
 . იოუნდებონ ანტამ პოტენ ანტამაქცოუენ პიუნდებონ ანტამ ოქცი გმბტან  
 ან პიოუნდ მანტამ ცუნენ ცოტამაქცოუე იოუნდებონ პიოუნდები იმუნდ  
 ანტამაქცოუე . პოქცი ანტამ იოუნდებონ ანტამ პოტენ პიუნდებონ ცუნენ  
 -რქამ ანტამ ფიუნდეს მც ანტამაქცოუენ იმინ იფიფ პიუნდები ნი  
 მანტამ პიუნდები ნი . ანტამაქცოუე V X-ენ თუნდებონ ანტამ პიუნდებონ  
 ანტამ პიუნდებონ თუნდებონ . ცეს V X-ენ . პიუნდებონ თუნდებონ ნი  
 . ანტამ პიუნდები ან ანტამაქცოუე პიუნდებონ ცუნენ პიუნდებონ ანტამ  
 იოუნდ მანტამ თუნდებონ . ი . ც . ანტამაქცოუე პიუნდებონ ანტამაქცოუენ  
 -რქამ პიუნდები პიუნდებონ თუნდებონ თუნდებონ . პიუნდებონ ცუნენ იმინ  
 -რქამაქცოუე ნი თუნდებონ პიუნდებონ ანტამ . იოუნდებონ ცუნენ იმინ  
 -რქამაქცოუე ნი თუნდებონ ანტამაქცოუენ პიუნდები ცუნენ . ან  
 იმინაქცოუე ან იმინაქცოუენ იფიფ მანტამაქცოუენ პიუნდებონ ნი პიუნდები ოქ

... 5881 . 11 . . . . . (\*

\*) ჩემი—ბაკრატი, უნახბი მე-XV საუკ. დასაწყისის მეფე.



### ეკატალინ მეფის სამი წერილი თეკლა ბატონიშვილისადმი.

კენინა ნინო ელიზბარის ასულმა ქობულაშვილმა გადმოგვცა სამი ქვემოდ მოყვანილი ფრიად საინტერესო წერილი. ეს წერილები მიწერილია მეფის ერეკლე II-ს მიერ თავის პატარა ასულის თეკლა ბატონიშვილის მიმართ. თეკლა ბატონიშვილი, სულ უნცროსი ქალიშვილი ერეკლე მეფის და დარეჯან დედოფლისა, ფრიად საინტერესო პიროვნება იყო. თეკლა დაიბადა 1776 წელს. თავის სიმკვირცხლით და სიმარჯვით მშვენიერი თეკლა სასახლის წევრთა სათაყვანებელი იყო. ძლიერ უყვარდა ის აგრეთვე მამას მეფე ირაკლის, რომელმაც 1780 წელს 14 ოქტომბერს ხუმრობით 4 წლის თეკლას საგელი უბოძა ამ შინაარსისა: გიბოძეთ ეს სიგელი შენ ჩვენს ქალს თეკლას ბიჭს. თუმცა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერითგან გიწყალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებთ ყველა შენს ძმებს და დებს ამიერიდან გიწოდონ თეკლა ბიჭი. ამ სიგელს ამტკიცებდენ კათალიკოსი ანტონი, ბიძა თეკლასი და ძმა თეკლასი იულონ ბატონიშვილი.

თეკლა ბუნებრივ მშვენიერებასთან ერთად შესანიშნავი იყო როგორც საუცხოვო მონადირე, ცხენზე მჯდომი და მკვირცხლი ბუნებისა. აი ერთი ეპიზოდი თეკლას ცხოვრებიდან, რომელსაც მოგვითხრობს შვილი მისი ალექსანდრე ორბელიანი.

1811 წლის ქირის დროს თეკლა ბატონიშვილი ოჯახობით ჯერ მარტყოფს გაიხიზნა და შემდეგ როდესაც აქაც ქირი გაჩნდა, პატარძელს. პატარძელს გახიზნვის შესახებ მისი შვილი ალ. ორბელიანი მოგვითხრობს:

„მამიჩემის ბედაური დილიბოზური ლურჯი ცხენი, შეკაზმული და დარახტული იადაგში კელით მოჰყვანდა ცხენიანს მოსამსახურეს. მინდვრად რომ გავედით, დედაჩემა სთხოვა მამაჩემსა: უბრძანეთ, თქვენი ცხენი მამგვარონ, მინდა შევეჯდე, კიდევ მოვიხმარებ მაგისთანა ბედაურსა ცხენსა თუ ვერა.

— რას მიბრძანებთ? კარგახანი არის, იმაზედ არავინ მჯდარა, ძალიან დახამებულია. პირველათ თქვენ იმაზედ ნუ შებძანდებით,



არა გაწყინოსთ რა. მაგ მშვიდობიანის ცხენით მობძანდებით, გვირჩვენიათ.

— ვერას მაწყენს, უბძანეთ, მამგვარონ:

მოიყვანეს, უნაგირი კარგათ გაუმართეს. ზედ რომ შეჯდა და სადავე ხელში აიკრიფა, ის ცხენი ავიდა და დავიდა, ბევრჯველ ყალბზე შედგებოდა, მაგრამ როგორც დალურსმული ისე იჯდა უნაგირში. მამაჩემი გაწურვილი იყო შიშით და ძველი ხნიანი მოსამსახურეები თუ ჩვენი გამძლეები ეხვეწებოდნენ ჩამოხტომას, მაგრამ დედაჩემსა მითომ სულ არ ესმოდა და ცხენი ისევ ისე აჩქარებულო ხტომით მიდიოდა. ამაში ყველას წინ გაიყვანა ცხენი და ამ დროს ვინ იფიქრებდა, უეცრათ მოგლიჯა, გააქენა და როგორც გატყორცვილი ისარი, ისე წავიდა. აქ მამა ჩემა დაიძახა: ღოთო, დაიფარე და გამძლეებმა დაიკვილეს: ვუი. მასუკან ყველანი შიშით შეჰყურებდნენ, ეგონათ: ეს ეს არის შეემთხვევა რამეო. მაგრამ თავის ძლიერის ხელებით და კარგის გამოცდილობის მხედრობითა ის დახამებული ბედაური ცხენი დაიმორჩილა და ბოლოს ოფლშიაც ვააცურა, ამთენი აქენა ხან აქეთ და ხან იქით. ის პირველი შიში მას უკან სიხარულით შეიცვალა და თან ის რომ ცხენს აქენავებდა, ძველები ამბობდნენ: ძალიან უგავს მეფეს ირაკლისა ცხენზე ჯდომა და იმის შვილობის ღირსიც არის. ცოდო არ არის, რომ ეს კაცათ არ დაიბადაო. თექვსმეტს წლამდინ დედაჩემსა კაცურათ ესმია ტანისამოსი და მამას მეფეს ირაკლის ისე თან დაჰყავდა, სადაც წავიდოდა და ზოვიერთს ჯარიანობაშიც წაყვანა“.

თეკლა ბატონიშვილი 1800 წელს ჯერ კიდევ მისი ძმის უკანსკნელ საქართველოს მეფის გიორგი XIII დროს გათხოვდა. მას ეყოლა სამი ვაჟი: ალექსანდრე (ცნობილი მწერალი, „ჰუმლიად“ წოდებული), დიმიტრი და ვახტანგ (ცნობილი პოეტი). ბატონიშვილი თეკლა გარდაიცვალა 11 მარტს 1846 წ. 70 წლისა და დიდის დიდებით დაიმარხა მცხეთას ერეკლე მეფის გვერდით. ქვემოთ მოყვანილი სამი წერილიდგან პირველი მიწერილია ერეკლე მეფის მიერ თეკლასადმი, როდესაც ეს უკანასკნელი იყო 5 წლისა, მეორე, როდესაც თეკლა 9 წლისა იყო, მესამე კიდევ უთარილოა, მაგრამ აგრეთვე თეკლას პატარაობისას არის მიწერილი.



II

ქ. ღვთით აღ(ექსან)დრეს. მიუვიდეს.

იმან. თეკლას<sup>I</sup> (გადა)სცეს.

ქ. ჩემო. შინაგან. გულის. ნათელო. თეკლავ. შენს. ლამაზს. პირს. კოცნას. მოგახსენებ. შენი. ბრძნულებ. გაწყობილი. წიგნი. მომივიდა. მიამა. შენმა გაზდამ. და დიდათაც.. დაგიმადლე. არაბუ-ლი კი. ვეჭობ. დაგვიწყებია. წერა. და ახლა. ქართულის. წერას. მოყოლიხარ. მაგრამ. კინალარ. ის უფრო. აღმოიცნობოდა. თუ ჩე-მი. თეკლა ხარ. და დაც და ძმებიც. დებიც. და რძლებიც. და ძმის წულებიც. ყველანი. ვინც. შენნი. იყვნენ. მომიკითხე. და კიდევ. აკოცე. ჩემაგიერ. ყველას. და ამ ხანად. ვერა გამოგიგზავნე რა. ნუ დამემდურები. შენნი დისწულებიც ყველა. დამიკოცნე. და დედა შენს. მოახსენე. გალავნის. საქმეზე. ბეჯითად. ბძანდებოდეს. სეკნდებერს. ა ქკს უოგ

ქ. ბიძია შენი. და მამიდაშენიც. ორივე. მომიკითხე. და ნახვის. ნატრა. შოახსენე. მარიამ. და ხვარამზეც.

ქ. ბატონი. დედოფალიც. მომიკითხე

III

ქ. შვილო. თეკლავ. ღმერთმა. გაგზარდოს. თავის. ნებაში. და წმინდამ. მოწამემ. მთავარმა. გიორგიმ. და წმინდამ. ევსტათიმ. გამოკისნას. მაგ სნეულებაებისაგან. შენმა გაზდამ. დიად მეჯავრება. შენი. მოშორვება. და კინალარ. ვერც. გამიძლია. და ღვთით. ამ ორს დღეში. გნახავ. და დედა შენი. ვერ მოგშორდება. არაფერი. რჩევა იქნება. მაგისი. შენი. მოშორვება. და თითო-ნაც. ვერ შეიძლებს. ჯერხანად. მანდ. ბძანდებოდეთ. და ღვთით. როდესაც. დრო. იყოს. მაშინ. ჩამობრძანდით. მაისის. იც.

ქ. შენი. დაწერილი. წიგნი. მე ვერ წავიკითხე. და მისაიღმა წაიკითხა. ამან მითრგმანა.

დასმულია ერეკლეს 3 ქართული ბეჭედი ოთხჯერ და მისივე 2 სხარსული ბეჭედი სამჯერ.



თეკლა ბატონიშვილი

ქართულ საისტორიო საზოგადოებაში ტფილისს დაცულ სურათიდან.

1772 წლის

დღესდღეობით  
დასრულებულია  
საქართველოს  
ისტორიის  
მეცნიერების  
ინსტიტუტის  
მხარეობით  
დასრულებულია  
საქართველოს  
ისტორიის  
მეცნიერების  
ინსტიტუტის  
მხარეობით

საქართველოს ისტორიის მეცნიერების ინსტიტუტის მიერ დასრულებულია

საქართველოს  
ისტორიის  
მეცნიერების  
ინსტიტუტის  
მხარეობით  
დასრულებულია  
საქართველოს  
ისტორიის  
მეცნიერების  
ინსტიტუტის  
მხარეობით

საქართველოს  
ისტორიის  
მეცნიერების  
ინსტიტუტის  
მხარეობით  
დასრულებულია  
საქართველოს  
ისტორიის  
მეცნიერების  
ინსტიტუტის  
მხარეობით



საქართველოს  
ისტორიის  
მეცნიერების  
ინსტიტუტის  
მხარეობით  
დასრულებულია  
საქართველოს  
ისტორიის  
მეცნიერების  
ინსტიტუტის  
მხარეობით



## მეფე ერეკლე II

ქართულ საისტორიო საზოგადოებაში ტფილისს დაცულ სურათიდან.





**დავით უცხოზი მე-XIV საუკუნის მეფე**

ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა არქივში მე ვიპოვე ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც არის პირი უცხოზის მე-XIV საუკუნის მეფის დავითის სიგელისა. ეს პირი გადაწერილი ყოფილა მე-XIX საუკუნის დასაწყისში თარჯიმანის ხმალაღვის მიერ. აი ეს სიგელი ამ პირის მიხედვით.

ეჭა სამხატოვნობით და სამთვითებით ერთ ღვთაებით ქებულის, უსაბამისა უხილავისა უსაზღვროსა, გარე შეუწერელისა და უსრულებელისა და დაუსაბამოსა ღთისა მამისა და ღთისა ძისა და ღთისა წმიდისა სულისა ერთ ღვთაებით დიდებულისა უფლისა და მეუფისა ჩვენისა იესო ქრისტეს ღთისათა და ხატისა ოქონისათა, ეჭა ადამ დაცემულისა აღმართებისა და ევას მწუხარებისა დამკსნელისა ყოვლად კურთხეულისა ცათა უვრცელესისა უფროსად დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა და ღთის მშობლისათა შეწევნითა და ცხოველ მყოფელისა ძლიერებითა პატრონისა ჯვარისათა, რომელსა ზედა განიპყრნა უკრწნელნი მკლავნი თუისნი კსნისათვის ჩვენისა, შეწევნითა და მეოხებითა წმიდათა ზეცისა ძალათათა და მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისა და ცხრათა დასთა ანგელოზთა, შეწევნითა და მეოხებითა წმიდათა წინასწარმეტყველთათა ელია, ელისე, იონა, ეზეკიელ, დავით, ესაია, იერემია და ყოველთა წინასწარმეტყველთა: შეწევნითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა, პეტრე, პავლე, ანდრეა, იაკობ და იოანე მახარობელისათა: შეწევნითა და მეოხებითა წმიდათა მღუდელ მოძღვართათა: შეწევნითა და მეოხებითა წმიდათა მკსნელთა მოწამეთაცა: შეწევნითა და მეოხებითა წმინდათა ქალწულთათა: შეწევნითა მეოხებითა ყოველთა წმი-

დათა ზეცისა და ქვეყანისათა: . შეწვენითა და მეოხებითა სვეტისა ცხოვე-  
ლისა კუართისა საუფლოსა მირონისა ღთივ წდუელისათა და ყო-  
ველთა წმიდათა ღთისათა, ამინ, ამინ, ამინ. ჩუენ იესიან დავით-  
იან სოლომონიან პანკრატიან აფხაზთა, რანთა, კახთა, შამ და  
შირვან და საქართველოსა მპყრობელმან და კელმწიფემან მეფეთ  
მეფემან დავით და ძეთა ჩვენთა გიორგი და ალექსანდრე ვიგულეთ  
და ვიგულისმოდგინეთ, მას ჟამსა ოდეს საყდარი ოქონისა ბების  
ბებიასა ჩვენსა თამარ დედოფალსა აღეშენა ქალაქსა გორის სანა-  
ხებსა, დაეხატა, შეემკო და შეეწირა სოფელი ხიდისთავი გაღმა  
გამოდმა სამძღვრითა ამითა: : ფარის ჯვარის წვერი სამკევამდინ  
მის დამართებით ზემო წითელი კლდე, მისდა პირისპირ ქათაგა-  
ურის ბოლომდინ, კიმიკიურის პირის პირ დიდ რუსხმულამდინ,  
რუსხმულის დაპირისპირებით კოდათ კევამდის ამისითა რუთა,  
წყლითა, მიწითა და ქალითა გვიბოდებია და შეგვიწირავს ხატისა  
ოქონისათვის: : ზემო რევას ათი საკუამლო მისით რუთა, მამული-  
თა, მიწითა, საწისქვილოთა, სასაფლაოთა და სამძღვრითა და სამ-  
ნებითა ყოველის კაცისაგან მოუდევარი და შემოუცილებელი: : აგ-  
რევე გარეჯურის ლომსათუბანი მისითა წყლითა, რუთა, სამძღურ-  
ითა და სამნითა ამით: : თამარ დედოფლის რუმდის ქვემოთ რე-  
ხის ფშამდინ გვერდით ხელთუბნის სამნამდინ მარჯვნივ თორტოი-  
ზის ფშნამდინ. რუისს უმეკაშვილი მისის მამულითა, რუთა, მიწითა,  
ეკლესის კართა და ორის თავის ვენახის სახასო, იქ თქუენ კარზედ  
ისინივე შემოშავებდნენ: ატენს მამული ერთი ჩიფჩივაძისა, გამოიღებდეს  
ლიტრასა ზეთსა ოთხსა, ძღვენსა და სამსახურსა: აგრეთვე გორს  
ვაჰარნი ექვსნი მათითა სახლკართა, ჭურმარნითა და ქულბაკითა:  
დიღვამს თავს თეთრადენი გიუნა, მამისიმედი, ზოსიმე და ხუცესი  
იოვანე მათისა მამულითა, სახნავითა, რუთა, მითითა, ბართა, სა-  
საფლაოთა, სყიდულითა და უსყიდლითა კელშეუვალოდ და  
განთავისუფლებით მიგვირთმევი და შეგვიწირავს ხატისა ოქონისა-  
თვის და პირისა ლუთისათვის ცოდვათა ჩუენთა მოსატევებელ-  
დღესა დიდსა განკითხვისასა, რათა მეოხ და მხსნელ და მტყელ  
გვექმნეს ორთავე შინა ცხოვრებასა ქრისტე ღმერთი ჩვენი უფალი  
იესო მეუფე დიდებისა: ესე შეწირული პირველად მამათა პირვე-  
ლთაგან შეწირული იყო, ახლა ჩვენ განვაახლებთ და შევწირეთ ზე-  
მოთ წერილნი შესაწირავნი და მამულნი ესე, არა ეთხოვებოდე-  
რა ჩვენგან და არა შემდგომათ სხვათა მეფეთა და მეპატრონეთას

გან მთავარ ეპისკოპოზის სამსახურის მეტი, არა სამეფო და არცა სადედოფლო არა ეთხოვებოდეს რა და არა ჩვენი კაცი სათხოვრად შევიდოდეს. ანუ თუ ვინმე ეპისკოპოზი და მწყემსი ამა ჩვენსა გარიგებულსა საყდარსა ზედან იყვნეთ, ყოველთა დიდ მარხვათა სულისა ჩვენისათვის ჟამსა სწირავდეთ და ჟამთა მეფეთა ლოცვიდეთ, შლად კელ არა ჰყოს: ანუ ვინცა ნათესავმან ჩვენმან მეფემან ან დედოფალმან ანუ მთავარმან გინა მცირემან ამა ჩვენსა შეწირულსა შლად, ქცევად, კელდა გამოწირად კელ ჰყოს, რისხავსმცა დაუსაბამო ღმერთი მამა, ძე და სული წმიდა, შემცაედება ძრწოლა კაინისი, ცოცხლივ დანთქმა დათანა და აბირონისი, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ნულარამცა ნუ იქნება კსნა სულისა მისისა და ჩვენთამც ნათესავთა ცოდვისა მზიდველი იქმნება და დღესა მას დიდსა განკითხვისასა ჩვენდა ნაცვლად დაისაჯების სული მისი ცეცხლსა მას უშრეტსა შინა და ბნელსა მის გარეკნელსა, ამინ, ამინ, ამინ: დამამტკიცებელნი მისნი ღწ აკურთხოს და წმიდამან ღთის მშობელმან და ხატმან ოქონისამან, ამინ. დაიწერა ნიშანი და ბრძანება ესე ჩვენი მასსა ჟამსა, ოდეს სარკინოზთა და ისმაიტელთა ბრძოლა შეექმნა საბერძნეთს და ალიხუნეს (დედ: ადიშეს) ქალაქნი და აგარაკნი მათნი: ქკსა სამეოცდაათსა, დასაბამიდგან წელთა შვიდი ათას ორას და ათსა, ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისა კს: დაიწერა სიგელი ესე კელითა კარისა ჩვენისა წინამძღვრის იოსებ უჯარმელისათა, თვესა ივნისა.

სეკუელი ხელის მოწერა

ეს სიგელი დავით მეფისა ბოძებულია ქორონიკონსა 70, ივნი-სში, ანუ 1382 წელს (დასაბამიდგან ანკარიშში შეცდომა უნდა იყოს ან არა და შეცდომით გადმოწერილია დედნიდან) დავით მეფის მიერ, რომელსაც ყავს ორი შვილი გიორგი და ალექსანდრე. ვინ უნდა იყოს ეს დავით მეფე? ამ დროს ტრაპეზონტის მიქელ ფანარეტის

ქრონიკით ცნობილია დავით ტფილისის მეფე. მაგრამ ჩემის აზრით დავით ტფილისის და დავით მეფე ჩვენი სიგელისა სხვა და სხვა პირია. მე მგონია, დავით ტფილისის მეფე უნდა იყოს საქართველოს მეფეების ლეგიტიმურ (უფროს შტოს) წარმომადგენელი, ძე გიორგი დავითის ძისა, რომელიც ჩემის აზრით 1373 წელს მოკლულ იქნა თურქებისაგან. დავით მეფე ჩვენი სიგელისა კი, როგორც სიგელში დასახელებულ სოფლებიდან სჩანს, აფლოზს გორის ახლომახლო რაიონს. მე-XIV საუკუნის ნახევარში ცნობილია ერთი მეფე, რომელიც დაახლოვებით ამავე ოლქის მფლობელად უნდა მივიჩნიოთ. ეს არის ანდრონიკე მეფე, რომლის სიგელმა წითლოსან ქვეფენეველისადმი ჩვენამდის მოაღწია (საქ. სიძგ. II, 11) და რომელიც 1339 წელს გამეფებულა და 1348 წელსა კიდევ ცოცხალი ყოფილა. რადგანაც ჩემის გამოანგარაშებით 1339 წელს გარდაიცვალა გიორგი ბრწყინვალე, ხოლო ამისი მემკვიდრე საქართველოს ტახტზე იყო მისი უმფროსი შვილი დავით, ამიტომ ანდრონიკე უნდა ყოფილიყო უმცროსი შვილი გიორგი ბრწყინვალისა. თუ კი დავით მეფე 1382 წელს სთვლიდა თავის მეფობის 28 წელს, მაშასადამე ის გამეფებულა 1354 ან 1355 წელს. შესაძლებელია დავითი იყო შვილი ანდრონიკესი, რომელიც ამ გვარად მომკვდარა 1354—1355 წელს.

